

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## Introduction to Qualitative Research Methods

### შესავალი თვისებრივი ხვლევის მეთოდებში

მარინე აროშიძე, მანუჩარ ლორია, ნინო აროშიძე,  
ნაზიბროლა ბერიძე-გაბაიძე

კრებული შედგენილია აჭარის განათლების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

ბათუმი

2024

ეს წიგნი წარმოადგენს საგულდაგულოდ შერჩეულ ნაწყვეტების თარგმანებს ისეთი ცნობილი მეცნიერების ნაშრომებიდან, როგორებიც არიან ჯონ კრისუელი, დონატელა დელა პორტა, მაიკლ კიტინგი და სხვები. თითოეული ამონარიდი გთავაზობთ ამ ავტორების მიერ შესაბამის სფეროებში შემოტანილი ღრმა იდეებისა და გამოცდილი მეთოდოლოგიების პირველადი გაცნობის საშუალებას. ჩვენი მიზანია მათი გამოცდილება უფრო ხელმისაწვდომი გახადოთ ფართო აუდიტორიისთვის. იმედი გვაქვს, რომ ეს კრებული არა მხოლოდ გაამდიდრებს თქვენს ცოდნას, არამედ შთაგაგონებთ სრულად შეისწავლოთ ამ ავტორების ნაშრომები ორიგინალ ენაზე.

#### კრებული შეადგინეს:

მარინა აროშიძე,  
მანუჩარ ლორია,  
ნინო აროშიძე,  
ნაზიბროლა ბერიძე-გაბაიძე

#### მთარგმნელები:

ნინო აროშიძე,  
ნანა მაზმიშვილი,  
ანასტასია მახარაძე

#### დიზაინერი:

დალი ჯვარშიეშვილი

ISBN 978-9941-9930-0-8



გაბომდგეილობა  
სამშობლო

## წინასიტყვაობა

მეცნიერება - ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი სფეროა, რომლის მიზანია გარე სამყაროს შესახებ ობიექტური მონაცემების შესწავლა, სისტემატიზაცია, ახალი ცოდნის მიღება და მათი მეშვეობით სამყაროს ტრანსფორმირება. მეცნიერული ცოდნის მისაღებად კაცობრიობამ გამოიმუშავა შემეცნების სამეცნიერო მეთოდები, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იხვეწებოდა და მრავლდებოდა.

ნებისმიერი საქმიანობის დაწყებისას მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რა მიზანს უნდა მივაღწიოთ, არამედ როგორ გავაკეთოთ ეს, რა გზით. სანდო მეთოდთა არა მარტო სამუშაო ინსტრუმენტი, არამედ მეცნიერის მსჯელობის გზაა, შედეგების შემოწმებისა და ახალი იდეებისა და თეორიების გენერირების საშუალება არის. კვლევის მეთოდების სწორი გამოყენება მკვლევართა პოზიციის დეკლარაციაზე და მის კომპეტენციაზე მეტყველებს.

მხოლოდ სამეცნიერო მეთოდის გამოყენების შედეგად შესაძლებელია სანდო მონაცემების მიღება. უამრავი ხერხი და მეთოდი (თეორიული და ემპირიული, ზოგადსამეცნიერო და კერძო, რაოდენობრივი, თვისებრივი, შერეული და სხვ.) უნდა ეხამებოდეს ერთმანეთს და ერთიან მეთოდოლოგიურ სისტემას ქმნიდეს, კვლევითი მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობას.

მეთოდოლოგიის განვითარება ორმხრივად მიმდინარეობდა: უნივერსალური ზოგადსამეცნიერო მეთოდების საფუძველზე ყალიბდებოდა კერძო მეცნიერული კვლევის სპეციალური ხერხები, ამავდროულად, კონკრეტული მეცნიერების ფარგლებში ადაპტირების შემდეგ გამოიყენებოდა სხვა სფეროს მეთოდოლოგიური მიღწევები. თანამედროვე სამეცნიერო ჰუმანიტარული პარადიგმა ხასიათდება ინტერდისციპლინარული მიდგომით, ამიტომ სამეცნიერო კვლევებში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და ხერხებს.

კრებულის ავტორები გთავაზობთ თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიის კორიფების ნაშრომების ამონარიდს (სანდრა

ჰალპერინი, ოლივერ ჰიტი, ერლ რ. ბები, დონატელა დელა პორტა, ჯონ ვ. კრისუელი, ჯორჯ ალექსანდრი, ენდრიუ ბენეტი, კიმბერლი ნოიენდორფი, კოლინ რობსონი, კირან მაკარტანი, ფლოიდ ჯ.ფაულერი და სხვ.) და იმედს გამოვხატავთ, რომ ის დაეხმარება მკვლევრებს რეალობის პრაქტიკული და თეორიული ათვისებისა და გააზრების პროცესში, გაზრდის მათი კვლევების შედეგების სანდოობასა და მნიშვნელობას.

კრებულის ავტორები უახლოეს პერიოდში მოამზადებენ კრებულს თვისებრივი კვლევის საფუძვლებს, სადაც უფრო ფართოდ მოხდება ლინგვისტური და ანთროპოლოგიური კვლევების სპეციფიკის განხილვა.

## სარჩევი

### პირველი ნაწილი: ფილოსოფია და ღირებულებები / კვლევის პროცესი

#### 1. თვისებრივი კვლევა პოლიტიკურ მეცნიერებაში /რა არის „ცოდნა“?

*სანდრა ჰალპერინი და ოლივერ ჰიტი*  
ცოდნის ფორმები: კანონები, ახსნა და ინტერპრეტაცია .....7

#### 2. კვლევის ეთიკა და ღირებულებები

*ერლ რ. ბები*  
სოციალური კვლევის ეთიკა და პოლიტიკა .....26

#### 3. ძირითადი უმუხტივისტური იდეები: მიზნობრიობა, თეორიები და ცნებები

*დონატელა დელა პორტა, მაიკლ კიტინგი (რედაქტორები)*  
კაუზალური (მიზეზობრივი) ახსნა (ადრიენ ჰერიტიე) .....43

*ერლ რ. ბები*  
კვლევის სტრუქტურა: რაოდენობრივი და თვისებრივი .....47  
კონცეპტუალიზაცია, ოპერაციონალიზაცია და გაზომვა,  
ყველაფრის გაზომვა, რაც კი არსებობს .....72

*ჯონ ვ. კრისუელი*  
საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება და კვლევის დიზაინი.....99

### მეორე ნაწილი: როგორ ჩავატაროთ ჰიპოთეტურ-დედუქტივისტური (ან „უმუხტივისტური“) კვლევა

#### 4. „უმუხტივისტური“ კვლევის დიზაინი

*სანდრა ჰალპერინი და ოლივერ ჰიტი*  
შედარებითი კვლევა .....132

*დონატელა დელა პორტა, მაიკლ კიტინგი (რედაქტორები)*  
შედარებითი ანალიზი: კეისებზე ორიენტირებული კვლევა ცვლადზე  
ორიენტირებული კვლევის საპირისპიროდ (დანიელა დელა პორტა).....154

*ჯორჯ ალექსანდრი და ენდრიუ ბენეტი*  
სტრუქტურირებული, მიზანმიმართული შედარების მეთოდი.....174

5. „აოზიტივისტური“ მონაცემთა შეგროვება და  
შინაარსის ანალიზი

*კიმბერლი ნოინდორფი*  
შინაარსის ანალიზის განსაზღვრა.....200

*კოლინ რობსონი და კირან მაკარტანი*  
გამოკითხვები და კითხვარები.....204

*ფლოიდ ჯ. ფაულერი*  
შეცდომის ტიპები გამოკითხვებში, შერჩევა,  
მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....211

6. „აოზიტივისტური“ მონაცემთა ანალიზი

*ჰენრი ი. ბრეიდი, დევიდ კოლიე*  
პროცესის მეთვალყურეობა და კაზუალური დასკვნა.....217

*დერეკ ბიჩი და რასმუს ბ. პედერსენი*  
პროცესის მეთვალყურეობის კომპონენტები, როგორც  
სოციალური მეცნიერების მეთოდი .....222

მესამე ნაწილი

როგორ ჩავატაროთ აოსტაოზიტივისტური (ინტარპრეტაციული  
და აოსტატრუქტურული) კვლევა

7. ძირითადი აოსტაოზიტივისტური იდეები

*პერეგრინ შვარც-ში და დვორა იანოვი*  
კვლევის დიზაინი, ცოდნის გზები: საკვლევი კითხვა და  
გამოკითხვის ლოგიკა.....230

*ლენე ჰანსენი*  
დისკურსის ანალიზი, იდენტობა და საგარეო პოლიტიკა .....241

8. ინტარპრეტაცივისტული კვლევა (დიზაინი და  
მონაცემთა შეგროვება)

*მარტინ ჰამერსლი და პოლ ატკინსონი*  
რა არის ეთნოგრაფია? კვლევის დიზაინი: პრობლემები,  
ქეისები და შერჩევა.....245

9. აოსტატრუქტურული კვლევა (დიზაინი და  
მონაცემთა შეგროვება)

*იზაბელა ფერკლოფი, ნორმან ფერკლოფი*  
პოლიტიკური დისკურსის ანალიზი და პოლიტიკის ბუნება.....264

*ნორმან ფერკლოფი*  
დისკურსი. კრიტიკული დისკურსის ანალიზი პრაქტიკაში:  
ინტერპრეტაცია, ახსნა და ანალიტიკოსის პოზიცია.....294

**პირველი ნაწილი:**  
**ფილოსოფია და ღირებულებები / კვლევის პროცესი**

**1. თვისებრივი კვლევა პოლიტიკურ მაცნეარებაში**  
**/ რა არის „ცოდნა“?**

*სანდრა ჰალბერინი და ოლივერ ჰიტი*

**ცოდნის ფორმები: კანონები,**  
**ახსნა და ინტერპრეტაცია**

თავიდანვე ისმის მთავარი კითხვა: საიდან ვიცით, რომ რაღაც სიმართლეა? არსებობს მნიშვნელოვანი კონსენსუსი იმ საშუალებების შესახებ, რითაც შეგვიძლია მოვიპოვოთ მეცნიერული ცოდნა და დავადგინოთ „სიმართლე“ ბუნებრივ მოვლენებზე. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ვიღებთ ცოდნას სოციალური სამყაროს შესახებ, არ არის გადამწყვეტილი. აქ მთავარი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა სოციალურ სამყაროზე მივიღოთ სანდო და ობიექტური ცოდნა იმ მეთოდებით, რომლებიც მეცნიერებმა შეიმუშავეს. შეუძლიათ თუ არა მეცნიერებს ამ მეთოდების გამოყენებით დაადგინონ სიმართლე სოციალური ცხოვრების რომელიმე ასპექტის შესახებ ისეთივე დარწმუნებით, როგორც ეს მეცნიერებს შეუძლიათ ბუნებრივი ასპექტების შესახებ. ზოგი ამბობს კი, ზოგიც ამბობს არა.

მოგვიანებით განვიხილავთ ამ კითხვაზე პასუხის სამ განსხვავებულ მიდგომას. მიდგომა, რომელსაც თქვენ მიიღებთ, განსაზღვრავს თქვენი კვლევის ტიპს, განცხადებებს, რომლებსაც კვლევის საფუძველზე აკეთებთ და იმ შედეგების თქვენეულ შეფასებას, რომელსაც სხვა მკვლევარები მიიღებენ თქვენს დარგში. თითოეული მათგანი აყალიბებს სხვადასხვა საკვლევ პრაქტიკას, რადგან თითოეული ეფუძნება განსხვავებულ ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. შესაბამისად, ისინი განსხვავდებიან სოციალური სამყაროს ბუნების შესახებ თავიანთი კონცეფციით (1) (ონტოლოგია), (2) იმის შესახებ, თუ რა სახის ცოდნის მიღებაა შესაძლებელი ამ სამყაროს შესახებ (ეპისტემოლოგია) და (3) თუ როგორ მივდივართ ამ ცოდნის (მეთოდის) შექმნისკენ.

**ონტოლოგია:** რა არსებობს? რა არის სოციალური სამყაროს ბუნება?

**ეპისტემოლოგია:** რა სახის ცოდნაა ამის შესახებ შესაძლებელი? როგორ გავიგოთ ამის შესახებ?

**მეთოდოლოგია:** რა სტრატეგიები შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ ცოდნის შესაძენად?

ტერმინები „ონტოლოგია“, „ეპისტემოლოგია“ და „მეთოდოლოგია“ ეხება კვლევის პრაქტიკისა და ცოდნის ფუნდამენტურ საკითხებს. ონტოლოგია - „რა არის“. აქ ჩვენ გვინტერესებს სოციალური სამყაროს ბუნება და

ძირითადი ელემენტები, რომლებიც ქმნიან ამ სამყაროს. პოლიტიკურ კვლევაში ონტოლოგიური კითხვები თავის თავში შემდეგს მოიცავს: განსხვავდება თუ არა სოციალური სამყარო ფუნდამენტურად ბუნებრივი სამყაროსგან.

ეპისტემოლოგია ეხება იმას, რაც შეცნობადია. რა შეგვიძლია ვიცოდეთ სოციალური მოვლენების შესახებ?

მეთოდოლოგია ეხება იმას, თუ როგორ მივიღებთ ცოდნას. რა არის ის საშუალებები და მეთოდები, რამაც შეიძლება მოგვცეს პოლიტიკური სამყაროს ლეგიტიმური ცოდნა?

მივუბრუნდეთ დასაწყისში დასმულ კითხვას: შეიძლება თუ არა სოციალურ სამყაროზე მივიღოთ სანდო და ობიექტური ცოდნა იმ მეთოდებით, რომლებიც მეცნიერებმა შეიმუშავეს ბუნების შესახებ ცოდნის მისაღებად. პირველ რიგში განვიხილოთ იმათი არგუმენტები, ვინც დასმულ კითხვაზე დადებით პასუხს გვაძლევს. ეს პასუხი შემუშავებულია აზროვნების ორ ტრადიციაში: პოზიტივიზმსა და სამეცნიერო რეალიზმში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტრადიცია განსხვავდება, ორივე მათგანი აცხადებს, რომ სოციალური სამყარო არაფრით განსხვავდება ბუნებრივისგან და შეიძლება იგივე მეთოდებით შევისწავლოთ, რომლებითაც მეცნიერები ბუნებას სწავლობენ.

ჩვენ ასევე განვიხილავთ მესამე მიდგომას, ინტერპრეტივიზმს, რომლის მომხრეებიც ამტკიცებენ, რომ სოციალური და ბუნებრივი სამყარო განსხვავდებიან, რომ ის ინსტრუმენტები, რომლითაც მეცნიერები ბუნებას შეისწავლიან, ვერ დაგვეხმარება სოციალური სამყაროს შესწავლისას მივალნიოთ ისეთივე ობიექტურობას და სანდოობას, როგორც ეს ბუნებრივი სამყაროს შესწავლისას არის შესაძლებელი.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი მიდგომა განსხვავდება ერთმანეთისგან იმ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა მეცნიერული მეთოდების გამოყენება ადამიანის ქცევის შესასწავლად.

### **პოზიტივიზმი**

პოზიტივიზმი ჩამოყალიბდა სოციალური კვლევისათვის მყარი საფუძველის შექმნის მიზნით. პოლიტიკურ კვლევებში ეს საკვანძო საკითხია. პოლიტოლოგებს სურთ თავიანთ კითხვებზე სანდო პასუხების მიღება, ამიტომაც სურთ უზრუნველყონ, რომ მათ მიერ გამოყენებული კვლევის პრაქტიკა და მეთოდები მათ ამის გაკეთების საშუალებას აძლევდეს. ამ საკითხის გადასაწყვეტად პოზიტივიზმი ერთ მიდგომას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც მკვლევრებს შეუძლიათ მიიღონ ფაქტიური, სანდო და ობიექტური პასუხები სოციალური სამყაროს შესახებ იმ მეთოდებით, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოიყენება. ზოგ მეცნიერს ეს მიდგომა სადაოდ მიაჩნია, ზოგიც კი ეთანხმება მას. აქედან გამომდინარე, მკვლევართა ერთი ჯგუფისთვის იგი კვლევის საფუძველს წარმოადგენს, მაშინ როცა მეორე ჯგუფს აძლევს ალტერნატიული მეთოდოლოგიური პოზიციების სტიმულს.

პოზიტივიზმმა პოლიტიკური კვლევის ტრანსფორმაცია 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ტერმინი ბიჰევიორალიზმი, რომელიც გამოიყენება პოზიტივისტური დებულებების პოლიტიკურ კვლევებში, ეხება კითხვას, რას აკეთებენ პოლიტიკური აქტორები

და რატომ აკეთებენ ამას. ბიხევიორიზმის მთავარი პრინციპი არის ის, რომ მხოლოდ დაკვირვებადი ქცევა შეიძლება იყოს შესწავლილი. ამგვარად, ბიჰევიორისტებისთვის პოლიტიკური კვლევა გულისხმობს ცალკეული პირების ან ინდივიდების ერთობლიობის (პარტიები, კლასები, ინტერესთა ჯგუფები, მთავრობები, სოციალური მოძრაობები) დაკვირვებადი ქცევის შესწავლას და ახსნას.

1970-იანი წლების შუა პერიოდებამდე, ბიჰევიორისტები ფოკუსირებული იყვნენ ისეთ კითხვებზე, რომლებზეც პასუხის გაცემა შეიძლება მონაცემების შეგროვებითა და შესწავლით. მაგალითად, ხმის მიცემის ან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისა და სოციალური გამოკითხვის მონაცემები. მაგრამ კრიტიკოსების აზრით, მხოლოდ გაზომვად მონაცემებზე ფოკუსირებით დარგის სპეციალისტები უფრო ტექნიკაზე იყვნენ ორიენტირებული და არა შინაარსზე. სწორედ ამის საფუძველზე წარმოიშვა „პოსტბიჰევიორისტული რევოლუცია“. მისი მიზანი არ იყო ბიხევიორაქიზმის განდევნა. მისი მიზანი, იყო პოლიტოლოგია ნაეყვანა ახალი მიმართულებით. ზოგიერთმა ამ მიმართულებათაგან პოლიტოლოგია წარმართა პოზიტივისტური და ბიჰევიორისტული მიზნების შემდგომი რეალიზაციისკენ, როგორცაა პოლიტიკურ კვლევაში „პოზიტიური პოლიტიკური თეორიის“ ან რაციონალური არჩევანის თეორიისადმი ტენდენცია. პოზიტიური პოლიტიკური თეორია ვარაუდობს, რომ ქცევის მოტივაცია არის რაციონალური პირადი ინტერესი, და რომ ინდივიდუალური პირადი ინტერესის მქონე რაციონალური ქმედება მთლიანობაში ინვესტს კოლექტიურ პოლიტიკურ შედეგებს (Amadae and Bueno de Mesquita 1999: 270)<sup>1</sup>. მაგრამ პოსტბიჰევიორისტულმა მოძრაობამ დასაბამი მისცა არაპოზიტიურ მიმართულებას და ისეთი მიდგომების ერთობლიობას, როგორცაა კონსტრუქტივიზმი, ფემინიზმი, პოსტმოდერნიზმი და კრიტიკული თეორია. მათ შემდეგ თავებში განვიხილავთ.

ბიჰევიორულმა რევოლუციამ ჩვენი დარგი რამდენიმე მნიშვნელოვანი გზით შეცვალა. მან წარმოშვა მნიშვნელოვანი დისკუსია და დებატები პოლიტიკური ცხოვრების შესახებ სანდო, ემპირიული, მიზეზობრივი ცოდნის მისაღებად მეცნიერული მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესახებ. ბიჰევიორალიზმმა აქცენტი გააკეთა ემპირიულ დაკვირვებაზე დაფუძნებულ კვლევაზე, ტესტირებაზე, რომელიც მოიცავდა სისტემატიურ მტკიცებულებებს და მიზეზობრივ ახსნებს. კვლევის მნიშვნელობაზე აქცენტირებამ მეცნიერებს საშუალება მისცა ზუსტად განესაზღვრათ რისი ცოდნა სურდათ, რა ახსნას სთავაზობდნენ და როგორ აპირებდნენ ამის დემონსტრირებას.

### კლასიკური პოზიტივიზმი

საინტერესოა ტერმინ „პოზიტივიზმის“ წარმოშობა. იგი პირველად ფრანგმა ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტმა (1798–1857) გამოიყენა. მისი არგუმენტის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოებამ ჭეშმარიტების ძიების პროცესში სამი ეტაპი განვლო. პირველად საზოგადოებამ ჩამოაყალიბა რელიგია, როგორც სამყაროს გაგების საშუალება. შემდეგ საზოგადოებამ თავისი რწმენა გააფ-

1. შენიშვნა: სქემების ნუმერაცია და ციტირებები მოყვანილია ორიგინალი ტექსტის შესაბამისად, დეტალებისთვის იხ. წიგნის ბოლოს მითითებული „თარგმნილი ლიტერატურა“

ართოვა იმით, რისი დაკვირვებაც შეუძლებელია, როგორცაა მეტაფიზიკა. კონტის მოსაზრებით, აქედან საზოგადოება გადავიდა საბოლოო „პოზიტიურ“ ეტაპზე, როდესაც სიმართლის ძიება ხასიათდებოდა ფაქტების სისტემატიური შეგროვებით. ტერმინი სოციოლოგიაც მას ეკუთვნის, რაც სოციალური სამყაროს მეცნიერულ შესწავლას გულისხმობს. ორივე ტერმინი ერთსა და იმავეს გამოხატავდა: სოციალური სამყაროს გაგება შესაძლებელია იმავე მეთოდებით, რომლის საშუალებითაც ხდება ბუნებრივი მოვლენების ახსნა.

სოციალური მეცნიერული კვლევის ბუნებასა და მიზნებთან დაკავშირებით პოზიტივიზმი აგებს აზროვნების კონსტრუქციას, რომელიც ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: პირველი მათგანი ამტკიცებს, რომ არ არსებობს განსხვავება საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის; ხოლო დანარჩენი სამი პრინციპი განავითარებს მათ შედარებას. პირველი პრინციპის მიხედვით, რომელსაც ნატურალიზმი ეწოდება, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის განსხვავება არ არსებობს იმიტომ, რომ არ არსებობს ფუნდამენტური განსხვავება სოციალურ და ბუნებრივ სამყაროებს შორის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი სამყაროს მსგავსად, სოციალურ სამყაროში არსებობს გონებისგან დამოუკიდებელი, ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს მის შესახებ ჩვენი ცოდნისგან დამოუკიდებლად და რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „რეალიზმს“.

პოზიტივიზმის მეორე პრინციპი არის ემპირიზმი, რომელიც ცოდნის ფილოსოფიური თეორიაა და პასუხობს ეპისტემოლოგიურ კითხვას: როგორ შევიძინოთ ცოდნა სამყაროს შესახებ? პასუხი, ემპირიზმის მიხედვით, არის ის, რომ რაც ჩვენ ვიცით სამყაროს შესახებ, შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რაზე დაკვირვებაც შესაძლებელია. ცოდნა არის მხოლოდ ის, რაც სათავეს იღებს სენსორული გამოცდილებიდან: არ არსებობს აპრიორი ცოდნა, არ არსებობს ცოდნა რეალობის შესახებ, რომელიც შექმნილია მგრძობელობით გამოცდილებამდე.

პოზიტივიზმის მესამე პრინციპი არის ის, რომ სოციალური მეცნიერების მიზანია სოციალური ფენომენების ახსნა და პროგნოზირება კანონების საშუალებით. პოზიტივიზმი ხაზს უსვამს იმას, რომ, რადგან სოციალური მეცნიერებები არ განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან, მათ უნდა ჰქონდეთ იგივე სტრუქტურა და ლოგიკური მახასიათებლები, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. ამრიგად, როგორც გერმანელი ლოგიკოსი კარლ გუსტავ ჰემპელი (1905–97) ამტკიცებდა, თუ კანონების აღმოჩენა აუცილებელია ფიზიკურ ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მაშინ კანონები აუცილებელი უნდა იყოს სოციალურ მეცნიერებებშიც. თუ სოციალური სამყარო ბუნებრივ სამყაროს ჰგავს, მაშინ, ბუნებრივი სამყაროს მსგავსად, ის ასევე უნდა იყოს რეგულარული, სისტემატური და კანონით მართული.

სოციალურ მეცნიერებებში კანონების აღმოჩენის შესაძლებლობა ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელზეც პოზიტივიზმის კრიტიკოსების მოსაზრებები იყოფა. არსებობს თუ არა სოციალური კანონები? კითხულობენ ისინი. ისინი, ვინც პასუხობენ „არა“, ამტკიცებენ, რომ არსებობს განსხვავება „ბუნებაში“ საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების საგანს შორის, რაც შეუძლებელს ხდის სოციალური კანონების ჩამოყალიბებას.

კლასიკური პოზიტივისტური აზროვნების თანახმად, კანონების აღმოჩენა შესაძლებელია დაკვირვებადი მოვლენებისა და მოვლენების სისტემატური გამოკვლევით და მსჯელობის საშუალებით ან პროცესის გზით, რომელსაც ეწოდება „ინდუქცია“. როდესაც ინდუქციური მსჯელობის პროცესში ვერთვებით, ჩვენ ვინყებთ კონკრეტული დაკვირვებებითა და ზომებით (ფაქტების შეგროვებით). შემდეგ გადავდივართ ამ დაკვირვებების შაბლონებისა და კანონზომიერებების იდენტიფიცირებაზე და რამდენიმე სავარაუდო ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაზე. დაბოლოს ჩვენ ვავითარებთ რამდენიმე ზოგად დასკვნას ან თეორიას.

პრაქტიკულად ყველა სოციალური კვლევა მიზნად ისახავს მიზეზების აღმოჩენას. მაგრამ არსებობს მიზეზობრიობის განსხვავებული წარმოდგენები. პირველ რიგში განვიხილოთ პოზიტივისტური კონცეფცია. ეს ემპირიული მიდგომაა, რომელიც პირველად შემოიტანა შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა, ეკონომისტმა და ისტორიკოსმა დევიდ ჰიუმმა (1711–76). ემპირიზმის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მხოლოდ ის, რაზე დაკვირვებაც შეგვიძლია. რასაც შეგვიძლია დავაკვირდეთ არის ის, რომ ერთი რამ მეორეს მოსდევს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავაკვირდეთ იმ გენერაციულ ძალას, რომელიც მას საფუძვლად უდევს და რომელიც ამას აკეთებს. სამაგიეროდ, ჩვენ აღმოვაჩინებთ დაკვირვებად კანონზომიერებებს და მოვლენებს შორის ამ „მუდმივ კავშირზე“ დაკვირვების გამოცდილება ჩვენს გონებას გადასცემს ამ მოვლენებს შორის აუცილებელ კავშირს.

ამ კონცეფციის თანახმად, მიზეზობრიობა შედგება დაკვირვებად ცვლადებს შორის ემპირიული კანონზომიერებების შესახებ ფაქტებისაგან. პოზიტივიზმის მიხედვით, მიზეზობრიობის ობიექტური კონცეფცია, რომელიც მოიცავს მიზეზობრივ აუცილებლობას ან მიზეზობრივ მექანიზმებს, მეტაფიზიკურია.

პოზიტივიზმის მეოთხე პრინციპი არის ის, რომ სოციალური სამყაროს ცოდნის ძიებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოყენებული მეცნიერული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ფაქტებისა და ღირებულებების ერთმანეთისგან გარჩევა და „ფაქტების“ დამკვირვებლისგან და დამკვირვებლის ღირებულებებისგან დამოუკიდებლად განხილვა. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ღირებულებისგან თავისუფალი, ობიექტური ცოდნა სოციალური სამყაროს შესახებ, რადგან ჩვენთვის შესაძლებელია განვასხვავოთ ფაქტის შესახებ განცხადებები (გრძნობებით დადასტურებული) ნორმატიული განცხადებებისგან. მეცნიერება, რომელიც ფაქტების აღმოჩენას ადგენს, „ფაქტად“ აცხადებს მხოლოდ იმას, რისი დადასტურებაც შესაძლებელია დაკვირვებით. მაშასადამე, სამეცნიერო გამოკვლევა შეიძლება მკაფიოდ განვასხვავოთ ნორმატიული გამოკვლევისგან, რომელიც შეისწავლის ღირებულებებსა და ეთიკას, მაგალითად, პოლიტიკის კვლევებში.

#### **ემპირიზმი და ლოგიკა, როგორც ჭეშმარიტების საფუძველი**

კლასიკური პოზიტივიზმის პრინციპები დავის საგანი იყო როგორც პოზიტივისტებს, ასევე არაპოზიტივისტებს შორის. ალსანიშნავია პოზიტივისტების ორი ძირითადი კრიტიკული შენიშვნა, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს პოზიტივისტურ აზროვნებაზე. მათ შორის პირველი გამომდინარეობს იმ მოძ-

რაობიდან, რომელსაც „ლოგიკური პოზიტივიზმი“ ეწოდება. თუმცა შემდეგ, თავად ლოგიკური პოზიტივიზმი გახდა მეცნიერების ფილოსოფოსის, კარლ პოპერის კრიტიკის საგანი და ამ უაღრესად გავლენიანმა კრიტიკამ პოზიტივიზმის შიგნით შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება გამოიწვია.

ლოგიკური პოზიტივიზმი, როგორც ფილოსოფიის მოძრაობა, მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო. პოზიტივიზმის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ სამყაროს ცოდნა მხოლოდ ემპირიზმის მეშვეობით. მაგრამ პოზიტივისტები ამტკიცებენ, რომ ემპირიზმის გარდა, ასევე, ცოდნის წყაროდ უნდა განიხილებოდეს ლოგიკური მსჯელობა და მათემატიკა; რომ სოციალური სამყაროს ცოდნა მოდის არა მხოლოდ იმისგან, რისი დაკვირვებაც შეიძლება (ემპირიზმი), არამედ ლოგიკური მსჯელობითაც. ამ იდეიდან გამომდინარე, ლოგიკური პოზიტივიზმი ამტკიცებს, რომ სოციალური კვლევა მსჯელობის მეთოდების სახით უნდა აერთიანებდეს ინდუქციას (ემპირიზმზე დაფუძნებული) და დედუქციას (ლოგიკის სახით).



როგორც 2.1 სურათზე ჩანს, ინდუქცია იწყება კონკრეტული დაკვირვებებით ან შემთხვევებით და შემდეგ განაზოგადებს სოციალურ სამყაროზე ლეგიტიმური ცოდნის მოპოვების საშუალებებს. თუ მივიღებთ კლასიკურ პოზიტივისტურ დებულებას, რომ ემპირიზმი არის სოციალურ სამყაროზე ლეგიტიმური ცოდნის მოპოვების ერთადერთი საშუალება, მაშინ ჩვენი მსჯელობის პროცესი უნდა დაიწყოს კონკრეტული დაკვირვებებითა და ფაქტების შეგროვებით. თუმცა, თუ მივიღებთ ლოგიკური პოზიტივიზმის არგუმენტს, რომ ცოდნის მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ დაკვირვებით, არამედ ლოგიკური მსჯელობით, მაშინ, გარდა ინდუქციური მსჯელობისა, მოვინდომებდით მსჯელობის მეორე მეთოდის-დედუქციის გამოყენებას.



როგორც 2.2 სურათზე ჩანს, დედუქცია, ინდუქციისგან განსხვავებით, კონკრეტული დაკვირვებებიდან კი არ მიემართება ფართო განზოგადოებებსა და თეორიებზე, არამედ, პირიქით: იწყება ფართო განზოგადებებით ან თეორიული წინადადებებით და შემდეგ გადადის კონკრეტულ დაკვირვებებზე.

ვირველებზე. დედუქციის გამოყენებას ვინცებთ არა დაკვირვებით, არამედ უკვე დადასტურებული თეორიით, ან ლოგიკური არგუმენტით, შემდეგ კი გამოვყოფთ ამ მოსაზრებას ან მნიშვნელობას რომელიმე კონკრეტული შემთხვევის ან მოვლენის ახსნისთვის. ლოგიკური პოზიტივიზმის ის პრინციპი, რომ სოციალური კვლევა მსჯელობის მეთოდებად უნდა აერთიანებდეს ინდუქციას (ემპირიზმზე დაფუძნებული) და დედუქციას (ლოგიკის სახით), წარმოადგენს პოზიტივისტური აზროვნების არსებით განვითარებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში მკვლევარები არ იყენებენ მხოლოდ ერთ რომელიმე მეთოდს. სამეცნიერო კვლევა, როგორც წესი, მოიცავს თეორიასა და დაკვირვებას შორის უწყვეტი ურთიერთქმედების პროცესს, როდესაც მკვლევარი გადადის დაკვირვებიდან თეორიაზე (ინდუქციაზე) და თეორიიდან უკან დაკვირვებაზე (დედუქციაზე). ტერმინი „რეტროდუქცია“ აღწერს ინდუქციისა და დედუქციის ამ ურთიერთქმედებას აღმოჩენისა და ჰიპოთეზის ფორმირების განვითარებად, დინამიურ პროცესში.

ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ შეტანილი ნვლილი პოზიტივისტურ აზროვნებაში შემდეგში გამოიხატება: პირველი იყო იმ იდეის დანერგვა, რომ სოციალური კვლევა უნდა აერთიანებდეს როგორც ინდუქციას, ასევე დედუქციას. მეორე იყო „ვერიფიკაციის“ (მტკიცებულებების თუ წინადადებების) დამკვიდრება, როგორც ჭეშმარიტების მტკიცების კრიტერიუმი და, როგორც მეცნიერებასა და მეტაფიზიკას შორის, მკაფიო გამყოფი ხაზის განსაზღვრის საშუალება. ორივე მათგანი ფილოსოფოს კარლ პოპერის (1902–94) კრიტიკის საგანი გახდა. პოპერის კრიტიკამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სოციალურ მეცნიერულ აზროვნებაზე. სინამდვილეში, მისი გავლენა უფრო დიდი იყო. შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ მეცნიერებაში ლოგიკური პოზიტივიზმის დიდი ნვლილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის გახდა ამ კრიტიკის საგანი. პოპერის კრიტიკა მთლიანად უარყოფს ინდუქციას, როგორც სოციალური სამყაროს ახსნისათვის განსჯის მეთოდს. უფრო მეტიც, ის უარყოფს ვერიფიკაციის ლოგიკური პოზიტივიზმის აქცენტსაც, როგორც ჭეშმარიტების მტკიცების საფუძველს. აყალიბებს რა თავის არგუმენტს ინდუქციური მსჯელობის წინააღმდეგ, იგი, პირველ რიგში, მიმართავს იმას, რასაც დევიდ ჰიუმი „ინდუქციის პრობლემას“ უწოდებს, რაც გამოიხატება იმაში, შეუძლია თუ არა დაკვირვებას უზრუნველყოს ზოგადი თეორიული ცოდნის მიღების საფუძველი. პოპერი ამტკიცებს, რომ რაიმეზე დაკვირვების რაც არ უნდა ბევრი გამოცდილება გვექონდეს, ეს არ იძლევა მეცნიერული ცოდნის მტკიცებულების დედუქციის საშუალებას.

მსჯელობა, რომელსაც იგი ამ დასკვნამდე მიჰყავს, ემყარება დევიდ ჰიუმის არგუმენტს ინდუქციური მსჯელობის შეზღუდულობის შესახებ. ჰიუმი ამტკიცებდა, რომ რადგან ჩვენ არ შეგვიძლია სამყაროზე დაკვირვება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, მაგრამ შეგვიძლია მხოლოდ დეტალებზე დაკვირვება, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ინდუქციური მტკიცებულებების საფუძველზე შევიმუშაოთ ზოგადი კანონები. პოპერის ცნობილი მაგალითი თეთრი გედის შესახებ გვიჩვენებს, თუ რა ხდება, როდესაც დაკვირვების საფუძველზე ვახდენთ კანონების ფორმულირებას. ამ მაგალითის მიხედვით, ევროპელებს ეგონათ, რომ არსებობდნენ მხოლოდ თეთრი გედე-

ბი, რადგან სხვა ფერის გედი არ ენახათ და ამ დაკვირვების საფუძველზე დაასკვნეს, რომ გედი თეთრი ფერისაა. მაგრამ ერთხელაც ევროპელებმა ახალ ზელანდიაში იმოგზაურეს და იქ შავი გედები ნახეს. ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ დიდი ხნის და ბევრი დაკვირვების შედეგად მიღებული თეორია შეიძლება გაბათილდეს ერთი კონკრეტული დაკვირვებით. ანუ იმ თეორიის უარყოფისთვის, რომ ყველა გედი თეთრია, საკმარისია ერთი შავი გედი. აქედან გამომდინარე, პოპერი ასკვნის, რომ მეცნიერები უნდა ცდილობდნენ თეორიის დედუქციური გზით შემოწმებას და არა ინდუქციის საშუალებით კანონების აღმოჩენას.

პოპერი ასევე უარყოფს ლოგიკური პოზიტივიზმის მეორე იდეას ვერიფიკაციის, ანუ ჰიპოთეზის გადამოწმების შესახებ. თუ წესიდან ერთი გამოწვევის ანგრევის ინდუქციური გზით წარმოქმნილ თეორიას, მაშინ ჰიპოთეზის საბოლოო გადამოწმება, მისი მტკიცებით, შეუძლებელია. მისი აზრით, ჭეშმარიტების დასამტკიცებლად პირიქით უნდა მოვიქცეთ. იმის ნაცვლად, რომ მუდმივად ცდილობდნენ თეორიის გადამოწმებას ან დამტკიცებას, მეცნიერებმა უნდა სცადონ მისი უარყოფა. ვინაიდან, როგორც „ინდუქციის პრობლემა“ გვიჩვენებს, ჩვენ ვერ ვამოწმებთ ჰიპოთეზას, ჩვენი მიზანი უნდა იყოს მისი უარყოფა. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შემოვიტანოთ ახალი თეორია, რომელიც უკეთ ხსნის მოვლენას. ასე მივალწევთ პროგრესს მეცნიერებაში, ამტკიცებს პოპერი. მისთვის უარყოფა/გაყალბება არამხოლოდ პროგრესია მეცნიერებაში, არამედ წარმოადგენს ზღვარს მეცნიერებასა და ფსევდომეცნიერებას თუ მეტაფიზიკას შორის.

როგორც ვხედავთ, ინდუქციის უარყოფისას პოპერი უარყოფდა იმ აზრს, რომ დაკვირვება იძლევა მეცნიერული თეორიების ფორმულირების საფუძველს. არ შეიძლება თეორიები მივიღოთ დაკვირვებიდან (ინდუქციიდან), რადგან ნებისმიერ დროს ერთ დაკვირვებას შეუძლია გააუქმოს თეორია. პოპერი ასკვნის, რომ სოციალური კვლევა უნდა მიმდინარეობდეს დედუქციურად, პროცესის მეშვეობით, რომელშიც ჩვენ ვიყენებთ დაკვირვებებს, არა როგორც თეორიების საფუძველს, არამედ მათი „შემოწმების“ ან უარყოფის/გაბათილების მიზნით. ჩვენ უნდა გავაბათილოთ ჰიპოთეზები, უარვყოთ ის, რაც გაბათილებულია და გავაგრძელოთ მათი შემოწმება, სანამ შევძლებთ მივიჩნიოთ ისინი „დადასტურებულად“, თუმცა შესაძლებელია, რომ ოდესმე ვინმემ გააბათილოს ან მნიშვნელოვნად შეცვალოს ისინი.

მოკლედ შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ კლასიკური პოზიტივიზმი ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სოციალური ცხოვრების კანონები, რომლებიც ხსნის სოციალურ მოვლენებს დაკვირვებანი მოვლენებისა და მოვლენების სისტემატურ გამოკვლევაზე დაფუძნებული ინდუქციური მსჯელობის გამოყენებით. თუმცა, ლოგიკური პოზიტივისტები ამტკიცებენ, რომ კანონების აღმოსაჩენად შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ინდუქცია, რომელიც დაფუძნებულია ემპირიზმზე, ასევე დედუქცია ლოგიკის სახით.

შეჯამება: დედუქციურ-ნომოლოგიური მოდელი ამტკიცებს, რომ დაკვირვებადი ფენომენი ახსნილია, თუ მისი გამოყვანა შესაძლებელია კანონის მსგავსი განზოგადებიდან. ჰიპოთეტურ-დედუქციური მოდელი ადასტუ-

რებს, რომ განზოგადება კანონია, განიხილავს რა მას როგორც ჰიპოთეზას და ამონიშნავს დედუქციური შედეგების მიხედვით. რაიმე ფაქტის ახსნა არის კანონისა ან კანონების ციტირება პლუს სხვა შესაბამისი პირობები, საიდანაც შეიძლება განმარტების გამოტანა (ახსნის დედუქციურ-ნომოლოგიური მოდელი). ჰიპოთეზის დადასტურება არის ჰიპოთეზიდან ზოგიერთი დაკვირვებადი ფენომენის გამოტანა, ასევე სხვა შესაბამისი ცნობილი პირობები (დადასტურების ჰიპოთეტურ-დედუქციური მოდელი).

### **პოზიტივისტური მიდგომების გამოწვევები სოციალურ მეცნიერებაში**

სოციალური კვლევის მიმართ არსებობს მრავალი მიდგომა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ პოზიტივისტურ პოზიციას და აყალიბებენ კვლევის ფუნდამენტურად განსხვავებულ საფუძველს. აქ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ორ ალტერნატიულ პოზიციაზე, რომლებსაც წარმოადგენენ მეცნიერული რეალიზმი და ინტერპრეტივიზმი.

### **მეცნიერული რეალიზმი**

მეცნიერული რეალიზმი გარკვეულწილად პოზიტივიზმის მსგავსია, რადგანაც მისთვის მისაღებია პოზიტივიზმის ზოგიერთი ძირითად პრინციპი. ერთ-ერთია „ნატურალისტური“ ონტოლოგია, რომელიც ვარაუდობს, რომ სოციალური სამყარო არ განსხვავდება ბუნებრივი სამყაროსგან. იგი ვარაუდობს, რომ ორივე სამყარო იმართება კანონებით და რომ ორივეში არის ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს მის შესახებ ჩვენი ცოდნისგან დამოუკიდებლად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მისაღებია პოზიტივიზმის ეს პრინციპი, ის აშკარად არ იზიარებს პოზიტივიზმის მეორე პრინციპს: ემპირიზმს, რომელიც არის ცოდნის ფილოსოფიური თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ის, რაც ვიცით სამყაროს შესახებ, შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ. თუმცა, მეცნიერული რეალიზმი ვარაუდობს, რომ ის, რაც ობიექტურად „რეალურია“ - როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ სამყაროში - შედგება არა მხოლოდ იმისგან, რასაც ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ დავაკვირდეთ, არამედ არადაკვირვებადი ელემენტებისაგან: ელემენტები, რომლებიც არადაკვირვებადია, მაგრამ მოქმედებენ რეალური შედეგების მისაღებად და, შესაბამისად, უნდა განიხილებოდეს როგორც რეალური.

ონტოლოგიის გათვალისწინებით, რომელიც ვარაუდობს, რომ ის, რაც არის „რეალური“, შედგება როგორც დაკვირვებადი, ასევე არადაკვირვებადი ელემენტებისაგან, მეცნიერული რეალიზმი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ეპისტოლოგიაზე, რომელიც ამტკიცებს, რომ შეიძლება იყოს ცნობილი მხოლოდ ის, რისი პირდაპირ დაკვირვებაც შეგვიძლია. ამრიგად, მეცნიერი რეალისტები ამტკიცებენ, რომ ახსნა შეიძლება ეფუძნებოდეს არა მხოლოდ დაკვირვებად, კანონის მსგავს კანონზომიერებას, არამედ შეიძლება მოიცავდეს არადაკვირვებად მიზეზობრივ მექანიზმს, რომელიც აკავშირებს მიზეზს მის ეფექტთან.

ჩვენ განვიხილეთ პოზიტივისტური ვარაუდი, რომ განცხადებები, რომლებიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად მონაცემებზე, მეტაფიზიკურია. მეცნიერი რეალისტები უარყოფენ ამ ვარაუდს. ისინი თვლიან, რომ

არსებობს, გონებისგან დამოუკიდებელი ფაქტები, ობიექტები ან თვისებები, რომელთა უშუალო დაკვირვება შეუძლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეალურია. ისინი ამტკიცებენ, რომ არსებობს სოციალური ცხოვრების არადაკვირვებადი ელემენტები, როგორცაა სტრუქტურული ურთიერთობები სოციალურ მოვლენებს შორის, რომ ეს არადაკვირვებადი ელემენტები გადამწყვეტია იმის გაგებისა და ახსნისთვის, თუ რა ხდება სამყაროში, და რომ ეს არის ზუსტად ის, რითაც სოციალური სამყარო ჰგავს ბუნებრივ სამყაროს. მაშასადამე, სოციალური სამყაროს ეს ონტოლოგიური კონცეფცია არ არის მეტაფიზიკური, არამედ უფრო მეტად შეესაბამება საბუნებისმეტყველო დებულებებს, ვიდრე პოზიტივისტური კონცეფცია. სინამდვილეში, მეცნიერი რეალისტების მტკიცებით, მეცნიერების ეს არა პოზიტივისტური ვერსია უფრო მეცნიერულია, ვიდრე პოზიტივიზმი.

შესაბამისად, რეალისტებისთვის მეცნიერული კვლევის მიზანია აღწეროს და ახსნას სამყაროს როგორც დაკვირვებადი, ასევე არადაკვირვებადი ასპექტები. მაგრამ როგორ დავადგინოთ რეალობა, რაზეც პირდაპირ დაკვირვება შეუძლებელია? როგორ გავიგოთ, რომ ეს არადაკვირვებადი ელემენტები არსებობს? მეცნიერული რეალიზმის მიხედვით ვიცით, რომ არსებობს სოციალური ცხოვრების არადაკვირვებადი ელემენტები, რადგან ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მათ შედეგებს. მაგალითად, ჩვენ განვიხილავთ გრავიტაციას და სუბატომურ ნაწილაკებს, როგორც რეალურს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ მათ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მათი ეფექტი. ანალოგიურად, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არის მრავალი ელემენტი, რომლებიც არ არის უშუალოდ დაკვირვებადი - სოციალური სტრუქტურები, კაპიტალიზმი, საზოგადოება - მაგრამ მათ, მიუხედავად ამისა, აქვთ შესამჩნევი ეფექტი.

ამრიგად, რეალისტებისთვის მეცნიერული ცოდნა არ იღებს მხოლოდ ემპირიული კანონზომიერებების ფორმას. თუ მეცნიერი რეალისტები უარყოფენ ონტოლოგიას, მაშინ მათ ასევე უნდა უარყონ ეპისტემოლოგია, რომელიც ვარაუდობს, რომ სოციალური სამყაროს ცოდნის მიღება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი დაკვირვებით. მათ ასევე არ შეუძლიათ მიიღონ ემპირისტული (ჰიუმის) მიზეზობრიობის კონცეფცია, რომელსაც პოზიტივისტები იყენებენ.

პოზიტივისტები განიხილავენ მიზეზობრიობას, როგორც დაკვირვებად ცვლადებს შორის ემპირიული კანონზომიერებებით მიღებულს და ცდილობენ მიზეზობრივი ურთიერთობები ამ კანონზომიერებების დაკვირვებით დაადგინონ და არა მიზეზობრივი მექანიზმების აღმოჩენით. ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია მოვიპოვოთ ცოდნა მიზეზობრივი მექანიზმების შესახებ პირდაპირი დაკვირვების გზით, იმას, რომ მიზეზობრივი მექანიზმები შედეგს იძლევა სოციალურ ცხოვრებაში, ისინი მეტაფიზიკურად თვლიან. მაგრამ მეცნიერი რეალისტები ვარაუდობენ, რომ სოციალურ ცხოვრებაში არსებობენ როგორც დაკვირვებადი, ისე არადაკვირვებადი ელემენტები. შესაბამისად, მიზეზობრიობის მათი კონცეფცია მოიცავს როგორც კანონზომიერებებს დაკვირვებად ელემენტებს შორის, ასევე არადაკვირვებად მიზეზობრივ მექანიზმებს, რომლებიც ამ კანონზომიერებებს წარმოქმნიან.

მიზეზობრივი მექანიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „გზა ან პროცესი, რომლითაც წარმოიქმნება ეფექტი ან მიიღწევა მიზანი“ (Gerring 2007: 178). ჩარლზ ტილი გამოყოფს სოციალურ სამყაროში მოქმედ მიზეზ-შედეგობრივ მექანიზმებს: გარემოს, კოგნიტურსა და ურთიერთობითს. გარემოს მექანიზმები არის „სოციალურ ცხოვრებაზე მოქმედ პირობებზე გარედან წარმოქმნილი გავლენა“; კოგნიტური მექანიზმები „მოქმედებენ ინდივიდუალური და კოლექტიური აქტის ცვლილებების გზით“; ურთიერთობითი მექანიზმები „ცვლის კავშირებს ადამიანებს, ჯგუფებს და ინტერპერსონალური ქსელებს შორის“. გარემოს მექანიზმის მაგალითი გამოყენებულია ნავთობის ექსპორტსა და ავტორიტარულ მმართველობას შორის აშკარა კავშირის ასახსნელად, როგორცაა: ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებში მთავრობის მიერ ნავთობის შემოსავლებზე დამოკიდებულების გამო წარმოქმნილი „რენტის ეფექტი“. მაიკლ როსი „რენტის ეფექტს“ შემდეგნაირად აღწერს: „როდესაც მთავრობები საკმარის შემოსავალს იღებენ ნავთობის გაყიდვიდან, ისინი სავარაუდოდ თავიანთ მოსახლეობას ნაკლებ გადასახადებს დააკისრებენ ან საერთოდ არ დააკისრებენ, ხოლო საზოგადოება, თავის მხრივ, ნაკლებად მოითხოვს მათგან ანგარიშვალდებულებას და მათ მთავრობაში წარმომადგენლობას“. კოგნიტური მექანიზმები, როგორცაა რასობრივი, ეთნიკური, გენდერული, რელიგიური ან კლასობრივი განსხვავებების კონცეფციების შეცვლა, განსაზღვრულია ეთნიკური კონფლიქტის ასახსნელად (მაგ. Hoffmann 2006). ხოლო ურთიერთობის მექანიზმები, როგორცაა ადრე ავტონომიური სამხედრო ძალების ბიუროკრატიული შეკავება, ითვლებოდა, რომ გავლენას ახდენდა „სამოქალაქო ომის ალბათობაზე“.

### **1. როგორია მაკრო-სოციალური სტრუქტურული მექანიზმების მდგომარეობის სტატუსი, რომლებიც გამოიყენება სოციალური შედეგების ასახსნელად?**

ამ კითხვიდან პირველი ონტოლოგიურია: რა არის ძირითადი ერთეულები, რომლებიც ქმნიან სოციალურ სამყაროს. ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე განსაზღვრავს ჩვენს არჩევანს იმის შესახებ, თუ რას მივიჩნევთ სოციალურ კვლევაში ანალიზის ძირითად ერთეულად. პოზიტივისტური და ბიხევიორული კვლევა სოციალური ანალიზის ძირითად ერთეულად ინდივიდებს განიხილავს და, შესაბამისად, შედეგების ასახსნელად უპირტესობას ანიჭებს ინდივიდუალური დონის მექანიზმებს. სხვა კვლევებში, ანალიზის ერთეული უფრო დიდი მაკროსოციალური ერთეული ან კოლექტიური მთლიანობაა. მაგრამ არადაკვირვებადი მიზეზობრივი მექანიზმების შესახებ დებატები ძირითადად ფოკუსირებულია მაკროსოციალური და კოლექტიური ერთეულების ბუნებაზე და მათ როლზე სოციალური შედეგების ახსნაში და ონტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე ორი ფართო პოზიციის ირგვლივ ტრიალებს. ეს პოზიციები შემდეგია:

**ცხრილი 2.6 ინდივიდუალიზმი და ჰოლიზმი**

	ინდივიდუალიზმი	ჰოლიზმი
ონტოლოგია	საზოგადოების ძირითადი ერთეულები არიან ინდივიდები, ხოლო სოციალური ფენომენები ინდივიდუალური მოქმედებების ერთობლივი შედეგია	რალაცის მთლიანობა განსხვავებულია და არ არის პირდაპირ ახსნილი მისი ნაწილების თვალსაზრისით. სოციალურ ფაქტებს აქვთ სოციალური მიზეზები, რომლებიც შეუქცევადია ფაქტებისადმი ინდივიდების მხრიდან.
მეთოდოლოგია	სოციალური ფენომენების - კლასების, ძალაუფლების, ერების ან სხვა სოციალური ფენომენების ახსნა უნდა დავიდეს ინდივიდების მახასიათებლებზე.	სისტემის, როგორც მთლიანობის თვისებების დადგენა შეუძლებელია მხოლოდ მისი კომპონენტების თვისებებით. სისტემა მთლიანად განსაზღვრავს, თუ როგორ იქცევიან ნაწილები. თითოეულ სოციალურ ერთეულს (ჯგუფი, ინსტიტუტი, საზოგადოება) აქვს მთლიანობა, რომელიც განსხვავებულია.

**2. როგორ ახსნათ მაკროსოციალური მოვლენები?**

პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების ასახსნელად პოლიტიკური მკვლევარები მუდმივად მიმართავენ არადაკვირვებად მაკროსოციალურ ერთეულებს ან სოციალურ კოლექტივებს, როგორცაა „საზოგადოება“ და „ძალაუფლების სტრუქტურები“ ან ერები. მაგრამ რა სახის საკითხებს ვიკვლევთ, როდესაც ვიკვლევთ, მაგალითად, კაპიტალისტურ სისტემას ან გლობალიზაციას, ან ერებს, პოლიტიკურ პარტიებს ან კლასებს? დაიყვანება თუ არა სოციალური „მთლიანები“ ან კოლექტივები, როგორცაა „საზოგადოება“ ან „მუშათა კლასი“ ინდივიდებზე, რომლებიც მათ ქმნიან (ინდივიდუალიზმი)? ან ისინი უფრო მეტია ვიდრე მათი შემადგენელ ინდივიდის ჯამი და თავად ფაქტორები (ჰოლიზმი)? უნდა მიანიჭოს თუ არა სოციალურმა განმარტებამ პირველობა ინდივიდებს (მეთოდური ინდივიდუალიზმი) თუ სოციალურ სტრუქტურებს, ინსტიტუტებს და კოლექტივებს (მეთოდური ჰოლიზმი)?

ჰოლისტური პოზიციიდან სოციალური ცხოვრება არ არის უბრალოდ ინდივიდუალური მოქმედების ჯამი. ადამიანთა ურთიერთქმედების დიდი ნაწილი შედგება ქმედებებისგან და წარმოშობს შედეგებს, რომელთა გაგება და ახსნა შეუძლებელია, რადგან ინდივიდების ურთიერთქმედება წარმოშობს „ახალ“ თვისებებს, რომლებიც არ გააჩნიათ ცალკე აღებულ ინდივიდებს. ანალოგიურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება მისი გარკვეული ასპექტებით არ დაიყვანება მის შემადგენელ ინდივიდებზე, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ეს ასპექტები შეიძლება ფესვგადგმული იყოს ინდივიდუალურ პრაქტიკაში. ინდივიდებს შორის ინტერაქტიულმა ურთიერთობებმა შეიძლება წარმოქმნას თვისებები, რომლებიც გამოყოფილია და განსხვავდება თავად ინდივიდებისგან. შესაბამისად, მეთოდოლოგიის ინდივიდუალისტურმა ფორმამ შესაძლოა დაჩრდილოს ის, რისი სწავლაც მკვლევარს შეიძლება სურდეს. თუმცა, მიდგომები, რომლებიც სოციალურ სტრუქტურებს სოციალური მოვლენების ახსნა-განმარტების წინა პლანზე

ათავსებს, ზოგჯერ გულისხმობს მიზეზობრივ დეტერმინიზმს, რომელშიც იკარგება ადამიანის საქმიანობის როლი. ამ მიდგომებში სტრუქტურები, თითქოს ინდივიდუალური სოციალური მოქმედებისგან ცალკე არსებობენ, მაგრამ მაინც განსაზღვრავენ მათ. ეს იწვევს ისეთ ტენდენციას, რომელიც ამ მაკროსოციალურ სტრუქტურულ ერთეულებს განიხილავს, თითქოს ისინი მატერიალურად არსებობენ; მათი შემადგენელი ელემენტებისაგან დამოუკიდებელი, ინერტული, უცვლელი და ადამიანის ქმედების გარეშე. ამას უწოდებენ „რეიფიკაციას“ ანუ განივთებას.

თუმცა, გაჩნდა მესამე თვალსაზრისი, რომელიც წარმოადგენს შუალედურ პოზიციას ინდივიდუალისტურ და ჰოლისტურ პოზიციებს შორის. ის ამტკიცებს, რომ „მაკრო“ სოციალური მოვლენების ახსნა უნდა მოხდეს „მიკრო საფუძვლებით“ - განზრახული მდგომარეობების გათვალისწინებით, რომელიც ახდენს ინდივიდუალური ქმედების მოტივაციას. ეს გულისხმობს ინდივიდუალისტური და ჰოლისტური ონტოლოგიებისა და მეთოდოლოგიების გაერთიანებას არგუმენტების შემუშავების გზით, რომლებიც ახდენენ მაკრო-მიკრო კავშირების იდენტიფიცირებას. ეს კავშირები გვეხმარება არა მხოლოდ მაკროსოციალური მოვლენების ახსნაში, არამედ იმის ახსნაშიც, თუ როგორ მოაქვს მაკროსოციალურ მოვლენებს სოციალური შედეგები.

## **2. როგორ მოაქვს მაკროსოციალურ მიქანიზმებს სოციალური შედეგები? მაკროსოციალური ფენომენის ახსნა მიკროსაფუძვლებით**

როგორ ავხსნათ მაკროსოციალური მოვლენები (მაგალითად, კაპიტალიზმი ან დემოკრატია) მიკროსაფუძვლებით - მათ შექმნაში ცალკეული ფაქტორების როლის აღწერით? ამ კითხვაზე პასუხი ეკუთვნის ჯეიმს კოულმენს. მან წარმოადგინა დიაგრამა, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „კოულმენის აბაზანას“ ან „ნავს“ (ტრაპეციული ფორმის გამო) და რომელიც ასახავს მაკრო-მიკრო კავშირების სერიას, რომლებიც ერთად ხსნიან ადამიანის ქმედების როლს მაკროსოციალური მოვლენების შექმნაში და თუ როგორ ქმნიან მაკროსოციალური მექანიზმები სოციალურ შედეგებს. დიაგრამაზე ასახულია შემდეგი: (1) მაკრო ფენომენებიდან (მაგ. ინსტიტუტები) გამომდინარე მიზეზობრივი ურთიერთობები აყალიბებენ ინდივიდუალური ქმედებების პირობებს; (2) შემდეგ ეს პირობები იწვევენ ინდივიდუალურ ქმედებებს და (3) ინდივიდუალურ ქმედებებს, თავის მხრივ, მთლიანობაში მივყავართ მაკრო შედეგებზე.

იმის საილუსტრაციოდ, რასაც თავად „სრულყოფილ ახსნას“ უწოდებს, კოულმენი იყენებს მაქს ვებერის წიგნში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (1905) მოცემულ ცნობილ განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყო ხელი მაკროსოციალურმა ფენომენმა, პროტესტანტიზმმა, კიდევ ერთი მაკრო დონის ფენომენის - კაპიტალისტური ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნას. კოულმენის აზრით, ვებერის ახსნას კაპიტალიზმის წარმოშობაზე აკლდა „მიკროსაფუძვლები“, რომ მაკრო ფენომენები (მაგ. კაპიტალიზმი) უნდა აიხსნას არა სხვა მაკრო დონის ფენომენით (პროტესტანტიზმი), არამედ მიკრო და მაკრო დონეების ურთიერთქმედებით.




**სურათი 2.3 მეთოდოლოგიური ჰოლიზმი**

სურათი 2.3 წარმოადგენს ვებერის არგუმენტის სქემას და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის ილუსტრაციას.



**სურათი 2.4 მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი**

სურათი 2.4 ასახავს მიკროდონის ცვლილებებს, რომლებიც, ვებერის მაკროდონის ცვლადებთან კომბინაციაში, შეიძლება გვაძლევდეს კაპიტალიზმის წარმოშობის სრულ ახსნას (ასევე, ასახავს მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს).



**სურათი 2.5 კოულმენის „აბაზანა“ -მაკრო-მიკრო კავშირების ილუსტრაცია**

კოულმენი გვთავაზობს, თუ როგორ შეიძლება სრულად ავხსნათ კაპიტალიზმის წარმოშობა მაკრო და მიკრო დონის ცვლადების კომბინაციით და ვებერის არგუმენტის „მიკროსაფუძვლებით“ შევსების გზით. მოცემული სქემა გვიჩვენებს 2.3 და 2.4 სურათებზე გამოსახულ მაკრო და მიკროდონეების ცვლადებს შორის კავშირს და თუ როგორ ერთიანდებიან ისინი იმისათვის, რომ ახსნან კაპიტალიზმის წარმოშობა. მთლიანობაში, სრული ახსნა მოითხოვს მაკრო-მიკრო და მიკრო-მაკრო გადასვლების ახსნას: მაკროფაქტორი X თუ როგორ ქმნის შეზღუდვებს (ისარი 1); თუ როგორ ირჩევენ ქმედებებს შეზღუდვების პირობებში (ისარი 2); და როგორ გროვდება ეს ქმედებები მაკროდონეზე (ისარი 3).

კოულმენის სქემის გამოყენებით, პიტერ ჰედსტრომი და რიჩარდ სვედბერგი ახდენენ პროცესის დაჯამებას, რომლის მეშვეობითაც სოციალურ მექანიზმებს მოაქვთ შედეგები მაკრო-მიკრო და მიკრო-მაკრო ურთიერთქმედების გზით. პროცესი იწყება მაკრო ფენომენის იდენტიფიცირებით, რომელსაც მოაქვს მიკრო შედეგები, რასაც მოჰყვება მიზეზობრივი პროცესი მიკრო დონეზე, რომელსაც მიყვავართ ახალ მიკრო დონეზე, რასაც შემდეგ მოსდევს მაკროსოციალური ცვლილება, რომელიც ასახავს მიკროსოციალურ სიტუაციას.

ჩვენ განვიხილავდით აგენტებს და სტრუქტურებს შორის ურთიერთობის საკითხს, რომლებიც აყალიბებენ, მნიშვნელობას აძლევენ ან შესაძლებელს ხდიან მათ ქმედებებს. აღსანიშნავია, რომ ეს კითხვა არის ბირთვი იმისა, რასაც საერთაშორისო ურთიერთობებში „სტრუქტურა-აგენტის პრობლემა“ ეწოდება. თუმცა, „პრობლემა“ ყველა სოციალურ კვლევაში ჩნდება.

სტრუქტურა-აგენტის განხილვა	
ონტოლოგიური კითხვა	რომელს აქვს წინარე ან პირველადი ონტოლოგიური სტატუსი (რომელიც პირველი იყო): აგენტები თუ სტრუქტურები? არსებობს თუ არა სოციალური სტრუქტურები ინდივიდებისგან დამოუკიდებლად?
მეთოდოლოგიური კითხვა	რა არის სოციალური მეცნიერული ახსნის სათანადო ფოკუსი? უნდა იყოს თუ არა გამოხატული სოციალური ფენომენების ახსნა ინდივიდების და მათ შორის ურთიერთობის თვალსაზრისით; ან შეუძლიათ მათ ასევე გამოიწვიონ სოციალური ფენომენები (სოციალური სტრუქტურები, ინსტიტუტები ან კულტურები).

აქ შეგვიძლია დავასრულოთ მეცნიერული რეალიზმის განხილვა. როგორც სოციალური კვლევისადმი მიდგომა, ის პოზიტივიზმის ალტერნატივას იძლევა; მაგრამ განსხვავდება პოზიტივიზმისგან იმიტომ, რომ სამყაროს შესახებ ცოდნის მისაღებად მხოლოდ პირდაპირ დაკვირვებას იყენებს, რაც ვარაუდობს, რომ რეალობა შედგება როგორც დაკვირვებადი, ისე არადაკვირვებადი ელემენტებისაგან. ჩვენ ასევე ვაჩვენეთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით მეცნიერული რეალიზმი და პოზიტივიზმი უფრო მსგავსია, ვიდრე განსხვავებული. რაც მთავარია, ორივე თვლის, რომ სამყარო არსებობს მის შესახებ ჩვენი ცოდნისგან დამოუკიდებლად.

შეკითხვა: შეუძლია თუ არა მეცნიერთა მიერ შემუშავებულმა მეთოდებმა ბუნებრივი სამყაროს შესახებ მოგვცეს ცოდნის მოპოვების საშუალება შევიძინოთ სოციალური სამყაროზე სანდო და ობიექტური ცოდნა?		
პასუხები	ფილოსოფიური პოზიცია	ამ პოზიციის დაზუსტება
დიახ	პოზიტივიზმი: არ არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები ბუნებრივ და სოციალურ სამყაროებს შორის და, შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს განსხვავება საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის (ნატურალიზმი). ის, რაც ჩვენ ვიცით სამყაროს შესახებ, შემოიფარგლება იმიტომ, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ (ემპირიზმი) და კანონებით, რომლებიც მართავენ სოციალურ სამყაროს ისევე, როგორც მართავენ ბუნებრივ სამყაროს; ამიტომ სოციალური ფენომენები შეიძლება აიხსნას კანონების აღმოჩენით.	ლოგიკური პოზიტივიზმი: ამატებს ვარაუდს, რომ ჩვენ ვიღებთ ცოდნას სოციალური სამყაროს შესახებ არა მხოლოდ იმის საშუალებით, რისი დაკვირვებაც შესაძლებელია (ემპირიზმი), არამედ ასევე ლოგიკური მსჯელობითაც.

	<p>მეცნიერული რეალიზმი: რეალობა შედგება არა მხოლოდ სიცოცხლის დაკვირვებადი ელემენტებისაგან, ის ასევე შედგება არადაკვირვებადი ელემენტებისაგან და ჩვენ ვიცით, რომ ეს არადაკვირვებადი ელემენტები „რეალურია“, რადგან ისინი წარმოქმნიან დაკვირვებად შედეგებს. არსებობს შეცნობადი, გონებისგან დამოუკიდებელი ფაქტები, საგნები ან თვისებები, რომელთა უშუალო დაკვირვება შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალურია. სოციალური ცხოვრების არადაკვირვებადი ელემენტები, როგორცაა სტრუქტურული ურთიერთობები სოციალურ მოვლენებს შორის, გადამწყვეტია იმის გაგებისა და ახსნისთვის, თუ რა ხდება სამყაროში. ეს არის ზუსტად ის, რითაც სოციალური სამყარო ჰგავს ბუნებრივ სამყაროს.</p>	<p>კრიტიკული რეალიზმი: უარყოფს როგორც პოზიტივიზმის, ისე მეცნიერული რეალიზმის ვარაუდს, რომ არსებობს „გონებისგან დამოუკიდებელი“ რეალობა, რომელიც განცალკევებულია მასზე ჩვენი აღქმისგან ან დაკვირვებისგან. აღქმა ადამიანის გონების ფუნქციაა, ასე რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შევიძინოთ ცოდნა გარე სამყაროს შესახებ კრიტიკული რეფლექსიის მეშვეობით, თუ როგორ ვაცნობიერებთ, ვიგებთ ან ვაკეთებთ ინტერპრეტაციას.</p>
არა	<p>ინტერპრეტივიზმი: სოციალური სამყარო ფუნდამენტურად განსხვავდება ბუნებრივი ფენომენების სამყაროსგან, რადგან სოციალური ფენომენები სუბიექტურად იქმნება: ეს არის ის, რასაც ჩვენ განვიცდით და, ამრიგად, სოციალურად ან დისკურსულად არის აგებული. შესაბამისად, სოციალური მეცნიერების უპირველესი მიზანი უნდა იყოს მიაღწიოს ადამიანის ქცევის გაგებას იმ მნიშვნელობების, რწმენისა და იდეების ინტერპრეტაციით, რომლებიც ადამიანებს მოქმედების მიზეზს აძლევს.</p>	

### ინტერპრეტივიზმი

ინტერპრეტივიზმი ამტკიცებს, რომ სოციალური სამყარო ფუნდამენტურად განსხვავდება ბუნებრივი სამყაროსგან და, შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღებთ მის შესახებ ცოდნას ბუნებრივი სამყაროს ასახსნელად გამოყენებული მეთოდების გამოყენებით. სოციალურ მოვლენები სუბიექტურია: ეს არის ის, რასაც ჩვენ განვიცდით, ამრიგად, აგებულია სოციალურად ან დისკურსულად. შესაბამისად, სოციალური მოვლენების კანონებით ახსნის და წინასწარ განჭვრეტის ნაცვლად, სოციალური მეცნიერების უპირველესი მიზანი უნდა იყოს ადამიანის ქცევის გაგება, იმ მნიშვნელობების, რწმენისა და იდეების ინტერპრეტაციით, რომლებიც ადამიანებს მოქმედების საფუძველს აძლევს. ამისათვის საჭიროა ჰერმენევტიკული მიდგომის გამოყენება.

სოციალურ მეცნიერებაში ჰერმენევტიკული მიდგომის მიხედვით ადამიანის ქცევა არის იმ მნიშვნელობებისა და განზრახვების პროდუქტი, რომელსაც აქტორები იყენებენ. შესაბამისად, ამ მიდგომის მიზანია სოციალური ფენომენის ინტერპრეტაცია იმ მნიშვნელობების გაგების გზით, რასაც აქტორები თავიანთ ქმედებას ანიჭებენ. ინტერპრეტივისტები ამტკიცებენ,

რომ ადამიანის ქცევის შესასწავლად საჭიროა არა მხოლოდ ჰერმენევტიკული მიდგომის გამოყენება, არამედ ემპირისტული მეცნიერული მეთოდების უარყოფაც. ემპირისტული მეთოდები სოციალურ რეალობას განიხილავს, როგორც მხოლოდ იმას, რასაც ტვილორი „უხეშ მონაცემებს“ უწოდებს. „უხეში მონაცემებით“ ტვილორი აღნიშნავს ისეთ მონაცემებს, რომელთა ვალიდობა არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს სხვაგვარი ინტერპრეტაციით ან ნაკითხვით, მონაცემებს, რომელთა სანდოობის დასაბუთება ან შემდგომი განხილვით შერყევა შეუძლებელია. ეს მონაცემები ასახავს პოლიტიკურ ქცევას, რომელიც მოიცავს ქმედებებს, რომლებსაც აქვთ იდენტიფიცირებადი ფიზიკური საბოლოო მდგომარეობა. მაგალითად, როდესაც შესაბამის დროს აქტორები ხელის აწევით ხმას აძლევენ, ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც „უხეში მონაცემები“ და ვთქვათ, რომ აქტორები ხმას აძლევენ წინადადებას. თუმცა, ქმედებას შეიძლება ისეთი მნიშვნელობა ქონდეს აქტორებისთვის, რომელიც არ არის ამ აღწერილობაში დაფიქსირებული. მაგრამ „ბიჰევიორული“ (ან პოზიტიური, ემპირისტული) პოლიტიკური მეცნიერება ეხება მხოლოდ უხეში მონაცემებს და მათ ლოგიკურ შედეგებს და არა თავად აქტორებისთვის პოლიტიკური ქცევის მნიშვნელობას.

განვიხილოთ ამ მოსაზრების გავლენა იმისთვის, თუ როგორ ვატარებთ პოლიტიკურ კვლევას. ბიჰევიორისტული კვლევა არის პოზიტივისტური და ემპირისტული. მისთვის მთავარია თუ რას აკეთებენ პოლიტიკური აქტორები და რატომ აკეთებენ ამას და ცდილობს აღმოაჩინოს ქცევითი შედეგების მიზეზები აქტორების პოლიტიკური მოტივების გაგებით. ის იყენებს საზოგადოებრივი აზრისა და სოციალურ გამოკითხვებს, რათა გაეცნოს ქცევის მოტივაციას რწმენის, დამოკიდებულებისა და ღირებულებების შესახებ, ან რაციონალური არჩევანის თეორიას, რათა ახსნას, თუ როგორ ახდენს ინდივიდუალური პირადი ინტერესების მქონე რაციონალური ქმედება ქცევის მოტივირებას. თუმცა, როგორც ინტერპრეტივისტები ამტკიცებენ, თუ ადამიანები მოქმედებენ იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომლებსაც ისინი საკუთარ და სხვის ქმედებებს ანიჭებენ, მაშინ ადამიანის ქცევის გაგება მოითხოვს ამ მნიშვნელობების გააზრებას. შესაბამისად, სოციალური მეცნიერება უნდა იყოს დაკავებული არა სოციალური შედეგების მიზეზების აღმოჩენით, არამედ სოციალური შედეგის ან ნარმოების მნიშვნელობების ინტერპრეტაციით.

სოციალურ მეცნიერებებში ბევრი ინტერპრეტივისტული მიდგომა არსებობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰერმენევტიკა, კულტურული ანთროპოლოგია, სოციალური თეორია, კრიტიკული თეორია და პოსტ სტრუქტურალიზმი.

„ჰერმენევტიკა“ თავდაპირველად მოიხსენიებოდა როგორც მეთოდი, რომელიც გამოიყენებოდა თეოლოგიური და სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაციისთვის (გერმანული სიტყვა „ჰერმენევტიკა“ ინგლისურად „ინტერპრეტაციას“ ნიშნავს). დღეს „ჰერმენევტიკა“ გულისხმობს თეორიებსა და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ყველა სახის ტექსტის ინტერპრეტაციისთვის. ინტერპრეტივისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანები და მათი ქმედებები შეიძლება განიხილებოდეს როგორც ტექსტი და ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის საგანი, რადგან, თუ ქცევა არის სოციალური აქტორების მიერ გამოყენებული მნიშვნელობებისა და განზრახვების პროდუქტი, მაშინ სოციოლოგი, რომელიც ქცევის გაგებას ცდილობს, ჩართულია ინ-

ტერპრეტაციის პროცესში, რომელიც თითქმის არ განსხვავდება იმისაგან, რითაც ტექსტის მთარგმნელია დაკავებული.

ფილოსოფოს ჩარლზ ტელიორის განმარტებით, კვლევის ნებისმიერი დარგი შეიძლება იყოს ჰერმენევტიკის ობიექტი, თუ ის აკმაყოფილებს ორ მოთხოვნას: ის (1) უნდა შეიცავდეს ობიექტს ან ობიექტების ველს, რომელიც არის ტექსტი ან „ტექსტის ანალოგი“ და (2) იყოს გარკვეულწილად გაუგებარი (ანუ „დაბნეული, არასრული, დაბინდული“ ან „ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი“). აკმაყოფილებს თუ არა პოლიტიკის შესწავლა ამ კრიტერიუმებს? დიახ. შეგვიძლია გავიგოთ ის ქცევა, რომელიც გვანუხებს, როგორცაა მთავრობის ან პოლიტიკოსების ქმედებები, როგორც „ტექსტი“, და რადგან ამ ქცევის მოტივები და მიზნები ხშირად გაურკვეველია ან ეწინააღმდეგება ჩართული პოლიტიკური აქტორების განცხადებებს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ინტერპრეტაციული მეთოდები ამ ქცევის გასაგებად.

როგორც ტელიორი აღნიშნავს, უხეში მონაცემები ასახავს უფრო მეტს, ვიდრე ქცევას, რომელსაც იდენტიფიცირებადი საბოლოო მდგომარეობა გააჩნია: ის, ასევე, ასახავს ინდივიდების რწმენის, დამოკიდებულებისა და ღირებულებების სუბიექტურ რეალობას, როგორც ეს დასტურდება სიტყვების გარკვეულ ფორმებზე მათი პასუხებით ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი აშკარა არა ვერბალური ქცევით. სუბიექტური მონაცემების გარდა, არსებობს სოციალური რეალობის შემადგენელი არა სუბიექტური მნიშვნელობები, რომელთა ასახვა მათ არ შეუძლიათ, როგორცაა, მაგალითად, ინტერსუბიექტური და საერთო მნიშვნელობები. ტელიორი ამტკიცებს, რომ ჩვენ უნდა შევისწავლოთ ეს არა სუბიექტური მნიშვნელობები, რათა გავიგოთ ისეთი პოლიტიკური საკითხები, როგორცაა სოციალური ერთიანობა, სტაბილურობა, განუკითხაობა და ლეგიტიმაცია. უფრო მეტიც, ისინი გადამწყვეტია შედარებითი პოლიტიკის მეცნიერებისთვის.

პოზიტივისტურსა და ინტერპრეტაციულ მიდგომებს შორის განსხვავებები შეიძლება ილუსტრირებული იყოს ჩვენს დარგში კვლევის ძირითად სფეროში – პოლიტიკურ მონაწილეობაში. პოზიტივისტური კვლევები, როგორც წესი, აიგივებს პოლიტიკურ მონაწილეობას ხმის მიცემასთან. თუმცა, ინტერპრეტისტიები ამტკიცებენ, რომ კონკრეტულ ამომრჩეველს შეიძლება „საერთოდ არ ესმოდეს ხმის მიცემა, როგორც მონაწილეობა“. არც პრაქტიკულად და არც ლოგიკურად შეუძლებელია აქტორმა თქვას: „არა, მე არ ვმონაწილეობ პოლიტიკაში, მხოლოდ ვაძლევ ხმას“. მაგრამ პოზიტივისტები მონაწილეობის აქტს განიხილავენ როგორც „უხეშ ფაქტებს“, როგორც „ობიექტური“ ონტოლოგიური სტატუსის მქონეს, როგორც ამ გარკვეული გაგებით „სამყაროში“ დამკვირვებლის ან მონაწილის თეორიული პოზიციისგან ცალკე არსებული.

საერთო ჯამში, ინტერპრეტაციულ მიდგომაში ამტკიცებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ, ავხსნათ ან განვსაზღვროთ ადამიანის ქცევის მოდელები, თუ არ გვესმის მნიშვნელობები და განზრახვები, რომლებსაც კონკრეტული აგენტები ანიჭებენ თავიანთ გარემოს (სოციალურსა და ბუნებრივს). ესაა: ღირებულებები და მიზნები, რომლებსაც ისინი ფლობენ; არჩევანი, რომელსაც ისინი აღიქვამენ და ის, თუ როგორ განმარტავენ ისინი სხვა ინდივიდების სოციალურ ქმედებებს. ადამიანის ქცევის გაგებისთვის საჭიროა მათ მიერ გამოყენებული მნიშვნელობების გაგება.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერპრეტივისტები და პოზიტივისტები სულაც არ განსხვავდებიან თავიანთი მიდგომებით შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, ისინი განსხვავდებიან თავიანთი კონცეფციით იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ახსნა და მტკიცებულება მათი გაგებით.

**დასკვნები**

მოცემულ თავში განხილულია სოციალური კვლევის შედეგად წამოჭრილი ზოგიერთი ფუნდამენტური ონტოლოგიური, ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემა. ეს პრობლემები ძირითადად ერთი ცენტრალური კითხვიდან გამომდინარეობს: სოციალური მეცნიერებების მეთოდები არსებითად იგივეა თუ განსხვავებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან? განხილულია სამი განსხვავებული და მნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე: პოზიტივიზმის, მეცნიერული რეალიზმისა და ინტერპრეტივიზმის მიდგომებიდან (იხილეთ ცხრილი 2.9).

**ცხრილი 2.9. პოზიტივიზმის, მეცნიერული რეალიზმისა და ინტერპრეტივიზმის შედარება**

	პოზიტივიზმი	მეცნიერული რეალიზმი	ინტერპრეტივიზმი
ონტოლოგია: რა არის სოციალური სამყაროს ბუნება?	არ განსხვავდება ბუნებრივი სამყაროსგან: ობიექტური რეალობა არსებობს მისი შესახებ ჩვენი ცოდნისგან დამოუკიდებლად („ნატურალისტური“ ონტოლოგია)	არ განსხვავდება ბუნებრივი სამყაროსგან: ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს მასზე ჩვენი ცოდნისგან დამოუკიდებლად („ნატურალისტური“ ონტოლოგია)	ფუნდამენტურად განსხვავდება ბუნებრივი სამყაროსგან. რეალობა არ არის გონებისგან დამოუკიდებელი: იგი სუბიექტურად იქმნება.
ეპისტემოლოგია: როგორი ცოდნაა შესაძლებელი სოციალური სამყაროს შესახებ?	სოციალური სამყაროს მეცნიერული ცოდნა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რისი დაკვირვებაც შესაძლებელია. ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ და ვინინასწარმეტყველოთ სოციალური მოვლენები ემპირიული კანონზომიერებების აღმოჩენით, კანონის მსგავსი განზოგადებების ფორმულირებით და მიზეზობრივი ურთიერთობების დამყარებით.	მეცნიერული ცოდნა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რაც შეიძლება შეინიშნოს, არამედ მოიცავს თეორიულ ერთეულებს (სოციალური ცხოვრების დაუკვირვებადი ელემენტები). ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ და ვინინასწარმეტყველოთ სოციალური მოვლენები ამ ერთეულების შესახებ თეორიების საფუძველზე და დავამტკიცოთ ამ თეორიების ჭეშმარიტება მეთოდის სხვადასხვა წესების გამოყენებით.	მეცნიერული ცოდნის მიღება შესაძლებელია იმ მნიშვნელობების ინტერპრეტაციით, რომლებიც ადამიანებს მოქმედების მიზეზებს აძლევს. ჩვენ შეგვიძლია, ამ გზით გავიგოთ ადამიანის ქცევა; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამის ახსნა ან პროგნოზირება კანონის მსგავსი განზოგადებებისა და მიზეზობრივი ურთიერთობების არსებობის დადგენის საფუძველზე.

მიზეზობრიობა: რას ვგულისხმობთ „მიზეზებში“?	ასახვა იმისა, თუ როგორ ვფიქრობთ სამყაროზე, რომელიც ჩამოყალიბებულია დაკვირვებადი კანონზომიერებების აღმოჩენით.	რეალობის ანარეკლი, რომელიც ჩამოყალიბებულია არადაკვირვებადი გენერაციული მექანიზმების აღმოჩენით	ჩვენ არ შეგვიძლია ვეძებოთ მიზეზები, მაგრამ შეგვიძლია მხოლოდ გამოვავლინოთ მნიშვნელობები, რომლებიც გვაძლევენ ამას მოქმედების მიზეზებს
მეთოდოლოგია: როგორ მივიღოთ ცოდნა სოციალური სამყაროს შესახებ?	პირდაპირი დაკვირვების გზით	პირდაპირი დაკვირვებით და ლოგიკით, რომელთაც იყენებთ როგორც დაკვირვებადი, ისე არადაკვირვებადი სტრუქტურების მიმართ.	ინტერპრეტაციის თეორია და ტექსტური სტრატეგიები. სოციალური სამყარო ტექსტს ჰგავს და მისი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ფარული მნიშვნელობებისა და ქვეტექსტების აღმოსაჩენად.

ამ შეხედულებებს შორის დებატების ცენტრში არის კითხვა, თუ რა სახის ცოდნა შეგვიძლია მივიღოთ სოციალური მოვლენების შესახებ.

მუდმივად მიმდინარეობს ჩვენთვის რეალობის განსაზღვრა - პოლიტოლოგების, ისტორიკოსების, პოლიტიკოსების გამოსვლებში, მედიის ანალიტიკოსების საინფორმაციო ანგარიშებში. ვარაუდების ან იმპლიციტური თეორიის საფუძველში არსებული სტრუქტურის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, რომელიც აყალიბებს რეალობის მოცემულ ანგარიშს, იქნება ეს წარმოდგენილი მეცნიერების, პოლიტიკოსების თუ ჟურნალისტების მიერ, საშუალებას გვაძლევს თანამედროვე პოლიტიკის უფრო აქტიური ანალიტიკოსები გაეზღვიოთ და არ ვიყოთ სხვების ანალიზზე დამოკიდებული.

## 2. კვლევის ეთიკა და ღირებულებები

*ერლ რ. ბები*

### სოციალური კვლევის ეთიკა და პოლიტიკა

სოციალური კვლევა სოციალურ გარემოში მიმდინარეობს. კვლევის დროს გასათვალისწინებელია ბევრი ეთიკური და პოლიტიკური ასპექტი. თუმცა, ხშირად საკმაოდ რთულია მიიღო მკაფიო პასუხი ეთიკურსა და პოლიტიკურ კითხვებზე.

## ეთიკური საკითხები სოციალურ კვლევაში

ნებაყოფლობითი მონაწილეობა  
მონაწილეთათვის ზიანის არმიყენება  
ანონიმურობა და კონფიდენციალურობა  
სიცრუე  
ანალიზი და ანგარიში  
ინსტიტუციური დამკვირვებელი საბჭოები  
პროფესიული ეთიკის კოდექსები

## ორი ეთიკური დავირისპირება

პრობლემა საზოგადოებრივ საპირფარეშოში  
ადამიანის მორჩილებაზე დაკვირვება

## სოციალური კვლევის პოლიტიკა

ობიექტურობა და იდეოლოგია  
პოლიტიკა პატარა „პ“ ასოთი  
პოლიტიკა პერსპექტივაში

## შესავალი

მოცემულ წიგნში ყურადღება გამახვილებულია სოციალური კვლევის ოთხ ძირითად შეზღუდვაზე: სამეცნიერო, ადმინისტრაციული, ეთიკური და პოლიტიკური. პრაქტიკაში სოციალური კვლევის ჩატარებისას უნდა გავითვალისწინოთ ეთიკური და პოლიტიკური ფაქტორები. არის გარკვეული პროცედურები, რომლებიც შეიძლება გამოსაყენებლად არაპრაქტიკული იყოს, მაგრამ არის ისეთი, რომელიც ეთიკურად დაუშვებელია ან რთულია ან შეუძლებელი პოლიტიკურად. ამის მაგალითად შეიძლება შემდეგი შემთხვევა განვიხილოთ ჩემი პრაქტიკიდან. კალიფორნიაში ტარდებოდა კვლევა იურიდიული განათლების სფეროში, რომელსაც ერთობლივად ატარებდა უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი და ბარისტების სახელმწიფო ასოციაცია. პროექტი მიზნად ისახავდა იურიდიული განათლების გაუმჯობესებას, რისთვისაც შეისწავლეს იურიდიული სკოლის გამოცდილების ასპექტები, რომლებიც იყო დაკავშირებული ბარისტების წარმატებასთან, თუ როგორ ართმევდა გამოცდას თავს იურიდიული სკოლის სხვადასხვა გამოცდილების მქონე ხალხი. კითხვარების ადმინისტრირებაზე ნებართვის აღება პრობლემა არ იყო და შესაძლებელი იყო უპასუხოების პრობლემის აღმოფხვრა. რითიც ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ, როგორც ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა, ეს არაეთიკურია, რამეთუ არ არსებობს კითხვარის ჩატარების კანონი და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ხშირად სოციალურ კვლევაში, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, ეთიკური მოსაზრებები ჩვენთვის აშკარა არაა.

აღსანიშნავია, რომ ბევრი პროფესია ეთიკური შეზღუდვების ფარგლებში მოქმედებს. ეს შეზღუდვები განსხვავდება პროფესიის მიხედვით, მაგალითად, სასულიერო პირებს, ექიმებს, იურისტებს განსხვავებული ეთიკური ნორმები აქვთ. მოცემულ წიგნში ჩვენ განვიხილავთ იმ ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც სოციალურ კვლევებს მართავენ.

კვლევაში პოლიტიკური მოსაზრებები ორაზროვანი და საკამათოა. სამართლის სკოლის მაგალითი მოიცავს როგორც პოლიტიკას, ასევე ეთიკას.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მკვლევარებს აქვთ ეთიკური ნორმა, რომლის მიხედვითაც კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს, ეს ნორმა აშკარად გამომდინარეობს აშშ-ს პოლიტიკური ნორმებიდან, რომლებიც იცავენ სამოქალაქო თავისუფლებებს. ზოგიერთ ქვეყანაში შემოთავაზებული კვლევა საერთოდ არ ჩაითვლებოდა არაეთიკურად.

მოცემული თავის მეორე ნაწილში ჩვენ განვიხილავთ სოციალური კვლევის პროექტებს, რომლებიც ჩავარდა ან თითქმის ჩავარდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. ეთიკის მსგავსად, საჭიროა გავითვალისწინოთ სოციალური კვლევის პოლიტიკური მხარე.

### **სოციალური კვლევის ეთიკური საკითხები**

ლექსიკონების უმეტესობათა განმარტებით სიტყვა „ეთიკა“ მორალთან ასოცირდება და ორივე ეხება იმას, თუ რა არის სწორი და რა არასწორი. მაგრამ რა არის სწორი და არასწორი? რა არის მათი განსხვავების წყარო? ეს წყარო ყველასათვის ინდივიდუალური და განსხვავებულია, ზოგისთვის რელიგიურია, ზოგისთვის პოლიტიკური იდეოლოგიაა და სხვა.

ვებსტერის ახალი ლექსიკონის თანახმად, ტერმინი „ეთიკური“ განისაზღვრება როგორც მოცემული პროფესიის ან ჯგუფის ქცევის სტანდარტების შესაბამისი. იმას, რასაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მორალად და ეთიკად მივიჩნევთ, ჯგუფის წევრებს შორის შეთანხმების საკითხია და არცაა გასაკვირი, რომ სხვადასხვა ჯგუფს ქცევის განსხვავებული კოდექსი გააჩნია. გარკვეულ საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრების ნაწილია თუ რას მიიჩნევს საზოგადოება ეთიკურად და არაეთიკურად. იგივე ითქმის სოციალური კვლევის საზოგადოებაზეც.

სოციალურ სამეცნიერო კვლევაში ჩართულმა ყველა მონაწილემ უნდა იცოდეს, თუ რა არის სწორი და არასწორი სამეცნიერო კვლევის ჩატარებისას მეცნიერთა საზოგადოების საერთო შეთანხმების თანახმად. მოცემულ თავში განხილულია სოციალურ კვლევაში გავრცელებული რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური შეთანხმება.

### **ნებაყოფლობითი მონაწილეობა**

ხშირად სოციალური კვლევა წარმოადგენს ინდივიდების ცხოვრებაში სხვადასხვა სახით შეჭრას, იქნება ეს კარზე მომდგარი გამოძიებელი თუ ელექტრონულ ფოსტაზე მოსული შეტყობინება და ეს აქტივობა მონაწილისაგან გარკვეულ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. უფრო მეტიც, სოციალური კვლევა რესპოდენტისგან პირადი ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს, თანაც საერთოდ უცხო ადამიანებისათვის. იმავეს ითხოვენ ექიმები და იურისტები, მაგრამ მათ სხვა მოტივი აქვთ, უფრო მეტის ცოდნით ისინი უკეთ დაიცავენ რესპოდენტის პირად ინტერესებს. სოციალური მკვლევრები, სამედიცინო მკვლევარების მსგავსად, ამტკიცებენ, რომ ეს გამოკითხვები შესაძლოა საბოლოოდ დაეხმაროს კაცობრიობას.

სამედიცინო და სოციალური კვლევები ნებაყოფლობით მონაწილეობას ითვალისწინებს, ყოველ შემთხვევაში, ეს თეორიულად ადვილად მისაღებია, თუმცა

პრაქტიკაში არც ისე იოლია. მაგალითად, როდესაც სამედიცინო პრეპარატებს პატიმრებზე ცდიან, მათ აწვდიან ინფორმაციას პრეპარატზე, გვერდით მოვლენებზე და ა.შ. და აფრთხილებენ, რომ მონაწილეობა ნებაყოფლობითია და არ არის გარანტია მათი ვადაზე ადრე გათავისუფლებისა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მონაწილეებს მაინც ამოძრავებთ პირადი გამორჩენის მოტივაცია.

როდესაც სტუდენტებს თხოვენ შეავსონ კითხვარი, ინსტრუქტორი განუმარტავს, რომ კითხვარის შევსება ნებაყოფლობითია, თუმცა ბევრი სტუდენტი ავსებს მხოლოდ იმის შიშით, რომ მონაწილეობის არმიღება შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ ნიშნებზე. ამიტომ, ინსტრუქტორი უნდა ეცადოს მსგავსი სიტუაცია თავიდან აიცილოს. მაგალითად, შეიძლება სტუდენტებს უთხრან, რომ მონაწილეობა ანონიმურია, ან კითხვარი შეიძლება ყუთში დატოვონ.

თუმცა, ნებაყოფლობითობის პრინციპი ეწინააღმდეგება ზოგიერთ მეცნიერულ მოსაზრებას. გენერალიზაციის (განზოგადების) მეცნიერულ მიზანს საფრთხე ემუქრება მაშინ, თუ მასში მონაწილეობს ყველა ტიპის ადამიანი. სავარაუდოდ, ასეთი კვლევა უფრო პიროვნულ თვისებებს ასახავს და კვლევის შედეგები ვერ იქნება განზოგადოებული ყველა ტიპის ადამიანისათვის. მკვლევარი ვერ მოახდენს შედეგების განზოგადობას მთელ პოპულაციაზე, თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებენ როგორც მსურველები, ასევე არამსურველები.

დარგობრივ კვლევას თავისი ეთიკური დილემა აქვს. ხდება ისეც, რომ მკვლევარი არ ამხელს როდესაც ატარებს კვლევას იმის შიშით, რომ ეს უარყოფით გავლენას მოახდენს შესასწავლ სოციალურ პროცესებზე. კვლევის ობიექტს ასეთ შემთხვევაში არ ეძლევა არჩევნის საშუალება - მიიღოს თუ არა მონაწილეობა. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ისეთი ეთიკური ნორმის დაცვა, როგორცაა რესპონდენტებისთვის ზიანის არმიყენება.

#### არავითარი ზიანი მონაწილეებს

ასეთი ნორმის საჭიროების დრამატიზება ნაწილობრივ მედიკოსი მკვლევრების მიერ საშინელი დარღვევებით იყო გამოწვეული. აქ, პირველ რიგში, მოიხსენიებენ ნაცისტების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო ტყვეებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს. მეორე ადგილზეა ნაკლებად ცნობილი ტუსკეგის სიფილისის ექსპერიმენტები, რომლებიც ჩატარდა აშშ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ 1932-1972 წლებში. კვლევის დროს შეისწავლეს თითქმის 400 გაღატაკებული სოფლელი აფრო-ამერიკელი მამაკაცები, რომლებიც იტანჯებოდნენ სიფილისით. მას შემდეგაც კი, რაც სიფილისის სამკურნალოდ პენიცილინი მიიღეს, ამ ადამიანებს მკურნალობა არ უტარდებოდათ, რადგანაც მედიკოსებს სურდათ ენახათ დაავადების სრულყოფილი პროგრესი. ისეთი დიაგნოსტიკური პროცედურა, როგორცაა ზურგის ტვინის პუნქცია, საცდელ ობიექტს მიეწოდებოდა როგორც სიფილისის მკურნალობა. ხსენებული ტუსკეგის სკანდალზე კონკრეტული პასუხი გახდა 1974 წელს მიღებული ეროვნული კვლევის კანონი, რომელმაც შექმნა იმ ადამიანების დამცველი კომისია, რომლებიც იყვნენ ბიოსამედიცინო და ქცევითი კვლევის ობიექტები. კომისიამ გამოაქვეყნა ბელმონტის ანგარიში, რომელიც სამ ძირითად პრინციპს განიხილავ-

და, როგორცაა მონაწილეთა პატივისცემა, ზიანის არმიყენება, და სამართლიანობა, რაც ითვალისწინებდა კვლევის პროცედურისა და შედეგების საზოგადოებისთვის გაზიარებას.

კვლევის მონაწილეს ზიანი არ უნდა მიაღდგეს არავითარ შემთხვევაში მისი ნებაყოფლობითი მონაწილეობის მიუხედავად. ეს ეხება ისეთ ასპექტს, როგორცაა პირადი ინფორმაციის გასაჯაროება, რამაც შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს რესპონდენტი ან ზიანი მიაყენოს მის პირად ცხოვრებას ოჯახში, მეგობრებთან და ა.შ.

რადგანაც კვლევის პროცესში ობიექტი ფსიქოლოგიურად შეიძლება დაზარალდეს, მკვლევარს სიფრთხილე მართებს და უნდა დაიცვას ის ასეთი ზიანისაგან. კვლევამ შეიძლება აიძულოს მონაწილე დაინახოს ისეთი ასპექტები, რომლებიც მისთვის აქამდე უცნობი იყო, ან გაახსენოს წარსული სიტუაცია, რასაც მონაწილე, შესაძლოა, არასწორად ან ამორალურად მიიჩნევდეს. თუ მაგალითად, საკითხი ეხება ეთიკური ქცევის ნორმებს, მონაწილემ შეიძლება ეჭვი შეიტანოს თავის მორალში, რამაც შემდგომ შეიძლება შეარყიოს სუსტი თვითშეფასება.

ნებაყოფლობითი მონაწილეობის მსგავსად, მონაწილეთათვის ზიანის არმიყენება თეორიულად მარტივია, მაგრამ პრაქტიკაში ადვილი განსახორციელებელი არაა.

ბოლო წლებში სოციოლოგებმა მხარდაჭერა მიიღეს ამ ნორმის დასაცავად. ფედერალური და სხვა ორგანიზაციები, როგორც წესი, ითხოვენ სამიზნე ჯგუფების დამოუკიდებელ შეფასებას და დღესდღეობით, ბევრ უნივერსიტეტში არსებობენ კომიტეტები, რომლებიც შეფასების ფუნქციას ასრულებენ. ასეთი მოთხოვნები არამხოლოდ იცავენ არაეთიკური კვლევისაგან, არამედ გამოავლენენ ეთიკურ პრობლემებს, რომლებიც ყველაზე დაკვირვებულ მკვლევარსაც კი შეიძლება გამოეპაროს.

#### **როგორ გავაკეთოთ**

#### **ინფორმირებული თანხმობის ძირითადი ელემენტები**

ფედერალური რეგულაციები, რომლებიც ადამიანების მიერ კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღებას ეხება, გამოქვეყნდა ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტის მიერ და ძალაშია 2016 წლის 1 აპრილიდან.

1. განცხადება, რომ ეს არის კვლევა, კვლევის მიზნებისა და სუბიექტის მონაწილეობის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ახსნა, გასატარებელი პროცედურების აღწერა და ნებისმიერი პროცედურის იდენტიფიცირება.
2. მონაწილესათვის ნებისმიერი გონივრულად მოსალოდნელი რისკის ან დისკომფორტის აღწერა.
3. მონაწილესათვის ან სხვებისთვის ნებისმიერი სარგებლის აღწერა, რომლებიც შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი იყოს კვლევისგან.
4. შესაბამისი ალტერნატიული პროცედურების ან მკურნალობის კურსების გამჟღავნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება უკეთესი იყოს მონაწილისათვის.

5. განცხადება, რომელიც აღწერს ჩანაწერების კონფიდენციალურობის ხარისხს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რითაც მოხდება სუბიექტის იდენტიფიცირების დაცვა.
6. კვლევისთვის, რომელიც მოიცავს მინიმალურზე მეტ რისკს, განმარტება, არის თუ არა რაიმე კომპენსაცია და განმარტება, არის თუ არა რაიმე სამედიცინო მკურნალობა ხელმისაწვდომი დაზიანების შემთხვევაში და, თუ ასეა, რისგან შედგება ისინი, ან სად შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მიღება.
7. განმარტება, თუ ვის მივმართოთ პასუხებისთვის შესაბამის კითხვებზე კვლევისა და კვლევის სუბიექტის უფლებების შესახებ და ვის მივმართოთ კვლევასთან დაკავშირებული ზიანის შემთხვევაში.
8. განცხადება იმის შესახებ, რომ მონაწილეობა ნებაყოფლობითია, მონაწილეობაზე უარის თქმა არ მოიცავს ჯარიმას ან სარგებლის დაკარგვას, რომელზეც აქვს სუბიექტს უფლება, და სუბიექტს შეუძლია შეწყვიტოს მონაწილეობა ნებისმიერ დროს ჯარიმის ან სარგებლის დაკარგვის გარეშე.

ინტერნეტ საძიებელი მოგანვლით ინფორმირებული თანხმობის ნიმუშებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ თქვენს კვლევაში. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვით კვლევა და ზოგიერთი სხვა კვლევის ტექნიკა თავისუფლდება ინფორმირებული თანხმობის მიღების საჭიროებისგან.

ინტერნეტ წყარო: Source: Code of Federal Regulations Title 21. <http://www.accessdata.fda.gov/scripts/cdrh/cfdocs/cfcfr/cfrsearch.cfm?fr=50.25>

### **ანონიმურობა და კონფიდენციალურობა**

მნიშვნელოვანია მონაწილეთა პირადულობის დაცვა. ამისათვის ორი ტექნიკა გამოიყენება: ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. თუმცა ბევრს ისინი ერთმანეთში ერევა.

### **ანონიმურობა**

კვლევითი პროექტი უზრუნველყოფს ანონიმურობის გარანტიას, როდესაც მკვლევარს არ შეუძლია მოცემული პასუხის მოცემულ რესპონდენტთან დაკავშირება. ეს გულისხმობს, რომ ტიპური ინტერვიუს - გამოკითხვის რესპონდენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ანონიმურად, რადგან ინტერვიუერი აგროვებს ინფორმაციას იდენტიფიცირებადი რესპონდენტისგან. ანონიმურობის მაგალითია ფოსტით გამოკითხვა, როცა შეუძლებელია რესპონდენტის იდენტიფიცირება კითხვარის კვლევის ოფისში დაბრუნებისას.

### **კონფიდენციალურობა**

კვლევითი პროექტი უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის გარანტიას, როდესაც მკვლევარს შეუძლია მოცემული პიროვნების პასუხების იდენტიფიცირება, მაგრამ თავიდანვე იძლევა პირობას, რომ საჯაროდ არ გამოააშკარავებს შედეგებს. როდესაც კვლევითი პროექტი არა ანონიმურია, არამედ კონფიდენციალური, უკვე მკვლევრის პასუხისმგებლობაა განუმარტოს რესპონდენტს ეს ფაქტი. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში,

მკვლევარმა არ უნდა გამოიყენოს ტერმინი „ანონიმური“ „კონფიდენციალურის“ მნიშვნელობით.

რესპონდენტის მიერ მონოდებული ინფორმაცია მინიმუმ კონფიდენციალური უნდა იყოს. თუმცა, ამის დაცვა ყოველთვის როდია იოლი, რადგანაც, მაგალითად, სასამართლომ არ აღიარა სოციალური კვლევის მონაცემები, როგორც „პრივილეგირებული კომუნიკაცია“, რეალურად კი ის მიღებულია მღვდლების და ადვოკატების შემთხვევაში.

იყო შემთხვევა, როდესაც ექსონ ვალდებულებას სუპერტანკერმა 1989 წელს პრინცი უილიამ საუნდთან ალასკაზე ოკეანეში დაღვარა 10 მილიონი გალონი (დაახლოებით 4 500 000 ლ) ნავთობი, რასაც ეკოლოგიური ზიანი მოჰყვა. ნაკლები ყურადღება დაეთმო ამ მხარის მოსახლეობის ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ზიანს. თუმცა, ნავთობის დაღვრის შემდეგ მოსახლეობაში იმატა ალკოჰოლიზმის, ოჯახური ძალადობის და სხვ. შემთხვევებმა. ზიანის განსაზღვრისათვის სან დიეგოს კვლევით კომპანიას დაევალა გამოკითხვის ჩატარება. ადგილობრივ მოსახლეობას უსვამდნენ პირადი ხასიათის კითხვებს მათ ოჯახში მომატებული პრობლემების შესახებ. რესპონდენტებს მოუხდათ უხერხულ და მტკივნეულ კითხვებზე პასუხის გაცემა კონფიდენციალურობის გარანტიის პირობით. როდესაც ექსონის კომპანიამ გაიგო ამ გამოკითხვის შესახებ, სთხოვა სასამართლოს გამოკითხვის მასალები. როგორც გაირკვა, მათ სურდათ რესპონდენტების ჩვენების მისაცემად გამოყვანა და ჯვარედინი დაკითხვის მოწყობა. რესპონდენტებს შორის იყვნენ მკვიდრი ამერიკელები, რომელთა კულტურული ნორმებით ეს გამოაშკარავება კიდევ უფრო მტკივნეული იყო. საბედნიეროდ, საქმე მანამ მოგვარდა, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტდა იძულებით მიეცათ თუ არა რესპონდენტებს საჯაროდ თავიანთი ჩვენება.

მეორე შემთხვევაში, რიკ სკარსმა, ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ჩაატარა ცხოველთა უფლებების დამცველთა აქტივისტებზე დაკვირვება. შედეგები მან 1990 წელს თავის წიგნში გამოაქვეყნა, რის შემდეგაც იგი ნაფიც მსაჯულთა წინაშე გამოიძახეს და მოთხოვეს აქტივისტების ვინაობის დასახელება, რაზედაც მან უარი განაცხადა კონფიდენციალურობის შენარჩუნების მიზნით და ამის შედეგად, 159 დღე სპოკანის საოლქო ციხეში გაატარა. ამ პროცესში სკარსს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის (ASA) ეთიკის კოდექსის მხრიდან.

1997 წელს ASA-მ გადახედა ეთიკის კოდექსს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი იცავდა კონფიდენციალურობის ნორმებს, გააფრთხილა მკვლევარები, რომ ინფორმირებული ყოფილიყვნენ კანონებისა და წესების შესახებ, რამაც შეიძლება შეზღუდოს კვლევის სუბიექტებისთვის კონფიდენციალურობის დაპირების შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ ასეთ საფრთხეს თავი აარიდოთ და მაქსიმალურად დაიცვათ კონფიდენციალურობა, არსებობს რამდენიმე ტექნიკა. პირველ რიგში, მკვლევარებმა და ინტერვიუებმა უნდა გაიარონ შესაბამისი ტრენინგი თავიანთი ეთიკური პასუხისმგებლობის შესახებ. ამას გარდა, ყველა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია კვლევის დასრულებისთანავე უნდა წაიშალოს.

ამასთანავე, კითხვარში რესპოდენტთა სახელები და მისამართები ნომრებით უნდა შეიცვალოს, რომელიც ცალკე ფაილში იქნება შენახული, რაზედაც წვდომა არავის უნდა ჰქონდეს გარდა ლეგიტიმური მიზნებისა.

ქალაქში ჩამონერილი კითხვარის პირველი გვერდი, რომელიც პირად მონაცემებს შეიცავს, კვლევის დასრულებისთანავე და საჭიროების არარსებობის შემთხვევაში უნდა განადგურდეს.

სოციალურ კვლევაში ვიზუალური ტექნიკის გაზრდილმა გამოყენებამ (მაგ. ბავშვების თამაშის დროს ვიდეოგადაღება, ჰოსპისის პაციენტების გადაღება) შექმნა ახალი პრობლემა სუბიექტების დაცვის საკითხში, როგორცაა გამოსახულების ხანგრძლივობა საჯარო დომენში და შემდგომი გამოყენების პოტენციალი და სურათების მეორადი ანალიზი.

### სიცრუე

საკვლევი სუბიექტების იდენტიფიცირების საკითხი მნიშვნელოვანი ეთიკური მოსაზრებაა. საკუთარი იდენტურობის მართვა კიდევ უფრო საჩოთიროა. ხანდახან სასარგებლო და აუცილებელიც კია საკუთარი თავის იდენტიფიცირება განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ვიკვლევთ. რადგანაც ძნელია მიაღებინო ადამიანებს მონაწილეობა გამოკითხვაში ან ლაბორატორიულ ექსპერიმენტში ისე, რომ არც კი უთხრა ამის შესახებ. ხალხის გაცრუება არაეთიკურია.

ხანდახან მკვლევრები მიმართავენ ხრიკს, ისინი არ ამბობენ სიმართლეს თუ რა კვლევას ატარებენ ან ვისთვის. დაეუშვათ, საზოგადოებრივი კეთილდღეობის სააგენტომ მოგთხოვათ გამოკითხვის ჩატარება მათ შორის, ვინც დახმარებას იღებს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანი შეიძლება იყოს მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რესპოდენტებს შეიძლება შეეშინდეთ, რომ ასეთი გამოკითხვით ხდება თაღლითების გამოვლენა. და ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ისე, რომ რესპოდენტებმა არასწორი პასუხი გასცენ დასმულ კითხვებს და შედეგად ვერ მივიღებთ ზუსტ და სანდო მონაცემებს. რას ვაკეთებთ?

ერთი გამოსავალი იქნება სუბიექტებს უთხრათ, რომ თქვენ ატარებთ კვლევას, როგორც საუნივერსიტეტო კვლევითი პროგრამის ნაწილს. ამით მაღავთ თქვენს კავშირს კეთილდღეობის სააგენტოსთან. ამის გაკეთება აუმჯობესებს კვლევის სამეცნიერო ხარისხს, მაგრამ ეს სერიოზული გამონკვევია ეთიკური კუთხით.

სიცრუე კვლევითი მიზნების შესახებ გავრცელებულია ლაბორატორიული ექსპერიმენტების დროს. ძნელია დამალო ის, რომ ატარებ კვლევას, მაგრამ, შედარებით ადვილია და ზოგჯერ მიზანშეწონილიც კი თქვენი მიზნის დამალვა. მაგალითად, სოციალურ ფსიქოლოგიაში ბევრი ექსპერიმენტი ამონებს, თუ რამდენად იტყვიან უარს სუბიექტები საკუთარი დაკვირვების მტკიცებულებებზე სხვების მიერ გამოთქმული შეხედულებების სასარგებლოდ. ექსპერიმენტის მიზანია დაინახოს, დათმობს თუ არა ადამიანი საკუთარ განსჯას ჯგუფური შეთანხმების სასარგებლოდ. ვფიქრობ, თქვენ ხედავთ, რომ შესაბამისობა სასარგებლო ფენომენია შესასწავლად და გასაგებად და მისი ექსპერიმენტულად შესწავლა შეუძლებელია სუბიექტების მოტყუების გარეშე.

ერთ-ერთ გამოსავლად ექსპერტებს მიაჩნიათ მონაწილეთა გამოკითხვა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ. დებრიფინგი არის მონაწილეთა გამოკითხვა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ იმ მიზნით, რომ გაიგონ მათი პროექტში მონაწილეობის გამოცდილების შესახებ და აცნობონ გაუმჟღავნებელი მიზნების შესახებ. ასეთი გამოკითხვის მიზანია კვლევის მსვლელობის დროს წარმოშობილი პრობლემების აღმოჩენა მათი გამოსწორების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს ექსპერიმენტის მიზანი არ უნდა ეცნობოთ დასაწყისში, ეს შესაძლებელია ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ. მოგვიანებით სიმართლის თქმით შეიძლება დასაწყისში ნათქვამი სიცრუის კომპენსირება. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ძალიან ფრთხილად, ისე, რომ მონაწილეებს არ დარჩეთ ცუდი შეგრძნება ან თავის თავზე ცუდი წარმოდგენა ექსპერიმენტში მათი შედეგების ფონზე.

სოციალური მოვლენების მკვლევრებს ბევრი ეთიკური პასუხისმგებლობა აკისრიათ საკვლევი სუბიექტების წინაშე.

### **ეთიკური პრობლემები ადამიანთა სექსუალობის შესწავლისას**

*ავტორი კეტლინ მაკკინი, ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტი*

ადამიანური ქცევის შესწავლისას ეთიკური საკითხები ძალზედ მნიშვნელოვანი და პირველადია, ეს განსაკუთრებით პირველ რიგში ეხება ადამიანთა სექსუალობას, რადგანაც თემა ძალზედ პირადული და სათუთია. სამი ხშირად განხილული ეთიკური კრიტერიუმი დაკავშირებულია კონკრეტულად ადამიანის სექსუალობის სფეროში კვლევასთან.

### **ინფორმირებული თანხმობა**

ეს კრიტერიუმი ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რესპონდენტის ან სუბიექტის ინფორმირება ჩასატარებელი კვლევის შესახებ და მისი სიტყვიერი ან წერილობითი თანხმობის მიღება. არანაირად არ შეიძლება ძალდატანება და მონაწილეს უფლება აქვს შეწყვიტოს მონაწილეობა ნებისმიერ ეტაპზე.

ინფორმირებული თანხმობა გარკვეულ პრობლემას ქმნის გარკვეულ ჯგუფებთან, მაგალითად, ბავშვებთან, რადგანაც ითვლება, რომ ბავშვებს კოგნიტიურად და ემოციურად არ ძალუძთ ინფორმირებული თანხმობის მიცემა.

### **კონფიდენციალურობის უზღვევა**

კონფიდენციალურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება ადამიანთა სექსუალობის კვლევას, რადგანაც ასეთი გამოკითხვის შედეგად სუბიექტებისთვის არსებობს ისეთი რისკი, როგორცაა სამსახურის დაკარგვა, ოჯახში პრობლემები და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში, კონფიდენციალურობის უზღვევა ადვილი შესანარჩუნებელია. კვლევა შეიძლება ანონიმურად ჩატარდეს და გამოკითხვა კონფიდენციალურად იქნას დაცული.

## ზიანისგან დაცვა

ზიანი შეიძლება იყოს როგორც ფსიქოლოგიური და ემოციური, ასევე ფიზიკური. პოტენციური ზიანი სხვადასხვა კვლევის მეთოდის მიხედვით განსხვავებულია. უფრო მეტია ზიანის შანსი ისეთ კვლევებში, სადაც ტარდება მონაწილეებზე მანიპულაციები ან ფიზიკური ზემოქმედება, ვიდრე გამოკითხვაში ან დაკვირვებაში, თუმცა ემოციური სტრესი შესაძლოა სექსუალობის ყველა კვლევაში.

სამივე ეთიკური კრიტერიუმი საკმაოდ სუბიექტურია. საბოლოო გადაწყვეტილებას ძირითადად იღებს მკვლევარი და კომისია, რომელიც ეთიკურ ნორმებს განიხილავს. ბევრ კრეატიულ მკვლევარს შეუძლია სამივე ნორმის დაცვა და, ამავდროულად, მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარება.

## ანალიზი და ანგარიში

გარდა ეთიკური პასუხისმგებლობისა სუბიექტების წინაშე, მკვლევრებს ასევე ეთიკური პასუხისმგებლობა აკისრიათ კოლეგების წინაშე, რაც მონაცემთა ანალიზსა და ანგარიშის შედეგებში გამოიხატება. კვლევის დროს ადგილი აქვს ტექნიკურ შეზღუდვებს და წარუმატებლობებს. მაგრამ მკვლევარმა ამის შესახებ მაინც უნდა აცნობოს თავის მკითხველს, ისევე როგორც ნეგატიურ შედეგებზე, თუ ისინი დაკავშირებულია ანალიზთან. სამეცნიერო ანგარიშებში, სამწუხაროდ, არსებობს მითი, რომ ღირს მხოლოდ ცვლადებს შორის ძლიერი, მიზეზობრივი კავშირის აღმოჩენების ხსენება. თუმცა, მეცნიერებაში ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ორი ცვლადი ერთმანეთთან ან არ არის დაკავშირებული, ან არის. ასევე, მკვლევარებმა თავი უნდა აარიდონ თავიანთი აღმოჩენების წარმოდგენას, როგორც წინასწარ ანალიტიკურად დაგეგმილი სტრატეგიის შედეგს მაშინ, თუ ეს ასე არაა. ხშირად ბევრი აღმოჩენა მოულოდნელია და ამაში ცუდი არაფერია. ასეთი სიტუაციების გალამაზება ფიქტიური ჰიპოთეზების აღწერით არაკეთილსინდისიერია. იმას, რომ თითქოს ყველა სამეცნიერო კვლევა მკაცრად არის დაგეგმილი და ორგანიზებული, ასევე ცუდ სამსახურს უწევს ნაკლებად გამოცდილ მკვლევრებს და შეცდომაში შეჰყავს ისინი.

კიდევ უფრო დიდი პრობლემაა პლაგიატი. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩატარებული სამეცნიერო კვლევა სრულიად თაღლითური და გამოგონილია. ერთ-ერთი მაგალითია დანიელი ფსიქოლოგიის პროფესორისა და დეკანის მიერ გამოქვეყნებული სტატიები საინტერესო თემაზე, თუმცა როგორც აღმოჩნდა, აღწერილი კვლევა არასოდეს ჩატარებულა. საკმარისად გავრცელებულია თაღლითური კვლევის ონლაინ მონიტორინგის გარანტია.

ზოგადად, მეცნიერების პროგრესი კეთილსინდისიერებისა და გახსნილობის წყალობით ხდება. მკვლევრებს შეუძლიათ უკეთ ემსახურონ თავიანთ კოლეგებს და მთლიანად სამეცნიერო აღმოჩენებს სიმართლის თქმით ყველა იმ ხარვეზისა და პრობლემის შესახებ, რომლებიც მათ განიცადეს კვლევის კონკრეტულ მიმართულებაში. შესაძლოა, მათ იხსნან სხვები ამავე პრობლემებისგან.

დაბოლოს უბრალო უყურადღებობა ან დაუდევრობა შეიძლება ჩაითვალოს ეთიკურ პრობლემად. თუ კვლევითი პროექტი მოიხმარს შეზღუდულ რესურსებს ან ძალით თავს ახვევს სუბიექტებს, მაგრამ არ მოაქვს დადებითი შედეგი, მკვლევართაგან ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ეთიკური დარღვევაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა კვლევამ უნდა მოიტანოს დადებითი შედეგი, მაგრამ ის უნდა ჩატარდეს ისე, რომ ხელი შეუწყოს დადებითი შედეგის მიღების შესაძლებლობას.

#### ორი ეთიკური დაპირისპირება

როგორც უკვე მიხვდით, პროფესიული ქცევის კოდექსის მიღებამ და გამოქვეყნებამ ბოლომდე ვერ გადაჭრა კვლევის ეთიკის საკითხი.

სოციოლოგები ჯერ კიდევ არ ეთანხმებიან ზოგიერთ პრინციპს და ისინი, ვინც პრინციპში ეთანხმებიან, ხშირად კამათობენ სპეციფიკაზე.

ეს თავი მოკლედ აღწერს ორ კვლევით პროექტს, რომლებმაც გამოიწვია ეთიკური დაპირისპირება და დისკუსია. პირველი პროექტი შეისწავლიდა ჰომოსექსუალურ ქცევას საზოგადოებრივ საპირფარეშოებში; მეორე კი – მორჩილებას ლაბორატორიულ პირობებში.

#### ადამიანთა მორჩილებაზე დაპირება

ჰამფრისის ექსპერიმენტისგან განსხვავებით, რომელიც სოციალური იყო და მონაწილეებზე დაკვირვებას ახორციელებდა, მეორე ექსპერიმენტი ფსიქოლოგიური იყო და ლაბორატორიულ პირობებში ტარდებოდა. მისი მიზანი იყო ადამიანთა მორჩილებაზე დაკვირვება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელდა ჯარისკაცების მიერ კლიშირებული გამონათქვამი სისასტიკის გამართლების მიზნით: მე მხოლოდ ბრძანებებს ვემორჩილებოდი. როგორც ჩანს, ზოგჯერ ადამიანებს სურთ ჩაიდინონ გაუმართლებელი საქციელი, თუ ისინი თავს გაიმართლებენ იმით, რომ უფროსებმა უბრძანეს ამის გაკეთება. ამის მაგალითია 1968 წლის ვიეტნამის ომის მაი ლაის ტრაგედია, როდესაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა მოკლეს 300-ზე მეტი უიარალო მშვიდობიანი მოქალაქე, მათგან ზოგიერთი მცირეწლოვანი ბავშვი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სოფელი ვიეტკონგების დასაყრდენად ითვლებოდა.

იმისათვის, რომ დაკვირვებოდნენ იმ ადამიანებს, ვისაც სურდათ სხვისთვის ვნების მიყენება, სტენლი მილგრამმა ჩაატარა კვლევა (1963, 1965). ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის მან 40 ზრდასრული მამაკაცი მოიწვია ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან ლაბორატორიულ გარემოში.

მონაწილეები დაჰყვეს მასწავლებლებად და მოსწავლეებად. მოსწავლე ცალკე ოთახში სკამზე იყო მიმაგრებული, ხოლო მასწავლებელი მეორე ოთახში იჯდა პანელთან, რომელზეც სხვადასხვა ღილაკები და ჩამრთველები იყო განლაგებული. ჩამრთველებზე ეწერა ვოლტების სხვადასხვა მაჩვენებელი 15 დან 315 მდე და „ექსტრემალური ინტენსივობის შოკი“, „სამიწროება - მძიმე შოკი“ და „XXX“.

ექსპერიმენტის მიმდინარეობის დროს მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეს სიტყვების წყვილების ჩამონათვალს და შემდეგ ამოწმებს მის უნარს, დააკავშიროს ისინი. მასწავლებელს არ ესმის მოსწავლის პასუხები, ის

მხოლოდ ხედავს პანელის ინდიკატორებით. როდესაც მოსწავლე შეცდომას უშვებს ენთება შესაბამისი ინდიკატორი და მასწავლებელს ეძლევა მითითება ჩართოს ერთ-ერთი ჩამრთველი მცირე ვოლტიდან დაწყებული და დაარტყას დენი თავის მოსწავლეს. ოთახებს შორის ღია კარია და მასწავლებელს ესმის, თუ როგორ რეაგირებს მოსწავლე დენის დარტყმაზე. შემდგომ იგი მოსწავლეს უკითხავს მორიგი სიტყვების წყვილს და ა.შ. ექსპერიმენტის მსვლელობისას მასწავლებელს ეძლევა მითითება თანდათან მოუმატოს ვოლტს და უმატებს იქამდე, სანამ მოსწავლე არ იყვირებს და ითხოვს ექსპერიმენტის შეწყვეტას. მასწავლებელს ეძლევა მითითება კიდევ უფრო მოუმატოს ვოლტს და ახლა უკვე ისმის, თუ როგორ ყვირის მოსწავლე და აბრაზუნებს ფეხებს გამყოფ კედელზე. ბოლოს, მასწავლებელი კიდევ კითხულობს მორიგი სიტყვების წყვილებს და ელოდება მოსწავლის პასუხს, მაგრამ პასუხი არ ისმის, სრული სიჩუმეა, მითითების მიხედვით სიჩუმე განიხილება როგორ შეცდომა და მასწავლებელს ეძლევა მითითება კიდევ უმატოს ვოლტს და მიიყვანოს მაქსიმუმამდე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა უნდა გააჩეროს ექსპერიმენტი როგორც კი მოსწავლე იწყებს ყვირილს, ბრაზუნს და ბოლოს საერთოდ ჩუმდება. მაგრამ მკვლევარმა სხვა რამ აღმოაჩინა. მიღგრემის ტესტირებულ პირველი 40 ზრდასრული მამაკაციდან, არავინ თქვა უარი შოკის გატარებაზე, სანამ არ გაიგო მოსწავლის ბრაზუნი კედელზე და ისიც 40-დან მხოლოდ 5-მა შეწყვიტა ამ ეტაპზე. სუბიექტების ორმა მესამედმა, ანუ 40-დან 26-მა გააგრძელა ექსპერიმენტი მითითებების თანახმად ბოლომდე მაქსიმალური დენის ჩათვლით.

როგორც უკვე მიხვდით, დენის გატარება ყალბი იყო და მოსწავლე მკვლევარის თანამოაზრე იყო, დაკვირვების რეალური საგანი კი მასწავლებელი იყო. სუბიექტი სინამდვილეში არავის აყენებდა ზიანს, ის უბრალოდ დაარწმუნეს ამაში. ექსპერიმენტი ამოწმებდა სუბიექტის მზაობას დამორჩილებოდა მითითებებს ბოლომდე, ვინმეს მოკვლის ჩათვლით.

ბევრმა გააკრიტიკა ეს ექსპერიმენტი როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ეთიკური თვალსაზრისით. არაეთიკური უწოდეს თუნდაც იმიტომ, რომ მან თავად სუბიექტზე იმოქმედა უარყოფითად, ზოგი იმავე ტკივილს განიცდიდა, ზოგი ძალიან განერვიულდა და გაღიზიანდა და ა.შ. თქვენ როგორ ფიქრობთ? მიგაჩნიათ, რომ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამართლებს მეთოდებს?

### სოციალური კვლევის პოლიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური და ეთიკური საკითხები ხშირად მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, ისინი მაინც განსხვავდებიან. პირველი, სოციალური კვლევის ეთიკა ძირითადად ეხება გამოყენებულ მეთოდებს; პოლიტიკური საკითხები ძირითადად კონცენტრირებულია არსსა და კვლევის გამოყენებაზე. მეორე განსხვავება სოციალური კვლევის ეთიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს შორის არის ის, რომ არ არსებობს მიღებული პოლიტიკური ქცევის ფორმალური კოდექსი. პოლიტიკური ნორმების ნაკლებობის ერთადერთი ნაწილობრივი გამონაკლისი არის ზოგადად მიღებული მოსაზრება, რომ მკვლევარის პირადმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ არ უნდა მოახდინოს გავლენა მის სამეცნიერო კვლევაზე. მკვლევარისთვის არასათანად-

ოდ ჩაითვლება უხარისხო ტექნიკის გამოყენება ან კვლევის დამახინჯება ან ტყუილი მკვლევრის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

### **ოზიექტურობა და იდეოლოგია**

პირველ თავში აღინიშნა, რომ სოციალური კვლევა ვერ იქნება მთლიანად ობიექტური, რადგან მკვლევრები ადამიანები არიან და, შესაბამისად, აუცილებლად სუბიექტური.

მეცნიერება ინტერსუბიექტურობით აღწევს ობიექტურობის ეკვივალენტს. ანუ, სხვადასხვა განსხვავებული სუბიექტური შეხედულების მქონე მეცნიერს, შეუძლია და უნდა მივიდეს იმავე შედეგამდე, როდესაც ისინი იყენებენ კვლევის მიღებულ ტექნიკას. ამის მიღწევა მაშინაა შესაძლებელი, თუ თითოეულს შეუძლია კვლევის განმავლობაში გვერდით გადადოს პირადი ღირებულებები და შეხედულებები.

სოციალურ მეცნიერებაში ობიექტურობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ კლასიკურ განცხადებას წარმოადგენს მაქს ვებერის „მეცნიერება, როგორც მონოდება“ ([1925] 1946 წ.). ამ ლექციაში ვებერმა შემოიტანა ფრაზა „სოციოლოგია ღირებულების გარეშე“ და ხაზი გაუსვა, რომ სოციოლოგია, ისევე როგორც სხვა მეცნიერებები, არ უნდა იყოს პიროვნული ღირებულებებით დატვირთული თუ მან განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანოს საზოგადოებაში. ლიბერალებსაც და კონსერვატორებსაც უნდა შეეძლოთ სოციალური მეცნიერების „ფაქტების“ ერთნაირად ცნობა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ემთხვევა ეს ფაქტები მათ პირად პოლიტიკას. ამ იდეას ბევრი მეცნიერი დაეთანხმა, მაგრამ არა მარქსისტი და ნეომარქსისტი მკვლევრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სოციალური მეცნიერება და სოციალური მოქმედება არ შეიძლება და არც უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან.

2004 წელს ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტმა მაიკლ ბურავოიმ ASA-ს ყოველწლიურ შეხვედრაზე გამოიტანა საჯარო სოციოლოგიის თემა. ბოლო წლებში ბევრი მეცნიერი უჭერს მხარს ამ ტერმინს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მკვლევრები შეიძლება არ თანხმდებოდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სოციოლოგიამ საზოგადოებაზე ან საზოგადოების რომელ სექტორებს უნდა შეეხოს, ისინი თანხმდებიან, რომ კვლევას უნდა ჰქონდეს მიზანმიმართული გავლენა.

მე-10 თავში ჩვენ განვიხილავთ მონაწილეობით კვლევას სუბიექტების ჩართულობით, რომელიც მიმართულია იქეტკენ, რომ გამოიყენოს სოციალური კვლევა კვლევის სუბიექტების მიერ შემუშავებული და შეფასებული მიზნებისთვის. მაგალითად, მკვლევრები, რომლებსაც სურთ ქარხნის მუშებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სთხოვენ მუშებს განსაზღვრონ ის შედეგები, რომელთა მიღწევაც სურთ და, ასევე, სთხოვენ მათ მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი სოციალური კვლევის ჩატარებაში ამ მიზნების მისაღწევად. მკვლევართა ამოცანაა, რომ მუშებისათვის უზრუნველყონ პროფესიონალური კვლევის მეთოდებზე წვდომა.

### **სოციალური კვლევა და რასა**

არსად არ ყოფილა სოციალური კვლევა და პოლიტიკა ისე გადახლართული, როგორც რასობრივი ურთიერთობების სფეროში. სოციოლოგები ამ თე-

მას დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდნენ. ხშირად, სოციალური კვლევის პროდუქტები პრაქტიკულ პოლიტიკაში პოულობდნენ ასახვას.

1896 წელს, როდესაც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა სამართლებრივი პრინციპი „განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“, კანონი ითვალისწინებდა თეთრკანიანებისა და სხვა ფერადკანიანების სეგრეგაციას ყველა საზოგადოებრივ ადგილას. თუმცა, სასამართლოს არაფერი უთქვამს სოციალური კვლევების შესახებ, გავრცელებულია მოსაზრება, რომ სასამართლოზე გავლენა მოახდინა თავისი ეპოქის წამყვანი სოციოლოგის უილიამ გრეჰამ სამნერის შრომებმა. როდესაც 1954 წელს გაუქმდა დოქტრინა „განცალკევებული, მაგრამ თანაბარი“, უზენაესი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება ნაწილობრივ ეფუძნებოდა დასკვნას, რომ სეგრეგაციამ საზიანო გავლენა მოახდინა აფროამერიკელ ბავშვებზე. ამ დასკვნის გამოტანისას სასამართლომ ახსენა რამდენიმე სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევის ანგარიში (Blaunstein and Zangrando 1970).

უმეტესწილად, სოციალური მკვლევრები იმ დროს მხარს უჭერდნენ აფრიკელი ამერიკელების თანასწორობას შეერთებულ შტატებში. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათი კვლევა სოციალურ ცვლილებებს გამოიწვევდა. მაგალითად, ეჭვგარეშეა, რომ გუნარ მირდალის კლასიკურმა ორტომიანმა კვლევამ (1944 წ.) რასობრივი ურთიერთობების შესახებ შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თავად რასობრივ ურთიერთობებზე. მირდალმა შეაგროვა უამრავი მონაცემი იმის საჩვენებლად, რომ აფროამერიკელების პოზიცია პირდაპირ ეწინააღმდეგება აშშ-ს სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის ღირებულებებს. გარდა ამისა, მირდალი არ ცდილობდა საკუთარი თვალსაზრისის დამალვას.

ბევრი სოციალური მკვლევარი უშუალოდ ჩაერთო სამოქალაქო უფლებების მოძრაობაში, ზოგი უფრო რადიკალურად, ვიდრე სხვები. მათ შორის იყო სოციოლოგი ჯეიმს კოულმანი, რომელმაც გამოაქვეყნა რასისა და განათლების შესახებ ძირითადი ეროვნული კვლევის შედეგები. საზოგადო აზრისგან განსხვავებით, კოულმანმა მცირე განსხვავება აღმოაჩინა აკადემიურ მოსწრებაში აფროამერიკელ სტუდენტებს შორის, რომლებიც სწავლობენ ინტეგრირებულ სკოლებში და მათ შორის, რომლებიც სწავლობენ სეგრეგირებულ სკოლებში. თუმცა მისი მოსაზრება დადებითად არ იქნა მიღებული ყველა იმ მკვლევრის მიერ, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ადამიანთა უფლებების დაცვის მოძრაობაში.

### სექსუალური კვლევის პოლიტიკა

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ლოდ ჰამფრისის მიერ „ჩაის ოთახის“ კვლევამ წამოჭრა ეთიკური საკითხები, რომლებსაც მკვლევრები ჯერ კიდევ განიხილავენ და კამათობენ. ამავდროულად, ფურორის დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო თავად განხილვის საგანთან. 1940-1950-იან წლებში ბიოლოგმა ალფრედ კინსიმ გამოაქვეყნა ამერიკელი მამაკაცებისა (1948) და ქალების (1953) სექსუალური პრაქტიკის მნიშვნელოვანი კვლევები. კინსმა ვრცელი გამოკითხვის შედეგად მოახერხა ჩაენერა ქორწინებამდე და ქორწინების გარეთ სექსუალური აქტივობის სიხშირე, ჰომოსექსუალური ქცევა და ა.შ. მისმა კვლევებმა საზოგადოების აღმფოთება გამოიწვია, რაც, საბოლოოდ,

ინდიანას უნივერსიტეტში მისი კვლევითი ინსტიტუტის დახურვის მიზეზი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ადამიანების უმეტესობას აღარ აინტერესებს კინსის კვლევები, ამერიკელები, როგორც წესი, მგრძობიარე არიან სექსუალობის კვლევის მიმართ. 1987 წელს ჯანდაცვის ნაციონალურმა ინსტიტუტმა (NIH), რომელსაც ევალუბოდა შიდსის ეპიდემიასთან ბრძოლის გზების მოძიება, აღმოაჩინა, რომ შიდსის საწინააღმდეგო ეფექტური პროგრამების შემუშავებისთვის მათ ძალიან სჭირდებოდათ მონაცემები თანამედროვე სექსუალური პრაქტიკის შესახებ. მათი მოთხოვნით ედვარდ ო. ლომანისა და მისი კოლეგების მიერ შემუშავდა კვლევის დახვეწილი სქემა, რომელიც ფოკუსირებული იყო სექსუალური აქტივობის განსხვავებულ მოდელებზე, რომლებიც ახასიათებს ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს, და კარგი გამოხმაურება ჰპოვა NIH და მათი კონსულტანტების მხრიდან. მაგრამ, როდესაც სენატორმა ჯესი ჰელმსმა (R-NC) და კონგრესმენმა უილიამ დანემიერმა (R-CA). შეიტყვეს ლომანის კვლევის შესახებ, 1989 წელს დაიწყო კამპანია კვლევის დაბლოკვისა და იმავე თანხის მხოლოდ მოზარდების აბსტინენციის პროგრამაზე გადატანის მიზნით.

ჰელმსმა შეძლო და აშშ-ს სენატში მისი შესწორების სასარგებლოდ 66-დან 34 ხმით მოიგო. პალატამ და კონფერენციის კომიტეტმა იგი არ მიიღეს, მაგრამ კვლევისთვის სახელმწიფო დაფინანსება შეჩერდა. ლომანმა და მისმა კოლეგებმა შემდეგ მიმართეს კერძო სექტორს და მოიპოვეს კიდევ დაფინანსება უფრო მცირე კვლევისთვის, რომელიც გამოქვეყნდა 1994 წელს სახელწოდებით „სექსუალობის სოციალური ორგანიზაცია“.

### პოლიტიკა და მოსახლეობის აღწერა

ადამიანის სოციალური ქცევის შესწავლის ყველა მცდელობას ალბათ აქვს პოლიტიკური განზომილება. განვიხილოთ აშშ-ის მოსახლეობის აღწერა, რომელიც კონსტიტუციით არის დადგენილი და ყოველ 10 წელში ტარდება. თავდაპირველი მიზანი იყო აღმოეჩინათ სხვადასხვა შტატის მოსახლეობის რაოდენობა, რათა დაედგინათ მათი სათანადო წარმომადგენლობა წარმომადგენელთა პალატაში. მაშინ, როცა თითოეულ შტატს ორი სენატორი ჰყავს, დიდი შტატი უფრო მეტ წარმომადგენელს იღებს, ვიდრე პატარა. რა შეიძლება იყოს უფრო მარტივი? უბრალოდ ხალხის რაოდენობის დათვლა თითოეულ შტატში. თუმცა, ეს ამოცანა თავიდანვე არც ისე ადვილი იყო. რადგანაც პიროვნების გაგებაც კი არ იყო მარტივი. მონა ერთ მთლიან ადამიანად არა ითვლებოდა, არამედ სამ მეხუთედად. ეს ამცირებდა მონათმფლობელი სამხრეთ შტატების წარმომადგენლობას, მაგრამ მონების ერთ მთლიან ადამიანად ჩათვლას შეიძლება სხვა რისკი მოჰყოლოდა, როგორცაა მათთვის ხმის მიცემის უფლება.

გარდა ამისა, გარეუბნებში, ქალაქის ბინებში, კოლეჯის საერთო საცხოვრებლებში, სამხედრო ყაზარმებში, ფერმებში, ტყის ქოხებში და უკანონო საბინაო ობიექტებში მცხოვრები, ასევე საცხოვრებელი ადგილის არმქონე ადამიანების დათვლის ლოგისტიკური პრობლემები ყოველთვის წარმომადგენდა რთულ ამოცანას, რომელსაც მკვლევრები ხალისით უმკლავდებიან. თუმცა, ამ ყველაფერში არის პოლიტიკური ასპექტი.

ბოლო ხანებში ქალაქის ღარიბების დაუთოვლელობის შესახებ შემფო-  
თებამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. დიდი ქალაქები, რომლებიც ყველაზე  
მეტად ზარალდებიან ხმების ნაკლები რაოდენობით, როგორც წესი, ხმა აძ-  
ლევენ დემოკრატებს და არა რესპუბლიკელებს, აქედან გამომდინარე ცხა-  
დია, თუ რომელი პარტია უჭერს მხარს აღწერის გაუმჯობესებას და რო-  
მელი ნაკლებ ენთუზიაზმს გამოხატავს ამასთან დაკავშირებით. იმის ნაც-  
ვლად, რომ ვივარაუდოთ, დემოკრატები უფრო უჭერენ მხარს მეცნიერებას,  
ვიდრე რესპუბლიკელები, ეს სიტუაცია კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ  
რა ხშირად ახდენს გავლენას კვლევაზე პოლიტიკური კონტექსტი, რომელ-  
შიც ჩვენ ვცხოვრობთ და ვატარებთ სოციალურ კვლევას.

### **პოლიტიკა აატარა „პ“ ასოთი**

პოლიტიკა ხშირად ხელს უშლის სოციალურ კვლევებს, მაგრამ სოციალ-  
ური კვლევების უფრო პირადი „პოლიტიკა“ კიდევ უფრო შორს მიდის. იგივე  
იტქმის, როდესაც კვლევას მიმართავენ კონფლიქტური ინტერესების მქონე  
ადამიანებს შორის დავის დროს. მაგალითად, როდესაც სასამართლოში ჩვე-  
ნების მისაცემად ინვევენ მკვლევარ- ექსპერტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი  
ტექნიკურად არც ერთ მხარეს არ წარმოადგენს, მაინც მოწვეულია ერთი  
მხარის მიერ და მისი ჩვენება მაინც უფრო ამ მხარის ინტერესების დასაცა-  
ვად იქნება მიმართული, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი ტყუიან, მაგრამ  
დიდი ალბათობით, მონაწილე მხარე გადაიხდის ექსპერტის ჩვენებისათვის  
თავიანთი საქმის მხარდასაჭერად და არა სანინალმდევოდ. ამგვარად, ექ-  
სპერტი მონმე სასამართლოში აღმოჩნდება იმიტომ, რომ მისი მეცნიერული  
და კეთილსინდისიერი მოსაზრება ემთხვევა იმ მხარის ინტერესებს, ვინც  
ფულს უხდის. როდესაც სასამართლოში მოხვდებით, აღმოჩნდებით ისეთ  
სამყაროში, რომლისთვისაც უცხოა ობიექტურობის იდეალები. აქ უეცრად  
ისეთი ნორმები ჩნდება, როგორცაა მოგება და წაგება. როგორც ექსპერტი  
მონმე, თქვენ სულ დიდი, თქვენს პატივისცემას დაკარგავთ.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ როგორც ადამიანები, მკვლევრები ადამი-  
ანებივით იქცევიან და ეს უნდა გავითვალისწინოთ მათი დასკვნების შეფა-  
სებისას. ეს არ ნიშნავს, რომ მათი კვლევა სანდო არ არის და არც საბაბს  
გვაძლევს უარყოთ აღმოჩენები, რომლებიც არ მოგვწონს, მაგრამ ეს აუც-  
ილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

მსგავსი კითხვები რეგულარულად ჩნდება სოციალური მეცნიერებების  
ფარგლებს გარეთ. მაგალითად, თქვენ ალბათ წაიკითხეთ ანგარიშები კვლე-  
ვის შესახებ, რომელიც ახდენს ახალი წამლის უსაფრთხოების დემონსტრი-  
რებას. კვლევა, დააფინანსა სწორედ ფარმაცევტულმა კომპანიამ, რომელ-  
მაც პრეპარატი შექმნა და დაინტერესებული იყო მიეღო ამერიკული სურსა-  
თისა და მედიკამენტების ადმინისტრაციის (FDA) ნებართვა მის გასაყიდად.  
მაშინაც კი, თუ კვლევა ჩატარდა უმაღლესი ხარისხით, მიზანშეწონილია  
დაისვას კითხვა, იყო თუ არა ის შელახული ინტერესთა კონფლიქტით. ან-  
ალოგიურად, როდესაც ქვანახშირის ან ნავთობის მრეწველობის მიერ და-  
ფინანსებული კვლევა ასკვნის, რომ გლობალური კლიმატის ცვლილება არ  
არის ადამიანის მიერ გამოწვეული პრობლემა, არ უნდა ჩავთვალოთ, რომ  
კვლევა მიკერძოებული იყო, მაგრამ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ეს შე-

საძლებლობა. სულ მცირე, ასეთი კვლევის სპონსორობა საჯარო უნდა იყოს. გაითვალისწინა რა ასეთი მოსაზრება, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ასოციაციამ (AAPOR) 2009 წელს ჩამოაყალიბა „გამჭვირვალობის ინიციატივა“, რომელიც თხოვს ასოციაციის ყველა წევრს და მოუწოდებს ყველა სხვა მკვლევარს, ღიად და სრულად წარმოაჩინონ მათი კვლევის მეთოდების დეტალები.

### **პოლიტიკა პირსაქმებში**

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ეთიკური და პოლიტიკური განზომილებები პრინციპულად განსხვავებულია, ისინი მაინც გადაიკვეთებიან. ყოველთვის, როცა პოლიტიკოსები ან საზოგადოება იგრძნობს, რომ სოციალური კვლევა არღვევს ეთიკურ ან მორალურ სტანდარტებს, ისინი მაშინვე ახდენენ რეაგირებას დაცვის საკუთარი საშუალებებით. უფრო მეტიც, სტანდარტები, რომლებსაც ისინი იცავენ, შესაძლოა არ ემთხვეოდეს მკვლევართა საზოგადოების სტანდარტებს.

დღესდღეობით, „მეცნიერების პოლიტიზაცია“ განსაკუთრებით აქტუალური თემაა, პოლიტიკური სპექტრის ორივე მხრიდან ბრალდებებით. ერთის მხრივ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ევოლუციის სწავლებისადმი მიმართული განახლებული წინააღმდეგობები, მაშინ როცა კრეატიულობის სწავლების მოთხოვნები შეიცვალა ინტელექტუალური დიზაინის მხარდაჭერით. ამ თვალსაზრისით, მეცნიერება განიხილება, როგორც რელიგიაზე დაფუძნებული შეხედულებების საფრთხე და მეცნიერებს ზოგჯერ ადანაშაულებენ ანტირელიგიურ დღის წესრიგში. მეორეს მხრივ, შემფოთებულ მეცნიერთა კავშირის განცხადება (2005), რომელიც ხელმოწერილია ათასობით მეცნიერის მიერ, გამოხატავს შემფოთებას, რომ პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციამ ერთი პარტიის ხელში შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელ ფუნქციონირებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება ხელშეუხებელი არ არის პოლიტიკისგან. პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული იდეოლოგიების შეჭრა მხოლოდ სოციალური კვლევისთვის არ არის დამახასიათებელი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განიცდიდნენ და განიცდიან მსგავს სიტუაციებს. თუმცა, სოციალური მკვლევრები სწავლობენ იმას, რაც მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის; იმას, რაზეც მათ აქვთ მყარი, პირადი განცდები; და რაც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, მკვლევარები ადამიანები არიან და მათი გრძნობები ხშირად ვლინდება მათ პროფესიულ ცხოვრებაში.

მეორეც, მეცნიერება ვითარდება პოლიტიკური დაპირისპირებისა და მტრობის ფონზე. მაშინაც კი, როცა მკვლევრები ბრაზდებიან და ერთმანეთს ლანძღავენ, ან მაშინ, როდესაც კვლევითი საზოგადოება გარედან თავდასხმას განიცდის, მეცნიერული კვლევა გრძელდება. ტარდება კვლევები, მოხსენებები ქვეყნდება და ახალი ისწავლება. მოკლედ, იდეოლოგიური დავები არ აჩერებს მეცნიერებას, მაგრამ უფრო რთულს და საინტერესოს ხდის მას.

მესამე, იდეოლოგიური მოსაზრებების გაცნობიერება ამდიდრებს სოციალური კვლევის მეთოდების შესწავლასა და პრაქტიკას. მეცნიერების

მრავალი დამკვიდრებული მახასიათებელი, მათ შორის, ინტერ სუბიექტურობა, ფუნქციონირებს ჩვენი ადამიანური ნაკლის აღმოფხვრის ან კონტროლის მიზნით, განსაკუთრებით იმით, რაც ჩვენ არ ვიცით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება შევხედოთ სამყაროს და ვერაფერი დავინახოთ ჩვენი პირადი მიკერძოებისა და რწმენის ანარეკლის გარდა.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრებმა არ უნდა დაუშვან თავიანთი ღირებულებების ზემოქმედება მათი კვლევის ხარისხსა და კეთილსინდისიერებაზე, ეს არ ნიშნავს, რომ მკვლევრებს არ შეუძლიათ ან არ უნდათ მიიღონ მონაწილეობა საჯარო დებატებში და გამოხატონ თავიანთი მეცნიერული ცოდნა და პირადი ღირებულებები. მაგალითად, მკვლევარმა შეიძლება ჩაატაროს კვლევა რასობრივი ცრურწმენების შესახებ, მაგრამ პირადად რასობრივი ცრურწმენების წინააღმდეგი იყოს და ამბობდეს კიდევ ამის შესახებ. ზოგი თვლის, რომ მეცნიერ-მკვლევრებს თავიანთ საზოგადოებაში სამეცნიერო მუშაობის გამოცდილების წყალობით აქვთ გარკვეული ვალდებულება ხმამაღლა ისაუბრონ და არ მიანდონ ეს როლი პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და თოქშოუს წამყვანებს.

### **3. ძირითადი პოზიტივისტური იდეები: მიზეზობრიობა, თეორიები და ცნებები**

*რედაქტორები: დონატელა დელა პორტა, მაიკლ კიტინგი*

#### **კაუზალური (მიზეზობრივი) ახსნა (ავტორი: ალრიან ჰერიტი)**

ეს თავი წარმოგიდგენთ მიდგომების ერთობლიობას კონკრეტული ემპირიული პოლიტიკური და სოციალური ფენომენების სისტემური ახსნისათვის. კვლევა, რომელიც ეძიებს მოცემული ემპირიული პოლიტიკური ან სოციალური ასპექტების სიღრმისეულ გაგებას და იდეოგრაფიულ აღწერას მოითხოვს. ამ ტიპის სოციალური მეცნიერება ცდილობს უპასუხოს კითხვებს „რატომ“.

როგორც გერინგი (2005: 170) ამბობს:

„მიზეზი რომ იყოს, განსახილველი მიზეზი უნდა წარმოქმნას, შექმნას ან წარმოქმნას სავარაუდო შედეგი“.

#### **პროცედურა**

აქ განხილული ახსნის პროცედურები ემყარება ლოგიკურ (დაუმტკიცებელ) ვარაუდებს, რომ არსებობს ცნობადი კანონზომიერებები და ცნობადი წესრიგი მსოფლიოში. მიზეზობრივი არგუმენტი არ შეიძლება გამოითქვას სამყაროს მოწყობის შესახებ რიგი ვარაუდების გაკეთების გარეშე, არსებობს წესრიგისა და სტრუქტურის ხარისხი და მისი გაგება შესაძლებელია“ (Nachmias and Frankfort-Nachmias 1976: 6–7).

გამოითქმება ვარაუდი, „რომ ჩვენ მივისწრაფვით სამყაროს შესახებ ადამიანის მიერ შექმნილი ცოდნისკენ, რომელიც არის სისტემატური,

ემპირიული, ცრუდ მხილებადი, გამეორებადი და, გარკვეული აზრით, „ობიექტური“ (Gerring 2005: 169).

მეცნიერულ ცოდნაში გაკეთებული „ჭეშმარიტების“ პრეტენზიები ობიექტურად და გამჭვირვალე გზით უნდა იყოს დემონსტრირებული (Nachmias and Frankfort-Nachmias 1976: 8).

ცოდნა, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო მტკიცებულებების ვალიდურობის მხარდასაჭერად, უნდა იყოს ემპირიული, დაეყრდნოს აღქმას, გამოცდილებასა და დაკვირვებებს. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, იმართება არსებული თვალსაზრისებითა და თეორიული ცნებებით (Popper 1961: 106).

აქ განხილული კაუზალური ახსნის ყველა მიდგომა მიისწრაფვის კანონ-ზომიერებისა და განზოგადებისკენ, სანდოობისა და რეპლიკაციისკენ, ვალიდურობისკენ, პროგნოზირებისა და ლაკონურობისკენ, თუმცა უკანასკნელ ორთან მიმართებაში განსხვავებული ხარისხით. რეგულარობა და განზოგადება ეხება კონცეფციებს შორის ურთიერთობებს (იხ. Mair, თავი 10).

ეს ურთიერთობები გამოხატულია როგორც ჰიპოთეზები ან წინადადებები დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის კავშირის შესახებ, სადაც ცვლადი არის კონცეფციის ემპირიულად გაზომვადი ასპექტი, რომელიც აღწერს მიზეზობრივ თანმიმდევრობას (Nachmias and Frankfort-Nachmias 1976; King, Keohane and Verba 1994). ეს ჰიპოთეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც ალბათობის განცხადებები, კანონები ან აუცილებელი და საკმარისი პირობები (Ragin 1987).

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული მოვლენის მიზეზების შესახებ ზოგადი მტკიცებულებების ფორმულირება და ამ მტკიცებულებების სისტემატური ემპირიული შემოწმება საერთოა ყველა აქ განხილული მიდგომისთვის, ისინი მაინც განსხვავდებიან გამოყენებული კონკრეტული პროცედურებით. შემდეგი მნიშვნელოვანი მოქმედების გზები განსაკუთრებით სასარგებლოდ ჩანს რთული პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ახსნისას:

- დედუქციური და ინდუქციური მიდგომები;
- შედარებითი სტატისტიკა;
- მიზეზობრივი მექანიზმები;
- განმარტებითი ჩარჩოები და მოდულური ახსნა-განმარტებები;
- მიზეზობრივი რეკონსტრუქცია.

#### **დედუქციური და ინდუქციური მიდგომები**

მიზეზობრივი კავშირების იდენტიფიცირებისას კონკრეტული განმარტებისთვის, ადამიანს შეუძლია აირჩიოს დედუქციური ან ინდუქციური გზა. თუ შეირჩა დედუქციური მიდგომა, მოვლენის ახსნა გამომდინარეობს თეორიული ჰიპოთეზიდან იმ პროცესების შესახებ, რამაც გამოიწვია იგი (Little 1991: 7).

თეორია შინაგანად თანმიმდევრულია, თუ ჰიპოთეზები, რომლებსაც ის შეიცავს, არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

დედუქციურად მოქმედებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ

თეორიული ანალიზის მიზანია მოდელი და არა რეალობის ერთი-ერთზე ასახვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზანი არ არის რეალობაში მოცემული სიტუაციის დეტალურად აღწერა ყველა მისი დეტალით, არამედ ყურადღების გამახვილება იმაზე, რასაც სიტუაციის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებად მივიჩნევთ. ეს გულისხმობს სიტუაციის წინასწარ, თეორიით ნაკარნახევ კონცეპტუალიზაციას. ეს კონცეპტუალიზაცია გადაითარგმნება მოდელად, რომლის კომპონენტებიც, სავარაუდოდ, მოიცავს ასახსნელი კონკრეტული ემპირიული სიტუაციის არსებით ელემენტებს. ამის გაკეთებით, თეორიული ანალიზის შედეგები ასევე ნათელს მოჰფენს რეალურ სიტუაციას, რომლის ახსნასაც ემსახურება მოდელი (Hedström და Swedberg 1998: 13–14).

ახსნა-განმარტებითი მოდელის ალტერნატივა არის არა მოდელის გამოყენება, არამედ ალტერნატიული მოდელის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია ალტერნატიულ თეორიაზე (Hedström and Swedberg 1998: 14).

ჰიპოთეზის ემპირიულად დასადასტურებლად, ჰიპოთეზაში ნახსენები ყველა ცვლადი უნდა იყოს განსაზღვრული და ოპერაციონალიზებული, სხვა საკითხებთან ერთად, დროისა და სივრცის პირობების მითითებით, რომლებშიც მოსალოდნელია, რომ დებულება იქნება ჭეშმარიტი.

ინდუქციური მიდგომა, დედუქციური მიდგომისგან განსხვავებით, თეორიით ხელმძღვანელობილი ემპირიული კვლევისადმი, იწყება საინტერესო ფენომენის ემპირიული გამოკვლევით (Merton 1968). მიზანია შესასწავლი ემპირიული სფეროს ახალი ხედვის მიღება, მონაწილე აქტორების პერსპექტივიდან დანახვით. მონაცემთა სხვადასხვა წყაროს გამოყენებით, ყურადღებით აღინერება ემპირიული კანონზომიერებები. შემდგომ ეტაპზე ხდება ემპირიული ინფორმაციის კონცეპტუალური ინტერპრეტაცია.

### **შედარებითი სტატიკა**

სოციალურ-მეცნიერული კვლევის მიზანი, როგორც წესი, არის შედეგების ახსნა და დაკვირვება. როგორც ხაზგასმით აღინიშნა, პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების მიერ გამოკვლეული ფენომენების უმეტესობა სირთულის გამო მოითხოვს შეფასებას.

ამ მრავალფაქტორული ასახსნელი პრობლემის შემთხვევაში, შედარებითი სტატიკა იყენებს სააზროვნო ან კონცეპტუალურ ექსპერიმენტს, რომელიც ეფუძნება ორი ქეისის (შემთხვევის) შედარებას. ძირითადი იდეა არის ერთი მახასიათებლის ცვლილება, მაშინ როცა შერჩეული ქეისების ყველა სხვა მახასიათებელი უცვლელი რჩება, იმის შეფასებით, თუ როგორ ზემოქმედებს ეს ცვლილება შედეგზე. თუ შედეგი იცვლება, დასკვნა კეთდება, რომ ეს გამონეული იყო შესაბამისი დამოუკიდებელი ცვლადის მახასიათებლის ცვლილებით.

შედარებითი სტატისტიკის საფუძვლად არსებული ლოგიკა არის ის, რომ შედეგების ახსნისას ყველა შესაძლო გავლენის ფაქტორი ერთდროულად ვერ იქნება გამოყენებული, ანუ ვერ შეიცვლება. ყველა, გარდა ერთისა, უნდა დარჩეს უცვლელი. (Gourevitch 1999: 13)

ყველა ასპექტის უცვლელად შენარჩუნებით, გარდა ერთი საინტერესო ახსნადი ცვლადისა, ჩვენ ვიყენებთ საკონტროლო ცვლადებს, რათა

შევამციროთ იმ დამოუკიდებელი ცვლადების მარკირების რისკი, რომლებიც სინამდვილეში არ არიან პასუხისმგებელნი დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის გამონეგვაზე; ეს იქნებოდა მცდარი ურთიერთობები (Nachmias and Frankfort-Nachmias 1976: 56).

შედარებითი სტატისტიკის გამოყენებისას ახსნით სავარჯიშოში, უნდა დაცული იყოს ანალიზის ერთეულების „ერთეულოვანი ჰომოგენურობა“ (ან პირობითი დამოუკიდებლობა), და თავიდან უნდა იქნას აცილებული ენდოგენურობა და მულტიკოლინეარობა. ერთეულოვანი ჰომოგენურობის დაცვისას, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ რამდენიმე შემთხვევის შედარებისას სხვადასხვა მნიშვნელობებით, თითოეული შემთხვევის დამოკიდებული ცვლადების მოსალოდნელი მნიშვნელობები იგივეა, როდესაც ჩვენი ახსნითი ცვლადი იღებს კონკრეტულ მნიშვნელობას ან, ნაკლებად მკაცრად, რომ არსებობს მაინც „მუდმივი ეფექტი“ (King, Keohane and Verba 1994).

შედარებითი სტატისტიკური ექსპერიმენტები შეიძლება განხორციელდეს დედუქციურად - მიღებული არსებული თეორიიდან - ან ინდუქციურად - თავდაპირველად შემოთავაზებული არსებულიდან ემპირიულ დაკვირვებებს და შემდეგ ექვემდებარება სისტემატიურ ემპირიულ შეფასებას.

#### **მიზეზობრივი მექანიზმები**

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ემპირიულად დავაკვირდით სისტემატურ კავშირს მიზეზსა და კონკრეტულ შედეგს შორის, შეიძლება გვსურდეს უფრო შორს წავიდეთ და გამოვიკვლიოთ დამოუკიდებელი ცვლადის დამოკიდებულ ცვლადთან დაკავშირების პროცესის ბუნება, რითაც გამოვავლენთ ძირითად მიზეზობრივ მექანიზმს (Elster 1989: 3–10; Little 1991).

მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმის არგუმენტი, რომელიც არ ეყრდნობა ახსნის და ასახსნელის კოვარიაციულ პატერნებს შორის რაიმე მიმართვას, უშედეგო იქნებოდა.

კორელაცია ეხება მიზეზსა და შედეგს შორის თანაცვლილების მოდელს, ხოლო მექანიზმები ეხება დაკავშირების პროცესს სავარაუდო მიზეზსა და მის შედეგს შორის, და კითხვა არის, უფრო მეტად, ფოკუსირდება თუ არა მიზეზობრივი ახსნამხოლოდ ასოციაციურ მოდელებზე X-სა და Y-ს შორის, იმის განხილვის გარეშე, თუ რა შეიძლება აკავშირებდეს მათ; თუ ფოკუსირდება მხოლოდ მიზეზობრივ მექანიზმებზე.

ერთ-ერთი მიზეზობრივი მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ურთიერთობას, შეიძლება ეხებოდეს შემოსავალზე დამოკიდებულ მოხმარებას და ცხოვრების პირობებს და მათ გავლენას ჯანმრთელობაზე. მეორე შეიძლება ეხებოდეს სამუშაო პირობებს და მათ გავლენას ჯანმრთელობაზე; კიდევ ერთი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის ცნობიერების ამაღლება უკეთესი განათლების გამო.

მიზეზობრივი მექანიზმები, როგორც ფუძემდებლური სტრუქტურები და მექანიზმები, შეიძლება იყოს ორიენტირებული და ჰიპოთეზირებული ახსნა-განმარტების წარმოებისთვის. მიზეზობრივი მექანიზმებია დაუკვირვებადი ანალიტიკური კონსტრუქტები, რომლებიც გამომწვევი აგენტების გამოძახებით.

## კვლევის სტრუქტურა: რაოდენობრივი და თვისებრივი

მეცნიერება ეძღვნება „გარკვევას“. მიუხედავად იმისა, რისი გარკვევა გსურთ, თქვენ, სავარაუდოდ, მის მოსაძებნად ბევრ გზას აღმოაჩენთ. ეს ასეა ზოგადად ცხოვრებაში. სანამ დაკვირვებას და ანალიზს შეძლებთ, საჭიროა გეგმა. უნდა განსაზღვროთ, რისი დაკვირვება და ანალიზი გსურთ: რატომ და როგორ. სწორედ ეს არის კვლევის დიზაინი. მიუხედავად იმისა, რომ დეტალები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რისი შესწავლა გსურთ, ნებისმიერი კვლევის აგებისას ორი ძირითადი ამოცანის წინაშე აღმოჩნდებით: პირველ რიგში, თქვენ უნდა მიუთითოთ რაც შეიძლება ნათლად, რისი გარკვევა გსურთ. მეორე, თქვენ უნდა განსაზღვროთ საუკეთესო გზა ამის გასაკეთებლად.

მაგალითად, გსურთ ჩაატაროთ სოციალური კვლევა ტერორიზმზე. როდესაც 2004 წელს ჯეგრი როსმა ამ საკითხს მიმართა, ნახა, რომ უკვე ჩატარებულ კვლევებში გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები. მაგალითად, თვისებრივმა მკვლევრებმა ორიგინალური მონაცემები შექმნეს შემდეგი გზით:

- ავტობიოგრაფიებით;
- ინციდენტის ანგარიშებით;
- მძევლების გამოცდილებით ტერორისტებთან;
- პირველწყაროდან პოლიტიკის განხორციელების ანგარიშებით.

რაოდენობრივი მკვლევრები, მეორეს მხრივ, ტერორიზმს სხვადასხვა გზით მიუდგნენ, მაგალითად, აანალიზებდნენ მედიის მიერ ამ საკითხის გაშუქებას, ტერორისტული მოვლენების სტატისტიკურ მოდელირებას და ამ თემის შესაბამისი მონაცემთა ბაზების გამოყენებას.

### კვლევის სამი მიზანი

სოციალური კვლევა შეიძლება ემსახურებოდეს ბევრ მიზანს. მათგან სამი ყველაზე გავრცელებული და სასარგებლოა. ესენია: ძიება, აღწერა და ახსნა/განმარტება.

### ძიება

სოციალური კვლევების უმეტესობა საკითხის გამოსაკვლევად ტარდება. ამ მიდგომას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მკვლევარი შეისწავლის რაიმე ახალ ინტერესს ან თავად კვლევის საგანი არის შედარებით ახალი. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ გადასახადის გადამხდელთა უკმაყოფილებამ მათი ბუნტი გამოიწვია. ისინი უარს ამბობენ გადასახადის გადახდაზე და ამ საკითხის ირგვლივ მოხდა თანამოაზრეების დაჯგუფება. ამ მოძრაობის შესასწავლად საჭირო იქნება ისეთ კითხვებზე პასუხის პოვნა, როგორცაა: რამდენად გავრცელებულია იგი? რა დონის და ხარისხის მხარდაჭერა არსებობს საზოგადოებაში? როგორ არის ორგანიზებული მოძრაობა? როგორი ხალხია მასში ჩართული? მოცემული მიდგომა დაგეხმარებათ რამდენიმე

კითხვაზე მიანც იპოვოთ დაახლოებითი პასუხი. ციფრები შეგიძლიათ საგადასახლო ორგანოს პასუხისმგებელ პირებთან გადაამოწმოთ, მოაგროვოთ და შეისწავლოთ მასალები მოძრაობის შესახებ, დაესწროთ შეხვედრებს და ინტერვიუ ჩამოართვათ ლიდერებს.

საძიებო კვლევები, ასევე, შესაფერისია უფრო მდგრადი მოვლენებისთვის. დავუშვათ, რომ უკმაყოფილო ხართ თქვენი კოლეჯის გამოსაშვები მოთხოვნებით და გსურთ მათი შეცვლა. შეგიძლიათ შეისწავლოთ კოლეჯში ასეთი მოთხოვნების ისტორია და შეხვედეთ კოლეჯის ოფიციალურ პირებს, რათა გაეცნოთ არსებული სტანდარტების მიზეზებს. შეგიძლიათ ესაუბროთ რამდენიმე სტუდენტს, რათა მიიღოთ უხეში წარმოდგენა ამ თემაზე მათი აზრის შესახებ.

ზოგჯერ ასეთი კვლევა ტარდება ფოკუსჯგუფების ან მცირე ჯგუფში მართვადი დისკუსიების გამოყენებით.

საძიებო კვლევები, როგორც წესი, ტარდება სამი მიზნით: (1) მკვლევარის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და საკითხის უკეთ გასაგებად, (2) უფრო ვრცელი კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობის შესამოწმებლად და (3) ისეთი მეთოდების შესამუშავებლად, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ შემდგომ კვლევაში.

საძიებო კვლევების მთავარი ნაკლოვანება ის არის, რომ ისინი იშვიათად იძლევიან დამაკმაყოფილებელ პასუხებს კვლევის კითხვებზე, თუმცა მათ შეუძლიათ მოგვცენ მინიშნებები პასუხებზე და მიუთითონ კვლევის რომელ მეთოდებს შეუძლიათ საბოლოო პასუხის გაცემა. მიზეზი, რის გამოც საძიებო კვლევები იშვიათად არის საბოლოო, თავისთავად დაკავშირებულია წარმომადგენლობასთან; ანუ ადამიანები, რომლებიც თქვენს კვლევაში მონაწილეობენ, შეიძლება არ იყონ ტიპური წარმომადგენლები იმ დიდი ჯგუფისა, რომელსაც იკვლევთ. როდესაც ამ წარმომადგენლობას გაიგებთ, მაშინ მიხვდებით კვლევით საბოლოო პასუხი მიიღეთ თუ მხოლოდ პასუხზე მინიშნება.

## აღწერა

ბევრი სოციალური კვლევის მიზანია სიტუაციებისა და მოვლენების აღწერა. მკვლევარი ჯერ აკვირდება და შემდგომ აღწერს იმას, რასაც დააკვირდა. იმის გამო, რომ მეცნიერული დაკვირვება საგულდაგულო და მიზანმიმართულია, მეცნიერული აღწერილობები ჩვეულებრივ უფრო ზუსტი და დეტალურია, ვიდრე ჩვეულებრივი აღწერილობა. მაგალითად, აშშ-ს მოსახლეობის აღწერის მიზანია ზუსტად და ზედმინევნით აღწეროს შეერთებული შტატების მოსახლეობის მახასიათებლების ფართო სპექტრი, ისევე როგორც შტატებისა და ოლქების.

ბევრი თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავს, პირველ რიგში, აღწერას. მკვლევრები ჩვეულებრივ აგრძელებენ იმის გამოკვლევას, თუ რატომ არსებობს დაკვირვებადი კანონზომიერებები და რას გულისხმობენ ისინი.

## ახსნა/განმარტება

სოციალური კვლევების მესამე ძირითადი მიზანია ახსნა/განმარტება. აღწერილობითი კვლევა პასუხობს კითხვებზე რა, სად, როდის და როგორ,

მაშინ, როცა განმარტებითი კვლევა პასუხობს კითხვას – რატომ?. მაგალითად, ამომრჩეველთა ხმის მიცემის განზრახვების შესახებ ანგარიში აღწერილი ხასიათისაა, ხოლო თუ რატომ მისცა ზოგიერთმა ხმა ერთ კანდიდატს და ზოგმა – მეორეს, განმარტებითია.

განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა. ბოლო წლებში ამერიკის დამოკიდებულებაში მარიხუანას მიმართ შეიმჩნევა რადიკალური ცვლილება. სამედიცინო მარიხუანას მოხმარებას სულ უფრო მეტი შტატი უჭერს მხარს და ამ მომენტისთვის, მარიხუანას რეკრეაციული გამოყენება ლეგალურია კოლორადოში, ვაშინგტონში, ალიასკაზე, ორეგონში, კალიფორნიაში, ნევადაში, მიჩიგანში, მასაჩუსეტსში, ვერმონტსა და მეინში. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა შეიძლება ჩამოაყალიბოს ადამიანების დამოკიდებულება მარიხუანას ლეგალიზაციის მიმართ? ამაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, შეგიძლიათ დაფიქრდეთ, განსხვავდება თუ არა კაცებისა და ქალების მოსაზრებები. 2016 წლის ზოგადი სოციალური კვლევის (GSS) მონაცემების განმარტებითი ანალიზი მიუთითებს, რომ მამაკაცების 65 პროცენტმა და ქალების 56 პროცენტმა მხარი დაუჭირა მარიხუანას ლეგალიზაციას. იგივე გამოკვლევა ჩატარდა პოლიტიკოსებს შორისაც, თუ პარტიების რამდენმა პროცენტმა დაუჭირა მხარი მარიხუანას ლეგალიზაციას. ამ სტატისტიკის გათვალისწინებით, შეიძლება დავინყოთ მარიხუანას ლეგალიზაციისადმი დამოკიდებულების ახსნა.

#### იდიოგრაფიული ახსნა

იდიოგრაფიული ახსნა ეძებს მოვლენებისა და სიტუაციების გამომწვევი მიზეზების ამომწურავ გაგებას ერთ ან შეზღუდულ რაოდენობაში. თუ გსურთ იმის გაგება, რატომ იფეთქა სტუდენტურმა პროტესტმა კონკრეტული კოლეჯის კამპუსში, უნდა მოიძიოთ ყველაფერი, რამაც ხელი შეუწყო ამ მოვლენას. განიხილავთ კოლეჯის ისტორიას, მის ორგანიზაციულ სტრუქტურას, სტუდენტური ორგანიზაციის ბუნებას, გავლენიანი პირების ქმედებებს (ადმინისტრატორები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვ.), სტუდენტური აქტივობების კონტექსტს ეროვნულ დონეზე, გამომწვევ მოვლენებს (მაგ. სტუდენტური ორგანიზაცია, სტუდენტის დაკავება) და ა.შ. თქვენ გეცოდინებათ, რომ თქვენი ანალიზი დასრულებულია მაშინ, როდესაც თქვენ მიერ შეკრებილი ახსნა-განმარტებითი ფაქტორების შედეგად პროტესტი გარდაუვალი გახდა და, მაშინაც, როდესაც რომელიმე ამ ფაქტორების არარსებობამ ხელი შეუშალა მას.

თუმცა, არ არსებობს სტატისტიკური ტესტი, რომელიც გეტყვით, როდის მიაღწიეთ ამ ანალიტიკურ წარმატებას. მაგრამ არის რამდენიმე ტექნიკა, რომელიც გასათვალისწინებელია.

ყურადღება მიაქციეთ თქვენ მიერ შესწავლილ სოციალურ პროცესებში მცხოვრები ადამიანების მიერ მოცემულ განმარტებას. რა თქმა უნდა, ყველაფერს, რასაც გეტყვიან, არ უნდა დაუჯეროთ, მაგრამ არც ის იფიქროთ, რომ იქ მცხოვრებლებზე უფრო მეტი იცით. თუ გამოკითხულთა უმეტესობა ეთანხმება გარკვეულ საკითხს, შეგიძლიათ იფიქროთ, რომ, სავარაუდოდ, ეს იყო მიზეზი იმ მოვლენისა, რომელსაც სწავლობთ. მაგალითად, კამპუსში სტუდენტების პროტესტის შემთხვევაში, სტუდენტები და

ადმინისტრაცია განსხვავებულ ვერსიას შემოგთავაზებენ, მაგრამ თუ ყველა ეთანხმება იმას, რომ სტუდენტის დაპატიმრება გახდა უშუალო საბაბი, ეს ნიშნავს, რომ ეს მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

შეიძლება სასარგებლო იყოს მსგავს სიტუაციებთან შედარება სხვადასხვა ადგილას ან ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა დროს. შესაძლებელია ამავე კამპუსში ადრეც ჰქონდა ადგილი პროტესტებს ან იყო დრო, როცა პროტესტი მომწიფდა, მაგრამ არ მომხდარა. ასეთი შემთხვევების ცოდნამ შეიძლება უზრუნველყოს შესასწავლი შემთხვევის სასარგებლო შედარება და კონტრასტი. ანალოგიურად, პროტესტს ან არა პროტესტს სხვა კამპუსებში შეუძლია სასარგებლო შედარებები შემოგთავაზოთ.

### **ნომოთეტური განმარტების ლობიკა**

წინარე გამოკვლევა იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს მარიხუანას ლეგალიზებისადმი დამოკიდებულება, ასახავს ნომოთეტურ ახსნას. ეს განმარტებითი მოდელი განსხვავდება იდიოგრაფიული მოდელისგან, რომელშიც ჩვენ ვცდილობთ ერთი შემთხვევის სრულ, სიღრმისეულ გაგებას. იდიოგრაფიული მიდგომისგან განსხვავებით, ნომოთეტური მიდგომა შეიძლება მიუთითებდეს, რომ მარიხუანას ლეგალიზაციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის დიდ ნაწილს საერთო პოლიტიკური ორიენტაციები განაპირობებს. იმის გამო, რომ ეს მოდელი არსებითად სავარაუდოა, ის უფრო ღიაა გაუგებრობისა და არასწორი ინტერპრეტაციისთვის, ვიდრე იდიოგრაფიული მოდელი. ვნახოთ რას გულისხმობენ ან არ გულისხმობენ სოციალური მკვლევარები, როდესაც ამბობენ, რომ ერთი ცვლადი (ნომოთეტურად) იწვევს მეორეს.

### **ნომოთეტური მიზეზობრიობის კრიტიკრიუმები**

სოციალურ კვლევაში ნომოთეტური მიზეზობრივი ურთიერთობების სამი ძირითადი კრიტერიუმი: (1) ცვლადები უნდა იყოს კორელაციური, (2) მიზეზი ხდება ეფექტამდე და (3) ცვლადები არ არის ცრუ.

### **კორელაცია**

თუ რაიმე რეალური კავშირი - სტატისტიკური კორელაცია - არ არის ნაპოვნი ორ ცვლადს შორის, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. GSS-ის მონაცემების ჩვენმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკური ორიენტაცია იყო მარიხუანას ლეგალიზებისადმი დამოკიდებულების მიზეზი. ლიბერალებისა და კონსერვატორების იგივე პროცენტი რომ ყოფილიყო ლეგალიზაციის მხარდამჭერი, ვერ ვიტყოდით, რომ პოლიტიკური ორიენტაცია იყო ამის გამომწვევი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კრიტერიუმი აშკარაა, ის ხაზს უსვამს სოციალური კვლევის მტკიცებების დაფუძნების აუცილებლობას რეალურ დაკვირვებებზე და არა ვარაუდებზე.

**კორელაცია.** ორ ცვლადს შორის ისეთი ემპირიული ურთიერთობა, როდესაც (1) ცვლილებები ერთში დაკავშირებულია მეორეში ცვლილებებთან ან (2) ერთი ცვლადის კონკრეტული ატრიბუტები დაკავშირებულია მეორის კონკრეტულ ატრიბუტებთან. ამრიგად, მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ

განათლება და შემოსავალი ურთიერთკავშირშია იმით, რომ განათლების უმაღლესი დონე ასოცირდება შემოსავლის მაღალ დონესთან. კორელაცია თავისთავად არ წარმოადგენს მიზეზობრივ კავშირს ორ ცვლადს შორის, მაგრამ ის არის მიზეზობრიობის ერთ-ერთი კრიტერიუმი.

**ყალბი ურთიერთობა.** შემთხვევითი სტატისტიკური კორელაცია ორ ცვლადს შორის, რომელიც ნაჩვენებია, რომ გამონკვეულია რომელიმე მესამე ცვლადით.

### **დროის თანმიმდევრობა**

ვერ ვიტყვით, რომ მიზეზობრივი კავშირი არსებობს, თუ მიზეზი დროში არ უსწრებს შედეგს. მარიხუანას მაგალითით ლოგიკური იქნება იმის თქმა, რომ სქესი ინვესს გარკვეულწილად ლეგალიზაციისადმი დამოკიდებულებას, მაშინ როცა აზრი არ აქვს იმის თქმას, რომ მარიხუანას შესახებ მოსაზრებები განსაზღვრავს ადამიანის სქესს. თუმცა ყურადღება მიაქციეთ, რომ პოლიტიკური ორიენტაციებისა და ლეგალიზაციის მიმართ დამოკიდებულების დამაკავშირებელი დროის რიგი ნაკლებად მკაფიოა, თუმცა ხანდახან ვთვლით, რომ ზოგადი ორიენტაციები ინვესს კონკრეტულ მოსაზრებებს. და ზოგჯერ ჩვენი ანალიზები მოიცავს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ცვლადს, რომლებიც ჩამოყალიბდა ერთდროულად: მაგალითად, სქესის და რასის ზემოქმედებას ხმის მიცემის ქცევაზე. დროის თანმიმდევრობა შეიძლება რთული საკითხი იყოს.

### **არასიყალბე**

მიზეზობრივი კავშირის მესამე მოთხოვნა არის ის, რომ ეფექტი არ შეიძლება აიხსნას მესამე ცვლადის მიხედვით. მაგალითად, არსებობს კორელაცია ნაყინის გაყიდვასა და დახრჩობის გამო სიკვდილს შორის: რაც უფრო მეტი ნაყინი იყიდება, მით მეტია დახრჩობის შემთხვევები და პირიქით. თუმცა, არ არსებობს პირდაპირი კავშირი ნაყინსა და დახრჩობას შორის. მესამე ცვლადი აქ არის სეზონი ან ტემპერატურა. დახრჩობით სიკვდილიანობა ხდება ზაფხულში - ნაყინის გაყიდვის პიკის პერიოდში.

აქ არის ყალბი ურთიერთობების მაგალითი ან ისეთი, რომელიც არ არის ნამდვილი. ნეგატიური კავშირია ჯორების/მულების რაოდენობასა და მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობას შორის პატარა ქალაქებსა და დიდ ქალაქებში: რაც მეტია ჯორი/მული, მით ნაკლებია დოქტორები და პირიქით. ალბათ თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვა ცვლადი, რომელიც ხსნის ამ ამკარა ურთიერთობას. პასუხი არის სოფლის პირობები ურბანული პირობების წინააღმდეგ. სოფლად უფრო მეტი ჯორია/მულია (და ნაკლები დოქტორი), ხოლო ქალაქებში - პირიქითაა.

როდესაც სოციალური მკვლევრები ამბობენ, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, მაგალითად, განათლებასა და რასობრივ ტოლერანტობას შორის, ისინი გულისხმობენ: (1) სტატისტიკური კორელაციის არსებობას ორ ცვლადს შორის, (2) პიროვნების განათლების დონეს ადრეულ პერიოდში, ვიდრე ტოლერანტობის ან ცრურწმენის ამჟამინდელ დონეს. და (3) არ არსებობს მესამე ცვლადი, რომელსაც შეუძლია ახსნას დაკვირვებადი კორელაცია, როგორც ყალბი.

### **ნომოთეტური მიზნობრივი ანალიზი და ჰიპოთეზის შემოწმება**

მიზეზობრივი ანალიზის ნომოთეტური მოდელი თავს იჩენს ჰიპოთეზის ტესტირებაში (იხ. თავი 2). ამისათვის თქვენ გულდასმით მიუთითებთ ცვლადებს, რომლებიც, თქვენი აზრით, მიზეზობრივ კავშირშია ერთმანეთთან, ასევე მიუთითებთ იმას, თუ როგორ გაზომავთ მათ. გარდა იმისა, რომ გამოთქვით ჰიპოთეზა, რომ ორი ცვლადი იქნება კორელირებული, შეგიძლიათ მიუთითოთ სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონე, რომელიც დაგჭირდებათ, რათა დაასკვნათ, რომ არსებობს ნამდვილი ურთიერთობა.

დაბოლოს, შეგიძლიათ დააკონკრეტოთ ტესტები სიყალბის შესამოწმებლად, რომლებმაც ნებისმიერ დაკვირვებულ ურთიერთობას უნდა გაუძლოს. მაგალითად, თქვენ არა მხოლოდ წამოაყენებთ ჰიპოთეზას, რომ განათლების მომატებული დონე შეამცირებს ცრურწმენის დონეს, არამედ დააკონკრეტებთ, რომ ჰიპოთეზირებული ურთიერთობა არ იქნება, ვთქვათ, პოლიტიკური ორიენტაციის პროდუქტი.

### **ნომოთეტური მიზნობრივობის მცდარი კრიტერიუმები**

იმის გამო, რომ მიზეზისა და ეფექტის ცნებები კარგად არის გამყარებული ყოველდღიურ ენასა და ლოგიკაში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ზოგიერთი რამ, რასაც სოციალური მკვლევარები არ გულისხმობენ, როდესაც ისინი საუბრობენ მიზეზობრივ კავშირებზე. როდესაც ისინი ამბობენ, რომ ერთი ცვლადი იწვევს მეორეს, ისინი სულაც არ გულისხმობენ სრულ მიზეზობრიობას, გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებას ან ამტკიცებენ, რომ მიზეზობრიობა, უმეტეს შემთხვევაში, არსებობს.

### **სრული მიზნობრიობა**

მაშინ როცა მიზეზობრიობის იდიოგრაფიული ახსნა შედარებით სრულია, ნომოთეტური ახსნა ალბათობითი და, ჩვეულებრივ, არასრულია. როგორც ვნახეთ, სოციალურმა მკვლევარებმა შეიძლება თქვან, რომ პოლიტიკური ორიენტაციები იწვევს მარისუანას ლეგალიზებისადმი დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლიბერალი არ ეთანხმება ან ყველა კონსერვატორი არ ეთანხმება მას. ამრიგად, ჩვენ ვამბობთ, რომ პოლიტიკური ორიენტაცია არის დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ არა ერთადერთი.

### **გამონაკლისი შემთხვევები**

ნომოთეტურ ახსნაში გამონაკლისები არ უარყოფენ მიზეზობრივ კავშირს. მაგალითად, დადგინდა, რომ შეერთებულ შტატებში ქალები უფრო რელიგიურები არიან, ვიდრე მამაკაცები. ამრიგად, სქესი შეიძლება იყოს რელიგიურობის მიზეზი, მაშინაც კი, თუ თქვენი ბიძა უაღრესად რელიგიურია ან იცნობთ ქალს, რომელიც აღიარებული ათეისტია. ეს გამონაკლისი შემთხვევები არ უარყოფს საერთო, მიზეზშედეგობრივ ნიმუშს.

### **შემთხვევების უმრავლესობა**

მიზეზობრივი ურთიერთობები შეიძლება იყოს ქვშმარტი მაშინაც კი, თუ ისინი არ გამოიყენება უმეტეს შემთხვევაში. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ,

რომ ბავშვები, რომლებიც არ არიან მეთვალყურეობის ქვეშ სკოლის შემდეგ, უფრო მეტად ჩადიან სამართალდარღვევას ვიდრე ისინი, ვინც მეთვალყურეობის ქვეშ არიან; შესაბამისად, ზედამხედველობის არარსებობა არის სამართალდარღვევის მიზეზი. რამდენადაც ისინი უფრო მეტად არღვევენ სამართალს, ვიდრე მეთვალყურეობის ქვეშ მყოფები, ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. სოციალური მეცნიერების შეხედულება მიზეზობრიობის შესახებ შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც თქვენ შეჩვეული ხართ. სოციალური მკვლევრების მიერ გამოყენებული გარკვეულწილად განსხვავებული სტანდარტი, უფრო ნათლად ჩანს საჭირო და საკმარისი მიზეზების თვალსაზრისით.

### საჭირო და საკმარისი მიზეზები

აუცილებელი მიზეზი წარმოადგენს მდგომარეობას, რომელიც უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ შედეგი მოჰყვეს. მაგალითად, თქვენ უნდა გაიაროთ კოლეჯის კურსები, რომ მიიღოთ ხარისხი. კურსებს თუ არ გაივლით, ხარისხსაც არასოდეს მიიღებთ. თუმცა, უბრალოდ კურსების გავლა არ არის საკმარისი მიზეზი ხარისხის მისაღებად. ამისათვის საჭიროა სწორი კურსების არჩევა და გავლა. ანალოგიურად, მდებრობითი სქესი აუცილებელი პირობაა დაორსულებისთვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიზეზი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ქალი დაორსულდებოდა.

მეორეს მხრივ, საკმარისი მიზეზი წარმოადგენს მდგომარეობას, რომელიც, მისი არსებობის შემთხვევაში, იძლევა მოცემული საკითხის ეფექტის გარანტიას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკმარისი მიზეზი არის კონკრეტული ეფექტის ერთადერთი შესაძლო მიზეზი. მაგალითად, ამ კურსზე გამოცდის გამოტოვება საკმარისი მიზეზი იქნება იმისა, რომ კურსი ვერ გაიაროთ, თუმცა სტუდენტებს შეუძლიათ ჩააბარონ სხვა გზითაც. ამრიგად, მიზეზი შეიძლება იყოს საკმარისი, მაგრამ არა აუცილებელი.

მიზეზის აღმოჩენა, რომელიც აუცილებელიცაა და საკმარისიც, რა თქმა უნდა, კვლევის ყველაზე დამაკმაყოფილებელი შედეგია.

სამწუხაროდ, როდესაც ცვლადებს შორის ნომოტეტურ ურთიერთობებს ვაანალიზებთ, ვერასოდეს ვპოულობთ ისეთ მიზეზს, რომელიც აბსოლუტურად საჭიროცაა და საკმარისიც. თუმცა, არც ისე იშვიათია მიზეზობრივი ფაქტორების პოვნა, რომლებიც ან 100 პროცენტით აუცილებელია (დაორსულებისთვის უნდა იყოს ქალი) ან 100 პროცენტით საკმარისი (გამოცდის არჩაბარება გამოიწვევს თქვენს ჩაჭრას).

ცალკეული შემთხვევების იდიოგრაფიული ანალიზის დროს, თქვენ შეიძლება მიიღწიოთ სიღრმისეულ ახსნა-განმარტებას, საიდანაც გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი სხვაგვარად ვერ განვითარდებოდა, თუ დაუშვებთ, რომ კონკრეტული შედეგისთვის საკმარისი მიზეზები დაადგინეთ (ნებისმიერი, ვისაც თქვენი გენეტიკური მემკვიდრეობის, აღზრდისა და შემდგომი გამოცდილების ყველა დეტალი აქვს). ამავე შედეგამდე სხვა მიზეზების გამო განსხვავებული გზითაც შეიძლებოდა მისვლა. ამრიგად, იდიოგრაფიული მიზეზები საკმარისია, მაგრამ არა აუცილებელი.

## ანალიზის ერთეულები

ანალიზის ერთეული - ის, რასაც ან ვისაც შევისწავლით. სოციალურ კვლევაში კვლევის ყველაზე გავრცელებული ერთეული ინდივიდუალური ადამიანები არიან.

ოფიციალურ კვლევაში პრაქტიკულად არ არსებობს შეზღუდვა საკვლევ ერთეულებზე ანუ რისი ან ვისი შესწავლა შეიძლება. ეს თემა აქტუალურია სოციალური კვლევის ყველა ფორმისთვის, თუმცა მისი შედეგები ყველაზე ნათელია ნომოთეტური, რაოდენობრივი კვლევების შემთხვევაში.

ანალიზის ერთეულების იდეა შეიძლება თავიდან არასაიმედო ჩანდეს, რადგანაც კვლევა, განსაკუთრებით კი ნომოთეტური, სწავლობს ადამიანების ან საგნების დიდ ჯგუფებს ან მთლიანობას. აუცილებელია განვასხვავოთ ანალიზის ერთეული და მთლიანობა, რომლის განზოგადებასაც ვაკეთებთ.

მაგალითად, მკვლევარს შეუძლია შეისწავლოს ადამიანების კლასი, როგორცაა დემოკრატები, კოლეჯის სტუდენტები ან 30 წლამდე ასაკის აფროამერიკელი ქალები. მაგრამ თუ მკვლევარი დაინტერესებულია გამოიკვლიოს, აღწეროს ან ახსნას, თუ როგორ იქცევიან ინდივიდთა სხვადასხვა ჯგუფები, როგორც ინდივიდები, ანალიზის ერთეული არის ინდივიდი და არა ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი შემდეგ აგრძელებს ინდივიდების მთლიანობის განზოგადებას, როდესაც ამბობს, რომ მარიხუანას ლეგალიზაციას უფრო მეტი დემოკრატი უჭერს მხარს, ვიდრე რესპუბლიკელი. მარიხუანას შესახებ მოსაზრება შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური და არა ჯგუფის ატრიბუტი. ასე რომ, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ განვაზოგადებთ დემოკრატებს, ჩვენ განვაზოგადებთ იმ ატრიბუტს, რომელსაც ისინი ფლობენ, როგორც ინდივიდები.

მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გვინდოდეს ჯგუფების შესწავლა, რომლებიც განიხილება როგორც ცალკეული „ფაქტორები“ ან ერთეულები, რომლებსაც აქვთ ატრიბუტები, როგორც ჯგუფებს. მაგალითად, შეიძლება გვსურს შევადაროთ სხვადასხვა ტიპის ქუჩის ბანდების მახასიათებლები. ამ შემთხვევაში, ჩვენი ანალიზის ერთეული იქნება ბანდები (არა ბანდების წევრები), მაგალითად, კაცების და ქალების ბანდები. თითოეული ბანდა (კვლევის ერთეული) აღწერილი იქნება ორი ცვლადის მიხედვით: (1) რა სქესის წევრები არიან? და (2) რამდენად ძალადობრივია მისი საქმიანობა? ასე რომ, შეიძლება შევისწავლოთ 52 ბანდა და განვაცხადოთ, რომ 40 იყო მამაკაცების ბანდა და 12 ქალთა და ა.შ. ანალიზის ერთეული იქნება „ბანდა“.

ანალიზის ერთეულები, როგორც წესი, ასევე, დაკვირვების ერთეულებია. ამრიგად, პოლიტიკურ მეცნიერებათა კურსზე წარმატების შესასწავლად ჩვენ დავაკვირდებოდით ცალკეულ სტუდენტებს. თუმცა, ზოგჯერ ჩვენი ანალიზის ერთეულებს ირიბად „ვაკვირდებით“. მაგალითად, დავუშვათ, გვსურს გამოვიკვლიოთ, იწვევს თუ არა უთანხმოება სიკვდილით დასჯის შესახებ განქორწინებას. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება „დავაკვირდეთ“ ცალკეულ ქმრებსა და ცოლებს და გამოვკითხოთ ისინი მათი დამოკიდებულების შესახებ სიკვდილით დასჯის მიმართ, რათა განვასხვავოთ წყვილები, რომლებიც ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ამ საკითხს. ამ შემთხვევაში, ჩვენი დაკვირვების ერთეულები ცალკეული ცოლები და ქმრები არიან, მაგრამ ჩვენი ანალიზის ერთეულები წყვილებია.

ზოგჯერ ანალიზის ერთეული შეიძლება გაუგებარი იყოს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ერთეულის დადგენა, სხვაგვარად ვერ განვსაზღვრავთ თუ რა დაკვირვება უნდა ჩავატაროთ და ვისზე ან რაზე.

ზოგიერთი ანალიზის ერთეული შეიძლება ერთზე მეტი იყოს, მაგრამ მკვლევარმა უნდა განსაზღვროს თუ რა დასკვნის გაკეთებასურს თითოეულთან მიმართებით. მაგალითად, მკვლევარს შეიძლება სურდეს დაადგინოს, თუ რა ტიპის სტუდენტები აღწევენ წარმატებას კარიერაში უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ასევე, სურდეს იმის გაგება, თუ რომელი სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან ყველაზე წარმატებული.

ამ თემის უფრო ღრმად შესასწავლად, განვიხილოთ სოციალური კვლევის რამდენიმე ყველაზე გავრცელებული ანალიზის ერთეული.

### ინდივიდუმი

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანები კვლევის ყველაზე მეტად გავრცელებული ერთეულებია. ნებისმიერი ტიპის ინდივიდი შეიძლება იყოს სოციალური კვლევის ანალიზის ერთეული. სოციალური კვლევის განზოგადებული გაგების ნორმა უნდა გულისხმობდეს, რომ მეცნიერული დასკვნები ყველაზე ღირებულია, როცა ისინი ყველა ტიპის ადამიანს ეხება. თუმცა, პრაქტიკაში, სოციალური მკვლევრები იშვიათად სწავლობენ ყველა ტიპის ადამიანს. სულ მცირე, მათი სწავლა, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ ერთ ქვეყანაში მცხოვრები ხალხით, თუმცა ზოგიერთი შედარებითი კვლევა სცილდება ეროვნულ საზღვრებს.

ანალიზის ერთეული ძირითად შემთხვევაში არის ინდივიდების ისეთი კლასები, როგორიცაა სტუდენტები, ჰომოსექსუალები, ამომრჩევლები, მარტოხელა მშობლები და ა.შ.

### ჯგუფები

სოციალურ კვლევაში ანალიზის ერთეულები, ასევე, შეიძლება იყოს სოციალური ჯგუფები. იმ შემთხვევაში, თუ გვსურს გამოვიკვლიოთ კრიმინალური დაჯგუფებების წევრები კრიმინალების შესწავლის მიზნით, მაშინ ანალიზის ერთეული ინდივიდი იქნება. მაგრამ თუ გვსურს შევისწავლოთ მაგალითად, ქალაქის ბანდები იმ მიზნით, რომ გავიგოთ განსხვავება დიდსა და პატარა ბანდებს ან ცენტრალურსა და გარეუბნების ბანდებს და ა.შ. შორის, მაშინ ანალიზის ერთეული იქნება ბანდა, როგორც სოციალური ჯგუფი.

როგორც სხვა ანალიზის ერთეულების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სოციალური ჯგუფების მახასიათებლები მათი ცალკეული წევრების მახასიათებლებისგან. ასე რომ, შეგვიძლია აღვწეროთ ოჯახი მისი უფროსის ასაკის, სქესის, რასის და განათლების მიხედვით. აღწერილობით კვლევაში შეგვიძლია ვიპოვოთ ოჯახების პროცენტულობა, რომელთა უფროსებს უმაღლესი განათლება აქვთ. განმარტებითი კვლევის შემთხვევაში ჩვენ შეიძლება განვსაზღვროთ თუ რომელ ოჯახებს ჰყავთ უფრო მეტი შვილი, სადაც ოჯახის უფროსს უმაღლესი განათლება აქვს ან ოჯახის უფროსი უმაღლესი განათლების გარეშეა. ასეთ შემთხვევაში კვლევის ერთეული ოჯახია. მაგრამ იმას თუ გამოვიკვლევთ, ვის უფრო მეტი შვილი ჰყავს, უმაღლესი განათლების მქონეს თუ არმქონეს, მაშინ კვლევის ერთეული ინდივიდია და არა ოჯახი.

## ორგანიზაციები

ფორმალური სოციალური ორგანიზაციები, ასევე, შეიძლება იყოს სოციალური კვლევის ანალიზის ერთეული. ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, მაგალითად, რომელს ჰყავს სამუშაოდ უმცირესობათა უფრო მეტი ან ნაკლები რაოდენობა - დიდ თუ პატარა ორგანიზაციებს. ანალიზის ერთეული, ასევე, შეიძლება იყოს რელიგიური სათვისტომოები, სუპერმარკეტები, კოლეჯები, სამხედრო ქვედანაყოფები და ა.შ.

## სოციალური ინტერაქცია

ზოგჯერ სოციალური ინტერაქცია კვლევის შესაფერისი ერთეულია. ცალკეული ადამიანების შესწავლის ნაცვლად, შეგიძლიათ შეისწავლოთ მათ შორის ურთიერთქმედება: სატელეფონო საუბრები, კოცნა, ცეკვა, კამათი, ხელჩართული ჩხუბი, ელექტრონული ფოსტის წერილები, დისკუსია ჩატში და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდები, როგორც წესი, მონაწილეობენ სოციალურ ინტერაქციაში, არსებობს განსხვავება (1) ადამიანთა ტიპების შედარებას შორის, რომლებიც გამოიწვევენ სხვადასხვა ინტერნეტსერვისის პროვაიდერებს (ინდივიდები, რომლებიც ანალიზის ერთეულია) და (2) ჩათრუმის დისკუსიების ხანგრძლივობის შედარებას შორის იმავე პროვაიდერებთან (ანალიზის ერთეული დისკუსია).

## სოციალური არტეფაქტები

სოციალური არტეფაქტი - სოციალური არსების ნებისმიერი პროდუქტი ან მათი ქცევა. ის შეიძლება იყოს ანალიზის ერთეული.
---

ანალიზის კიდევ ერთი ერთეული არის სოციალური არტეფაქტი ან სოციალური არსებების ნებისმიერი პროდუქტი ან მათი ქცევა. არტეფაქტების ერთი კლასი მოიცავს კონკრეტულ ობიექტებს, როგორცაა წიგნები, ლექსები, ნახატები, მანქანები, შენობები, სიმღერები, ჭურჭელი, ხუმრობები, სტუდენტების საბაბი გამოცდების გაცდენისთვის და სამეცნიერო აღმოჩენები.

კვლევისას, რომლის ანალიზის ერთეული წიგნია, ცალკეული წიგნი შეიძლება ხასიათდებოდეს ზომით, წონით, სიგრძით, ფასით, შინაარსით, სურათების რაოდენობით, გაყიდული წიგნების რაოდენობით ან მისი ავტორის აღწერით. მაშინ ყველა წიგნის ან კონკრეტული ტიპის წიგნის პოპულაცია შეიძლება გაანალიზდეს აღწერის ან ახსნის მიზნით – რა ტიპის წიგნები იყიდება ყველაზე კარგად და რატომ.

სოციალური ურთიერთქმედება ქმნის სოციალური არტეფაქტების სხვა კლასს, რომელიც შესაფერისია სოციალური კვლევისთვის. მაგალითად, შეიძლება დავახასიათოთ ქორწილები, როგორც რასობრივად ან რელიგიურად შერეული, როგორც რელიგიური ან საერო ცერემონიით ჩატარებული, განქორწინების გამომწვევი და ა.შ. როდესაც მკვლევარი ასკვნის, რომ სხვადასხვა რელიგიის პარტნიორებს შორის ქორწილი უფრო საერო ცერემონიით ტარდება, ასეთი ანალიზის ერთეული ქორწილია და არა მასში მონაწილე ინდივიდები.

### ანალიზის ერთეულების მიმოხილვა

ამ თავში მოცემული მაგალითები უნდა მიუთითებდეს სოციალურ კვლევაში ანალიზის შესაძლო ერთეულების თითქმის უსასრულო მრავალფეროვნებაზე. მართლაც, სოციალურ მკვლევრებს შეუძლიათ შეისწავლონ თითქმის ყველაფერი, რაც გავლენას ახდენს სოციალურ ცხოვრებაზე.

კვლევის შესაძლო ერთეულების კატეგორიზაციამ შეიძლება კონცეფცია უფრო რთულად წარმოაჩინოს, ვიდრე საჭიროა. მთავარია ნათლად გქონდეთ განსაზღვრული თქვენი ანალიზის ერთეული. როდესაც დაინყებთ კვლევით პროექტს, თქვენ უნდა გადანყვიტოთ, სწავლობთ ქორწინებას თუ ქორწინებაში პარტნიორებს, დანაშაულებს თუ კრიმინალებს და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის რისკი იმისა, რომ არასწორ დასკვნებს გამოიტანთ.

### მცდარი მსჯელობა ანალიზის ერთეულების შესახებ: ეკოლოგიური მცდარობა და რედუქციონიზმი

ეკოლოგიური მცდარობა - ინდივიდების შესახებ დასკვნების შეცდომით გამოტანა მხოლოდ ჯგუფებზე დაკვირვებით. რედუქციონიზმი - ზოგიერთი მკვლევრის შეცდომა: მკაცრი შეზღუდვა (შემცირება) იმ ტიპის ცნებებისა, რომლებიც შესასწავლი ფენომენისთვის რელევანტურად უნდა ჩაითვალოს.
---

თითოეული წარმოადგენს პოტენციურ მახეს ანალიზის ერთეულებთან დაკავშირებით და შეიძლება თავი იჩინოს კვლევის ჩატარებისას და შედეგებიდან დასკვნების გამოტანისას.

### ეკოლოგიური მცდარობა

ამ კონტექსტში ეკოლოგიური მცდარობა ეხება ჯგუფებს ან ნაკრებებს ან სისტემებს: რაღაც უფრო დიდს, ვიდრე ინდივიდები.

ეკოლოგიური მცდარობა არის ვარაუდი, რომ ის რაღაც, რაც შეიტყვეს ეკოლოგიური ერთეულის შესახებ, რაღაცას ამბობს ამ ერთეულის შემადგენელ ინდივიდებზე.

დავუშვათ, ჩვენ გვინტერესებს გავიგოთ რაიმე საარჩევნო მხარდაჭერის ბუნების შესახებ, რომელიც მიიღო პოლიტიკურმა კანდიდატმა ქალმა ბოლო დროს საქალაქო არჩევნებზე. დავუშვათ, რომ გვაქვს ხმების რაოდენობა თითოეულ უბანზე, ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომელმა უბნებმა დაუჭირეს მას მხარი ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად. დავუშვათ, ასევე გვაქვს მოსახლეობის აღწერის მონაცემები, რომლებიც ამ უბნების რაღაც მახასიათებლებს აღწერს. ასეთი მონაცემების ჩვენეულმა ანალიზმა შეიძლება აჩვენოს, რომ უბნებმა, სადაც უფრო მეტი ახალგაზრდა ამომრჩეველია, უფრო მეტი ხმა მისცეს კანდიდატ ქალს, ვიდრე იმ უბნებმა, სადაც უფრო ასაკობრივი ამომრჩეველია. ამან შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ ახალგაზრდები უფრო აძლევენ ხმას კანდიდატ ქალს, ვიდრე უფროსები, ანუ ასაკი გავლენას ახდენს ქალი კანდიდატის მხარდაჭერაზე. ასეთი დასკვნით ჩვენ ეკოლოგიურ მცდარობას მივიღებთ, რადგანაც „ახალგაზრდა“ უბნებზე ქალ კანდიდატს შესაძლოა ხმა მისცეს უფროსი ასაკის ამომრჩეველებმა. პრობლემა ისაა, რომ კვლევის ერთეულად

ჩვენ შევისწავლეთ უბნები, დასკვნის გაკეთება კი გვსურს ამომრჩევლების შესახებ.

ამ საშიშროების მიუხედავად, სოციალურ მკვლევრებს ხშირად არა აქვთ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მიმართონ კონკრეტული კვლევის საკითხს ეკოლოგიური ანალიზის საშუალებით. ალბათ ყველაზე შესაფერისი მონაცემები, უბრალოდ, არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, ჩვენს მაგალითში ნახსენები უბნის ხმების რაოდენობა და მახასიათებლები შეიძლება ადვილი მოსაპოვებელი იყოს, მაგრამ არ გაგვაჩნდეს რესურსები ცალკეული ამომრჩევლების პოსტსაარჩევნო გამოკითხვის ჩასატარებლად. ასეთ შემთხვევებში შეიძლება მივიღეთ სავარაუდო დასკვნამდე, მაგრამ, ამავდროულად, ვაღიაროთ და აღვნიშნოთ ეკოლოგიური მცდარობის რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ ფრთხილად უნდა ეკოლოგიური მცდარობის თავიდან ასაცილებლად, ამ სიფრთხილემ არ უნდა მიგიყვანოთ ისეთ შეცდომამდე, რომელსაც „ინდივიდუალურ მცდარობას“ უწოდებენ. ზოგიერთ ადამიანს, რომელიც პირველად მიმართავს სოციალურ კვლევას, უჭირს დამოკიდებულებებისა და მოქმედებების ზოგადი შაბლონების შეჯერება ინდივიდუალური გამონაკლისებთან. მაგალითად, ის ფაქტი, რომ თქვენ იცნობთ ადამიანს, რომელიც გამდიდრდა ყოველგვარი ფორმალური განათლების გარეშე, არ უარყოფს ძირითად შაბლონს, რომ უმაღლესი განათლება დაკავშირებულია მაღალ შემოსავალთან.

### რედუქციონიზმი

ანალიზის ერთეულებთან დაკავშირებული პოტენციურად გაუმართავი მსჯელობის მეორე ტიპი არის რედუქციონიზმი.

რედუქციონიზმი გულისხმობს კონკრეტული ფენომენის ახსნის მცდელობებს შეზღუდული და/ან დაბალი დონის ცნებებით. რედუქციონისტური ახსნა მთლად მცდარი არ არის; ის უბრალოდ ძალიან შეზღუდულია. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ სცადოთ გამოთვალოთ წლევანდელი გამარჯვებულები და დამარცხებულები ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თითოეული გუნდის ცალკეული მოთამაშეების შესაძლებლობებზე ფოკუსირებით. ეს, რა თქმა უნდა, არც სისულელეა და არც შეუსაბამო, მაგრამ გუნდების წარმატება ან წარუმატებლობა უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ მათში შემავალ ინდივიდებს; ის მოიცავს ქოუჩინგს, გუნდურ მუშაობას, სტრატეგიებს, ფინანსებს, შესაძლებლობებს, გულშემმატკივართა ლოიალობას და ა.შ.

იმის გასაგებად, თუ ზოგიერთი გუნდი რატომ თამაშობს სხვა გუნდებზე უკეთესად, ანალიზის ერთეულად უნდა ავიღოთ გუნდი და მოთამაშეთა ხარისხი იქნება ერთი ცვლადი, რომლის შესწავლასაც მოისურვებთ გუნდის აღსაწერად და კლასიფიკაციისათვის.

ამრიგად, სხვადასხვა აკადემიური დისციპლინა ერთსა და იმავე მოვლენას საკმაოდ განსხვავებულად უდგება.

სოციოლოგები მიდრეკილნი არიან განიხილონ სოციოლოგიური ცვლადები (როგორიცაა: ღირებულებები, ნორმები და როლები), ეკონომისტები ფიქრობენ ეკონომიკურ ცვლადებზე (როგორიცაა: მომარაგება და მოთხოვნა და მარგინალური ღირებულება) და ფსიქოლოგები იკვლევენ ფსიქოლოგიურ ცვლადებს (როგორიცაა: პიროვნების ტიპები და ტრავმები).

ადამიანების ყველა ან უმეტესი ქცევის ახსნას ეკონომიკურ ფაქტორებთან მიმართებით *ეკონომიური რედუქციონიზმი* ეწოდება. ქცევის ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან მიმართებით ახსნას - *ფსიქოლოგიური რედუქციონიზმი* და ა.შ.

ბევრი სოციალური მეცნიერისთვის სოციობიოლოგიის დარგი არის რედუქციონიზმის მთავარი მაგალითი, რაც გულისხმობს, რომ ყველა სოციალური მოვლენა შესაძლოა აიხსნას ბიოლოგიური ფაქტორებით. მაგალითად, ედვარდ ო. უილსონი, რომელსაც ზოგჯერ სოციობიოლოგიის მამად მოიხსენიებენ, ადამიანებში ალტრუისტული ქცევის ახსნას ცდილობდა აეხსნა ჩვენი გენეტიკური სტრუქტურის თავლსაზრისით (1975). მისი ნეოდარვინისტური შეხედულებისამებრ, უილსონი ვარაუდობს, რომ ადამიანები ისე განვითარდნენ, რომ ზოგჯერ ინდივიდებს სჭირდებათ საკუთარი თავის შენირვა მთელი სახეობის სასარგებლოდ.

ნებისმიერი ტიპის რედუქციონიზმის თანახმად, კვლევის გარკვეული ერთეულები ან ცვლადები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები. დაუშვათ, დავსვით კითხვა: რამ გამოიწვია ამერიკის რევოლუცია? ერთი მიზეზის მოკითხვის შემთხვევაში მაშინვე ვდგებით რედუქციონიზმის რისკის წინაშე. თუ მიზეზად საერთო ღირებულებებს მივიჩნევთ, ჩვენი ერთეული იქნებოდა ინდივიდუალური კოლონისტი. თუმცა, ეკონომისტს კვლევის ერთეულად შეუძლია შეარჩიოს ცამეტი კოლონია და შეისწავლოს თითოეულის ეკონომიკური ორგანიზაცია და პირობები. ფსიქოლოგს კვლევის ერთეულად შეუძლია აირჩიოს ინდივიდუალური ლიდერები მათი პიროვნულობის შესამოწმებლად.

ეკოლოგიური მცდარობის მსგავსად, რედუქციონიზმი მაშინ იჩენს თავს, როდესაც გამოყენებულია შეუსაბამო კვლევის ერთეული. თუმცა, შესაბამისი კვლევის ერთეული ყოველთვის როდია ნათელი.

### **დროის განზომილება**

დრო დიდ როლს ასრულებს კვლევის აგებასა და განხორციელებაში, გარდა იმ დროისა, რაც საჭიროა კვლევის ჩასატარებლად. მოვლენებისა და სიტუაციების დროის თანმიმდევრობა გადამწყვეტია მიზეზობრიობის დასადგენად. დრო, ასევე, გავლენას ახდენს კვლევის შედეგების განზოგადობაზე. რომელი დროის სიტუაციას ასახავს კონკრეტული კვლევის შედეგად მიღებული აღწერილობები და ახსნა-განმარტებები: ათი წლის წინ, ათი წლის შემდეგ, თუ მხოლოდ ანმყო დროში? არსებობს ორი ძირითადი ვარიანტი დროის საკითხის გადასაჭრელად: კროსსექციური და ლონგიტუდური კვლევები და ლონგიტუდური კვლევები.

**ჯვარედინი (კროსსექციური) კვლევა** დაფუძნებულია დაკვირვებაზე, რომელიც დროის ერთ მომენტს წარმოადგენს.

საძიებო და აღწერილობითი კვლევები ხშირად ჯვარედინია (კროსსექციური). მაგალითად, აშშ-ს ერთი აღწერა არის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს აღწეროს აშშ-ს მოსახლეობა მოცემულ დროს. ახსნა-განმარტებით განივ (კროსსექციურ) კვლევებს ნაკლი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მათი დასკვნები ეფუძნება მხოლოდ ერთ დროს გაკეთებულ დაკვირვებებს, როგორც წესი, ისინი მიზნად ისახავს დროთა განმავლობაში მომხდარი მიზეზობრივი პროცესების გაგებას.

## ლონგიტუდური კვლევები

განივი (კროსსექციური) კვლევებისაგან განსხვავებით, ლონგიტუდური კვლევა შექმნილია იმისთვის, რომ ერთსა და იმავე მოვლენას დროის ფართო მონაკვეთში დააკვირდეს.

მაგალითად, მკვლევარს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და დააკვირდეს უფო-ს კულტის საქმიანობას მისი დაარსებიდან დასრულებამდე. ლეონ ფესტინგერი, ჰენრი რეიკერი და სტენლი შახტერი თავიანთ კვლევაში „როდესაც წინასწარმეტყველება არ მართლდება“, იკვლევდნენ, თუ რა ბედი ეწია მფრინავი თევზების კულტს, როდესაც წინასწარმეტყველება უცხოპლანეტელებთან შეხვედრის შესახებ არ გამართლდა. დახურეს თუ არა წევრებმა ჯგუფი? თუ უფრო გაულრმავდათ რწმენა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ლონგიტუდური კვლევების ჩატარება იყო საჭირო.

სხვა ლონგიტუდური კვლევები ჩანაწერებს ან არტეფაქტებს იყენებს დროთა განმავლობაში ცვლილებების შესასწავლად.

ბევრი სავსე კვლევა, რომელიც პირდაპირ დაკვირვებას და სიღრმისეულ გამოკითხვას მოიცავს, ბუნებრივია, რომ ლონგიტუდურია. მაგალითად, როდესაც რამონა აშერი და გარი ფაინი (1991) სწავლობდნენ ალკოჰოლიკი მამაკაცების ცოლების ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ისინი იკვლევდნენ პრობლემური ოჯახური ურთიერთობების ევოლუციას დროთა განმავლობაში.

ლონგიტუდური კვლევები შეიძლება უფრო რთული იყოს ისეთი რაოდენობრივი კვლევებისათვის, როგორიცაა ფართომასშტაბიანი კვლევები.

მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად საუკეთესო საშუალებაა დროთა განმავლობაში ცვლილებების შესასწავლად. არსებობს სამი სპეციალური ტიპის ლონგიტუდური კვლევები: ტენდენციური, კოჰორტული და პანელური კვლევები.

## ტენდენციური კვლევები

ტენდენციური კვლევა არის ლონგიტუდური კვლევის ტიპი, რომელიც იკვლევს დროთა განმავლობაში ცვლილებებს პოპულაციაში. მარტივი მაგალითია აშშ-ს მოსახლეობის აღწერების შედარება ათწლეულების განმავლობაში, რაც მიუთითებს ქვეყნის პოპულაციაში ცვლილებებზე.

ტენდენციის ყოველი კვლევა პირველი ეტაპით უნდა იწყებოდეს. 2014 წლის ჩემპენის უნივერსიტეტის ამერიკული შიშების ტენდენციის კვლევა შესანიშნავი მაგალითია. დეი, ბადერმა და გორდონმა 2014 წელს დაიწყეს ამერიკელების შიშების ტენდენციის კვლევა ყოველწლიური გამოკითხვის შესწავლით, რომელიც ჰელოუინს ემთხვეოდა. 2014 წლის მონაცემებით ამერიკელების მთავარი შიშები ასეთი იყო:

- უსაფრთხოება სხვადასხვა სივრცეში;
- შეშფოთება საკუთარი მომავლის შესახებ (ავადმყოფობა, სამუშაო სტაბილურობა და ა.შ.);
- ინტერნეტთან დაკავშირებული შიშები (პირადი მონაცემების მოპარვა, მთავრობის მეთვალყურეობა და ა.შ.);
- კრიმინალი (მკვლევლობა, ყაჩაღობა, მასობრივი სროლა და ა.შ.);
- სხვადასხვა ფობიები (კლოუნები, ვინრო სივრცეები, სისხლი და ა.შ.).

2018 წელს კი ასეთი შიშები დაფიქსირდა:

- ხელისუფლების წარმომადგენლების კორუფცია;
- ოკეანეების, მდინარებისა და ტბების დაბინძურება;
- სასმელი წყლის დაბინძურება;
- სამომავლოდ საკმარისი ფულის ნაკლებობა;
- საყვარელი ადამიანების მიძიმე ავადმყოფობა.

### კოჰორტული კვლევები

კოჰორტულ კვლევაში მკვლევარი იკვლევს კონკრეტულ ქვეპოპულაციებს ან კოჰორტებს, რადგან ისინი დროთა განმავლობაში იცვლებიან. როგორც წესი, კოჰორტა არის ასაკობრივი ჯგუფი, როგორცაა 1950-იან წლებში დაბადებული ადამიანები, ვიეტნამის ომის დროს დაბადებული ადამიანები, 2012 წელს დაქორწინებული ადამიანები და ა.შ. კოჰორტული კვლევის მაგალითია ეროვნული გამოკითხვების სერია, რომელიც ტარდება ალბათ ყოველ 20 წელიწადში ერთხელ, რომ შეესწავლათ მეორე მსოფლიო ომის დროს დაბადებული კოჰორტის დამოკიდებულება გლობალურ საქმეებში აშშ-ს ჩართულობის მიმართ. 15-დან 20 წლამდე ასაკის ადამიანების ჯგუფის გამოკვლევა შესაძლებელია 1960 წელს, 35-დან 40 წლამდე ასაკის ჯგუფი - 1980 წელს და 55-დან 60 წლამდე ასაკის ჯგუფი - 2000 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ გამოკითხვაში შესწავლილი ადამიანების კონკრეტული ნაკრები განსხვავდებოდა, თითოეული ნიმუში წარმოადგენს 1940-დან 1945 წლამდე დაბადებულ კოჰორტას.

ერთ-ერთ კვლევაში, ერიკ პლუტცერმა და მაიკლ ბერკმანმა (2005) გამოიყენეს კოჰორტული კვლევა, რათა შეეცვალათ წინარე დასკვნა ასაკის მატებასა და განათლების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოსალოდნელია, რომ ის ხალხი, რომელიც ბავშვების ასაკს გადასცდა, შეამცირებს თავის ვალდებულებას განათლების დაფინანსებაზე. უფრო მეტიც, განივი კვლევების მონაცემები ამყარებს ამ მოსაზრებას. მკვლევრებმა წარმოადგინეს რამდენიმე მონაცემთა ნაკრები, რომლებშიც 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები ნაკლებ მხარდაჭერას გამოხატავენ განათლების დაფინანსებაზე, ვიდრე 65 წლამდე ასაკის.

თუმცა, ასეთი გამარტივებული ანალიზი გამოტოვებს მნიშვნელოვან ცვლადს, როგორცაა: დროთა განმავლობაში აშშ-ს საზოგადოებაში ზოგადად განათლების დაფინანსების მხარდაჭერის გაზრდა. მკვლევრები ამას უმატებენ „თაობის ჩანაცვლების“ კონცეფციას, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკითხვაში მონაწილე ხანდაზმული რესპონდენტები იზრდებოდნენ იმ დროს, როდესაც ზოგადად განათლებისადმი ნაკლები მხარდაჭერა იყო, ხოლო ახალგაზრდა რესპონდენტები, პირიქით გაიზრდებოდნენ დიდი საერთო მხარდაჭერის პერიოდში.

კოჰორტულმა ანალიზმა მკვლევრებს საშუალება მისცა დაედგინათ, რა დაემართა კონკრეტული კოჰორტების მოვლენებისადმი დამოკიდებულებას დროთა განმავლობაში. აი, მაგალითად, დროთა განმავლობაში გამოიკითხა 1940-იან წლებში დაბადებული ამერიკელები რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საგანმანათლებლო ხარჯები ძალიან დაბალი იყო. როგორც მონაცემებ-

მა არგენა, განათლების მიმართ მხარდაჭერა გაიზარდა იმ რესპოდენტების მხრიდან, რომლებიც დაიბადნენ 1940-იან წლებში და გადაცდნენ ბავშვების ასაკს.

### პანელური კვლევა

მიუხედავად იმისა, რომ პანელური კვლევა ტენდენციისა და კოჰორტულ კვლევებს ჰგავს, იგი ყოველ ჯერზე იკვლევს ადამიანების ერთსა და იმავე ჯგუფს. მაგალითად, ერთი საარჩევნო კამპანიის პერიოდში სხვადასხვა დროს შესაძლებელია ერთსა და იმავე ჯგუფის გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ რომელ კანდიდატს აძლევენ ხმას. ეს გვაჩვენებს იმას, თუ როგორ შეიცვალა ერთი ჯგუფის ზოგადი ტენდენცია სხვადასხვა კანდიდატების მიმართ, ასევე, შესაძლებელია დავინახოთ არჩევანის მდგრადობისა და მერყეობის ზუსტი კანონზომიერება. მაგალითად, ტენდენციის კვლევებმა აჩვენეს, რომ კანდიდატ ა-ს და ბ-ს 1 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ამომრჩეველთა ხმების ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ. ეს ნიშნავს, რომ არც ერთმა ამომრჩეველმა არ შეიცვალა აზრი ან ყველამ შეიცვალა, ან კიდევ, ამათ შორის რაღაც შუალედური. პანელური კვლევები კი ნათელს მოფენდა ამ სიტუაციას, დავინახავდით, რომელი ამომრჩეველი გადავიდა კანდიდატ ა-დან ბ-ზე და პირიქით.

პანელური სიკვდილიანობა ამ კვლევის დიდი პრობლემაა, რადგანაც სუბიექტები აღარ აგრძელებენ კვლევაში მონაწილეობას. წლების მანძილზე მკვლევარებმა არაერთი ტექნიკა შეიმუშავეს დაკარგული სუბიექტების მოსაძებნად. ბრაიან როდსმა და ელენ მარქსმა (2011) ფეისბუქი გამოიყენეს ლონგიტუდური კვლევის წევრების მისაგნებად, რომლებიც მიუწვდომელი იყო ტელეფონით ან ფოსტით. მათ წარმატებით მიაგნეს მონაწილეთა მესამედს.

როჯერ ტურანჯომ და კონგ იემ (2009) სუბიექტების დაკარგვის შემცირების მიზნით გამოიყენეს პოზიტიური და ნეგატიური სტიმულები. მათ საკვლევი ჯგუფი 2 ქვეჯგუფად დაჰყვეს. ერთ ქვეჯგუფს უთხრეს, რომ მონაწილეობის გაგრძელების შემთხვევაში სარგებელს მიიღებდნენ, მეორე ქვეჯგუფი კი გააფრთხილეს, რომ მათ მიერ კვლევის მიტოვება ზიანს მიაყენებდა კვლევას. ამ უკანასკნელმა ნეგატიურმა სტიმულმა გაზარდა სუბიექტების კვლევაში მონაწილეობა.

ზოგიერთმა მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ დაკარგული მონაწილეების მიგნების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია მათი ოჯახის წევრების და მეგობრების კონტაქტების შენახვა. ამ მხრივ ოჯახის წევრები უფრო საიმედონი აღმოჩნდნენ, ვიდრე მეგობრები, განსაკუთრებით კი – დები. ზოგიერთმა მკვლევარებმა ისეთ ხერხს მიმართეს, როგორცაა დაბადების დღეებისა და სხვა დღესასწაულების მილოცვებით კონტაქტის შენარჩუნება.

<p><b>ლონგიტუდური კვლევა.</b> კვლევის დიზაინი, რომელიც მოიცავს დროის სხვადასხვა მომენტში შეგროვებულ მონაცემებს.</p> <p><b>ტენდენციური კვლევა.</b> ლონგიტუდური კვლევის ტიპი, რომელშიც გარკვეული პოპულაციის მოცემული მახასიათებლის მონიტორინგი ხდება დროთა განმავლობაში.</p> <p><b>კოჰორტული კვლევა.</b> კვლევა, რომელშიც გარკვეული კონკრეტული</p>
--

ქვეპოპულაცია ან კოჰორტა შესწავლილია დროთა განმავლობაში, თუმცა მონაცემები შეიძლება შეგროვდეს სხვადასხვა წევრისგან დაკვირვების თითოეულ ჯგუფში.

**პანელური კვლევა.** ლონგიტუდური კვლევის ტიპი, რომლის დროსაც მონაცემები გროვდება ადამიანთა ერთსა და იმავე ჯგუფისგან (ნიმუში ან პანელი) დროის რამდენიმე მონაკვეთში.

**პანელური სიკვდილიანობა.** როდესაც ზოგიერთი პანელის სუბიექტს არ შეუძლია კვლევაში მონაწილეობის გაგრძელება.

#### კვლევითი სტრატეგიების მახასიათებელი

წინა მსჯელობებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ კვლევები სხვადასხვა გზით მიმდინარეობს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მოკლე ნაწყვეტი სხვადასხვა დასრულებული კვლევიდან. გადახედეთ და გააანალიზეთ თითოეული კვლევის შინაარსი, ასევე, არჩეული თემის შესწავლის მეთოდი. კვლევა იძიებს, აღწერს თუ ხსნის (ან მათ რაიმე კომბინაციას წარმოადგენს): რა არის მონაცემების წყაროები თითოეულ კვლევაში? შეიძლება განისაზღვროს ანალიზის ერთეული? არის თუ არა დროის განზომილება შესაბამისი? თუ კი, როგორ ხდება მისი დამუშავება?

- სამხრეთ კალიფორნიაში არსებული გაუპატიურების კრიზისის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოყენებულია საარქივო, დაკვირვებისა და გამოკითხვის მონაცემები იმის გასარკვევად, თუ როგორ იმუშავა ფემინისტურმა ორგანიზაციამ, რომ შეეცვალა პოლიცია, სკოლები, პროკურატურები და სხვა ორგანიზაციები 1974 წლიდან 1994 წლამდე (Schmitt and Martin 1999: 364).
- მოცემული კვლევა ცხოვრებისეული ისტორიების ნარატივების გამოყენებით იკვლევდა იმ 14 ქალის ქმედებისა და ცნობიერების პროცესებს, რომლებიც თავის თავს ქალაბიჭად თვლიდნენ (Carr 1998: 528).
- 1992, 1993 და 1994 წლებში პალესტინაში საველე სამუშაოების დროს მიღებული ინტერვიუებისა და ისტორიული და საარქივო ჩანაწერების გამოყენებით, ვამტკიცებ, რომ პალესტინის ფემინისტური დისკურსები ჩამოყალიბდა და გავლენა იქონია იმ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელშიც მოქმედებდნენ პალესტინელი ქალები და რომელთანაც ისინი ურთიერთობდნენ (Abdulhadi 1998: 649).
- ეს სტატია მოგვითხრობს ქალების გამოცდილებაზე საჯაროდ ძუძუთი კვების შესახებ, რაც გამოვლინდა 51 ქალის სიღრმისეული გამოკითხვის შედეგად (Stearns 1999: 308).
- შევადგინე მონაცემები [თეთრი სეპარატისტების რიტორიკის შესახებ] საჯარო დისკურსის რამდენიმე მედიიდან, მათ შორის პერიოდული გამოცემებიდან, წიგნებიდან, ბროშურებიდან, ტრანსკრიპტებიდან, რადიო და სატელევიზიო თოქ-შოუებიდან, გაზეთებისა და ყურნალების ანგარიშებიდან (Berbrier 1998: 435).
- ქუჩის ნარკოდირების გამოკითხვების მიხედვით მოცემული კვლევა იკვლევს მეთოდებს, რომლებსაც ისინი იყენებენ დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად (Jacobs and Miller 1998: 550).

## შიკაულის მეთოდები


მოცემულ თავში დავასახელებთ კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა ექსპერიმენტი, გამოკითხვა (სატელეფონო, პირადი, ონლაინ), საველე გამოკითხვა და ა.შ. მკვლევრები ხშირად საუბრობენ სოციალური ფენომენის გასაგებად სხვადასხვა მიდგომების გამოყენებაზე და საკმაოდ ხშირად ბევრი საუბრობს რამდენიმე მეთოდის გამოყენებაზე, თუმცა, ეს შეიძლება შეიცვალოს. ნაწილობრივ იმ მზარდი პრობლემების საპასუხოდ, რომლებსაც აწყდებიან გამოკითხვისას მკვლევრები. შესაძლოა, ლიტერატურის მიმოხილვამ წარმოქმნას კვლევების მზარდი რაოდენობა რეალურად შერეული რეჟიმების გამოყენებით.

მაგალითად, აშშ ენერგეტიკის ინფორმაციის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა მოუპოვებინა დეტალური ინფორმაცია საყოფაცხოვრებო ელექტროენერჯის მოხმარების შესახებ, რისთვისაც მათ გამოკითხეს მოსახლეობა, მაგრამ მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ მოსახლეობას არ შეეძლო ენერჯის მოხმარების სპეციფიკური დეტალების მონოდება, ამიტომ მათ შეაგროვეს ანგარიშების მონაცემები, რომლებიც გამოკითხვის მონაცემებს შეადარეს.

რამდენადაც მკვლევრები დიდი ხანია იყენებენ შერეულ მეთოდებს, ისინი სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევენ და უფრო აქტიურად ხდება მათი გამოყენება.

## როგორ ავაგოთ კვლევა

დავუშვათ, აპირებთ კვლევის ჩატარებას. საიდან უნდა დაიწყოთ? სად უნდა წახვიდეთ?



სქემა 4-7

კვლევის პროცესი. აქ მოყვანილია რამდენიმე ძირითადი ელემენტი, რომელიც ამ წიგნში იქნება განხილული და რომელიც შეადგენს სოციოლოგიურ კვლევებს

გრაფიკი 4-7 წარმოადგენს სქემატურ შეხედულებას კვლევის ტრადიციული გამოსახულების შესახებ. ეს სქემა კვლევის უფრო მეტ ნაბიჯ-ნაბიჯ თანმიმდევრობას გვთავაზობს, ვიდრე პრაქტიკაში გამოიყენება, მაგრამ იგი იძლევა კონტექსტს სოციალური კვლევის კონკრეტული კომპონენტების კონკრეტული დეტალებისთვის.

დიაგრამის დასაწყისში მოცემულია ინტერესები, იდეები, თეორიები, როგორც კვლევის საწყისი. ასოები არის ცვლადები ან ცნებები, როგორიცაა მაგალითად: ცრურწმენა. შეიძლება გაინტერესებდეთ, რატომაა ზოგი ადამიანი უფრო მიდრეკილი ცრურწმენისკენ ვიდრე სხვები. სავარაუდოდ, ამასთან დაკავშირებით გაქვთ რაიმე მოსაზრება ან იდეა. კითხვის ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ არ ხართ დარწმუნებული, რომ ეს ნამდვილად ასეა. სწორედ ამიტომ ატარებთ კვლევას.

მიაქციეთ ყურადღება, რომ თეორია წარმოდგენილია რამდენიმე ცვლადს შორის რთული ურთიერთობების ერთობლიობის სახით.

ორმაგი ისრები ინტერესს, იდეასა და თეორიას შორის ნიშნავს, რომ მკვლევრები ხშირად წინ და უკან ინაცვლებენ ამ რამდენიმე შესაძლო საწყისებზე. საწყისმა ინტერესმა შეიძლება მიგვიყვანოს იდეამდე, რომელიც, შესაძლოა, უფრო დიდ თეორიად იქცეს და მან, თავის მხრივ, შეიძლება ახალი იდეები და ინტერესები წარმოშვას.

ერთ-ერთმა ან სამივემ შესაძლოა კვლევის ჩატარების აუცილებლობა წარმოშვას, რომლის მიზანიც იქნება ინტერესის გამოკვლევა, გარკვეული იდეის შემოწმება ან რთული თეორიის დამტკიცება. მიზნის მიუხედავად, მკვლევარმა სხვადასხვა გადანყვეტილება უნდა მიიღოს, როგორც ეს მითითებულია დიაგრამის დანარჩენ ნაწილში. მაგალითისთვის დავუშვათ, გსურთ გამოიკვლიოთ აბორტის საკითხი და ის, თუ რატომ უჭერს მას მხარს კოლეჯის სტუდენტების ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი მისი წინააღმდეგია. ვთქვათ, წინ წაინიეთ და შეგექმნათ წარმოდგენა, რომ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტები უფრო უჭერენ მხარს ქალების უფლებას აბორტზე, ვიდრე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები (ასეთი ტიპის ფიქრებს ხშირად მიჰყავს ხალხი სოციალური კვლევის აგებასა და ჩატარებისკენ).

ასეთ კვლევაში, სავარაუდოდ, ორივე ინტერესი გექნებათ - აღწერილობითიც და განმარტებითიც: სტუდენტების რა პროცენტულობა უჭერს მხარს აბორტის უფლებას (აღწერილობითი) და რა არის იმის მიზეზი, რომ ზოგი მხარს უჭერს, ზოგიც კი წინააღმდეგია (განმარტებითი). ამ შემთხვევაში საკვლევი ერთეული ინდივიდებია: კოლეჯის სტუდენტები. დავუშვათ, კმაყოფილი იქნებით იმის გაგებით, თუ რაში მდგომარეობს საქმე ახლა. შემდეგ შეიძლება გადანყვიტოთ, რომ თქვენს მიზანს კროს-სექციური კვლევა შეესაბამება. თუმცა ეს დროთა განმავლობაში პროცესების პირდაპირ მტკიცებულებას ვერ მოგანვდით, მაგრამ მოგცემთ დაახლოებითი ლონგიტუდური ანალიზის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ გააგრძელებთ დროთა განმავლობაში სტუდენტების მიდგომის ცვლილებაზე დაკვირვებას.

### კვლევის დანაშაბა

დასაწყისში თქვენი ინტერესი კვლევითი ხასიათის იქნება. პირველ რიგში დაინახებთ აბორტის საკითხის კვლევას. მოიძიებთ ინფორმაციას თუ სხვა მეცნიერები რას წერენ ამ საკითხის შესახებ. გაესაუბრებით აბორტის მომხრე და მოწინააღმდეგე ადამიანებს, დაესწრებით ამ თემატური ჯგუფის შეხვედრებს. ყოველივე ეს დაგეხმარებათ დაამუშაოთ კვლევის დიზაინის შესახებ სხვადასხვა გადაწყვეტილებები.

სანამ კვლევის დიზაინს შეიმუშავებთ, უნდა განსაზღვროთ პროექტის მიზანი. რა ტიპის კვლევას ჩაატარებთ: საძიებოს, აღწერილობითს თუ განმარტებითს? აპირებთ საკუროსო თუ სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი თემის დანერგას? თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ დაუპირისპირდეთ აბორტის უფლებათა დაცვას? აკადემიური ჟურნალის თუ კამპუსის გაზეთისათვის გსურთ სტატიის დანერგა? ასევე უნდა გაითვალისწინოთ სხვა მკვლევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კვლევის დიზაინთან დაკავშირებით და ყოველთვის დასვით კითხვა, აკმაყოფილებს თუ არა იგივე გადაწყვეტილებები თქვენს მიზანს.

ზოგადად, თქვენს მიზანს ანგარიშის სახით ჩამოაყალიბებთ და პროექტის დიზაინის შექმნაში კარგი პირველი ნაბიჯია ამ ანგარიშის მონახვა. თუმცა, საბოლოო ანგარიში შესაძლოა განსხვავდებოდეს თავდაპირველი საგან, მაგრამ იგი დაგეხმარებათ იმის გაგებაში, თუ რომელი კვლევებია უფრო შესაფერისი. ამ ეტაპზე, ასევე, ნათლად აღწერეთ ის მტკიცებულებები, რისი გაკეთებაც გსურთ კვლევის დასრულებისას.

### კონცეპტუალიზაცია

შემდგომი ეტაპია კონცეპტუალიზაცია. მაგალითად, ისეთი სოციალური კონცეპტები, როგორცაა ცრურწმენები, რელიგიურობა, ლიბერალიზმი და ა.შ. მაგრამ, საჭიროა, დავაზუსტოთ რას ვგულისხმობთ ამ კონცეპტებით იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი და ღირებული დასკვნები გამოვიტანოთ. მაგალითად, მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ რას ნიშნავს „აბორტის უფლება“. რადგანაც აბორტის მხარდაჭერა განსხვავებული შეიძლება იყოს ვითარების მიხედვით. საყურადღებოა თუ რა ვითარებაში უჭერენ მხარს აბორტს ან ეწინააღმდეგებიან მას, მაგალითად, თუ დედის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება ან გაუპატიურების ან ინცესტის შემთხვევაში ან კიდევ პირადი არჩევანის გაკეთებისას.

ექსპერიმენტებსა და კვლევებში ასეთი კონცეპტები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

### კვლევის მეთოდის არჩევა

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის მეთოდებს თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს. ზოგიერთი კონცეპტისთვის გარკვეული კონკრეტული მეთოდები უფრო შესაფერისია, ვიდრე სხვა. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში აბორტის საკითხთან დაკავშირებით, გამოკითხვა ყველაზე შესაფერისი მეთოდია. ეს შეიძლება იყოს როგორც სტრუქტურული ინტერვიუ, ასევე, მათ მიერ კითხვარის შევსება. გამოკითხვა შესაფერისი მეთოდია საზოგადოებ-

რივი აზრის შესასწავლად. თუმცა, სხვა მეთოდებიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული. სავსე კვლევის მეთოდი დაგვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ საუბრობენ ადამიანები ერთმანეთთან აბორტის შესახებ და როგორ ხდება აზრის გაცვლა. ჩვეულებრივ, კვლევის საუკეთესო დიზაინი რამდენიმე მეთოდს გამოიყენებს.

#### **ოპერაციონალიზაცია**

შემდგომი ნაბიჯია ოპერაციონალიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა განსაზღვროთ გაზომვის ტექნიკა. ამ ამოცანის ნაწილს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოხდება მონაცემების შეგროვება: პირდაპირი დაკვირვების, ოფიციალური მასალების ანალიზის, კითხვარის თუ სხვა გზით.

თუ აბორტის უფლების კვლევას გამოკითხვის სახით ატარებთ, მაშინ საჭიროა მისი პუნქტების ფორმულირების განსაზღვრა. მაგალითად, როდესაც ეკითხებით უჭერენ თუ არა ისინი მხარს აბორტის უფლებას, თქვენ მიერ ფორმულირებულ ყველა შემთხვევაში, როგორიცაა: გაუპატიურება, ინცესტი და ა.შ., ისე შეადგენდით ამ კითხვარს, რომ რესპოდენტებს ეპასუხათ მხარს უჭერენ თუ ეწინააღმდეგებიან ცალკეული ვითარებისთვის თანხლებ შედეგს.

#### **აოპულაცია და შერჩევა**

ამ ეტაპების შემდგომ უნდა განსაზღვროთ ვისი და რისი კვლევა გსურთ. კვლევის პოპულაცია ის ჯგუფია (ძირითადად ხალხი), ვის შესახებაც გვსურს დასკვნის გაკეთება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია პოპულაციის ყველა წევრის შესწავლა. ყველა შემთხვევაში, ჩვენ ვირჩევთ ნიმუშს იმ მონაცემებიდან, რომელიც შეიძლება შეგროვდეს და შესწავლილ იქნას. რა თქმა უნდა, ინფორმაციის შერჩევა ხდება ყოველდღიურ ცვლილებებში, რაც ხშირად წარმოქმნის მიკერძოებულ დაკვირვებებს, სოციალური მკვლევრები კი უფრო მიზანმიმართულნი არიან თავიანთ შერჩევაში.

ნახაზში 4-7 ჩანს, რომ პოპულაციისა და შერჩევის შესახებ გადანყვეტილებები დაკავშირებულია კვლევის მეთოდებთან. ალბათობის-შერჩევის ტექნიკა შესაბამისი იქნება ფართომასშტაბიანი გამოკითხვის ან კონტინგენტ ანალიზისთვის, მაშინ როცა სავსე მკვლევარს შეიძლება დასჭირდეს მხოლოდ იმ ინფორმაციის შერჩევა, რომლებიც შესასწავლი სიტუაციის დაბალანსებულ სურათს იძლევიან, ხოლო ექსპერიმენტატორს შეუძლია ისე შეარჩიოს ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფები, რომ შეადაროს ისინი ერთმანეთს. ჩვენს ჰიპოთეტურ კვლევაში აბორტის უფლების შესახებ საკვლევი ჯგუფი კოლეჯის სტუდენტებია, მაგრამ ნიმუშის შესარჩევად საჭიროა უფრო დაკონკრეტება, მაგალითად, დასწრებული თუ დაუსწრებელი სწავლების? დოქტორანტები თუ ყველა? საერთაშორისო თუ ადგილობრივი სტუდენტები? და ა.შ.

#### **დაკვირვება**

წინა ეტაპების შემდეგ გადავდივართ შემდეგ ეტაპზე: დაკვირვება, ემპირიული მონაცემების შეგროვება. აბორტის უფლების კვლევისას გამოიყენებთ დაბეჭდილ კითხვარებს, ან ელექტრონულ ფოსტაზე დაავაზვით, ან კიდევ სატელეფონო გამოკითხვას ჩაატარებთ.

## მონაცემების დამუშავება

არჩეული მეთოდის მიხედვით, თქვენ ზღვა ემპირიულ მასალას მოაგროვებთ, რომლის ინტერპრეტირებაც მალე ვერ მოხერხდება. შემდეგ თავებში მოცემულია მონაცემთა დამუშავების რამდენიმე გზა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევისათვის. კითხვარში მონაცემები მოცემულია გრაფაში აღნიშვნების ან გამოტოვებულ ადგილზე ჩანერილი პასუხების სახით. ასეთი მონაცემების დასამუშავებლად, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მათი კლასიფიკაცია და ყველა ინფორმაციის კომპიუტერში გადატანა.

## ანალიზი

მას შემდეგ რაც მონაცემები საჭირო ფორმატშია მოყვანილი, იწყება მათი ინტერპრეტირება დასკვნების გაკეთების მიზნით, რაც ასახავს პირვანდელ იდეას, ინტერესსა და თეორიას. ამის დანახვა 4-7 დიაგრამაზეა შესაძლებელი. ხშირად ეს უკუკავშირი გამოკითხვის სხვა ციკლის დასაწყისს წარმოადგენს.

აბორტის უფლებაზე სტუდენტების მოსაზრების ანალიზის ფაზა განახორციელებს როგორც აღწერილობით, ასევე განმარტებით მიზნებს. ჯერ შეიძლება გამოვთვალოთ მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების პროცენტულობა. შემდგომ უფრო ღრმად შევისწავლოთ ჯგუფების მონაცემები. ჯგუფების აღწერა საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ განმარტებითი ანალიზი.

## გამოყენება

შემდგომი ეტაპია ჩატარებული კვლევისა და მიღებული დასკვნების გამოყენება. თქვენ შეგიძლიათ იგი ანგარიშის ან სტატიის სახით გამოაქვეყნოთ ან პრეზენტაცია გააკეთოთ სპეციალისტებისთვის, მეცნიერებისთვის, სტუდენტებიც შეიძლება დაინტერესდნენ იმით, თუ რა დასკვნები გააკეთეთ მათ შესახებ. შეიძლება ამაზე შორს წახვიდეთ. რას ამბობს თქვენი აღმოჩენა იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს პოლიტიკური მიზნებისათვის? მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც დააინტერესებთ ეს საკითხი.

კარენ აკერლოფმა და კრის კენედიმ (2013) წარმოადგინეს იმ საშუალებების უამრავი ანალიზი, რომლითაც სოციალური კვლევები შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამების შემუშავებისა და შეფასებისთვის გარემოსდაცვითი დეგრადაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი განსაზღვრავენ ხუთ მთავარ სფეროს:

1. ხელსაყრელი დამოკიდებულებების ხელშეწყობა;
2. პირადი მოქმედების გაზრდა;
3. ემოციური მოტივაციის ხელშეწყობა;
4. დამხმარე სოციალური ნორმების კომუნიკაცია;
5. გარემოს დაცვითი კონტექსტის შეცვლა; არჩევნის შემუშავება.

დაბოლოს, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რას სთავაზობს თქვენი კვლევა საკითხის შემდგომ შესასწავლად. რა შეცდომები უნდა იქნას გამოსწორებული შემდგომი კვლევებისას? რა მიმართულება უნდა გაგრძელდეს შემდგომ?

### კვლევის დიზაინის მიმოხილვა

როგორც ვნახეთ, კვლევის დიზაინი მოიცავს მთელ რიგ გადაწყვეტილებებს: რას შევისწავლით, ვინ, რა მეთოდებით, რა მიზნით.

კვლევის პროექტის შედგენისას სასარგებლოა დაიწყოთ სამი ასპექტის შეფასებით, როგორცაა: თქვენი ინტერესი, თქვენი შესაძლებლობები და ხელმისაწვდომი რესურსები.

წარმოიდგინეთ, იწყებთ რაიმე ჩვეულებრივ პროექტს. ჰკითხეთ საკუთარ თავს რისი გაგება გაინტერესებთ. რა თქმა უნდა, გექნებათ გარკვეული კითხვები სოციალური ქცევისა და დამოკიდებულებების შესახებ. მაგალითად, რატომაა ზოგი ადამიანი რელიგიური და ზოგი – არა, ან რატომ აგრძელებს ქალი ურთიერთობას მოძალადესთან და სხვა. მას შემდეგ, რაც კითხვები გაგიჩნდათ, იფიქრეთ იმაზე, თუ რა ინფორმაცია გჭირდებათ პასუხების გასაცემად, რომელი საკვლევი ერთეულია უფრო შესაფერისი და ა.შ. შემდეგ იფიქრეთ, როგორ მოიძიებთ საჭირო ინფორმაციას, არსებობს უკვე თუ თავად უნდა მოიპოვოთ? თუ თავად, რა გზით? დიდი ჯგუფი უნდა გამოიყენოთ თუ რამდენიმე ადამიანი და რამდენად სიღრმისეულად? როდესაც ყველა ამ კითხვაზე პასუხს გასცემთ და ჩამოგიყალიბდებათ ზოგადი იდეა იმის შესახებ, თუ რისი შესწავლა გასურთ და როგორ, ყურადღებით გადახედეთ და შეისწავლეთ წინარე კვლევები ამ საკითხზე, ნახეთ რა მეთოდები გამოიყენეს თქვენმა წინამორბედებმა. თქვენ, შესაძლოა, იგივე მეთოდები გამოიყენოთ ან გაიმეორეთ იგივე კვლევა დამოუკიდებლად ან რომელიმე ასპექტი შეისწავლოთ უფრო ღრმად. შეიძლება სხვაგვარი მიდგომაც გამოიყენოთ. მაგალითად, ჩაატაროთ ექსპერიმენტი უკვე ჩატარებული კვლევის მიგნებების შესამოწმებლად. სხვადასხვა მეთოდით იმავე მიგნების შემოწმებას *ტრიანგულაცია* ეწოდება და ყოველთვის იქონიეთ ის მხედველობაში, როგორც კვლევის ღირებული სტრატეგია. რამდენადაც ყველა მეთოდს სუსტი და ძლიერი მხარეები გააჩნია, ყოველთვის ჯობს ერთზე მეტი მეთოდის გამოყენება.

### კვლევის პროექტის წინადადება/შეთავაზება

ზოგჯერ საჭიროა თქვენი კვლევის წარდგენა გადასახედად ან დასამტკიცებლად. მაგალითად, თუ საუბარია საკურსო პროექტზე, თქვენი ხელმძღვანელი, სავარაუდოდ, მოისურვებს მის განხილვას მანამ, სანამ საქმეს შეუდგებით. უფრო მოგვიანებით, მუშაობის დროს, შესაძლოა დაგჭირდეთ პროექტის წარდგენა დაფინანსების მოსაპოვებლად.

განვიხილოთ, თუ როგორ უნდა შევადგინოთ პროექტის წინადადება.

### კვლევის პროექტის წინადადების/შეთავაზების ელემენტები

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციას, ვისგანაც დაფინანსებას ელოდებით, შეიძლება რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები ჰქონდეს, მაინც არსებობს ძირითადი ელემენტები, რომელსაც წინადადება უნდა შეიცავდეს.

### **პრობლემა ან მიზანი**

ზუსტად რისი შესწავლა გასურთ? რა ღირებულება აქვს მის შესწავლას? აქვს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა? შეაქვს წვლილი სოციალური თეორიების აგებაში?

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

რა უთქვამთ სხვებს აღნიშნული საკითხის შესახებ? რა თეორიები არსებობს? რა წინარე კვლევები არსებობს?

სოციალური მეცნიერების კვლევების ანგარიშების შესწავლა განსაკუთრებულ უნარებს საჭიროებს. ქვემოთ გაეცნობით სხვადასხვა ტიპის კვლევით ლიტერატურას, თუ როგორ იპოვოთ ის, რასაც ეძებთ და როგორ წაიკითხოთ, ასევე როგორ გამოიყენოთ ელექტრონული რესურსები სწორად.

ნაწილობრივ ის მეთოდები, რომლის გამოყენებასაც აპირებთ, განსაზღვრავს ლიტერატურის თქვენეულ მიმოხილვას. წინარე კვლევების დიზაინი იმავე მეთოდების გამოყენებით დაგეხმარებათ თქვენი კვლევის დიზაინის შედგენაშიც.

რამდენადაც ლიტერატურის მიმოხილვა თქვენი შეთავაზების დასაწყისში უნდა იყოს, ეცადეთ ისე ჩამოაყალიბოთ, რომ მკითხველი გააცნოთ საკვლევ თემას, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოაყალიბებთ ის, რაც უკვე ნასწავლია მოცემულ თემაზე წინარე მკვლევრების მიერ, შემდგომ მიუთითებთ თემის ირგვლივ დაგროვილ ცოდნაში არსებული გაურკვევლობაზე ან ნაკლებობაზე, რომლის გამოსწორებასაც აპირებთ. ან სხვაგვარად, ლიტერატურის თქვენეულმა მიმოხილვამ შესაძლოა მიუთითოს არსებული მიგნებების შეუსაბამობაზე ან შეუთანხმებლობაზე, რასაც თქვენი კვლევა გადაჭრის და წერტილს დაუსვამს არსებულ გაურკვევლობას.

### **კვლევის საბანი**

ვის ან რის შესწავლას აპირებთ მონაცემების შესაგროვებლად? განსაზღვრეთ ობიექტები ზოგადად, თეორიული ტერმინები, უფრო კონკრეტული სპეციფიკური ტერმინები. განსაზღვრეთ ვის შესწავლას შეძლებთ და როგორ მივწვდებით მათ. შეაგროვებთ თუ არა შესაფერის ნიმუშებს? თუ კი, როგორ მოახერხებთ ამას და ა.შ. ამ ზოგადი კითხვების გარდა, კვლევის კონკრეტული მეთოდი, რომელსაც გამოიყენებთ, კიდევ უფრო დააკონკრეტებს საკითხს. მაგალითად, თუ აპირებთ ექსპერიმენტის, საველე კვლევის ან გამოკითხვის ჩატარებას, სუბიექტების შერჩევის ტექნიკა განსხვავებული იქნება.

### **გაზომვა**

რა არის თქვენი ძირითადი ცვლადები? როგორ განსაზღვრავთ და გაზომავთ მათ? იქნება თუ არა თქვენი განსაზღვრისა და გაზომვის მეთოდები განსხვავებული წინარე კვლევებისგან თუ მათ გაიმეორებს? თუ თქვენ უკვე შეიმუშავებთ გაზომვის თქვენი ინსტრუმენტი, ან თუ აპირებთ წინარე კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებას, კარგი იქნებოდა მისი ასლი თან დაურთოთ თქვენს შეთავაზებას.

## **მონაცემთა შეგროვების მეთოდი**

როგორ აპირებთ მონაცემების შეგროვებას? ექსპერიმენტს ჩაატარებთ თუ გამოკითხვას? სავლელე კვლევას ჩაატარებთ თუ გააკეთებთ უკვე არსებული სტატისტიკის ხელახალ ანალიზს? სავარაუდოდ, ერთზე მეტ მეთოდს გამოიყენებთ.

## **ანალიზი**

მიუთითეთ რა ტიპის ანალიზს ჩაატარებთ. განერეთ ანალიზის მიზანი და ლოგიკა. აპირებთ იმის ახსნას თუ რატომ ხდება ისე როგორც ხდება?

## **ბრაფიკი**

შეადგინეთ თქვენი კვლევის სხვადასხვა ეტაპების შესრულების გრაფიკი. შეთავაზებისთვის თუ არა, თქვენთვის მაინც გააკეთეთ.

## **ბიუჯეტი**

როდესაც დაფინანსებას ითხოვთ, უნდა დააკონკრეტოთ როგორ დაიხარჯება თანხები. დიდი კვლევები მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა პერსონალი, კომპიუტერები, ტელეფონები და ა.შ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად გაიღებთ ხარჯებს, ბიუჯეტის განერა მაინც საჭიროა ხარჯების გასათვალისწინებლად.

## **ინსტიტუციური განხილვის საბჭო**

თქვენი კვლევის დიზაინის ტიპიდან გამომდინარე, შესაძლოა დაგჭირდეთ წინადადების/შეთავაზების წარდგენა ინსტიტუციური განხილვის საბჭოს წინაშე ადამიანების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით თანხმობის მისაღებად. ამას თქვენი ხელმძღვანელიც გირჩევთ.

ზოგადად, წინადადების წარდგენასაც როცა არ გთხოვენ, მაინც სჯობს თქვენთვის კვლევის წინადადება მოამზადოთ, როდესაც სოციალური კვლევის პროექტს ამზადებთ. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ როდესაც დროსა და ენერგიას ხარჯავთ, ეს ინვესტიცია შედეგს მოიტანს.

## **კვლევის დიზაინის ეთიკა**

როდესაც ისეთ პროექტებს ამზადებთ, სადაც ადამიანები იქნებიან ჩართული, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ეთიკური მხარე. მესამე თავში განხილულია კვლევის ეთიკური ასპექტები, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ და დაიცვათ.

## **ძირითადი ტერმინები**

კოჰორტული კვლევა, კორელაცია, განივი/კროსსექციური კვლევა, ეკოლოგიური ცდომილება, ლონგიტუდური კვლევა, პანელური სიკვდილიანობა, პანელური კვლევა, რედუქციონიზმი, სოციალური არტეფაქტი, სოციოობიოლოგია, ყალბი ურთიერთობა, ტენდენციის კვლევა, ანალიზის ერთეულები.

## კონცეპტუალიზაცია, ოპერაციონალიზაცია და გაზომვა ყველაფრის გაზომვა, რაც კი არსებობს

როგორც უკვე ითქვა, მეცნიერების ერთ-ერთი საყრდენი დაკვირვებაა. რამდენადაც ეს სიტყვა შეიძლება მიუთითებდეს შემთხვევით, პასიურ აქტივობაზე, მეცნიერები ხშირად მის ნაცვლად იყენებენ სიტყვა გაზომვას, რაც ნიშნავს რეალურ სამყაროზე ყურადღებიან მიზანმიმართულ დაკვირვებას ობიექტებისა და მოვლენების ცვლადის შემადგენელი ატრიბუტების აღწერის მიზნით.

შესაძლებელია გარკვეული ეჭვი შეგეპაროთ იმაში, თუ როგორ ზომავს მეცნიერება რეალური ცხოვრების ასპექტებს. თუ წაიკითხავთ კვლევით ანგარიშებს, მაგალითად, ლიბერალიზმზე, რელიგიურობასა და ა.შ. შეიძლება უკმაყოფილო დარჩეთ იმით, თუ როგორ გაზომეს მეცნიერებმა ის, რასაც სწავლობდნენ. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს გაზომვები საკმაოდ ზედაპირულია და აშკარად გამორჩენილია მნიშვნელოვანი ასპექტები. შესაძლოა, მათ რელიგიურობა გაზომეს იმ მაჩვენებლით, თუ რამდენჯერ იყო ადამიანი წირვაზე მისული და ა.შ.

თქვენი უკმაყოფილება ასახავს მნიშვნელოვან ფაქტს სოციალური კვლევის შესახებ: ცვლადების უმეტესობა, რომელთა შესწავლა გვინდა, რეალურად არ არსებობს ფიზიკურად, ისე როგორც ქანები არსებობენ. მართლაც, ისინი გამოგონილია და უფრო მეტიც, იშვიათად აქვთ ერთიანი, ცალსახა მნიშვნელობა.

დავუშვათ, გსურთ გამოიკვლოთ, თუ ვინ რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნის. ამ ცვლადის გაზომვისთვის უნდა მივმართოთ დარეგისტრირებული ამომრჩევლების სიას რომ ვნახოთ, ჩვენი საკვლევი ობიექტები დემოკრატიებად თუ რესპუბლიკელებლად დარეგისტრირდნენ და ეს ავილოთ მათი პარტიისადმი მიკუთვნების საზომად. ასევე, უფრო მარტივად, შეგვიძლია, უბრალოდ, ვკითხოთ ადამიანებს, რომელ პარტიასთან ასოცირდებიან და მათი პასუხი გამოვიყენოთ საზომად. გაითვალისწინეთ, რომ ეს ორი განსხვავებული საზომი ასახავს პოლიტიკური პარტიებისადმი მიკუთვნების, გარკვეულწილად, განსხვავებულ განმარტებებს. მათ შესაძლოა განსხვავებული შედეგიც კი მოგვცენ: ვილაც შეიძლება დარეგისტრირდა როგორც დემოკრატი წლების წინ, მაგრამ დროთა განმავლობაში რესპუბლიკელებისკენ გადაიხარა. ან ვინმემ, რომელიც არ არის არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში რეგისტრირებული, შეიძლება თქვას, რომ ეკუთვნის რომელიმე ერთ პარტიას, რომელიც მას მოსწონს. მსგავსი შეიძლება მოხდეს რელიგიური აღმსარებლობის კვლევის დროსაც.

სიმართლე ისაა, რომ არც პარტიულობას და არც რელიგიურობას არა აქვს რეალური მნიშვნელობა რეალურობის ჩვეული გაგებით. ბუნებაში არც ერთი მათგანი არ არსებობს, ორივე მათგანი შექმნილია ტერმინის სახით და მინიჭებული აქვს რაღაც მნიშვნელობა გარკვეული მიზნით, როგორცაა სოციალური კვლევის ჩატარება.

მაგალითად, ავილოთ ისეთი ცვლადი, როგორცაა მიკერძობულობა ან ცრურწმენა. 1970-იანი წლების დასაწყისში ელია ანდერსონი სამი წელი აკ-

ვირდებოდა ცხოვრებას შავკანიან მუშათა კლასის უბანში სამხრეთ ჩიკაგოში. მისი ყურადღების ცენტრში იყო ისეთი ადგილები, როგორცა კომბინირებული ბარები, ალკოჰოლური სასმელების მაღაზია და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალაქის ღარიბი უბნები სოციალურად ქაოტური და დეზორგანიზებული იყო, ანდერსონის კვლევამ აჩვენა, რომ არსებობდა გარკვეული სოციალური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავდა მისი მონაწილეების ქცევას. მისი ყველაზე დიდი ინტერესი სოციალური სტატუსის სისტემა იყო და ის, თუ როგორ იყენებდნენ ამ სისტემას ბარებსა და მსგავს ადგილებში მოსიარულე 55 წლის და მიახლოებული ასაკის ადამიანები თანატოლებს შორის თავის დამკვიდრებისათვის.

თავის მეორე ნაშრომში „ადგილი კუთხეში: (A Place on the Corner: A Study of Black Street Corner Men), ელია ანდერსონი დაბრუნდა ბარებსა და მიმდებარე უბნებში რამდენიმე ცვლილების აღმოსაჩენად. ეს დიდწილად გამოწვეული იყო ინდუსტრიული სამუშაოების აუტოსორსინგით საზღვარგარეთ, რამაც ბევრ მაცხოვრებელს ეკონომიკური და ფსიქიკური დეპრესია მოუტანა. სოციალური ორგანიზაციის ბუნებაც, შესაბამისად, ბევრად შეიცვალა. სტუდენტებს ამ ნაშრომის ნახვა შეუძლიათ ინტერნეტში, მათთვის საინტერესო იქნება მას გაეცნონ.

სოციალურ კვლევაში ტერმინებისა და ცვლადების განსაზღვრა ფრიად მნიშვნელოვანია. 2012 წლის კონგრესის არჩევნების დროს, მისურის მაშინდელმა კონგრესმენმა, ტოდ აკინმა, პოლემიკა გამოიწვია, როდესაც გამოაცხადა, რომ „ლეგიტიმური გაუპატიურება“ იშვიათად ინვესტს ორსულობას; ეს, მისი აზრით, გამორიცხავდა გაუპატიურებას როგორც აბორტის გამართლებას. აკინის ლოგიკით შეიძლება მიგველო ისეთი ტერმინები, როგორცაა „ლეგიტიმური მკვლელობა“ და „ლეგიტიმური ბანკის ძარცვა“. სავარაუდოდ, კონგრესმენმა იგულისხმა, რომ ეს ფრაზა უფრო „ნმინდა წყლის გაუპატიურებას“ ნიშნავდა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს ზუსტი განმარტება და თითოეული ადამიანი მას თავისთვის განსაზღვრავს. როგორც ჩანს, ამ ტერმინს სხვადასხვა ადამიანებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

რა თქმა უნდა, ყველანი ვთანხმდებით, რომ როდესაც მამაკაცი ქალს დარტყმით გააბრუნებს ან ყელზე დანას მიაბჯენს მასზე სექსუალური ძალადობის მიზნით, ეს გაუპატიურებაა და ნებისმიერ ძალადობრივ სექსობრივ აქტს შეიძლება ასე ეწოდოს, მაგრამ, იმის იქეთ, განსაზღვრება უკვე ბუნდოვანია. სავარაუდოდ, გაუპატიურება უნდა განვასხვავოთ სხვა სახის სექსუალური ძალადობისგან, როგორცაა მაგალითად, ხელის მოფათურებას. მაგრამ როდის იქცევა სექსუალური თავდასხმა გაუპატიურებად?

იგივე ითქმის „თანხმობასთან“ დაკავშირებით. კერძოდ, არსებობს კამათი იმის შესახებ, როდის არ ძალუძს ქალს თანხმობა განაცხადოს, მაგალითად, მაშინ, როდესაც ის უგონოდაა ან მთვრალია ან სიმთვრალის როგორ მდგომარეობაში და რა ვითარებაში. იმ კაცებისათვის, რომლებსაც არ ესმით, რომ „არა“ ნიშნავს „არა“-ს და როდის ნიშნავს „კი“ მართლა „კი“-ს, ეს კიდევ უფრო გაურკვეველია. ამიტომ განსაზღვრებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## კონცეფციები, ცნებები და რეალობა

ჩვენი ცხოვრების გზაზე ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ, რაც ჩვენი დაკვირვების შედეგი იყო ან სხვებისგან მოვისმინეთ, რაც რეალური ჩანდა. მაგალითად, პირადად გავიგონეთ, თუ როგორ საუბრობდნენ ადამიანები ცუდად უმცირესობების შესახებ, ნაგვიკითხავს, თუ როგორ ასამართლებდნენ აფრო-ამერიკელებს ლინჩის წესით, ასევე ნაგვიკითხავს, რომ ქალებსა და უმცირესობების წარმომადგენლებს უფრო ნაკლებს უხდიან ვიდრე თეთრ მამაკაცებს, გავიგია „ეთნიკურ წმენდაზე“ და ომებზე ეთნიკურ ჯგუფებს შორის. დამატებითი გამოცდილებით უფრო მეტიც შევნიშნეთ. საბოლოოდ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ მსგავსი ტენდენციები თავს იჩენდა ერთსა და იმავე ადამიანებს შორის და მათ საერთოც ბევრი აქვთ. რაღაც მომენტში ვილაცხას თავში მოუვიდა იდეა ასეთი ადამიანებისათვის გამოეყენებინა სიტყვა „მიკერძოებული“. ჩვენ, უბრალოდ, დავეთანხმეთ სისტემას და აქედან განჩნდა ცნება „მიკერძოება/ცრურწმენა“. ჩვენ მას არ დაკვირვებივართ. ჩვენ, უბრალოდ, შევთანხმდით, რომ გამოვიყენოთ ის შემოკლების, სახელის სახით, რომელიც წარმოადგენს აშკარად დაკავშირებული ფენომენების კრებულს, რომლებსაც თითოეული ჩვენგანი ვაკვირდებოდით ცხოვრების განმავლობაში. მოკლედ, შევქმენით ის.

კიდევ ერთი მინიშნება, რომ მიკერძოება/ცრურწმენა არ არსებობს და ის ჩვენი უხეში თანხმობაა ტერმინის გარკვეული გზით გამოყენებაზე. ჩვენ ვავითარებთ საკუთარ გონებრივ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ზოგადად ჩვენ მიერ დანახული რეალური ფენომენების ნაკრები და რა საერთო აქვთ ამ ფენომენებს. მაგალითად, როდესაც ვამბობთ სიტყვა მიკერძოებას/ცრურწმენას, თქვენს გონებაში, ისევე როგორც ჩემს გონებაში, წარმოჩნდება გარკვეული იმიჯი, თითქოს ფურცელზე კუთხეში მინერილია სიტყვა მიკერძოება/ცრურწმენა. ჩვენს ფურცელზე წერია ყველაფერი, რაც ჩვენ გავიგია ამის შესახებ სხვისგან და ჩვენი საკუთარი გამოცდილებით გვინახავს. ასევე ჩემს ფურცელზეც და ჩემი ფურცელი თქვენსას არ ჰგავს.

ამ გონებრივი სურათებისა და ფურცლების აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინია კონცეფცია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას „მიკერძოების/ცრურწმენის“ ჩვენეული კონცეფცია გვაქვს. ჩვენ ამ სურათებით კომუნიკაციას ვერ ვახდენთ, ამიტომ ვიყენებთ ჩვენი გონებრივი ფურცლების კუთხეში მინერილ ტერმინებს, იმისათვის რომ მოვახდინოთ ჩვენი კონცეფციების შესახებ კომუნიკაცია და სწორედ ტერმინი გვაძლევს ამის საშუალებას და ვთანხმდებით იმაზე, თუ კონკრეტულად რას ვგულისხმობთ ამ ტერმინით.

სოციალურ კვლევაში იმ პროცესს, რომლითაც ვთანხმდებით იმაზე, თუ რას ნიშნავს ტერმინი, ეწოდება კონცეპტუალიზაცია, ხოლო შედეგს კონცეპტი/ცნება.

საერთო ჯამში, ენა და კომუნიკაცია მუშაობს მხოლოდ იმ დონეზე, რა დონეზეც ჩვენს გონებრივ ფურცლებში ჩანერილი მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს. ამ ფურცლებს შორის მსგავსება გამოხატავს ჩვენს საზოგადოებაში არსებულ შეთანხმებას. აღზრდის პროცესში, ჩვენ დაახლოებით მსგავს რამეს გვასწავლიან, როდესაც პირველად ვეცნობით ამა თუ იმ ტერმინს, თუმცა ჩვენმა ეროვნებამ, სქესმა, რასამ, ენამ, ეთნიკურობამ, რეგიონმა და სხვა კულტურულმა ფაქტორებმა შეიძლება დაჩრდილონ ცნებების ჩვენეული გაგება.

ლექსიკონები ახდენენ ამ ცნებების შესახებ ჩვენი საზოგადოების შეთანხმების ფორმალიზაციას. შემდგომ, ყოველი ჩვენგანი ახდენს ამ ცნების მისეულ წარმოდგენას თავის გონებაში. მაგრამ რამდენადაც ყოველ ჩვენგანს განსხვავებული გამოცდილება და დაკვირვება გაგვაჩნია, არასოდეს იქნება ორი ადამიანის წარმოდგენათა ნაკრები ერთნაირი. იმისათვის, თუ გვსურს გავზომოთ „მიკერძოებულობა/ცრურწმენა“, უნდა ჩამოვყალიბოთ ის, თუ ზუსტად რას წარმოადგენს იგი ჩვენი მიზნებისათვის.

### ცნებები, როგორც კონსტრუქტები

აბრაჰამ კაპლანი განასხვავებს სამ კლასს, რასაც მეცნიერები ზომავენ. პირველი კლასია *პირდაპირი დაკვირვებადი*, რასაც ჩვენ უშუალოდ და მარტივად ვაკვირდებით, მაგალითად, ვაშლის ფერი. მეორე კლასი - ირიბი დაკვირვებადი, მოითხოვს შედარებით უფრო დახვეწილ, კომპლექსურ ირიბ დაკვირვებას, მაგალითად, კითხვარში სუბიექტის სქესის გრაფაში აღნიშნულია „ქალი“, ჩვენ ირიბად ვაკვირდებით პიროვნების სქესს. და ბოლოს, მესამე კლასი შედგება კონსტრუქტებისგან. ესაა თეორიული ქმნილებები, რომლებიც ეფუძნება დაკვირვებას, მაგრამ მათი პირდაპირ ან ირიბად დაკვირვება/შემჩნევა შეუძლებელია. ამის კარგი მაგალითია ინტელექტის კოეფიციენტი - IQ. იგი მათემატიკურადაა გამოყვანილი იმ პასუხების დაკვირვებიდან, რომლებიც მრავალრიცხოვან კითხვებზეა მიღებული IQ-ს ტესტში. არავის შეუძლია IQ-ს პირდაპირი ან ირიბი დანახვა/დაკვირვება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტები/ცნებები გონებრივი სურათისგან (კონცეფციისგან) ურთიერთშეთანხმების შედეგად მიღებული კონსტრუქტებია. ჩვენი კონცეფციები აჯამებს დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად მიღებულ კოლექციას. დაკვირვება და გამოცდილება რა თქმა უნდა, რეალურია, თუმცა სუბიექტური, მაგრამ კონცეფციები და შექმნილი კონცეპტები მხოლოდ გონებრივი წარმონაქმნებია. ცნებების ამსახველი ტერმინები ხელოვნურად შექმნილია კომუნიკაციის მიზნით და ისინი, სინამდვილეში, უბრალოდ, ასოთა ნაკრებია, რომლის მიღმა რეალობა არ დგას, მათ მხოლოდ ის მნიშვნელობა გააჩნიათ, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ.

ჩვენ კი შეცდომაში შევდივართ და გვგონია, რომ ისინი რეალურ საგნებს ასახავენ და კიდევ უფრო სახიფათოა უფრო საშიშია, როცა ტერმინებს სერიოზულად ვუდგებით და ვცდილობთ მათ ზუსტად გამოყენებას. კონტრაქტების რეალურად მიჩნევას *გასაგნობრივება* ეწოდება. ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ ისეთი კონსტრუქტები, როგორცაა *ცრურწმენა/მიკერძოებულობა* არ შეიძლება გაიზომოს. როგორც უკვე ვთქვით, ყველაფრის გაზომვა შეიძლება რაც რეალურია. კონტრაქტები იმ გაგებით რეალური არაა, როგორც საგნები, მაგალითად ხე, მაგრამ მათ სხვა ფასეულობა აქვთ: ისინი სასარგებლოა. ისინი გვეხმარებიან ორგანიზებაში, კომუნიკაციაში, რაღაცის წინასწარმეტყველებაში, რაც ხანდახან სიმართლე აღმოჩნდება.

ხიდი პირდაპირი და ირიბი დაკვირვებებიდან სასარგებლო კონსტრუქტებად არის პროცესი, რომელსაც კონცეპტუალიზაცია ეწოდება.

## კონცეპტუალიზაცია

იმ პროცესს, რომლითაც ვაკონკრეტებთ რას ვგულისხმობთ, როდესაც კვლევაში კონკრეტულ ტერმინს ვიყენებთ, **კონცეპტუალიზაცია** ეწოდება. დავუშვათ, გვინდა იმის შესწავლა, თუ ვინ უფრო თანამგრძობია, კაცები თუ ქალები, თუმცა, სავარაუდოდ, ბევრი ფიქრობს, რომ ქალები, მაგრამ საკითხის შესწავლა ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. ამისათვის უნდა შევთანხმდეთ ტერმინ „თანამგრძობის“ მნიშვნელობის რაღაც „მუშა“ ვარიანტზე. რაც მოცემულ საკითხზე მუშაობის საშუალებას მოგვცემს. რა თქმა უნდა, არაა საჭირო შევთანხმდეთ იმაზე, რომ რომელიმე კონკრეტიზაცია იქნება საუკეთესო. კონცეპტუალიზაცია კი ქმნის კონცერტისათვის კონკრეტულ, შეთანხმებულ მნიშვნელობას კვლევის მიზნებისათვის. ზუსტი მნიშვნელობის დაკონკრეტების პროცესი მოიცავს იმ ინდიკატორების აღწერას, რასაც კონცეპტისა და მისი სხვადასხვა ასპექტის გაზომვისთვის ვიყენებთ, რომელსაც განზომილება ეწოდება.

## ინდიკატორები და სიდიდეები

კონცეპტუალიზაცია ცნებას აძლევს გარკვეულ მნიშვნელობას იმ ერთი ან მეტი ინდიკატორის დაკონკრეტების გზით, რომელიც ჩვენ გონებაში გვაქვს. ინდიკატორი არის იმ ცნების არსებობის ან არარსებობის ნიშანი, რომელსაც შევისწავლით.

მაგალითად, შეიძლება შევთანხმდეთ, რომ საშობაოდ ან ჰანუკას დღესასწაულზე ბავშვთა საავადმყოფოებში მისვლა თანაგრძობის ინდიკატორია. ასევე, შეიძლება ინდიკატორი იყოს ჩიტის ბარტყების ბუდეში დაბრუნება და ა.შ. თუ კვლევის ობიექტი ინდივიდია, ჩვენ შეიძლება შევნიშნოთ თითოეულ ინდივიდში თითოეული ინდიკატორის არსებობა ან არარსებობა. შემდგომ, შეგვიძლია დავამატოთ კიდევ რამდენიმე ინდიკატორი, რომელსაც შევნიშნავთ თითოეული ინდივიდისათვის. მაგალითად, შეიძლება შევთანხმდეთ 10 კონკრეტულ ინდიკატორზე, რომელთაგან პეტს აღმოაჩნდება 6, ჯონს- 3, მერის-9 და ა.შ. ჩვენ საკითხს თუ დავუბრუნებთ, კაცები უფრო თანამგრძობი არიან თუ ქალები, შეგვიძლია გამოვთვალოთ, რომ ჩვენ მიერ შესწავლილმა ქალებმა საშუალოდ 6,5 ინდიკატორი გამოავლინეს მაშინ როცა კაცებმა- 3,2 და ამ რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალები უფრო თანამგრძობი არიან, ვიდრე კაცები. თუმცა, ჩვეულებრივ, ეს არც ისე ადვილია. ასეთივე მაგალითი შეიძლება იყოს თუ დავავანტერესებს პატარა რელიგიური კულტის შესწავლა და ა.შ.

სოციალური მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმ მნიშვნელობაზე, რასაც საკვლევი ინდივიდები ანიჭებენ სიტყვებსა და ქცევას. როდესაც სერიოზულად მივუდგებით ჩვენს კონცეპტებს და ჩამოვყალიბდებით, თუ კონკრეტულად რას ვგულისხმობთ, აღმოვაჩინთ აზრთა სხვადასხვაობასა და შეუსაბამობებს. თუ დავფიქრდებით, რას ნიშნავს ჩვენთვის თანამგრძობა, ვნახავთ, რომ ჩვენი სურათი სხვადასხვა სახის თანამგრძობისაა მოიცავს. ასევე, შეიძლება თქვენს გონებრივ ფურცლებზე მნიშვნელობები ჯგუფებად და ქვეჯგუფებად იყოს გაერთიანებული, მაგალითად, თანამგრძობა მეგობრებისადმი, კოლეგებისადმი, ჩიებისადმი და ა.შ. ან, მაგალითად, ეს ჯგუფები იყოს გაერთიანებული გრძნობებისა და ქცევის ნიშნით.

ასეთი დაჯგუფების ტექნიკური ტერმინია განზომილება - ანუ კონცეპტის განმსაზღვრელი ასპექტი. მაგალითად, შეიძლება ვისაუბროთ თანაგრძობის „გრძობით სიდიდეზე“ და „ქცევის სიდიდეზე“. სხვა დაჯგუფებაში შეიძლება განვასხვაოთ „თანაგრძობა ადამიანებისადმი“ და „თანაგრძობა ცხოველებისადმი“ და ა.შ.

ასე რომ, ჩვენ თანაგრძობა დავყავით რამდენიმე მკაფიოდ განსაზღვრულ ქვეჯგუფად. სრული კონცეპტუალიზაცია მოიცავს როგორც დააკონკრეტებენ განზომილებას, ასევე, თითოეულისათვის განსხვავებული ინდიკატორების იდენტიფიცირებას.

როდესაც ჯონათან ჯექსონმა „დანაშაულის შიშის“ გაზომვა დაიწყო, მან განიხილა 11 სხვადასხვა პარამეტრი, როგორცაა, მაგალითად, უახლოეს სამეზობლოში სამი პირადი დანაშაულისა და ორი ქონებრივი დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შიშის სიხშირე, ადგილობრივ დონეზე თითოეული დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ალბათობის შეფასება, თითოეული დანაშაულის შედეგების სიმძიმის აღქმა და ა.შ.

ხანდახან კონცეპტუალიზაციას, რომლის მიზანია ცვლადის სხვადასხვა განზომილების იდენტიფიცირება, მივყავართ სხვადასხვა სახის განსხვავებამდე. შეიძლება დავასკვნათ, რომ მნიშვნელობით განსხვავებული კონცერტებისათვის ერთ სიტყვას გამოვიყენებდით. მაგალითად, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ „ძალადობა“ არ არის საკმარისი „გენოციდის“ აღსაწერად და, მეორე, თავად ცნება „გენოციდი“ მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ ფენომენს.

როდესაც დანიელ ჩიროტმა და ჯენიფერ ედუარდსმა გადანყვიტეს ცნება „გენოციდის“ განსაზღვრა, აღმოაჩინეს, რომ არსებული მოსაზრება არ იყო საკმარისი მათი მიზნისათვის. თუ ისეთი გენოციდი, როგორცაა ჰოლოკოსტი, არის ძალადობის ფორმა, როგორცაა, მაგალითად, თავდასხმა და მკვლელობა, მაშინ რა ვიცით ჩვენ ძალადობის შესახებ ზოგადად, რაც გენოციდს ახსნიდა. თუ ის განსხვავდება ძალადობის სხვა ფორმებისგან, მაშინ მას სხვაგვარი ახსნა ჭირდება. ასე რომ, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მკვლევრებმა დაუშვეს, რომ „გენოციდი“ ძალადობისგან განსხვავებული ცნებაა. მათ შეისწავლეს გენოციდის ისტორიული ფაქტები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ გენოციდის მოტივები განსხვავებულია და წარმოდგენილია 4 მოვლენის სახით, რომელსაც გენოციდი ეწოდება: სარგებლიანობა, შურისძიება, შიში და წმენდა. გენოციდის ვერცერთი თეორია ვერ ხსნის ამ განსხვავებულ ფორმებს, თითოეულ მათგანს განსხვავებული ახსნა სჭირდება.

მაშასადამე, კონცეფციის სხვადასხვა განზომილების დაზუსტება ხშირად ხსნის გზას იმისკენ, რომ უფრო დახვეწილად გავიგოთ ის, რასაც შევისწავლით.

### **ინდიკატორების ურთიერთცვალებადობა**

არსებობს სხვა გზა, რომლითაც ინდიკატორების ცნება დაგვეხმარება რეალობის გაგების მცდელობებში „არარეალური“ კონსტრუქტების საშუალებით. დავუშვათ, ჩამოვაყალიბეთ თანაგრძობის 100 ინდიკატორი და მათი სხვადასხვა განზომილება. დავუშვათ, შემდგომ ვერ შეთანხმდით იმაზე, თუ რომელი ინდიკატორი გვაძლევს თანაგრძობის ზუსტ მტკიცე-

ბულებას ან მის უქონლობას. თუ გარკვეულნილად შევთანხმდებით რაღაც ინდიკატორებზე და მათზე გავამახვილებთ ყურადღებას, სავარაუდოდ, შევთანხმდებით მათგან გამომდინარე პასუხზეც. მაგრამ თუ ვერცერთ ინდიკატორზე შევთანხმდებით, იმაზე მაინც შევთანხმდებით, ვინ უფრო თანამგრძობია, ქალები თუ კაცები. რა საერთო აქვს ამას ინდიკატორების ურთიერთცვალებადობასთან. თუ ჩვენ საერთოდ ვერ შევთანხმდებით ინდიკატორების მნიშვნელობაზე, მაშინ გამოსავალი ერთია - მათი შესწავლა. დავუშვათ, ქალები უფრო თანამგრძობი აღმოჩნდნენ, ვიდრე კაცები ყველა 100 ინდიკატორით. მაშინ შევთანხმდებით ამ ფაქტზე, მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმებით ერთმანეთს იმაზე, თუ რას ნიშნავს თანამგრძობა ზოგადად. ინდიკატორების ურთიერთცვალებადობა ნიშნავს, რომ თუ რამდენიმე განსხვავებული ინდიკატორი ყველა, გარკვეულნილად, ერთსა და იმავე ცნებას წარმოადგენს, მაშინ ისინი მოიქცევიან ისევე, როგორც მოიქცეოდა რეალური რომ ყოფილიყო და დაკვირვება შესაძლებელი ყოფილიყო. ამგვარად, თუ შევთანხმდებით იმაზე, რა არის „თანამგრძობა „ თუ ქალები ზოგადად უფრო თანამგრძობნი არიან ვიდრე მამაკაცები, ჩვენ უნდა შევძლოთ დავინახოთ ეს განსხვავება თანამგრძობის ნებისმიერი გონივრული საზომის გამოყენებით. თუ, მეორე მხრივ, ქალები უფრო თანამგრძობნი არიან, ვიდრე მამაკაცები ზოგიერთი ინდიკატორით, მაგრამ ყველათი არა, უნდა დავინახოთ, წარმოადგენს თუ არა ინდიკატორების ორი ნაკრები თანამგრძობის განსხვავებულ განზომილებებს.

#### **რეალური, ნომინალური და სამუშაო განმარტებები**

როგორც ვნახეთ, სოციალური კვლევის შემუშავება და განხორციელება მოითხოვს ჩვენგან კონცეფციებსა და რეალობასთან დაკავშირებით დაბნეულობის თავიდან აცილებას. ამ მიზნით, ლოგიკოსებმა და მეცნიერებმა გაანასხვავეს სამი სახის განსაზღვრება: რეალური, ნომინალური და სამუშაო.

პირველი მათგანი, რეალური, ასახავს ტერმინების რეალიზებას.

ნომინალური განმარტება არის ის, რომელიც უბრალოდ ენიჭება ტერმინს ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, იმის გამო, რომ განმარტება წარმოადგენს „რეალურ“ ობიექტს. ნომინალური განმარტებების უმეტესობა წარმოადგენს გარკვეულ კონსენსუსს ან შეთანხმებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული კონკრეტული ტერმინი.

განსაზღვრება აზუსტებს, თუ როგორ იზომება ცნება. სამუშაო განმარტება უფრო ნომინალურია, ვიდრე რეალური, მაგრამ ის მაქსიმალურ სიცხადეს აღწევს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ცნება მოცემული კვლევის კონტექსტში. გაურკვეველობის შემთხვევაში, რას ნიშნავს ტერმინი „ნამდვილად“, შეგვიძლია დავაზუსტოთ სამუშაო განმარტება კვლევის მიზნებისთვის.

ცხადია, კითხვების ფორმულირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენს პასუხებზე, მაგრამ როგორ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რომელ სიტყვებს რა გავლენა აქვს? კოგნიტიური გამოკითხვა ამ მიზნისთვის სასარგებლო ინსტრუმენტია. პოტენციური კითხვების შედგენის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ ადამიანებს უპასუხონ შეკითხვებს და დააკომენტარონ ისინი!

კამილა პრიდი და სტივენ ფარალი აღწერენ კოგნიტიური გამოკითხვის სხვადასხვა გზებს. მაგალითად, „ხმამალა ფიქრი“ ხელს უწყობს, რომ რესპონდენტებმა ისაუბრონ კითხვარის შესახებ მასზე პასუხის გაცემის პროცესში.

რალფ ფევრი და მისი კოლეგები (2010) დაინტერესდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაო ადგილზე ბუღინგით. მათ გამოიყენეს თვისებრივი კითხვარები, მაგრამ იმაში დასარწმუნებლად, რომ გამოიყენეს ბუღინგის შესაფერისი გაზომვები, მათი კვლევის დიზაინის დიდი ნაწილი რაოდენობრივ გამოკითხვებს შეიცავდა. მასში რესპონდენტებს უსვამდნენ პოტენციური კითხვარის შეკითხვებს, რის შემდეგაც განმეორებით სვამდნენ შეკითხვებს მათზე გაცემული პასუხების სრულყოფილად გაგების მიზნით.

ფორმულირების არჩევანის გავლენა სოციალური კვლევისთვის მუდმივი საზრუნავია. მაგალითად, ელენორ სინგერი და მიკ კუპერი ვარაუდობდნენ, რომ აბორტის საკითხის კვლევისას გავლენა ექნებოდა იმას, თუ რა სიტყვას გამოიყენებდნენ - ბავშვს თუ ნაყოფს. ამისათვის მათ ზოგ კითხვარში სიტყვა ბავშვი, ხოლო ზოგში - სიტყვა ნაყოფი გამოიყენეს. მათ და გასაოცრად, ამას მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოუჩვენია.

#### კონცეპტუალური წესრიგის შექმნა

ცნებების დაზუსტება უწყვეტი პროცესია სოციალურ კვლევაში. თვისებრივი კვლევის ზოგიერთ ფორმაში ცნებების დაზუსტება არის მონაცემთა შეგროვების ძირითადი ელემენტი. დავუშვათ, ატარებთ კვლევას რადიკალური პოლიტიკური ჯგუფის შესახებ, რომელიც ებრძოდა აშშ-ში ჩაგვრას. წარმოიდგინეთ, როგორ შეიცვლება სიტყვა „ჩაგვრის“ მნიშვნელობა რაც უფრო ღრმად შეისწავლით ჯგუფის წევრების გამოცდილებას და მსოფლმხედველობას. შესაძლოა, დასაწყისში ფიქრობდით ჩაგვრაზე ფიზიკური და ეკონომიური თვალსაზრისით, მაგრამ რაც უფრო მეტს შეისწავლით ჯგუფს, მით უფრო შეაფასებთ ფსიქოლოგიური ზენოლის შესაძლებლობას.

ცნებების მუდმივი დახვეწა ხდება სოციალური კვლევის ყველა მეთოდში. ხშირად თქვენ აღმოაჩენთ, რომ აზუსტებთ საკვანძო ცნებების მნიშვნელობას, მაშინაც კი, როდესაც წერთ საბოლოო ანგარიშს.

მუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალიზაცია უწყვეტი პროცესია, უმჯობესია მას კვლევის დიზაინის საწყის ეტაპზე მიმართოთ, განსაკუთრებით ისეთ კვლევებში, როგორიცაა გამოკითხვა და ექსპერიმენტი.

თუმცა, ნაკლებად სტრუქტურირებული კვლევის მეთოდებშიც კი, ჩვენ უნდა დავინყოთ მოსალოდნელი მნიშვნელობების საწყისი ნაკრებით, რომელიც შეიძლება დაიხვეწოს მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტაციის დროს. ძნელად დასაჯერებელია, რომ ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ცხოვრებას წინასწარი განწყობის გარეშე.

ვნახოთ საწყისი კონცეპტუალიზაცია გამოკითხვისა და ექსპერიმენტის ჩატარებისას. თუმცა ნომინალური განმარტებების დაზუსტება ფოკუსირებულია ჩვენი დაკვირვების სტრატეგიაზე, ის არ გვაძლევს დაკვირვების საშუალებას. როგორც შემდეგი ნაბიჯი, ჩვენ ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, თუ რას ვაპირებთ დავაკვირდეთ, როგორ დავაკვირდებით მას და როგორ

განმარტავთ სხვადასხვა შესაძლო დაკვირვებებს. ყველა ეს შემდგომი სპეციფიკაცია ქმნის ცნების სამუშაო განმარტებას.

სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის (SES) მაგალითში, ჩვენ შეიძლება გადავწყვიტოთ SES გაზომვა შემოსავლისა და განათლების დონის მიხედვით. შემდეგ გამოკითხვის რესპონდენტებს შეიძლება დავუსვათ ორი შეკითხვა:

1. რამდენი იყო თქვენი ოჯახის მთლიანი შემოსავალი ბოლო 12 თვის განმავლობაში?

2. რომელი უმაღლესი საფეხურის სკოლა დაამთავრეთ?

ჩვენი მონაცემების ორგანიზებისთვის, სასურველია, დავაკონკრეტოთ რესპონდენტების პასუხების კატეგორიზაციის სისტემა. შემოსავლისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი კატეგორიები, როგორცაა „25 000\$-მდე“, „25 000\$-დან 49 999\$-მდე“ და ა.შ. საგანმანათლებლო მიღწევები შეიძლება, ასევე, დაჯგუფდეს კატეგორიებად: საშუალო სკოლაზე ნაკლები, საშუალო სკოლა, კოლეჯი, დიპლომი. და ბოლოს, ჩვენ დავაკონკრეტებთ, თუ როგორ გაერთიანდება სუბიექტის პასუხები ამ ორ კითხვაზე SES-ის საზომის შესაქმნელად. ამ გზით ჩვენ შევქმნით SES-ის სამუშაო და მუშა განმარტებას. შეიძლება ვინმე არ დაეთანხმოს ჩვენს კონცეპტუალიზაციას და მუშა განმარტებას, მაგრამ მას ექნება ერთი არსებითი ფასეულობა: ის იქნება აბსოლუტურად კონკრეტული და ცალსახა.

#### **კონცეპტუალიზაციის მაგალითი: ანომიის ცნება**

მკვლევრები, რომლებიც სწავლობენ ურბანულ არეულობებს, ხშირად ყურადღებას ამახვილებენ უძღურების გრძნობაზე. სოციალური მკვლევარები ზოგჯერ იყენებენ სიტყვა ანომიას ამ კონტექსტში. ეს ტერმინი პირველად სოციალურ მეცნიერებაში შემოიტანა ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დიურკემ თავის კლასიკურ ნიგნში „თვითმკვლევლობა“ 1897 წელს. მხოლოდ სამთავრობო პუბლიკაციების გამოყენებით თვითმკვლევლობის მაჩვენებლების შესახებ სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში, დიურკემმა შექმნა გენიალური ანალიტიკური ნაშრომი. იმისათვის, რომ შეესწავლა თვითმკვლევლობის ფენომენზე რელიგიის ზეგავლენა, მან შეადარა უპირატესად პროტესტანტული ქვეყნების თვითმკვლევლობის მაჩვენებლები, უპირატესად, კათოლიკური ქვეყნების მაჩვენებლებს, კათოლიკური ქვეყნების პროტესტანტული რეგიონების თვითმკვლევლობის მაჩვენებლები - პროტესტანტული ქვეყნების კათოლიკური რეგიონების მაჩვენებლებს და ა.შ. ამინდის ზეგავლენის დასადგენად, მან შეისწავლა მაჩვენებლები სამხრეთ და ჩრდილოეთ ქვეყნებში, ასევე თვეებისა და სეზონების მიხედვით. ამრიგად, მას შეეძლო გამოეტანა დასკვნები უაღრესად ინდივიდუალისტური და პიროვნული აქტის შესახებ, მასში ჩართული პირების შესახებ ყოველგვარი მონაცემების ქონის გარეშე.

იგი აღნიშნავს, რომ სოციალური გადატრიალება და ცვლილებები ხშირად იწვევს ინდივიდებში სერიოზულ გაურკვევლობას იმის შესახებ, თუ რას მოელიან მათგან. დიურკემი ვარაუდობს, რომ ასეთი გაურკვევლობა იწვევს დაბნეულობას, შფოთვისა და თვითგანადგურებას. ნორმის არ არსებობის ამ სოციალური მდგომარეობის აღსაწერად მან გამოიყენა ტერმინი ანომია. მას ეს ტერმინი არ გამოუგონია, იგი არსებობდა, და ლექსიკონის თანახმად, ნიშნავდა „კანონის გარეშე“. ინგლისური ტერმინი ანომია დიურკემამდე სულ მცირე სამი საუკუნით

ადრე გამოიყენებოდა, რაც ნიშნავს ღვთაებრივი კანონის უგულვებელყოფას. თუმცა, დიურკემმა შექმნა ანომიის სოციალური მეცნიერების ცნება.

მას შემდეგ ბევრმა სოციალურმა მეცნიერმა მიიჩნია ეს ტერმინი სასარგებლოდ და განავრცეს კიდევ. დიურკემმა ეს ტერმინი საზოგადოების თვისებებთან მიმართებით გამოიყენა, ხოლო ზოგმა მეცნიერმა მის შემდეგ ინდივიდებთან მიმართებითაც გამოიყენეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მკვლევარმა ანომიის სამუშაო განმარტებები შეიმუშავა, ერთი მათგანი გამოირჩევა ყველასგან. ლეო სროლმა (1956) გამოაქვეყნა კითხვარის ერთობლიობა, რომელიც, მისი თქმით, ანომიის კარგი საზომი იყო. ის შედგებოდა ხუთი მტკიცებულებისაგან, რომლებსაც სუბიექტები ან დათანხმდებოდნენ ან არა.

გამოქვეყნების შემდეგ ათწლეულების განმავლობაში, სროლის სკალა გახდა სოციალური მეცნიერების კვლევის ძირითადი შემადგენელი.

ანომიის მაგალითი რამდენიმე საკითხის ილუსტრირებას ახდენს. პირველ რიგში, ეს იმ პროცესის კარგი მაგალითია, რომლითაც ხდება ზოგადი ცნების სამუშაო გაზომვად ჩამოყალიბება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანომიის სამუშაო ცნებად ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა. მკვლევრები შემდგომაც გააგრძელებენ მის ხელახალ კონცეპტუალიზაციას უფრო სასარგებლო გაზომვის პოვნის მიზნით.

სროლის სკალა ასახავს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. კონცეპტუალიზაციას და ოპერაციონალიზაციის ღიად დაშვება სულაც არ იწვევს ანარქიასა და ქაოსს, პირიქით, ხშირად წესრიგს ვლდებულობთ.

წესრიგის მეორე წყარო არის ის, რომ როდესაც მკვლევრები აღმოაჩენენ კონცეფციის კონკრეტული კონცეპტუალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის სარგებლობას, ისინი, სავარაუდოდ, მიიღებენ მას, რაც იწვევს ცნებების სტანდარტიზებულ განმარტებებს. სროლის სკალის გარდა, შეიძლება მოვიყვანოთ IQ ტესტებისა და დემოგრაფიული და ეკონომიკური მაჩვენებლების მაგალითები, რომლებიც საგულდაგულოდ იქნა შემუშავებული აშშ მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ. ამ დადგენილი გაზომვების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საგულდაგულოდაა შემონმებული, გამოცდილი და გამართული, და აგრეთვე, შესაძლებელია იმავე სკალის გამოყენებით ჩატარებული კვლევების შედარება.

მაშასადამე, სოციალურ მეცნიერებს შეუძლიათ გაზომონ ყველაფერი, რაც რეალურია. კონცეპტუალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის საშუალებით მათ ძალუძთ გაზომონ ისიც კი, რაც არ არის რეალური. ისეთი ცნებები, როგორცაა: სოციალურ-ეკონომიური სტატუსი, ცრურწმენა, თანაგრძნობა და სხვა, არარეალურია, მაგრამ მეცნიერებს შეუძლიათ შეიტანონ ნვლილი მათ დამუშავებაში.

#### **განმარტებაში აღწერით და განმარტებით კვლევებში**

კვლევის ორი ზოგადი მიზანია აღწერა და ახსნა. მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განმარტებასა და გაზომვაზე. თანაც, აღწერა განმარტებაზე მარტივი არაა. გაგიკვირდებათ, როცა აღმოაჩინოთ, რომ განმარტება უფრო პრობლემურია აღწერილობითი ვიდრე ახსნა-განმარტებითი კვლევისთვის.

ასკარაა მკაფიო და ზუსტი განმარტების მნიშვნელობა აღწერილობითი კვლევისათვის. თუ გვსურს აღწეროთ ქალაქში უმუშევრობის მაჩვენებელი, უაღრესად მნიშვნელოვანია „უმუშევრობის“ განმარტება. ეს კი დამოკიდებულია მეორე ტერმინის - სამუშაო ძალის განმარტებაზე. რადგანაც აბსურდულია სამი წლის ბავშვი უმუშევრად მივიჩნიოთ იმიტომ, რომ ის არ განიხილება სამუშაო ძალად. ამრიგად, აშშ მოსახელობის აღწერის ბიუროს თანახმად 14 წლის ქვემოთ ასაკის მქონე ბავშვები არ მიიჩნევიან სამუშაო ძალად. თუმცა, არც ეს შეთანხმება მოგვცემს დამაკმაყოფილებელ განსაზღვრებას, რადგანაც ისინი უმუშევრად თვლიან მაღალი კლასის მოსწავლეებს, უნარშეზღუდულებს, პენსიონერებს და იმათ, ვინც მხოლოდ სახლში მუშაობს. ამის თანახმად, სამუშაო ძალად ითვლებიან ისინი, ვინც 14 წლის და ზემოთ ასაკისაა და ვინც დასაქმებულია ან სამუშაოს ეძებს ან ელოდება როდის დააბრუნებენ სამუშაოზე. მაგრამ რას ნიშნავს სამუშაოს ძებნა? სახელმწიფო ორგანიზაციაში დარეგისტრირებას თუ კარდაკარ სიარულს სამუშაოს საძებნელად? თუ საკმარისია უბრალოდ სამსახურის ძებნა? და ა.შ.

როგორც ხედავთ, უმუშევრობის დონის შესახებ აღწერილობითი კვლევის დასკვნა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წყდება თითოეული საკითხი განსაზღვრებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი შედარებით გასაგებია, რადგანაც არსებობს რამდენიმე შეთანხმება უმუშევრობასა და სამუშაო ძალასთან დაკავშირებით. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რაოდენ რთული იქნება შეთანხმების მიღწევა იმასთან დაკავშირებით, რომ ითქვას: „ამ ინსტიტუტში სტუდენტების 45 პროცენტი პოლიტიკურად კონსერვატორია“. პროცენტულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვზომავთ - ამ შემთხვევაში პოლიტიკურ კონსერვატიზმს.

2009 წელს ლარს გრონვიკმა გამოიკვლია უნარშეზღუდულთა პროცენტულობა შვედეთში, რისთვისაც შეისწავლა რამდენიმე მონაცემთა ბაზა მოიცავდა შვედურ საზოგადოებაში უნარშეზღუდულობის ოთხ სხვადასხვა განმარტებას ან გაზომვას. ერთი იკვლევდა იმას, ჰქონდა თუ არა ადამიანს სმენის, მხედველობის, სიარულის ან სხვა პრობლემები. ორი სხვა კვლევა ეფუძნებოდა იმას, იღებდნენ თუ არა მოქალაქეები სახელმწიფო მხარდაჭერას უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებით. ბოლო კვლევა აზუსტებდა, სჯეროდათ თუ არა მათ, რომ ისინი უნარშეზღუდული იყვნენ. როგორც ხედავთ, 4 ჯგუფი გამოიკვება და თითოეულმა გაზომვამ შექმნა 4 სხვადასხვა დემოგრაფიული პროფილი, რომელიც შედგებოდა ისეთი ცვლადებისგან, როგორიცაა ასაკი, სქესი, განათლება, სამუშაო ძალაში ჩართულობა და სხვა.

განმარტებები ნაკლებად პრობლემურია განმარტებითი კვლევის შემთხვევაში. დავუშვათ, გვინტერესებს პოლიტიკური კონსერვატიზმის ახსნა, თუ რატომაა ზოგი კონსერვატორი და ზოგი - არა. უფრო კონკრეტულად, გვინტერესებს იმის გაგება, იზრდება თუ არა კონსერვატორობა ასაკთან ერთად. ვთქვათ, გვაქვს კონსერვატიზმის 25 სამუშაო განმარტება და ვერ შევთანხმდით, რომელია საუკეთესო. როგორც ინდიკატორების შემთხვევაში ვნახეთ, ეს არ არის გადაულახავი პრობლემა. დავუშვათ, აღმოვაჩინეთ,

რომ ასაკოვანი ადამიანები უფრო კონსერვატორები არიან, ვიდრე ახალგაზრდები ყველა 25 განმარტების მიხედვით. რა თქმა უნდა, ზუსტ განმარტებას აქ მნიშვნელობა არა აქვს, მაინც დავასკვნით, რომ ასაკოვანი ხალხი ზოგადად უფრო კონსერვატორია, ვიდრე ახალგაზრდები მიუხედავად იმისა, რომ ვერ შევთანხმდით კონსერვატულობის ზუსტ განმარტებაზე.

პრაქტიკაში, ახსნა-განმარტებითი კვლევა იშვიათად იძლევა ისეთ ცალსახა დასკვნებს, როგორსაც ეს მაგალითი გვთავაზობს; მიუხედავად ამისა, ზოგადი ნიშნუმი საკმაოდ გავრცელებულია რეალურ კვლევაში. არსებობს ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში ურთიერთობების თანმიმდევრული მოდელები, რაც იწვევს კვლევის თანმიმდევრულ შედეგებს. თუმცა, ასეთი თანამიმდევრულობა არ ჩანს აღწერილ სიტუაციაში. დეფინიციების შეცვლა თითქმის გარდაუვლად იწვევს განსხვავებულ აღწერილობით დასკვნებს.

### **ოპერაციონალიზაციის არჩევანი**

კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. კონცეპტუალიზაცია არის აბსტრაქტული ცნებების დახვეწა და დაზუსტება, ხოლო ოპერაციონალიზაცია არის კონკრეტული კვლევის პროცედურების (ოპერაციების) განვითარება, რაც იწვევს ემპირიულ დაკვირვებებს და წარმოადგენს ამ ცნებებს რეალურ სამყაროში. კონცეპტის ოპერაციონალიზაციისას მკვლევრებს აქვთ არჩევანი.

### **ვარიაციების დიაპაზონი**

ნებისმიერი ცნების ოპერაციონალიზაციისას, მკვლევრებმა ზუსტად უნდა იცოდნენ ვარიაციის დიაპაზონი, რაც მათ აინტერესებთ ისიც, თუ რამდენად გვსურს ატრიბუტების საკმაოდ უხემ კატეგორიებად გაერთიანება.

დაუშვათ, გსურთ ადამიანების შემოსავლის გაზომვა ჩანანერების ან ინტერვიუების მონაცემების შეგროვებით. მაღალი ანაზღაურების მქონე ადამიანები მილიონობით დოლარს გამოიმუშავენ, მაგრამ ასეთი ბევრი არაა. იმის მიხედვით, თუ ვის ვსწავლობთ, სავარაუდოდ მოისურვებთ დაადგინოთ უმაღლესი შემოსავლის და დაბალი შემოსავლის კატეგორია - 250 000 დოლ. ეს არჩევანი გამოიწვევს ისეთი ადამიანების გაერთიანებას, რომლებიც მილიონობით დოლარს გამოიმუშავენ და შედარებით ღარიბებისა, რომელთა შემოსავალი 250 00 დოლარს არ აღემატება. ასეთი გაერთიანება, ალბათ, თქვენს კვლევას ზიანს არ მიაყენებს. იმავე გადანყვეტილების წინაშე დადგებით შემოსავლის სპექტრის მეორე ბოლოს. აშშ-ს მოსახლეობის კვლევაში ქვედა კატეგორია, რომლის შემოსავალი 25 000 ან ნაკლები დოლარია, ნაკლები ჩვეულებრივ, ნორმალურად მუშაობს.

დამოკიდებულებებისა და ორიენტაციების შესწავლისას ვარიაციების დიაპაზონს სხვაგვარი განზომილებები აქვს, ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ. მაგალითად, გსურთ შეისწავლოთ ხალხის დამოკიდებულება ბირთვულ ენერგიაზე მომუშავე გენერატორების მიმართ. თუ ივარაუდებთ ან მსგავსი გამოცდილება გქონდათ, რომ ზოგი მას ბორბლის გამოგონების შემდეგ უდიდეს აღმოჩენად თვლის, ზოგსაც კი სულაც არ აინტერესებს, მაშინ მიზანშეწონილია ჰკითხოთ თუ რამდენად ემხრობიან ბირთვული ენერჯის გა-

მოყენების გაფართოებას, სადაც კითხვარში აქვთ კატეგორიის დიაპაზონი „ძალიან ვემხრობი“-დან „საერთოდ არ ვემხრობი“-მდე.

თუმცა, ეს ოპერაციონალიზაცია დამოკიდებულების მხოლოდ ნახევარ სპექტრს აჩვენებს, რადგანაც ზოგი ადამიანის დამოკიდებულება იმაზე უფრო მეტია, ვიდრე არ ვემხრობი, ზოგი სხვადასხვა ინტენსივობით წინააღმდეგიც კია. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება დიაპაზონის გაფართოება, „ძალიან ვემხრობი“-დან დაწყებული, „არანაირი გრძნობა არ მაქვს“ და „ძალიან ვენი-ნააღმდეგები“-თ დასრულებული.

ასეთი მიდგომა ბევრი სხვა ცვლადის მიმართ გამოიყენება სოციალურ კვლევებში. ვირტუალურად ნებისმიერი საჯარო საკითხი მოიცავს როგორც მხარდაჭერას, ასევე - წინააღმდეგობას. ასე, მაგალითად, ხალხი არამხოლოდ მეტნაკლებად რელიგიურია, არამედ ანტირელიგიურიც კია. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ ყველა კვლევისას მთელი დიაპაზონი უნდა გაზომოთ, უბრალოდ, უნდა იცოდეთ, გჭირდებათ თუ არა ეს კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

### პარიაციები უკიდურესობებს შორის

სიზუსტის ხარისხი მეორე ფაქტორია ცვლადების ოპერაციონალიზაციისას. ეს არის ის, თუ რამდენად კარგად განასხვავებთ სხვადასხვა შესაძლო ატრიბუტებს, რომლებიც ქმნიან მოცემულ ცვლადს. აქვს თუ არა მნიშვნელობა თქვენი მიზნებისთვის, არის თუ არა ადამიანი 17 თუ 18 წლის ან შეგიძლიათ ჩაატაროთ თქვენი კვლევა ისე, რომ ისინი 10-დან 19 წლამდე ჯგუფში გააერთიანოთ? პასუხისთვის არ იჩქაროთ. ზოგადად, თუ ასაკის გაზომვას აპირებთ, უნდა გადახედოთ თქვენი კვლევის მიზანს და პროცედურებს და გადანყვიტოთ, მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის ასაკობრივი განსხვავება. დამოკითხვისას, თქვენ უნდა მიიღოთ ეს გადანყვიტილებები, რათა შეგიშუშავოთ შესაბამისი კითხვარი. სიღრმისეული ინტერვიუების შემთხვევაში, ეს გადანყვიტილებები განაპირობებს იმას, თუ რამდენად შეისწავლით დეტალებს.

იგივე იქნება პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების შესწავლისას. აქვს თუ არა თქვენი კვლევისთვის მნიშვნელობა იმას, სუბიექტი კონსერვატორია, დემოკრატი თუ ლიბერალ-დემოკრატი. ან, მაგალითად, გსურთ გაარკვიოთ სუბიექტი დაოჯახებულია თუ არა, აქვს მნიშვნელობა იმას, იყო თუ არა დაოჯახებული, განქორწინებულია თუ ქვრივი?

ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი არ არსებობს, ყველაფერი დამოკიდებულია თქვენი კვლევის მიზნებზე ან იმაზე, თუ რატომ ატარებთ კონკრეტულ გაზომვას. თუმცა, ერთ რჩევას მოგცემთ. როდესაც არ ხართ დარწმუნებული, რამდენ დეტალს უნდა ჩანვდეთ, ჯობს იყოს მეტი, ვიდრე ნაკლები. მაგალითად, თუ სუბიექტი ნებაყოფლობით დამოკითხვაში ამბობს, რომ არის 37 წლის, ჩანერეთ ზუსტი ასაკი, არ მიუთითოთ 30-40 წელს შორის. როდესაც თქვენ აანალიზებთ მონაცემებს, ყოველთვის შეგიძლიათ დააკავშიროთ ზუსტი ატრიბუტები უფრო ზოგად კატეგორიებთან, მაგრამ თქვენ ვერასოდეს გამოყოფთ ვარიაციებს, რომლებიც გააერთიანეთ დაკვირვებისა და გაზომვის დროს.

## შენიშვნა განზომილებაზე შესახებ

როცა მკვლევრები იწყებენ ცვლადების სამუშაო ზომების შექმნას, ხშირად აღმოაჩენენ ან სულაც გამოეპარებათ, რომ ზუსტად არა აქვთ განსაზღვრული ცვლადის თუ რომელი განზომილება აინტერესებთ. მაგალითად, გაინტერესებთ ხალხის დამოკიდებულება მთავრობისადმი, კერძოდ, გასურთ გაიგოთ მათი დამოკიდებულება კორუფციისადმი იმ გაგებით, როგორადაც მათ ეს ტერმინი ესმით. შეიძლება გამოიკვლიოთ ისეთი განზომილებები, როგორიცაა, მაგალითად, ფიქრობს თუ არა ხალხი, რომ მთავრობა კორუმპირებულია მათი აზრით, როგორია მათი დამოკიდებულება მთავრობაში კორუფციისადმი როგორც საზოგადოების პრობლემისადმი, რა არის მათი აზრით კორუფციის მიზეზი? რა უდა გაკეთდეს მასთან საბრძოლველად და ა.შ. სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ხალხის დამოკიდებულებას მთავრობაში კორუფციისადმი ბევრი განზომილება აქვს. მთავარია, ზუსტად იცოდეთ რა არის მნიშვნელოვანი თქვენი კვლევისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გამოიკვლიოთ რას ფიქრობს ხალხი კორუფციის შესახებ, მაშინ როცა თქვენი მიზანი იყო გაგეგოთ მათი აზრი იმის შესახებ, თუ რა დონეზეა კორუფცია ან - პირიქით.

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ როგორ შეაგროვოთ მონაცემები (კითხვარი, სავლე კვლევა და სხვა) და აირჩევთ ვარიაციის შესაბამის დიაპაზონს და ა.შ., თქვენ დადგებით მათემატიკურ-ლოგიკური არჩევანის წინაშე, ანუ უნდა გადაწყვიტოთ, რომელი დონის განზომილება გამოიყენოთ.

## ცვლადების და ატრიბუტების განსაზღვრა

ატრიბუტი არის რალაცის მახასითებელი ან თვისება. მაგალითად, „ქალი“, „მოხუცი“, „სტუდენტი“. ცვლადები კი ატრიბუტების ლოგიკური ნაკრებია. მაგალითად, „სქესი“ ატრიბუტია, რომელიც შედგება მდედრობითისა და მამრობითისაგან.

კონცეპტუალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის პროცესები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ცვლადებისა და მათი შემადგენელი ატრიბუტების სპეციფიკაცია. ამრიგად, უმუშევრობის შესწავლის კონტექსტში, დასაქმების სტატუსი არის ცვლადი, რომელსაც აქვს ატრიბუტები „დასაქმებული“ და „უმუშევარი“. ატრიბუტების სია, ასევე, შეიძლება გაიზარდოს და შეიცავდეს ისეთ ატრიბუტს, როგორიცაა „სახლში მომუშავე“.

ყველა ცვლადს უნდა ჰქონდეს ორი მნიშვნელოვანი თვისება. პირველ რიგში, მისი შემადგენელი ატრიბუტები ამომწურავი უნდა იყოს. მაგალითად, შეიძლება პრობლემას წავანყდეთ, თუ მოვახდენთ პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების ცვლადის კონცეპტუალიზაციას ისეთ ატრიბუტებთან მიმართებით, როგორიცაა „რესპუბლიკელი“ და „დემოკრატი“, რადგანაც ზოგი ადამიანი თავის თავს „მწვანეთა პარტიას“ მიაკუთვნებს, ზოგი ლიბერალურს და ზოგიც, საერთოდ, არაპარტიულია. ჩვენი სია უნდა შეიცავდეს ამომწურავ ატრიბუტებს, სადაც დაემატება „სხვა“ და „არაპარტიული“.

ამავდროულად, ცვლადის შემადგენელი ატრიბუტები უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი. ანუ, ჩვენ უნდა შევძლოთ ყოველი დაკვირვების კლა-

სიფიკაცია ერთადერთი ატრიბუტის მიხედვით. მაგალითად, ჩვენ ისე უნდა განვსაზღვროთ „დასაქმებული“ და „უმუშევარი“, რომ არავის შეეძლოს იყოს ერთდროულად ორივე. მაგალითად, „დასაქმებული“ უნდა ნიშნავდეს ისეთ ადამიანს, ვინც მუშაობს, მიუხედავად იმისა, ეძებს ის რაიმე უკეთეს სამსახურს თუ არა.

ცვლადები კონცეპტუალიზაციის პროცესში სიტუაციაზე დამოკიდებული. რამდენადაც ის, რაც ერთ სიტუაციაში მუშაობს, შეიძლება არ მუშაობდეს სხვა სიტუაციაში. მალკომ უილიამსმა და კერინ ჰუსკმა (2013) დეტალურად გამოიკვლიეს ეთნიკურობის გაზომვის მრავალი პრობლემა. პირველ რიგში, არ არსებობს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების აბსოლუტური განსაზღვრება. ისინი სოციალური კონვენციების საკითხია, რომლებიც სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებულად ესმით და რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ მათი ყურადღების საგანი ბრიტანეთში კორნუოლის საგრაფო იყო, ავტორების ანალიზი უფრო ფართოდ ეხება ეთნიკურობის გაზომვას და, მართლაც, მისაღებია ზოგადად კონცეპტუალიზაციისათვის.

აქედან, შესაძლებელია, ორი ზოგადი დასკვნის გაკეთება. პირველ რიგში, ცვლადების კონცეპტუალიზაცია დამოკიდებულია შესწავლილ პოპულაციაზე. კორნუოლში ჩატარებული გამოკითხვა შეიძლება მოიცავდეს ეთნიკურ კატეგორიას „კორნუელელი“, მაშინ, როცა ეს ასე არ იქნება არკანზასის გამოკითხვაში. მეორე, კონცეპტუალიზაცია უნდა იყოს მორგებული კვლევის მიზნებზე. ეთნიკურობის შემთხვევაში, შეიძლება ერთ კვლევაში აღმოჩნდეს ოთხი ან ხუთი ფართო ეთნიკური კატეგორია, ხოლო მეორე კვლევის მიზნები შეიძლება მოითხოვდეს ბევრად უფრო დეტალურ განსხვავებებს.

### **გაზომვის დონეები**

არსებობს გაზომვის ოთხი დონე: ნომინალური (სახელდების), რიგის, ინტერვალური და შეფარდების.

### **ნომინალური (სახელდების) საზომები**

ცვლადებს, რომელთა ატრიბუტები უბრალოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ეწოდება ნომინალური საზომები. მაგალითად, სქესი, რელიგია, დაბადების ადგილი, თმის ფერი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ცვლადის - სქესის ატრიბუტები, მდებარეობითი და მამრობითი ერთმანეთისგან გასხვავდება, მათ არა აქვთ დამატებითი სტრუქტურა. ნომინალური საზომები მხოლოდ გვთავაზობს სახელებს ან ეტიკეტებს მახასიათებლებისათვის. მაგალითად, დავაჯგუფოთ ხალხი დაბადების ადგილის მიხედვით. ვერმონტში დაბადებულები ერთ ჯგუფში, კალიფორნიაში დაბადებულები - მეორეში. ამ შემთხვევაში, ცვლადია „დაბადების ადგილი“, ხოლო ატრიბუტებია „დაბადებული ვერმონტში“, „დაბადებული კალიფორნიაში“. თითოეულ ჯგუფში მყოფ ადამიანებს აქვთ ერთი საერთო - დაბადების ადგილი.

## რიგის საზომები

ცვლადები ატრიბუტებით, რომლებიც ლოგიკურად შეგვიძლია დავახარისხოთ, არის რიგის საზომები. რიგითი ცვლადების სხვადასხვა ატრიბუტები შედარებით მეტ-ნაკლებად წარმოადგენენ ცვლადს. ამ ტიპის ცვლადები მოიცავს სოციალურ კლასს, კონსერვატიზმს, გაუცხოებას, ცრურწმენასა და ინტელექტუალურ დახვეწილობას. გარდა იმისა, რომ ვიტყვით, არის თუ არა ორი ადამიანი ერთნაირი ან განსხვავებული რიგის ცვლადის თვალსაზრისით, ჩვენ, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი არის „მეტი“ ვიდრე მეორე – ეს არის უფრო კონსერვატიული, უფრო რელიგიური, უფრო ხანდაზმული და ა.შ.

ფიზიკურ მეცნიერებაში სიმყარე რიგითი ცვლადის ყველაზე ხშირად დასახელებული მაგალითია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი მასალა (ალმასი), უფრო მყარია ვიდრე სხვა (შუშა) თუკი ერთს შეუძლია გაფხაჭნოს მეორე. თუ დავინწყებთ ერთი მასალის მეორეთი ფხაჭნას, საბოლოოდ შეგვეძლება რიგი შევქმნათ დიაპაზონის მიხედვით – რბილიდან მყარისკენ. აქ შეიძლება მოვიყვანოთ ხალხის დაჯგუფების მაგალითი. მაგრამ ამჯერად დავაჯგუფოთ ისინი განათლების მიხედვით სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი კოლეჯის განათლებით, მეორე – სრული საშუალო სკოლის და მესამე არასრული საშუალო სკოლის. ეს იქნება რიგითი გაზომვა, რადგანაც ვაჯგუფებთ ადამიანებს განათლების დონის მიხედვით – მეტი ან ნაკლები განათლებით. გაითვალისწინეთ, რომ ამ მაგალითში არა აქვს მნიშვნელობა რამდენად ახლოს ან შორს არიან საგანმანათლებლო ჯგუფები ერთმანეთთან. ფაქტიურ დისტანციას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სრული საშუალო სკოლის ჯგუფი აუცილებლად კოლეჯის ჯგუფსა და არასრული საშუალო სკოლის ჯგუფებს შორის უნდა იყოს მოთავსებული, სხვაგვარად რიგითობა არასწორი იქნება.

## ინტერვალური საზომები

ზოგიერთი ცვლადის შემადგენელი ატრიბუტებისთვის, მათ განცალკევებულ ფაქტობრივ მანძილს მნიშვნელობა აქვს. ასეთი ცვლადები არის ინტერვალური ზომები. მათთვის, ლოგიკური მანძილი ატრიბუტებს შორის, შეიძლება გამოისახოს მნიშვნელოვანი სტანდარტული ინტერვალებით.

მაგალითად, ფარენჰაიტის ტემპერატურის სკალაზე, განსხვავება ან მანძილი 80-სა და 90 გრადუსს შორის იგივეა, რაც 40-სა და 50 გრადუსს შორის ცელსიუსის სკალაზე. თუმცა, ფარენჰაიტის 80 გრადუსი არ არის ორჯერ უფრო ცხელი ვიდრე 40 გრადუსი, რადგან ფარენჰაიტის და ცელსიუსის მასშტაბებში „ნული“ თვითნებურია ანუ ნულოვანი გრადუსი ნამდვილად არ ნიშნავს სითბოს სრულ ნაკლებობას. ანალოგიურად, მინუს 30 გრადუსი არც ერთ სკალაზე არ წარმოადგენს 30 გრადუსით ნაკლებს, ვიდრე სითბოს არარსებობა (საპირისპიროდ, კელვინის მასშტაბი დაფუძნებულია აბსოლუტურ ნულზე, რაც ნიშნავს სითბოს სრულ ნაკლებობას).

სოციალური მეცნიერების კვლევაში, ჩვეულებრივ, გამოყენებული ინტერვალის ერთადერთი საზომი არის სტანდარტიზებული ინტელექტის ტესტები, რომლებიც მეტნაკლებად მიღებულია. 100 და 110 IQ ქულების

გამოყოფის ინტერვალის შეიძლება ჩაითვალოს იმავე ინტერვალად, რაც 110-დან 120-მდეა, ათასობით ადამიანის მიერ მიღებული დაკვირვების ქულების განაწილების გამო, რომლებმაც გაიარეს ტესტები წლების განმავლობაში არასწორი იქნება იმის დასკვნა, რომ IQ 150-ის მქონე ადამიანს აქვს 50 პროცენტით მეტი ინტელექტი, ვიდრე IQ 100-ის მქონეს. (ადამიანი, რომელმაც მიიღო 0 ქულა სტანდარტულ IQ ტესტში, არ შეიძლება ჩაითვალოს, უხეშად რომ ვთქვათ, უინტელექტოდ, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის არ იყო შესაფერისი რომ ყოფილიყო კოლეჯის პროფესორი ან თუნდაც კოლეჯის სტუდენტი.


როდესაც ვადარებთ ორ ადამიანს ინტერვალის ცვლადის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან (ნომინალური) და რომ ერთი სხვაზე მეტია (რიგობითი). გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ „რამდენად“ მეტია თავად ქულების მიხედვით.

### თანაფარდობის საზომები

გაზომვის დონე, რომელიც აღწერს ცვლადს ატრიბუტებით, აქვს ნომინალური, რიგის და ინტერვალის საზომების ყველა თვისება, დამატებით, ეფუძნება „ჭეშმარიტ ნულოვან“ წერტილს, არის თანაფარდობითი ზომა. ერთ-ერთი მაგალითია ასაკი, ასევე, კელვინის ტემპერატურის სკალა, მოცემულ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობა, რელიგიურ მსახურებებზე დასწრების რაოდენობა კონკრეტულ პერიოდში, დაქორწინებულთა რაოდენობა, არაბი მეგობრების რაოდენობა და ა.შ.

მაგალითად, თუ დავაჯგუფებთ ადამიანებს ასაკის მიხედვით, ერთ ჯგუფში იქნებიან 1 წლისანი, მეორეში – 2 წლისანი და ა.შ. ის, რომ ერთი ჯგუფის წევრებს საერთო აქვთ ასაკი და განსხვავებული არიან მეორე ჯგუფისგან, აკმაყოფილებს ნომინალურ ზომას. ამ ჯგუფების რიგში დამწკრივება ყველაზე უმცროსიდან ყველაზე უფროსისაკენ- რიგით ზომას. თუ ჯგუფებს ერთმანეთისგან თანაბრად ამორებთ, ჩვენ ვაკმაყოფილებთ ინტერვალური ზომის დამატებით მოთხოვნებს და შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამდენად უფროსია ერთი ადამიანი მეორეზე. და ბოლოს, რადგანაც ასაკში შემავალი ერთ-ერთი ატრიბუტი წარმოადგენს აბსოლუტურ ნულს (დედის მუცლად მყოფი ბავშვი, რომელიც მის გასაჩენად ემზადება), წვეულებაზე უიღბლო მოსიარულეთა ფალანგა ასევე აკმაყოფილებს თანაფარდობითი ზომის მოთხოვნებს, რაც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ერთი ადამიანი მეორეზე ორჯერ უფროსია. მსგავსი მაგალითია შემოსავლის დონე, რომელიც იწყება აბსოლუტური ნულიდან და ადის მაქსიმუმამდე.

ორი ადამიანის შედარება თანაფარდობის ცვლადის მიხედვით საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შემდეგი: (1) რომ ისინი განსხვავდებიან (ან ერთნაირები არიან), (2) რომ ერთი მეორეზე მეტია, (3) რამდენად განსხვავდებიან ისინი და (4) ერთის თანაფარდობა მეორესთან. სქემა 5-1 ასახავს გაზომვის ოთხ დონეს, რომელიც ზემოთ განვიხილეთ.



ურთაო 5-1

მომზადებულია: ხშირად შეგიძლიათ აირჩიოთ გამოზომვის სხვადასხვა დონე მორის - ნომინალური-რიგითი, ინტერვალური ან თანაფარდობით - ანდა თანაფარდობით მუტი ინფორმაციის მონაცემები.

**გაზომვის ღონეების შედეგები**

გარკვეული რაოდენობრივი ანალიზის ტექნიკა მოითხოვს ცვლადებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გაზომვის გარკვეულ მინიმალურ დონეებს. რამდენადაც კვლევის პროექტში შესასწავლი ცვლადები შემოიფარგლება გაზომვის გარკვეული დონით - ვთქვათ, რიგითობით - თქვენ შესაბამისად უნდა დაგეგმოთ თქვენი ანალიტიკური ტექნიკა. უფრო ზუსტად, უნდა ივარაუდოთ კვლევის რა დასკვნებს გამოიტანთ, რომელიც შეესაბამება თქვენს ცვლადებში გამოყენებული გაზომვის დონეებს. მაგალითად, თქვენ შეიძლება გონივრულად დაგეგმოთ შესწავლილი მოსახლეობის საშუალო ასაკის განსაზღვრა და დასკვნა (შეკრიბეთ ყველას ინდივიდუალური ასაკი და გაყავით ხალხის რაოდენობაზე), მაგრამ არ უნდა გამოიტანოთ საშუალო რელიგიური აღმსარებლობის შესახებ დასკვნა, რადგან ეს ნომინალური ცვლადია და მოითხოვს თანაფარდობის დონის მონაცემებს.

ამავდროულად, თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ ზოგიერთი ცვლადი, როგორც გაზომვის სხვადასხვა დონის წარმომადგენელი. შეფარდების საზომები წარმოადგენს ყველაზე მაღალ დონეს, რომელიც მიდის ქვევით ინტეგრალური და რიგის გავლით ნომინალურამდე. ცვლადი, რომელიც ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს, მაგალითად, შეფარდებისას, შეიძლება, ასევე, წარმოადგენდეს უფრო დაბალ დონეს, მაგალითად რიგისას. გავიხსენოთ, რომ ასაკი თანაფარდობითი საზომია. თუ გსურთ გამოიკვლიოთ ურთიერთკავშირი ასაკსა და რომელიმე რიგითი დონის ცვლადს შორის, მაგალითად, რელიგიურობის თვითშეფასება, მაშინ ასაკი შეიძლება, ასევე, გა-

ნიხილთ როგორც რიგითი დონის ცვლადი. ასაკი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნომინალური დონის საზომი გარკვეული კვლევითი მიზნებისათვის. ადამიანები შეიძლება დავეყთ ჯგუფებად, მაგალითად ერაყის ომის დროს დაბადებული ან – არა. და ა.შ.

ასე რომ, გაზომვის დონე თქვენი კვლევის მიზნების შესაბამისად უნდა განისაზღვროს. თუ თქვენი ცვლადი სხვადასხვაგვარად უნდა იქნას გამოყენებული, რაც სხვადასხვა დონის გაზომვებს მოითხოვს, კვლევა ისე უნდა აიგოს, რომ მიაღწიოთ ყველაზე მაღალ დონეს, რაც საჭიროა. მაგალითად, თუ კვლევის სუბიექტებს ეკითხებიან ზუსტ ასაკს, ეს შეიძლება შემდგომ დალაგდეს რიგის ან ნომინალურ ჯგუფებად.

თქვენ სულაც არ გჭირდებათ ცვლადების გაზომვა მათ უმაღლეს დონეზე, თუ დარწმუნებული ხართ, რომ არ გჭირდებათ ადამიანების ასაკი გაზომვის რიგით დონეზე უფრო მაღლა, შეგიძლიათ უბრალოდ სთხოვოთ ხალხს მიუთითონ მათი ასაკობრივი დიაპაზონი, როგორცაა 20-დან 29 წლამდე, 30-დან 39-მდე და ა.შ. როდესაც თქვენი კვლევის მიზნები ზუსტად არ არის გამოკვეთილი, ყოველთვის ჯობს, შეძლებისამებრ, მიიღოთ უმაღლესი დონის საზომები. მიუხედავად იმისა, რომ შეფარდების საზომი შემდგომ შეიძლება დავიყვანოთ რიგითამდე, რიგითის თანაფადობითზე გადაყვანას ვერ შევძლებთ. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, უფრო დაბალ საზომს უფრო მაღალში ვერ გადავიყვანთ, შესაძლებელია მხოლოდ პირიქით, მაღალი დონის საზომის დაბალ დონემდე დაყვანა.

გაზომვის დონე მნიშვნელოვანია იმ არითმეტიკული და, ოპერაციებისათვის, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცვლადზე ამ ოპერაციების გამოყენებით, სტატისტიკური ტექნიკის თვალსაზრისით.

როგორც წესი, კვლევით პროექტში ცვლადები გაზომვის სხვადასხვა დონეზე გამოიყენება. მაგალითად, უილიამ და დენის ბილბიმ გადაწყვიტეს კინო და ტელეინდუსტრიის შესწავლა, რისთვისაც გამოიყენეს ნომოთეტური, ლონგიტუდური მიდგომა. „კულტურის ინდუსტრიაში“, როგორც ამას ავტორებმა უწოდეს, მათ აღმოაჩინეს, რომ რეპუტაცია (რიგის ცვლადი) სცენარისტების მომავალი პროდუქტიულობის საუკეთესო მაჩვენებელს წამოადგენს. ასევე აღმოაჩინეს, რომ ის სცენარისტები, რომლებსაც „მთავარი“ („ელიტური“) სააგენტოები წარმოადგენდნენ, უფრო დიდი ალბათობით მიიღებდნენ არამხოლოდ სამუშაოს, არამედ მაღალ ანაზღაურებასაც (შეფარდების ცვლადი). ანუ, სააგენტოს რეპუტაცია (რიგის) იყო სცენარისტის წარმატების პროგნოზირებისათვის მთავარი დამოკიდებული ცვლადი. მათ ასევე ნახეს, რომ იყო ასაკოვანი (კოეფიციენტი), ქალი (ნომინალური), ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (ნომინალური) და უფრო მეტი მოცდილების მქონე (კოეფიციენტი) არ არის ხელსაყრელი სცენარისტი-სათვის. მკვლევარების თქმით, წარმატება ბადებს წარმატებას.

#### **ერთი თუ რამდენიმე ინდიკატორი**

სოციალური კვლევის ბევრ ცვლადს აქვს საკმაოდ აშკარა, პირდაპირი ზომები. როგორც არ უნდა ატრიალო, სქესი, ჩვეულებრივ მამრობითია ან მდედრობითი. ნომინალური დონის ცვლადი, რომელიც შეიძლება გაიზომ-

ოს ერთი დაკვირვებით ან შეხედვით (ყოველთვის არა) ან კითხვის დასმით (ჩვეულებრივ).

კვლევაში, რომელიც ოჯახების სიდიდეს ეხება, სავარაუდოდ იფიქრებთ ბავშვების რაოდენობაზე ან შერეულ ოჯახებზე, მაგრამ ბავშვების რაოდენობის დადგენა საკმაოდ იოლია, ისევე როგორც ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის გაგება, შესაძლებელია მისი ინტერნეტში ნახვა. უამრავ ცვლადს ერთი ამკარა ინდიკატორი აქვს.

ხანდახან, ცვლადს ერთზე მეტი ინდიკატორი აქვს. ასეთ შემთხვევებში ერთ ცვლადზე რამდენიმე დაკვირვებაა საჭირო. მაგალითად, ავილოთ ისეთი ცნება, როგორცაა „კოლეჯში სწავლის შედეგები“. ბუნებრივია, ყველა სტუდენტს ერთნაირი მოსწრება არა აქვს. ამ განსხვავების შესასწავლად, ჩვენ დავაკვირდებით მაღალი დონის მოსწრებასთან დაკავშირებულ მახასიათებლებს და გამოცდილებას. როგორ უნდა გავზომოთ ზოგადი მოსწრება? პასუხი მარტივია: საშუალო მაჩვენებლით (GPA). საშუალო მაჩვენებელს კი ვზომავთ ქულების საერთო რაოდენობის კურსების რაოდენობაზე გაყოფით.

ხშირად, მიზანშეწონილია, შეიქმნას ასეთი კომპოზიტური საზომები სოციალურ კვლევაში. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ კომპოზიტური საზომები ინდივიდების აღსაწერად, როგორც GPA-ის მაგალითში ან ისეთი ჯგუფების აღსაწერად, როგორცაა კოლეჯები, ეკლესიები ან ერები.

#### **მოკერაციონალიზაციის არჩევანის რამდენიმე ილუსტრაცია**

1. ქალები უფრო თანამგრძობი არიან თუ კაცები?
  - ა) შექმენით საკვლევი ჯგუფი ქალებისა და კაცების ერთნაირი რაოდენობით. შესთავაზეთ შესაფერისი სიტუაცია, მაგალითად, ჰკითხეთ, თუ რას იზამდნენ, რომ ენახათ დაკარგული ან მტირალი ბავშვი. გაითვალისწინეთ ნებისმიერი პასუხი, რაც მოიცავს ბავშვის დახმარებას ან დამშვიდებას. ნახეთ ვინ უფრო გამოხატავს თანაგრძობობას, ქალები თუ კაცები.
  - ბ) ჩაატარეთ ექსპერიმენტი, სადაც პატარა ბავშვი დააყენეთ ხმაურიანი ხალხით სავსე ქუჩაში, ვითომ დაიკარგა. დააკვირდით, უფრო მეტი ქალი შესთავაზებს დახმარებას თუ კაცი. ამავდროულად, არ დაგავინყდეთ ჩავლილი ქალებისა და კაცების რაოდენობის ჩანერა, საიდანაც შემდეგ დამხმარეთა საჭირო პროცენტს.
  - გ) შეარჩიეთ მონაწილეები და ჩაატარეთ გამოკითხვა, რომელშიც ჰკითხავთ, რომელ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან. გამოთვალეთ ქალები თუ კაცები უფრო მეტად მიეკუთვნებიან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც, როგორც ჩანს, გამოხატავენ თანაგრძობობას. იმისთვის, რომ გაითვალისწინოთ მამაკაცები, რომლებიც ეკუთვნიან უფრო მეტ ორგანიზაციას, ვიდრე, ზოგადად, ქალები ან პირიქით, გააკეთეთ შემდეგი: თითოეული ადამიანისთვის, რომელსაც აკვირდებით, გამოთვალეთ მისი ორგანიზაციაში წევრობის პროცენტი, რომელიც ასახავს თანაგრძობობას და ნახეთ, აქვთ თუ არა მამაკაცებს ან ქალებს უფრო მაღალი საშუალო პროცენტი.

ამის მსგავსად შეგიძლიათ ჩაატაროთ სხვადასხვა კვლევა, ისეთი, როგორიცაა მაგალითად, ვინ უფრო მეტადაა ინფორმირებული მსოფლიო ამბებზე - სოციოლოგიისა თუ საბუნებრივ მედიცინის სტუდენტები? ვინაა ყველაზე პოპულარული ინსტრუქტორი თქვენს კამპუსში - სოციალური, საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარული მეცნიერების მხრივ და ა.შ.

### **ოპერაციონალიზაცია გრძელდება და გრძელდება**

კონცეპტუალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის პროცესები კვლევითი პროექტის მანძილზე გრძელდება, თუნდაც მონაცემები შეგროვებული იყოს სტრუქტურირებულ მასობრივ კვლევაში. წარმოიდგინეთ, რომ ატარებთ ახალი რელიგიური კულტის წევრების თვისებრივ, დაკვირვებად კვლევას და, ნაწილობრივ, გასურთ იმ წევრების იდენტიფიცირება, ვინც უფრო მეტადაა რელიგიური ან ნაკლებად. ასეთ შემთხვევაში, დასაწყისში ფოკუსირებას მოახდენთ გარკვეული სახის რიტუალურ ქცევაზე იმ მიზნით, რომ საბოლოოდ, აღმოაჩინოთ ჯგუფის წევრები უპირატესობას ანიჭებენ რელიგიურ გამოცდილებას თუ მტკიცე რწმენას.

კონცეპტუალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის ღიაობა, ალბათ, უფრო აშკარაა თვისებრივ, ვიდრე რაოდენობრივ კვლევაში, ვინაიდან ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დროს ნებისმიერ მომენტში. რაოდენობრივ მეთოდებში, როგორცაა გამოკითხვა ან ექსპერიმენტები, თქვენ უნდა მიჰყვეთ კონკრეტულ საზომ სტრუქტურებს. კითხვარის დაბეჭდვისა და ადმინისტრირების შემდეგ, მაგალითად, მისი შეცვლა მარტივად შეუძლებელია, მაშინაც კი, როდესაც კვლევის გაშლა გაუმჯობესებას ითვალისწინებს. თუმცა, კითხვარის შემთხვევაშიც კი, შეიძლება გქონდეთ ანალიზის ფაზაში ცვლადების გაზომვის გარკვეული მოქნილობა.

თუმცა, თვისებრივ კვლევას, ამ მხრივ, უფრო მეტი მოქნილობა ახასიათებს. მაგალითად, იმან, რასაც სიღრმისეული ინტერვიუს დროს შენიშნავთ, შესაძლებელია მოგცეთ წინასწარ განსაზღვრული კითხვებისგან განსხვავებული კითხვების დასმის საშუალება, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგცემთ მიმართოთ გაუთვალისწინებელ საშუალებებს. მოგვიანებით, როდესაც ანალიზისათვის ჩანაწერების გადახედვას და ორგანიზებას დაიწყებთ, ისევ დაინახავთ გაუთვალისწინებელ შაბლონებს და თქვენს ანალიზს სხვა მიმართულებით წარმართავთ.

მიუხედავად იმისა, იყენებთ თვისებრივსა თუ რაოდენობრივ მეთოდებს, ყოველთვის მზად უნდა იყოთ გადახედოთ თქვენს ცნებებსა და განმარტებებს. სოციალური კვლევის საბოლოო მიზანი სოციალური ცხოვრების ბუნების გარკვევაა.

### **გაზომვის ხარისხის კრიტერიუმები: სიზუსტე და სისწორე**

როგორც ვნახეთ, ოპერაციონალიზაციის განხილვისას, სიზუსტე ეხება ცვლადის შემადგენელ ატრიბუტებს შორის განსხვავების სრულყოფილებას. მაგალითად, აღწერილობა „43 წლის ქალი“ უფრო ზუსტია, ვიდრე 40-ს გადამორებული.

ზოგადად, ცნობილი და მიღებულია, რომ სიზუსტეს ყოველთვის უფრო დიდი უპირატესობა ენიჭება, ვიდრე უზუსტობას და არანაირ შემთხვევაში უზუსტობას უპირატესობა არ მიენიჭება. თუმცა, ზედმინეწითი სიზუსტე ყოველთვის აუცილებელი და სასურველი არ არის. თუ თქვენი კვლევის მიზნებს აკმაყოფილებს აღწერილობა, რომ ქალი 40-ს გადაშორებულია, სულაც არ არის აუცილებელი და დროის ფუჭად კარგვაა მისი ზუსტი ასაკის გაგება. მაშასადამე, ცნებების ოპერაციონალიზაცია, ნაწილობრივ, უნდა ხელმძღვანელობდეს საჭირო სიზუსტის ხარისხის გაგებით. თუ თქვენი საჭიროებები ბოლომდე გარკვეული არაა, მაშინ სჯობს იყოთ უფრო მეტად ზუსტი, ვიდრე ნაკლებად. მაგრამ არ აგერიოთ სიზუსტე და სისწორე. მაგალითად, აღწერილობა „დაბადებული ახალ ინგლისში“ ნაკლებად ზუსტია, ვიდრე „დაბადებული სტოუში, ვერმონტი“, მაგრამ, დავუშვათ, რომ პიროვნება რეალურად დაიბადა ბოსტონში. ნაკლებად ზუსტი აღწერა, ამ შემთხვევაში, უფრო ზუსტია, უკეთესად ასახავს რეალურ სამყაროს.

რა თქმა უნდა, სიზუსტე და სისწორე კვლევის გაზომვის მნიშვნელოვანი თვისებებია, მაგრამ მეცნიერები მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ორ ტექნიკურ მოსაზრებას: სანდობასა და ვალიდობას.

აბსტრაქტულად რომ ვთქვათ, სანდობა დამოკიდებულია იმაზე, გვაძლევს თუ არა ერთსა და იმავე ობიექტის მიმართ გამოყენებული კონკრეტული მეთოდი ერთსა და იმავე შედეგს ყოველ ჯერზე. დავუშვათ, მაინტერესებს ჩემი წონა. ერთ-ერთი ტექნიკით შემიძლია ორ სხვადასხვა ადამიანს ვკითხო ჩემი წონის განსაზღვრა. თუ ერთი იტყვის, რომ მე ვინონი 70 კგ, ხოლო მეორე იტყვის, რომ 140კგ-ს, დავასკვნით, რომ ეს ტექნიკა სანდო არაა. მეორე ტექნიკით გამოვიყენებ სასწორს. თუ სასწორზე ორჯერ შევდგები, იგი ორივეჯერ ერთ წონას აჩვენებს. ამიტომ, ეს ტექნიკა სანდოა.

თუმცა, სანდობა არ ნიშნავს სისწორეს, ისევე როგორც სიზუსტე. მაგალითად, სასწორი შემიძლია გავმართო ისე, რომ მომაკლოს 5 კგ, თავი რომ უკეთ ვიგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჯერზე ერთნაირ წონას მივიღებ, იგი არასწორი იქნება. ამ ახალ ელემენტს *მიკერძობა* ეწოდება. გაითვალისწინეთ, რომ სანდობა არ იძლევა სისწორის გარანტიას.

დავუშვათ, გვსურს შევისწავლოთ სამუშაო დისციპლინა ორი სხვადასხვა ტიპის ქარხანაში. ერთ ქარხანაში თითოეული მუშა ასრულებს ერთი დიდი ციკლის შემადგენელ პატარა სამუშაოს. მეორე ქარხანაში კი ერთი მუშა ბევრ სამუშაოს ასრულებს და მუშების პატარა ჯგუფები ასრულებენ მთელ პროცესს.

როგორ უნდა გავზომოთ დისციპლინა? ერთი სტრატეგიის მიხედვით შეგვიძლია დავაკვირდეთ მუშებს თითოეულ ქარხანაში, თუ როგორ ხუმრობენ ერთმანეთში, იღიმებიან თუ არა, ბევრს იცინიან თუ არა და ა.შ., ასევე, შეგვიძლია ვკითხოთ მათ, როგორ მოსწონთ თავიანთი სამუშაო, როგორ მოსწონთ მათი მუშაობის სტილი, თუ ურჩევნიათ მეორე ქარხნის სტილი. ამ ორ ქარხანაში დაკვირვების შედეგები შეგვიძლია შევადაროთ და მივიღეთ დასკვნამდე, თუ რომელ ქარხანაშია უფრო მაღალი დისციპლინა. ეს მაგალითი არის თვისებრივი მეთოდი.

შევხედოთ ამ მეთოდის სანდობის რამდენიმე პრობლემას. პირველ რიგში, შესაძლოა არასწორად გავიგოთ ის, რასაც ჩვენ ვაკვირდებით. მაგალითად,

მუშები შესაძლოა ხუმრობდნენ ერთმანეთში და ჩვენ მოგვეჩვენოს, რომ ისინი კამათობენ. თუ ჩვენ მუშების ერთ ჯგუფს რამდენიმე დღე ზედიზედ დავაკვირდებით, შესაძლოა, ყოველ დღე სხვადასხვა შეფასებამდე მივიდეთ. მეორეს მხრივ, თუ სხვადასხვა მკვლევარი ერთსა და იმავე ქცევას დააკვირდება, ისინი შესაძლოა სხვადასხვა დასკვნამდე მივიდნენ მუშათა დისციპლინის შესახებ.

განვიხილოთ დისციპლინის შეფასების რაოდენობრივი მეთოდი. დავუშვათ, ჩვენ ვამონუმბოთ კომპანიის ჩანაწერებს, რომ ვნახოთ რამდენი საჩივარი იქნა შეტანილი პროფკავშირში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სავარაუდოდ, ეს იქნება დისციპლინის მაჩვენებელი: რაც მეტია წყენა, მით უფრო დაბალია დისციპლინა. ეს გაზომვის სტრატეგია უფრო საიმედოდ ჩანს: რამდენჯერაც უნდა გადავთვალოთ საჩივრები, ყოველთვის ერთნაირი რაოდენობა უნდა მივიღოთ.

თუ ფიქრობთ, რომ აუცილებელი არაა საჩივრების რაოდენობამ გაზომოს მორალი, თქვენ სავარაუდოდ, ვალიდობა გაფიქრებთ, რომელზეც შემდგომ ვისაუბრებთ. რაც შეეხება ბოლო მეთოდს, ის სტაბილურ შედეგს გვაძლევს.

სოციალურ კვლევაში სანდოობის პრობლემა ბევრი ფორმით ვლინდება. ყოველ ჯერზე, როდესაც მონაცემების წყარო ერთი დამკვირვებელია, დგება სანდოობის საკითხი, რამდენადაც არ ვართ დარწმუნებული იმაში, თუ ანგარიშის რა ნაწილია დაკვირვების ობიექტი და რა ნაწილი ეკუთვნის თავად დამკვირვებელს.

თუმცა, სუბიექტურობა მხოლოდ ერთი დამკვირვებლის პრობლემა არაა. მკვლევრებმა, ვინც გამოკითხვის მეთოდებს იყენებენ, დიდი ხანია იციან, რომ გამოკითხველები თავიანთი დამოკიდებულებისა და ქცევის გამო, განსხვავებულ პასუხებს იღებენ რესპონდენტებისაგან. მაგალითად, თუ გვსურს რამდენიმე ასეული კონკრეტული პროფესიის კლასიფიკაცია რაღაც სტანდარტული კოდური სქემით, მე და თქვენ ყველა პროფესიას ერთსა და იმავე კატეგორიაში არ შევიტანთ.

ყოველივე ზემოთქმული ეხება სანდოობის პრობლემას. მსგავს პრობლემებს ვაწყდებით, როდესაც ადამიანებს თავიანთ თავზე ინფორმაციას ვეკითხებით. ხანდახან ჩვენ მათ ისეთ კითხვებს ვუსვამთ, რომელზეც პასუხი არა აქვთ, მაგალითად, რამდენჯერ იყვნენ ამ წლის განმავლობაში წირვაზე, ან რაიმე არარელევანტურ კითხვას, როგორიცაა, მაგალითად, რას ფიქრობთ ჩინეთის ალბანეთთან დღევანდელ ურთიერთობაზე. ასეთ დროს ყოველთვის განსხვავებულად გვიპასუხებენ, რადგანაც მათ არ იციან პასუხი. ან ისე ვართულებთ საქმეს, რომ კიდევაც რომ ჰქონდეთ ზუსტი მოსაზრება საკითხზე, განმეორებით შეკითხვაზე მაინც სხვაგვარ ინტერპრეტაციას მოგვცემენ.

ამგვარად, როგორ შევქმნათ სანდო გაზომვები? ამისათვის, ისეთი კითხვები უნდა შევადგინოთ, რომელზეც რესპონდენტებს სავარაუდოდ აქვთ პასუხი, კითხვები რელევანტური უნდა იყოს და, თანაც, გარკვევით დასმული. თუმცა, ეს ბოლომდე არ წყვეტს სანდოობის პრობლემას. მაგრამ, საბედნიეროდ, მკვლევრებს შემუშავებული აქვთ გაზომვის სანდოობის ჯვარედინი შემოწმების რამდენიმე ტექნიკა.

### **ტესტი - ხელახალი ტესტის მეთოდი**

ხანდახან მიზანშეწონილია ერთი გაზომვის რამდენჯერმე ჩატარება. ამ ტექნიკას ტესტი-ხელახალი ტესტის ტექნიკა ეწოდება. თუ თქვენთვის მოსალოდნელი არაა ინფორმაციის ცვლილება, სავარაუდოდ, ყოველ ჯერზე ერთნაირ პასუხს უნდა ელოდოთ. თუ პასუხები განსხვავებულია, შესაძლოა მეთოდი ამ ვარიაციის ფარგლებში, არასაიმედო იყოს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. ჯანმრთელობის საფრთხის შეფასების (HHA) კლასიკურ კვლევაში, როგორც პრევენციული მედიცინის ნაწილი, ჯეფრი საქს, ვ. მარკ კრუშატს და ჯეფრი ნიუმანს (1980) სურდათ დაედგინათ რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ფონურ და ცხოვრების სტილის ფაქტორებთან, რაც შესაძლებლობას მისცემდათ ექიმებს სათანადო კონსულტაცია გაეწიათ თავიანთი პაციენტებისთვის. პაციენტების ცხოვრებისეული სიტუაციების გაცნობით, ექიმებს შეეძლოთ სათანადო რჩევები მიეცათ მათი გადარჩენის პოტენციალის შესახებ და იმაზე, თუ როგორ გააუმჯობესონ ეს პოტენციალი. ეს მიზანი, რა თქმა უნდა, დიდად იყო დამოკიდებული კვლევის თითოეული სუბიექტის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეადგინეს სათანადო კითხვებისგან შემდგარი კითხვარი. სამი თვის შემდეგ ისევ გამოკითხეს იგივე სუბიექტები და მხოლოდ 15%-მა გასცა იგივე პასუხები. დანარჩენების პასუხები განსხვავებული იყო პირველი გამოკითხვისგან. ამრიგად, ტესტი-ხელახალი ტესტის მეთოდით აღმოჩნდა, რომ მონაცემების შეგროვების მეთოდი არასაიმედო იყო.

### **ნახევარზე გაყოფის მეთოდი**

ზოგადად, ყოველთვის კარგია ერთზე მეტი გაზომვის ჩატარება ისეთი დახვეწილი ან კომპლექსური სოციალური ცნებებისათვის, როგორიცაა ცრურწმენა/მიკერძობა ან სოციალური კლასი და სხვა. ეს პროცედურა საფუძველია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ შემოწმდეს საიმედოა. დავუშვათ, შეადგინეთ ისეთი კითხვარი, რომელიც შეიცავს 10 პუნქტს, რაც თქვენი აზრით, არის ქალებისადმი მიკერძობის/ცრურწმენის საზომი. ნახევარზე გაყოფის მეთოდით, ეს 10 პუნქტი შემთხვევითი პრინციპით დაყავით 2 ხუთპუნქტიან ჯგუფად. თითოეული ჯგუფი ცრურწმენის კარგ გაზომვას უნდა უზრუნველყოფდეს და ორივე ჯგუფი უნდა ახდენდეს რესპონდენტების ერთნაირი გზით კლასიფიკაციას. თუ ორი ჯგუფი ადამიანების განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს, ე.ი. სავარაუდოდ, გაქვთ ცვლადის გაზომვის სანდოობის პრობლემა.

### **დადგენილი საზომის გამოყენება**

სანდოობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი გზაა უკვე დადგენილი ზომების გამოყენება, რომლებმაც თავიანთი სანდოობა დაამტკიცეს წინარე კვლევებში. მაგალითად, თუ ანომიის გამოკვლევა გსურთ, უნდა მიმართოთ ლეო სტროლის მოდელს. თუმცა, ზომების ინტენსიური გამოყენება არ იძლევა მათი სანდოობის გარანტიას. მაგალითად, სქოლასტიური შეფასების ტესტი (Scholastic Assessment Test (SAT)) წლების მანძილზე წამოადგენს დად-

გენილ სტანდარტს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მზად არიან მოსწავლეები კოლეჯში სწავლისათვის. მიუხედავად ამისა, ტესტი წლების მანძილზე რამდენჯერმე დაექვემდებარა გადახედვას და საბოლოო 2016 წლის ვერსია მიმართულია იმისკენ, რომ უკეთესად ასახოს ის, რასაც მოსწავლეები საშუალო სკოლაში სწავლობენ.

### კვლევაში ჩართული პერსონალის სანდოობა

როგორც ვნახეთ, გაზომვის არასაიმედოობა შეიძლება, ამასთან, გამოწვეული იყოს კვლევის ჩატარებაში მონაწილე პერსონალის მიერ, როგორცაა, მაგალითად, ინტერვიუერი. ასეთ შემთხვევებში არსებობს სანდოობის შემომცემის რამდენიმე გზა. მაგალითად, სუპერვაიზერის მიერ გაკონტროლებული ინფორმაცია სატელეფონო ზარების დროს. ასევე, რეპლიკაცია. მაგალითად, პროფესიების კლასიფიკაცია და კოდირება შეიძლება მოახდინოთ რამდენიმე პერსონალის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, შემდგომ კი შეადაროთ და შეამოწმოთ მონაცემები. და ბოლოს, სიცხადე, დაზუსტება, ტრენინგი და პრაქტიკა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ყველაფერი ერთად კარგ შედეგს იძლევა არასანდოობის თავიდან ასაცილებლად.

ერთი სიტყვით, გაზომვის სანდოობა ფუნდამენტურია სოციალურ კვლევაში.

### ვალიდობა

ჩვეულებრივ გამოყენებაში ვალიდობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად ადეკვატურად ასახავს ემპირიული საზომი განსახილველი ცნების რეალურ მნიშვნელობას. სოციალური კლასის საზომმა სოციალური კლასი უნდა გაზომოს და არა პოლიტიკური ორიენტაცია და ა.შ. ვალიდობა ნიშნავს, რომ ჩვენ ნამდვილად ვზომავთ იმას, რასაც ვამბობთ, რომ ვზომავთ.

მაგრამ, როგორც ადრე აღინიშნა, ცნებებს არა აქვთ რეალური მნიშვნელობა. მაშინ როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკრეტული საზომი ადეკვატურად ასახავს ცნების მნიშვნელობას? ვერ ვიტყვით. მაგრამ, ამავდროულად, ვნახეთ, რომ მთელი სოციალური ცხოვრება და, მათ შორის, სოციალური კვლევა, მუშაობს შეთანხმებებზე იმ ტერმინებთან დაკავშირებით, რომელთაც ვიყენებთ, და ცნებებთან დაკავშირებით, რომელთაც ისინი წარმოადგენენ.

არსებობს წარმატების რამდენიმე კრიტერიუმი, რაც ქმნის ცნებების შეთანხმებული მნიშვნელობის შესაფერის საზომებს. პირველ რიგში, არის ის რალაც, რასაც ეწოდება *სახის ვალიდობა*. კონკრეტული ემპირიული ზომები შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ჩვენს საერთო შეთანხმებებს და ჩვენს ინდივიდუალურ გონებრივ სურათებს კონკრეტულ ცნებასთან დაკავშირებით. მაგალითად, შეიძლება შევედავოთ ერთმანეთს იმაზე, რომ პროფკავშირში შეტანილი საჩივრების რაოდენობა საშუალო დისციპლინის ადეკვატური საზომია. თუმცა, მაინც შევთანხმდებით იმაზე, რომ საჩივარს აქვს რალაც საერთო დისციპლინასთან. მაგრამ, თუ ვიტყვით, რომ მუშების მიერ ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების რაოდენობა შეიძლება იყოს დისციპლინის საზომი, აქ უფრო მეტ წინააღმდეგობას წავაწყდებით, ამ საზომს ვალიდობა არ ექნება.

მეორეც, როგორც უკვე ვთქვი, არსებობს საკმაოდ ბევრი დადგენილი ფორმალური შეთანხმება ზოგიერთი ცნების განსაზღვრის შესახებ. მაგალითად, მოსახლეობის აღწერის ბიურომ შეიმუშავა სამუშაო განსაზღვრება ისეთი ცნებებისა, როგორცაა: ოჯახი, საყოფაცხოვრებო, დასაქმების სტატუსი, რომლებსაც, როგორც ჩანს, სამუშაო ვალიდურობა გააჩნია უმეტეს კვლევებში, რომლებიც ამ ცნებებს იყენებს.

არსებობს ვალიდობის სამი დამატებითი სახეობა, რომელიც აკონკრეტებს გაზომვის ვალიდობის შემონიშნების გზებს. პირველია *კრიტიკრიუმთან დაკავშირებული ვალიდობა*, მას ხანდახან პრედიკატულ/ნინასწარმეტყველურ ვალიდობას უწოდებენ და, რომელიც გარკვეულ გარე კრიტიკრიუმებს ეფუძნება. მაგალითად, კოლეჯის საბჭოს გამოცდების ვალიდობა ნაჩვენებია მათ უნარში, ინინასწარმეტყველონ სტუდენტების წარმატება კოლეჯში. ამ შემთხვევაში კოლეჯში წარმატება კრიტიკრიუმია.

ზოგჯერ ძნელია იპოვოთ ქცევითი კრიტიკრიუმები, რომლებიც შეიძლება იქნას მიღებული ზომების ვალიდობის დასადასტურებლად. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, ჩვენ შეგვიძლია დავაახლოვოთ ერთმანეთს ასეთი კრიტიკრიუმები სხვა ტესტის გამოყენებით. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, თუ როგორ უნდა იყოს მოცემული ცვლადი, თეორიულად, დაკავშირებული სხვა ცვლადებთან. *კონსტრუქციის ვალიდობა* ემყარება ცვლადებს შორის ლოგიკურ კავშირებს.

დავუშვათ, რომ გსურთ შეისწავლოთ ოჯახური კმაყოფილების წყაროები და შედეგები. როგორც თქვენი კვლევის ნაწილი, თქვენ შეიმუშავებთ ოჯახური კმაყოფილების საზომს და გსურთ შეაფასოთ მისი ვალიდობა.

გარდა თქვენი საზომის შემუშავებისა, თქვენ გექნებათ გარკვეული თეორიული მოლოდინი იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება ცვლადი ოჯახური კმაყოფილება სხვა ცვლადებს. მაგალითად, შეიძლება გონივრულად დაასკვნათ, რომ კმაყოფილი ცოლ-ქმარი ნაკლებად ლალატობს ერთმანეთს, ვიდრე უკმაყოფილო წყვილი. თუ თქვენი საზომი დაკავშირებულია ქორწინების ერთგულებასთან მოსალოდნელი ფორმით, ეს წარმოადგენს თქვენი საზომის კონსტრუქციული ვალიდობის მტკიცებულებას. თუმცა, თუ კმაყოფილი წყვილიც ისევე ლალატობს თავიანთ მეუღლეებს, როგორც უკმაყოფილოები, ეს ეჭვქვეშ აყენებს თქვენს საზომს.

და ბოლოს, *შინაარსის ვალიდობა* ეხება იმას, თუ რამდენად ფარავს საზომი ცნების ფარგლებში შეტანილი მნიშვნელობების სპექტრს. მაგალითად, მათემატიკური უნარის ტესტი არ შეიძლება შემოიფარგლოს მიმატებით, არამედ უნდა მოიცვას გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და ა.შ. ან, თუ ჩვენ ვზომავთ ცრურწმენას, ასახავს თუ არა ჩვენი გაზომვები ყველა სახის ცრურწმენას, როგორცაა: რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების, რელიგიური უმცირესობების, ქალების, მოხუცების მიმართ ცრურწმენები და ა.შ.

### **306 წყვიტს რა არის ვალიდური?**

სოციალური მკვლევრები ხანდახან აკრიტიკებენ საკუთარ თავს და ერთმანეთს იმის გამო, რომ ისინი გარკვეულწილად აღემატებიან მათ, ვისაც სწავლობენ. მაგალითად, მკვლევრები ხშირად ცდილობენ გამოავლინონ მოტივები, რომლებიც თავად სოციალურმა ფაქტორებმა არ იციან. თქვენ

ფიქრობთ, რომ იყიდეთ ახალი ნივთი მისი მაღალი ხარისხისა და გარეგნული მიმზიდველობის გამო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ნამდვილად ცდილობთ მიაღწიოთ უფრო მაღალ სოციალურ სტატუსს.

იმისათვის, რომ გაიგონ, თუ როგორ აცნობიერებენ უბრალო ადამიანები თავიანთ სამყაროებს, ეთნო მეთოდოლოგები ყველა სოციალურ მეცნიერს მოუწოდებენ მეტი პატივი სცენ კონცეპტუალიზაციას და საერთო მნიშვნელობის ამ ბუნებრივ სოციალურ პროცესებს. სულ მცირე, ქცევას, რომელიც შეიძლება ირაციონალურად ჩანდეს მეცნიერის პარადიგმიდან, შეიძლება ჰქონდეს ლოგიკური აზრი, როდესაც განიხილება ფაქტორის თვალსაზრისით.

კლიფორდ გერცი (1973) იყენებს ტერმინს „სქელი აღწერა“ იმ მიზანთან მიმართებით, რომ რაც შეიძლება ღრმად გაიგოს კულტურის ელემენტები იმ მნიშვნელობისთვის, ვინც ამ კულტურის ფარგლებში ცხოვრობს. თუმცა, ის აღიარებს, რომ გარე დამკვირვებელი ვერასოდეს გაიაზრებს ამ მნიშვნელობებს სრულად და აფრთხილებს მას, რომ „კულტურული ანალიზი არსებითად არასრულია“.

საბოლოო ჯამში, მკვლევრებმა უნდა შეხედონ როგორც კოლეგებს, ასევე სუბიექტებს, როგორც შეთანხმების წყაროს მათ მიერ შესწავლილი ცნებების ყველაზე სასარგებლო მნიშვნელობებსა და გაზომვებთან დაკავშირებით. ხან ერთი წყარო უფრო სასარგებლო იქნება, ხან მეორე. მაგრამ არც ერთი არ უნდა უარყონ.

### დაძაბულობა სანდოობასა და ვალიდობას შორის

ბუნებრივია, გვსურს, რომ ჩვენი გაზომვები სანდოც იყოს და ვალიდურიც, თუმცა ხანდახან ამ ორ კრიტერიუმს შორის თავს იჩენს დაძაბულობა. გავიხსენოთ ქარხნის მუშების დისციპლინის გაზომვის მაგალითი. შეიძლება ჩანდეს, რომ ქარხანაში ყოფნა და ადგილზე მუშებზე დაკვირვება უფრო ვალიდურ გაზომვას უზრუნველყოფს, ვიდრე საჩივრების დათვლა. თუმცა, როგორც ადრე აღვნიშნე, საჩივრების რაოდენობის დათვლა უფრო საიმედო იქნებოდა. ეს სიტუაცია ასახავს კვლევის გაზომვის უფრო ზოგად დაძაბულობას. მართლაც, საინტერესო ცნებების უმეტესობას, რომელთა შესწავლა გვინდა, ბევრი დახვეწილი ნიუანსი აქვს და ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ მათში. მკვლევრები ზოგჯერ საუბრობენ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა „მნიშვნელობის სიმდიდრე“. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ნივთი და სტატია დაინერა ანომიის შესახებ, ჯერ კიდევ არ არის ამონაწერი მისი მნიშვნელობა.

ასე რომ, ძალიან ხშირად, საიმედო ოპერაციული განმარტებებისა და გაზომვების დაზუსტება, როგორც ჩანს, ართმევს ცნებებს მნიშვნელობის ღირებულებას. პოზიტიური დისციპლინა გაცილებით, ვიდრე პროფკავშირში შეტანილი საჩივრები. მიუხედავად ამისა, ცნებისათვის რაც უფრო მეტ ცვალებადობას და სიმდიდრეს დავუშვებთ, მით უფრო მეტ პოტენციალს ვქმნით უთანხმოებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ის კონკრეტულ სიტუაციაში, რაც ამცირებს სანდოობას.

### **გაზომვის ეთიკა**

გაზომვის შესახებ გადანყვეტილებები ზოგჯერ შეიძლება შეფასდეს ეთიკური სტანდარტებით. ჩვენ დავინახეთ, რომ მკვლევრებისთვის საინტერესო ცნებების უმეტესობა ღია სხვადასხვა მნიშვნელობისთვის. დავუშვათ, მაგალითად, რომ თქვენ დაინტერესებული ხართ შეერთებულ შტატებში აბორტის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლით. ყურადღება მიაქციეთ განსხვავებას, დებატების რომელი მხარის კონცეპტუალიზაციას მოახდენთ, რომელიც „არჩევანის მომხრეა“ თუ რომელიც „აბორტის მომხრეა“. თუ თქვენ პიროვნული მიკერძოებულობის შედეგად, მინიმუმამდე დაიყვანეთ წინარე პოზიციის მხარდაჭერა, შეიძლება გაგიჩნდეთ ცდუნება ჩამოაყალიბოთ კონცეფცია და მასზე დაფუძნებული გაზომვები „აბორტის მომხრე“ ადამიანების თვალსაზრისით, რითაც გამორიცხავთ ყველა მათ, ვისაც აბორტი თავისთავად არ მოსწონს და არ ემხრობა, მაგრამ თვლის, რომ ქალს უნდა ჰქონდეს უფლება, თავად გააკეთოს ეს არჩევანი. თუმცა, ამ სტრატეგიის გატარება არღვევს მიღებული კვლევის ეთიკას.

### **მთავარი ტერმინები**

კოგნიტიური ინტერვიუ, ცნება, კონცეპტუალიზაცია, კონსტრუქციის ვალიდობა, შინაარსის ვალიდობა, კრიტერიუმთან დაკავშირებული ვალიდობა, განზომილება, სახის ვალიდობა;

ინდიკატორი, ინტერვალური გაზომვა/საზომი, ნომინალური გაზომვა/საზომი, რიგის გაზომვა/საზომი, შეფარდების გაზომვა/საზომია, საიმედოობა, ვალიდობა.

*ჯონ ვ. კრისუელი*

## **საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება და კვლევის დიზაინი**

მკვლევრები თავიანთ კვლევას პრობლემის იდენტიფიცირებით იწყებენ. დავუშვათ, მარია იწყებს სამაგისტრო პროგრამისთვის საჭირო კვლევით პროექტს. იგი იწყებს რამდენიმე კითხვის დასმით და მათზე მოკლე პასუხების ჩაწერით.

დამწყები მკვლევრისთვის კითხვაზე პასუხის გაცემა როდია პრობლემა, არამედ თავად კითხვის დასმა. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორ დავეწყოთ კვლევის შესავალი ან თავი „პრობლემის დასმა“.

რა არის კვლევის პრობლემა და რატომაა ის მნიშვნელოვანი?

კვლევის ჩატარებისას ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტი სწორედ პრობლემის იდენტიფიცირებაა, რომელსაც თქვენი კვლევის საჭიროებისკენ მიჰყავხართ. კვლევის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვლევი პრობლემის დაზუსტებას, რადგან ის ქმნის მთელი კვლევის საფუძველს. კვლევის პრობლემის ცოდნის გარეშე, მკითხველმა არ იცის, რატომ არის კვლევა მნიშვნელოვანი და რატომ უნდა გაეცნონ მას.

### რით განსხვავდება საკვლევი პრობლემა კვლევის სხვა ნაწილებისაგან?

კვლევის პრობლემების უკეთ გასაგებად, შესაძლებელია განვასხვავოთ ისინი კვლევის პროცესის სხვა ნაწილებისგან. კვლევის პრობლემა განსხვავდება კვლევის თემისგან, კვლევის მიზნისგან და კონკრეტული კვლევის კითხვებისგან. კვლევის პრობლემა თავისთავად უნდა დადგეს და განსხვავებულ ნაბიჯად იყოს აღიარებული, რადგან ის წარმოადგენს კვლევაში განხილულ პრობლემას. მაგალითად, კვლევაში, რომელიც ეძღვნება დისტანციურ სწავლებას, პრობლემად გამოყოფილია ონლაინ გაკვეთილებზე დამსწრე სტუდენტების სიმცირე. პრობლემის შესასწავლად მკვლევარი მას შემდეგი მტკიცებულების სახით აყალიბებს: შევისწავლოთ თუ რატომ არ ესწრებიან სტუდენტები დისტანციურ გაკვეთილებს კონკრეტულ კოლეჯში.

როდესაც კვლევას წერთ, დარწმუნდით, რომ თქვენი კვლევის ყველა ასპექტი გამიჯნულია ერთმანეთისგან.

### შესაძლებელია თუ არა ან საჭიროა თუ არა პრობლემის კვლევა?

ის ფაქტი, რომ პრობლემა არსებობს და ავტორს შეუძლია მისი იდენტიფიცირება, არ ნიშნავს იმას, რომ შეგიძლიათ ან უნდა გამოიკვლიოთ ის. პრობლემა შეგიძლიათ გამოიკვლიოთ მაშინ, როდესაც გაქვთ წვდომა ადგილზე და მონაწილეებზე და, ასევე, რესურსებზე, დროსა და საკვლევად საჭირო უნარებზე. პრობლემა უნდა გამოიკვლიოთ მაშინ, როდესაც კვლევას შეუძლია წვლილი შეიტანოს საგანმანათლებლო ცოდნაში ან როცა ის ეფექტურობას მატებს პრაქტიკას. ამის შესაფასებლად არსებობს შემდეგი 5 გზა:

1. შეისწავლეთ პრობლემა იმ შემთხვევაში, თუ ის ავსებს მოცემულ საკითხზე უკვე შექმნილ ლიტერატურაში არსებულ სიცარიელეს ან ხარვეზს. მაგალითად, დავუშვათ, რომ მკვლევარი იკვლევს ლიტერატურას კოლეჯის კამპუსებში ეთიკური კლიმატის შესახებ და აღმოაჩენს, რომ წარსულმა კვლევამ შეისწავლა სტუდენტების, მაგრამ არა ფაკულტეტის აღქმა. ეს არის სიცარიელე არსებულ ლიტერატურაში.
2. შეისწავლეთ პრობლემა, თუ თქვენი კვლევა იმეორებს წინარე კვლევას, მაგრამ იკვლევს სხვადასხვა მონაწილეს და კვლევის სხვადასხვა ადგილს. რაოდენობრივი კვლევისას პირველად კოლეჯებში ეთიკური კლიმატის შესწავლა მოხდა ერთ კონკრეტულ კოლეჯში, ხოლო, შემდგომ, შესაძლოა ჩატარდეს სხვა კოლეჯებშიც.
3. შეისწავლეთ პრობლემა, თუ თქვენი კვლევა აფართოებს წინარე კვლევას ან უფრო დეტალურად განიხილავს თემას.
4. შეისწავლეთ პრობლემა, თუ თქვენი კვლევა აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს იმათ, ვინც ჩუმად იყო ან ვისიც არ ესმოდათ და სხვა. მაგალითად, კოლეჯის კამპუსში ეთიკური კლიმატის შესახებ წინარე კვლევა ითვალისწინებდა, უმეტესად, თეთრკანიან სტუდენტებს, მაშინ როცა არაფერი შეგვიტყვია ფერადკანიანი სტუდენტებისგან. ახალ კვლევაში შესაძლოა დაფიქსირდეს ინდიელი ამერიკელების სათქმელი.
5. შეისწავლეთ პრობლემა, თუ თქვენი კვლევა ეფექტურობას მატებს პრაქტიკას. პრობლემის შესწავლით, თქვენმა კვლევამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი ტექნიკის ან ტექნოლოგიების იდენტიფიცირება.

ბა, ისტორიული ან მიმდინარე პრაქტიკის ღირებულების აღიარება ან მიმდინარე სასწავლო პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობა.

### **რით განსხვავდება კვლევის პრობლემა რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაში?**

კვლევის პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, თქვენ უნდა განსაზღვროთ რომელი ტიპის კვლევას უკეთ შეესაბამება ის: რაოდენობრივს თუ თვისებრივს.

გადავხედოთ მშობელთა ჩართულობის კვლევას (Deslandes & Bertrand, 2005) და დედების ნდობის საკითხებს სკოლის დირექტორების მიმართ (Shelden et al., 2010). ორივე კვლევა განსხვავებულ საკითხს შეისწავლის. მშობელთა ჩართულობის რაოდენობრივ კვლევაში, მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები უბიძგებს მშობლებს გადანყვიტონ (ან ახსნან, რატომ) ჩაერთონ თავიანთი მოზარდების სწავლების პროცესში. რატომ იქნება ასეთი ჩართულობის ნაკლებობა მნიშვნელოვანი? ცვლადებს შორის ურთიერთობების ახსნა ან პროგნოზირება რაოდენობრივი კვლევის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ხოლო დედების ნდობის კვლევის საკითხების თვისებრივ კვლევაში ავტორები აღწერენ შშმ ბავშვების დედების სკოლის დირექტორების მიმართ ნდობის მოპოვების საჭიროებას. ეს მოითხოვს ნდობის ბუნების შესწავლას და გაგებას. პრობლემის შესწავლა თვისებრივი კვლევის მახასიათებელია.

ეს ორი ფაქტორი - ახსნა და შესწავლა - იძლევა სტანდარტს, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ იმის დასადგენად, თქვენი კვლევის პრობლემა უფრო რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის შესაფერისია. არსებობს დამატებითი ფაქტორებიც, რომელიც გასათვალისწინებელია:

მიმართეთ რაოდენობრივ კვლევას, თუ თქვენი კვლევის პრობლემა მოითხოვს:

- ცვლადების გაზომვას;
- შედეგზე ამ ცვლადების გავლენის შეფასებას;
- თეორიების შემოწმებას ან ფართო ახსნას;
- შედეგების გამოყენებას ადამიანების დიდ რაოდენობაზე.

მიმართეთ თვისებრივ კვლევას, თუ თქვენი კვლევის პრობლემა მოითხოვს:

- ინდივიდების შეხედულებების შესწავლას;
- პროცესის დროთა განმავლობაში შეფასებას;
- მონაწილის შეხედულებებზე დაფუძნებული თეორიების გენერირებას;
- რამდენიმე ადამიანის ან კვლევის ადგილის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებას.

### **როგორ იწერება თავი „პრობლემის დასმა“ ?**

ეს თავი მოიცავს თავად პრობლემის გარდა კიდევ 4 ასპექტს, როგორცაა:

1. თემა
2. კვლევის პრობლემა
3. წინარე კვლევაში და პრაქტიკაში აღმოჩენილი პრობლემის მნიშვნელობის დასაბუთება

4. პრობლემის შესახებ არსებულ ცოდნაში უკმარისობა
5. აუდიტორია, რომელიც სარგებელს მიიღებს პრობლემის შესწავლით. მოცემული ხუთი ელემენტის იდენტიფიცირება დაგეხმარებათ კვლევის შესავლის იოლად გაგებაში და კარგი შესავლის დაწერაში. შესავალი წინადადება ისეთი უნდა იყოს, რომ წაახალისოს მკითხველი და კითხვის გაგრძელების სურვილი გაუჩინოს, ასევე, წარმოდგენა შეუქმნას მას კვლევის საგანზე.

სქემა 2.2  
საგანმანათლებლო ჟურნალებში გამოქვეყნებული კვლევების შერჩეული თემები და პირველი წინადადებები

<p><b>სავალდებულო სტანდარტიზებული ტესტირების გავლენა უმცირესობების სტუდენტებზე</b> რინარდ გ. ლიმაქი, მერი მაქსველ უესტი, მერიელენ ს. ჰარმონი, კეთრინ ა. ვიატორი და ჯორჯ ფ. მადაუსი, 1995</p> <p>სავალდებულო სტანდარტიზებული ტესტების შემოღების ერთ-ერთი თავდაპირველი მიზანი იყო პატრინაჟის ეფექტების შესწორება და შესაბამისად, საგანმანათლებლო შესაძლებლობების და პროფესიონალი სექტორის გახსნა სტუდენტების უფრო ფართო ჯგუფისთვის (მადაუსი, 1991). თუმცა,...</p>	<p><b>დაწვებითი სავსეების საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებაში პრობლემების გადაჭრის მიდგომის დანერგვის შემაფრთხილებელი ფაქტორები: ცვლილების პროცესში მყოფი მასწავლებლის ქეისი</b> მერი ლი მარტენსი, 1992</p> <p>პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დაწვებითი სავსეების საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების შეთხადი, რომელიც ახლა მრავალ შტატშია რეკომენდებული, ცვლილებებს გულისხმობს პროფესიონალი მრავალი ჯგუფისთვის, მათ შორის მასწავლებლებისთვის, ადმინისტრატორებისთვის და სხვა პირებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებაზე. თუმცა, მასწავლებლები,...</p>
<p><b>ორ სამყაროში ცხოვრება და მუშაობა ხუთი ამერიკელი ინდიელი ქალი მასწავლებლის კვლევა</b> ბრუნდა ჰილი, კორტნი ვონი და შარონ ბრუკს ჰარისონი, 1995</p> <p>ამერიკელი ინდიელების ევრო-ამერიკული განათლება დაიწყო მისიონერებისა და რამდენიმე ერისკაცი პედაგოგის ევადით, რომლის მუდმივი მოზანი იყო ამერიკელი ინდიელების ევრო-ამერიკულ ინიუად გარდაქმნა. ...</p>	

როგორც სქემაზე ჩანს, კვლევის თემა სათაურსა და შესავალ წინადადებაშია მოცემული. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორებს შემოაქვთ საერთო თემები, რომლებიც თითქმის ყველასთვის გასაგებია (სტანდარტიზებული ტესტები და ა.შ.).

პირველი წინადადება, რომელსაც ჩვენ ნარატივს (თხრობის) კაუჭს ვუწოდებთ, ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას მოიზიდოს მკითხველი, მიიქციოს მისი ყურადღება და წაახალისოს კითხვის გასაგრძელებლად. ასეთი ნარატიული კაუჭი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის, როგორცაა, მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები, პროვოკაციული შეკითხვა და სხვა.

**საკვლევი პრობლემა**

შესავალ წინადადებაში თემის შემოტანის შემდგომ ვახდენთ მის კონკრეტულ პრობლემაზე ან საკითხზე დაყვანას. შეგახსენებთ, რომ კვლევის პრობლემა არის საგანმანათლებლო საკითხი, შემოფოთება ან დაპირისპირება, რომელსაც მკვლევარი იკვლევს. იგი შეიძლება ავტორმა გადმოსცეს ერთი ან რამდენიმე მოკლე წინადადების სახით. ასევე, შესაძლოა ჩამოაყალიბოს მაგალითად, არსებულ ლიტერატურაში ხარვეზის სახით. ხანდახან კვლევის პრობლემა მოდის სკოლებსა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესე-


ბულებებში არსებული საკითხებისგან. მათ ჩვენ ვუნოდებთ კვლევის პრაქტიკულ პრობლემებს. მაგალითად, კვლევაში ერთბაშე შეიძინა ოჯახების მიმართ ჩინური პოლიტიკის შესახებ, რადგან პრაქტიკულად პრობლემა იყო ის, რომ ჩინეთში ბიჭებს გოგოებზე მეტად აფასებდნენ და რომ პოლიტიკა აკონტროლებს მოსახლეობას.

სხვა კვლევაში პრობლემა დაფუძნებული იქნება არსებული ვაკუუმის შევსების საჭიროებაზე ან კვლევის გაფართოებაზე. ამ ტიპის პრობლემა არის კვლევაზე დაფუძნებული საკვლევო პრობლემა.

ზოგჯერ, შესაძლოა საკვლევად ავიღოთ ორივე, როგორც პრაქტიკული, ასევე კვლევაზე დაფუძნებული საკვლევო პრობლემა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა მოახდინოთ მისი ერთი ან რამდენიმე წინადადებით ჩამოყალიბება დასაწყისშივე, რომ მკითხველმა იცოდეს იმ საკითხის შესახებ, რომელსაც შესწავლის საჭიროებისაკენ მივყავართ.

**წინარე კვლევაში და პრაქტიკაში აღმოჩენილი პრობლემის მნიშვნელობის დასაბუთება**

საკმარისი არ არის პრობლემის ან საკითხის დაყენება. ამასთან, საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე მიზეზი იმის ასახსნელად, თუ რატომაა პრობლემა მნიშვნელოვანი. მოცემული დასაბუთება შესავალში რამდენიმე პარაგრაფშია წარმოდგენილი. როგორც ქვემოთ სურათზეა ნაჩვენები, პრობლემის მნიშვნელობის დასაბუთება შესაძლოა მოახდინოთ მტკიცებულების ციტირებით ისეთი წყაროებიდან, როგორცაა ლიტერატურაში მოყვანილი სხვა მკვლევრებისა და ექსპერტების სამუშაო და პირადი გამოცდილება.



ჩვენ დავინყებთ ყველაზე მეცნიერული დასაბუთებით - სხვა მკვლევართა შეთავაზებებით პრობლემის შესწავლის საჭიროების შესახებ. ავტორები ხშირად ასახელებენ კვლევის პრობლემებს, რომლებიც მოითხოვს შემდგომ

შესწავლას ან არასრული მოდელის, ან თეორიის საფუძველზე შესწავლის საჭიროების დასაბუთებას. თეორია, მაგალითად, შესაძლოა არასრული იყოს, რადგან ის არ მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ფაქტორს, რომლებიც გასათვალისწინებელია. ამისათვის საჭიროა თეორიის ან მოდელის გავრცობა და სრულყოფა. შესაძლებელია მოვიყვანოთ სხვადასხვა მეცნიერების ან ექსპერტების ციკატები, რომლებიც იმავეს აღნიშნავდნენ, მაგრამ ნათქვამს კვლევა არ მოჰყოლია. რეკომენდებულია აღნიშნული პრობლემის შესახებ სხვათა მოსაზრებების ციტირება. შესაძლოა დაუკავშირდეთ კიდევ მათ და განიხილოთ საკითხი, გამოვიკითხოთ მათი აზრი და გამოცდილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

#### **სამუშაო ადგილის ან პირადი გამოცდილების საფუძველზე დასაბუთება**

პრობლემის დასაბუთება შეიძლება თქვენი სამუშაო ადგილიდან მტკიცებულების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე. პირადი გამოცდილება შესაძლოა მომდინარეობდეს სასკოლო, ბავშვობის ან საოჯახო სიტუაციების გამოცდილებიდან. პირადი გამოცდილება გამართლებულია ისეთი კვლევებისთვის, რომელთაც პრაქტიკული ორიენტაცია გააჩნია, მაგალითად კლასში კონკრეტული დილემის გადაჭრა ან ისეთ კვლევებში, სადაც თავად მკვლევარია შესწავლის ობიექტი, როგორცაა ნარატიული კვლევა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგიერთმა შესაძლოა არ ჩათვალოს პირადი გამოცდილება კვლევის ჩატარების საჭიროების ერთადერთ გამართლებად. ამიტომ, აღნიშნეთ სხვა მიზეზებიც, რომლებიც კვლევის საჭიროებას დაასაბუთებენ.

#### **არსებული ცოდნის ხარვეზები**

ამავე თავში საჭიროა შეაჯამოთ, თუ რატომაა ჩვენი, დღესდღეობით არსებული ცოდნა როგორც კვლევებიდან, ასევე პრაქტიკიდან, არასრულყოფილი. სასურველია რამდენიმე მათგანის ხსენება.

**ხარვეზი მტკიცებულებაში** ნიშნავს იმას, რომ წინარე კვლევები ან პრაქტიკული გამოცდილება პრობლემას ადეკვატურად ვერ წყვეტს. საჭიროა წინარე კვლევის გავრცობა, შევსება, სრულყოფა, საკითხის უფრო ღრმად შესწავლა და ა.შ.

**ნაკლები პრაქტიკა** ნიშნავს, რომ პედაგოგებს ჯერ არ აქვთ გამოვლენილი კარგი და ეფექტური გადაწყვეტილებები სკოლებისთვის ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ამ ნაკლის შეჯამებისას დაასახელეთ ორი ან სამი მიზეზი, რის გამოც არსებული კვლევები და პრაქტიკა არასაკმარისია კვლევის პრობლემის გადასაჭრელად და დაასახელეთ ეს მიზეზები კვლევის შესავლის ბოლოს.


#### **აუდიტორია**

საჭიროა აუდიტორიის იდენტიფიცირება. ესენია ინდივიდები ან ჯგუფები, რომლებიც თქვენს კვლევას გაეცნობიან და პოტენციურად სარგებელს ნახავენ მასში მოცემული ინფორმაციით. აუდიტორია განსხვავდება თქვენი კვლევის ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ რამდენიმე მათგანი, რო-

მელიც ხშირად განიხილება მასწავლებლების მიერ, მოიცავს მკვლევრებს, პრაქტიკოსებს, პოლიტიკის შემქმნელებს და კვლევებში მონაწილე პირებს. შესაბამისად, აუდიტორია შესაძლოა იყოს ერთზე მეტი. ამის შესახებ ავტორი წერს შესავლის ან თავის „პრობლემის დასმა“ შემაჯამებელ აბზაცში და ხსნის თითოეული აუდიტორიისთვის პრობლემის აქტუალურობას. ესეც ნარატიული კაუჭის მსგავსად, იზიდავს აუდიტორიას და ახდენს კვლევის პერსონალიზაციას. ამით მკვლევრები, ასევე, ერთგვარად ახსენებენ საკუთარ თავს სასარგებლო შედეგების მოხსენების საჭიროების შესახებ.

**თავის „პრობლემის დასმა“. დაწერის რა სტრატეგიები არსებობს? შაბლონი**

ერთ-ერთი სტრატეგია გახლავთ თავის ვიზუალიზაცია ხუთი პარაგრაფის სახით, სადაც თითოეული აბზაცი ეხება თავის ხუთი ასპექტიდან ერთს. დალაგეთ პარაგრაფები თანმიმდევრობით შემდეგნაირად: თემა, კვლევის პრობლემა, დასაბუთება, ხარვეზები და აუდიტორია. ქვემოთ სურათზე ჩანს, რომ თავში „პრობლემის დასმა“ ხუთი ელემენტია, რომლებიც დეტალურადაა ახსნილი და მოყვანილია შესაბამისი მაგალითები თითოეული ასპექტისათვის. იდეების ნაკადი გადადის თემიდან პრობლემამდე და მის დასაბუთებამდე და ხარვეზებამდე, რომლებიც, შესწავლის შემთხვევაში, დაეხმარება კონკრეტულ აუდიტორიას.



**სხვა სტრატეგიები**

აღნიშნული თავის დაწერის კიდევ სხვა სტრატეგიები არსებობს. ერთ-ერთია წყაროების ხშირი ხსენება. ეს კვლევას მეცნიერულ ტონს შემატებს და გაზრდის მის სანდოობას, რადგანაც მტკიცებულება ეყრდნობა არამხოლოდ თქვენს პირად გამოცდილებას, არამედ სხვებისაც.

კიდევ ერთი სტრატეგია არის სტატისტიკური ტენდენციებიდან მონაცემების მოყვანა, რაც კიდევ უფრო გაამყარებს პრობლემის კვლევის მნიშვნელობას. მაგალითად, რამდენი მოზარდი ეწევა? რამდენი ადამიანია აივ-

დადებითი? მტკიცებულების ეს ფორმა განსაკუთრებით პოპულარულია რაოდენობრივ კვლევებში.

წერის კიდევ ერთი სტრატეგია არის კვლევის მონაწილეთა ციტატების გამოყენება ან მონაწილეებზე დაკვირვების შედეგად მიღებული ჩანიშვნები. ეს მიდგომა პოპულარულია და ხშირად გამოიყენება თვისებრივ კვლევებში.

და ბოლოს, ფრთხილად გამოიყენეთ ციტატები შესავალში, განსაკუთრებით პირველ წინადადებაში. ხშირად მკითხველმა შესაძლოა ვერ გამოიტანოს ციტატიდან ის აზრი, რაც მკვლევარმა. ციტატის ეფექტურად გამოყენების მიზნით, საჭიროა მკითხველი „შეიყვანოს“ ციტატაში და „გამოიყვანოს“ ციტატიდან.

### **იფიქრეთ ხამამალა „პრობლემის დასმის“ დაწერის შესახებ**

ქვემოთ იხილავთ თავის „პრობლემის დასმა“ ჩემულ მოდელს კვლევის რეალური პრაქტიკის საილუსტრაციოდ. ჩემი მიდგომა იყენებს ხუთსაფეხურიან მოდელს, მიუხედავად იმისა, რაოდენობრივია კვლევა თუ თვისებრივი. თუმცა, კვლევის პრობლემის ყურადღებით შესწავლა მიუთითებს ორ მიდგომაში განსხვავებულ აქცენტზე. რაოდენობრივ კვლევაში აქცენტი გაკეთდება შედეგების ახსნის აუცილებლობაზე, ხოლო თვისებრივი კვლევისას მე გამოვიკვლევ პროცესს, მოვლენას ან ფენომენს.

ჩემი შესავალი იწყება თემის ზოგადი განხილვით. მე ვეცდები პირველი წინადადება იყოს ნარატიული „კაუჭი“, რომელიც მკითხველის ინტერესს გააღვიძებს. პირველი წინადადების დაწერა იოლი საქმე როდია. რამდენჯერმე შევასწორებ და შევცვლი სანამ, საბოლოოდ, არ იქნება ზოგადი, დროული და გასაგები. ამ დროს ვფიქრობ ჩემს კლასში მოსწავლეების დიდ რაოდენობაზე, რომელთაც განსხვავებული გამოცდილება და სპეციალობა გააჩნიათ და იმაზე, გაიგებენ თუ არა ისინი ჩემს პირველ წინადადებას. მიმაჩნია, რომ სასარგებლოა ვიფიქრო ჩემს აუდიტორიაზე, როგორც მრავალფეროვან ჯგუფზე, როდესაც ვწერ ამ ნაწილის საწყის წინადადებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, შესავალმა ფრთხილად უნდა შეიყვანოს მკითხველი კვლევაში. ეს ჭაში სათლის ჩაშვებას გავს. მე მიორჩევნია ნელ-ნელა ჩავუშვა სათლი ჭაში, ვიდრე უეცრად ჩავაგდო. ასეთი მიდგომით მე ვაცნობ მკითხველს კვლევას ერთ ან ორ აბზაცში და ვახდენ მისი ყურადღების ფოკუსირებას ერთ საგანზე და მის საერთო მნიშვნელობაზე განათლებაში.

ნებისმიერ მოცემულ თემაზე, რამდენიმე საკითხი შეიძლება წარმოიშვას, ზოგიერთი სკოლაში ან თემაზე წინარე კვლევის მიმოხილვის ჩემი პირადი გამოცდილებიდან. როდესაც ჩემი თემის შესახებ ვკითხულობ კვლევით სტატიებში, მზად ვარ განვიხილო ის საკითხები, რომლებიც შესწავლას საჭიროებენ და, განსაკუთრებით, მაინტერესებს ის საკითხები, რომლებსაც სხვა ავტორები თვლიან საჭიროდ შესასწავლად. ამ კვლევების განხილვისას ვცდილობ გავეცნო ავტორებს, რომლებიც ამ სფეროში ლიდერები არიან. მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ამ ავტორებს დავუკავშირდე ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით, რათა განვიხილო ჩემ მიერ შემოთავაზებული კვლევა.

პრობლემის გაგებისა და მისი ადეკვატურად დასაბუთების შემდეგ ვინცებ პირველი თავის „პრობლემის დასმა“ წერას. მე მივყვები 5 ელ-

ემენტს. ვცდილობ ჩამოვაყალიბო, რატომღაა საჭირო ჩემი კვლევა, მომყავს არგუმენტები. იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევის მნიშვნელობა ცხადი იყოს აუდიტორიისთვის, თავს ვასრულებ რამდენიმე აუდიტორიისთვის კვლევის სარგებლიანობის შესახებ კომენტარებით.

### **თავის „პრობლემის დასმა“ მაგალითები**

თავის „პრობლემის დასმა“ მაგალითი ნაჩვენებია სქემაზე 2.5. ეს არის ჩემი კვლევა თინეიჯერების მიერ სიგარეტის მოწევის შესახებ საშუალო სკოლებში. პირველ აბზაცში წარმოგიდგენთ თემას და კვლევის პრობლემას. შემდეგ მეორე აბზაცში ვაკეთებ ამ პრობლემის მტკიცებულებების ციტირებას. ყურადღება მიაქციეთ, რომ შესავალში არ განვიხილავ დეტალურად არცერთ კვლევას.

### **რაოდენობრივი მონაცემების შებრუნება**

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესი ხუთი ეტაპისგან შედგება:

- ◆ დაადგინეთ, როგორ შეარჩიოთ მონაწილეები კვლევისთვის.
- ◆ გამოავლინეთ კვლევისთვის საჭირო ნებართვები.
- ◆ ჩამოთვალეთ ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა ვარიანტები.
- ◆ იპოვეთ, შეარჩიეთ და შეაფასეთ მონაცემთა შეგროვებაში გამოსაყენებელი ინსტრუმენტი(ები).
- ◆ აღწერეთ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების ადმინისტრირების პროცედურები.

მაგალითად, მარის სურს შეისწავლოს რაოდენობრივი კვლევის საკითხი: რატომ ატარებენ მაღალკლასელები სკოლაში იარაღს? მარია ფიქრობს ვისგან შეიძლება ინფორმაციის მიღება, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იპოვის სტუდენტებს, მოინდომებენ ისინი ინფორმაციის მიწოდებას? ის უზიარებს კურსდამთავრებულთა მრჩეველს თავის შემოფოთებას სტუდენტებისგან ამ ინფორმაციის მიღების გზების პოვნის საჭიროების შესახებ და შიშობს, რომ სტუდენტები არ მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას. მარია სულ უფრო ღრმად იჭრება კომპლექსურ კითხვებში, მან ისე უნდა დააღაგოს ყველაფერი, რომ მარტივად და ლოგიკურად მიჰყვეს მონაცემთა შეგროვების პროცესს. როგორ იწყებს მარია?

### **რომელ მონაწილეს შეისწავლით?**

პირველ რიგში, უნდა განსაზღვროთ ვის და რა ობიექტს შეისწავლით, ინდივიდებს თუ მთელ ორგანიზაციას (მაგ. სკოლას), რა ტიპის ინდივიდებს ან ორგანიზაციებს შეისწავლით და რა რაოდენობა დაგჭირდებათ კვლევისათვის. გადანყვეტილების მისაღებად უნდა შეარჩიოთ ანალიზის ერთეული, ინდივიდები ან ჯგუფები, ამ ინდივიდთა შერჩევის პროცედურა, მონაცემთა ანალიზისათვის ადამიანების საჭირო რაოდენობა.

### **ანალიზის ერთეულის იდენტიფიცირება**

ვის შეუძლია მოგანოღოთ ის ინფორმაცია, რომელსაც თქვენი რაოდენობრივი კვლევის კითხვებზე ან ჰიპოთეზებზე პასუხის გასაცემად გამოიყენებთ?

ეს შეიძლება იყოს სტუდენტები, მასწავლებლები, მშობლები, მოზრდილები, ამ ინდივიდების ზოგიერთი კომბინაცია ან მთელი სკოლა. მონაცემთა შეგროვების ამ ადრეულ ეტაპზე თქვენ უნდა გადანყვიტოთ, თუ რა დონეზე (მაგ., ინდივიდუალურ, ოჯახურ, სკოლის) იქნება საჭირო მონაცემების შეგროვება. ამ დონეს ანალიზის ერთეულს უწოდებენ. ზოგიერთ კვლევაში, პედაგოგები მონაცემებს რამდენიმე დონეზე აგროვებენ (მაგ., ინდივიდები და სკოლები), ხოლო სხვა კვლევები მოიცავს მონაცემების შეგროვებას მხოლოდ ერთი დონისგან (მაგ., დირექტორები სკოლებში). ეს გადანყვიტება დამოკიდებულია კითხვებზე ან ჰიპოთეზებზე, რომლებზეც პასუხის გაცემას ცდილობთ.

### **მიუთითეთ (დააკონკრეტეთ) პოპულაცია და ნიმუში**

მთელ სკოლას შეარჩევთ თუ ინდივიდების მცირე რაოდენობას, უნდა გაითვალისწინოთ რომელ ინდივიდებს ან სკოლას შეისწავლით. ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაძლოა, შეარჩიოთ ნებაყოფლობით მონაწილე მსურველები ან ისინი, ვისზეც ხელი მიგინვდებათ. თუმცა, ისინი შეიძლება არ ჰგავდნენ ყველა იმ ინდივიდს, ვინც ხელმისაწვდომია შესასწავლად.

უფრო გაღრმავებული კვლევის პროცესში ხდება იმ ინდივიდების ან სასწავლებლის შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდების ან სასწავლებლის ერთიან ჯგუფს. წარმომადგენელი გულისხმობს ინდივიდების შერჩევას პოპულაციის ნიმუშიდან ისე, რომ შერჩეული ინდივიდები ტიპურია შესასწავლი პოპულაციისათვის, რაც საშუალებას გაძლევთ დასკვნები გამოიტანოთ ნიმუშიდან მთლიანი პოპულაციის შესახებ.


პოპულაცია არის იმ ინდივიდების ჯგუფი, რომლებსაც ერთი და იგივე მახასიათებლები აქვთ. პოპულაცია შეიძლება იყოს დიდი და მცირე. თქვენ უნდა გადანყვიტოთ, რომელი ჯგუფის შესწავლა გსურთ.

სამიზნე პოპულაცია არის ინდივიდების ჯგუფი (ან ორგანიზაციები) გარკვეული საერთო განმსაზღვრელი მახასიათებლით, რომელთა ამოცნობა და შესწავლა მკვლევარს შეუძლია.

ამ სამიზნე პოპულაციის ფარგლებში, მკვლევრები შემდეგ შესასწავლად ირჩევენ ნიმუშს. ნიმუში არის სამიზნე პოპულაციის ქვეჯგუფი, რომლის შესწავლას მკვლევარი გეგმავს სამიზნე პოპულაციის განზოგადოებისთვის. იდეალურ სიტუაციაში შეგიძლიათ აირჩიოთ ინდივიდების ნიმუში, რომლებიც წარმოადგენენ მთელ პოპულაციას. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ საშუალო სკოლის მასწავლებლების ნიმუში (ნიმუში) ერთი ქალაქის საშუალო სკოლების ყველა მასწავლებლის პოპულაციიდან (პოპულაცია). ან კიდევ შეგიძლიათ შეისწავლოთ მხოლოდ ბიოლოგიის მასწავლებლები ქალაქის ორ სკოლაში. პირველი სცენარი წარმოადგენს მკაცრ, სისტემურ შერჩევას, რომელსაც ეწოდება ალბათობა, ხოლო მეორე - არასისტემატურ არაალბათურ შერჩევას.

### **ალბათური და არაალბათური შერჩევა**

მკვლევრები იყენებენ ალბათური და არაალბათური შერჩევის მიდგომებს. ალბათობით შერჩევისას მკვლევარი პოპულაციიდან ირჩევს იმ ინდივიდებს, რომლებიც ამ პოპულაციის წარმომადგენელია, რაც მათ საშუალებას აძლევს მოახდინონ პოპულაციის განზოგადება.



გამოსახულებაზე 5.2. ნაჩვენებია რაოდენობრივი შერჩევის სტრატეგიების ტიპები. პირველი მათგანი (მარცხნივ) ალბათური შერჩევაა, რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი ელემენტები: მარტივი შემთხვევითი შერჩევა, სტრატეგიული შერჩევა და მრავალჯგუფიანი კლასტერული შერჩევა.

ხოლო მეორე (მარჯვნივ) არაალბათური შერჩევაა შემდეგი ელემენტებით: მოსახერხებელი შერჩევა და თივლის გუნდის ტიპის შერჩევა.

**მარტივი შემთხვევითი შერჩევა.** პოპულაციიდან ალბათობის შერჩევის ყველაზე პოპულარული და მკაცრი ფორმაა მარტივი შემთხვევითი შერჩევა. მარტივი შემთხვევითი შერჩევისას მკვლევარი ირჩევს მონაწილეებს (ან ერთეულებს, როგორცაა სკოლები) შერჩევისთვის ისე, რომ ნებისმიერ ინდივიდს ჰქონდეს პოპულაციისგან არჩევის თანაბარი ალბათობა. მარტივი შემთხვევითი შერჩევის მიზანია შეარჩიოს ის ინდივიდები, რომლებიც პოპულაციის წარმომადგენლები არიან. მოსახლეობაში ნებისმიერი მიკერძოება თანაბრად გადანაწილება არჩეულ ადამიანებს შორის. თუმცა, თანაბარი განაწილება ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

მარტივი შემთხვევითი შერჩევისას გამოყენებული ტიპური პროცედურაა პოპულაციაში თითოეულ ინდივიდისათვის ნომრის მინიჭება და შემდეგ შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენება ნიმუშისთვის ინდივიდების შესარჩევად, რომელიც ხელმისაწვდომია მრავალ სტატისტიკურ ნიგნში, ამ პროცედურისთვის საჭიროა სამიზნე პოპულაციის წევრების სია და თითოეული ინდივიდისათვის ნომრის მინიჭება.

**სისტემური შერჩევა.** მარტივი შემთხვევითი შერჩევის პროცედურის უმნიშვნელო სახეცვლილებაა სისტემური შერჩევის გამოყენება. მოცემული პროცედურისას ირჩევთ პოპულაციაში ყოველ  $n$  ინდივიდს ან ობიექტს მანამ, სანამ არ მიაღწევთ ნიმუშის სასურველ რაოდენობას. ეს პროცედურა არ არის ისეთი ზუსტი და მკაცრი, როგორც შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენება, მაგრამ შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს, რადგან არ არის საჭირო ინდივიდების დანომვრა და შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენება. მაგალითისთვის დავუშვათ, რომ სასკოლო უბნის ადმინისტრატორს სურს შეისწავლოს რამდენად კმაყოფილი არიან მშობლები უბნის სკოლებით. სისტემატური შერჩევის გამოყენებით, ადმინისტრატორი, პირველ რიგში, შეისწავლის მშობელთა პროცენტულობას (მაგ. 20%). თუ სკო-

ლის უბანში 1000 მშობელია, ადმინისტრატორი შესასწავლად შეარჩევს 200 მათგანს (ან 20%). იგი გამოიყენებს 5 ინტერვალს 200/1000 ან 5-დან ერთს მშობელთა შესარჩევად. ამრიგად, ადმინისტრატორი გამოკითხვას გაუგზავნის სიაში ყოველ მეხუთე მშობელს.

**სტრატეფიცირებული შერჩევა.** ალბათობით შერჩევის კიდევ ერთი ტიპია სტრატეფიცირებული შერჩევა. სტრატეფიცირებული შერჩევისას მკვლევარები პოპულაციას ჰყოფენ (კლასიფიცირებას ახდენენ) რომელიმე გარკვეული მახასიათებლით (მაგ., სქესი) და შემდეგ, მარტივი შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით, იღებენ ნიმუშს პოპულაციის თითოეული ქვეჯგუფიდან (სტრატეფიდან) (მაგ., ქალი და მამაკაცი). ამით ისინი უზრუნველყოფენ, რომ ნიმუში მოიცავს გარკვეულ მახასიათებლებს, რომლებიც მკვლევარს სურს რომ ნიმუში მოიცავდეს.

**სტრატეფიცირებული შერჩევა** მაშინ გამოიყენება, როდესაც საქმე გვაქვს ნიმუშის მახასიათებლების დისბალანსთან. მაგალითად, თუ პოპულაციაში მამაკაცების რაოდენობა აჭარბებს ქალებისას, უბრალო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდება, შესაბამისად, უფრო მეტი მამაკაცის შერჩევა. ამის თავიდან ასაცილებლად ხდება პოპულაციის კლასიფიკაცია გარკვეული მახასიათებლით, ამ შემთხვევაში, სქესის საფუძველზე, რათა მოხდეს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი რაოდენობის შერჩევა.

ამ მეთოდით შერჩევა კიდევ მაშინ გამოიყენება, როდესაც მარტივი შემთხვევითი შერჩევის შედეგად მივიღებთ ზუსტი ანალიზისათვის საჭიროზე ნაკლებ მონაწილეს გარკვეულ კატეგორიაში (მაგ. ქალები). მოცემული შერჩევის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს: პოპულაცია იყოფა კლასებად (მაგ. ქალები და მამაკაცები) და თითოეულ კლასში შეირჩევა ნიმუშები (მაგ. ჯერ ქალები, შემდგომ მამაკაცები) ისე, რომ შერჩეული ინდივიდები პროპორციულადაა წარმოდგენილი მთლიან პოპულაციაში.

**მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა.** ალბათობით შერჩევის მეოთხე ფორმაა მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა. მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევისას მკვლევარი ნიმუშს ირჩევს ორ ან მეტ ეტაპად, რადგან მკვლევარები ადვილად ვერ ახდენენ პოპულაციის იდენტიფიცირებას ან პოპულაცია ძალიან დიდია. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება რთული იყოს პოპულაციის სრული სიის მოპოვება. თუმცა, პოპულაციაში ჯგუფების ან კლასტერების სრული სიის მიღება სავსებით შესაძლებელია (ვოგტი, 2005). მაგალითად, შეიძლება რთული იყოს შეერთებულ შტატებში ყველა რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის პოპულაციის იდენტიფიცირება, მაგრამ მკვლევარს შეუძლია მიიღოს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების სია შერჩეულ სასკოლო უბნებში. მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის გამოყენებით, მკვლევარი შემთხვევითი შერჩევის წესით ირჩევს შეერთებული შტატების სასკოლო უბნებს და იღებს რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების სიას თითოეულ ამ სასკოლო უბანში. შემდეგ მკვლევარი შემთხვევითი შერჩევის წესით აგროვებს ნიმუშებს თითოეულ უბანში. პროცესის ასე დაშლა აადვილებს ჯგუფების იდენტიფიცირებას და სიების დადგენას. თუმცა, რამდენადაც ეს მეთოდი რამდენიმე ეტაპს მოიცავს, ის რთულია და დიდად არის დამოკიდებული პოპულაციის მახასიათებლებზე (Babbie, 1998).

ალბათობითი შერჩევის გამოყენება ყოველთვის როდია შესაძლებელი საგანმანათლებლო კვლევაში. მკვლევრები ასევე იყენებენ არაალბათობით შერჩევას.

არაალბათობით შერჩევაში მკვლევრები ირჩევენ ინდივიდებს იმიტომ, რომ მათზე წვდომა აქვთ, მოსახერხებელია და წარმოდგენენ რალაც მასხასიათებლებს, რისი შესწავლაც სურთ. ზოგიერთ სიტუციაში შესაძლოა ისეთი ინდივიდების ჩართვა დაგჭირდეთ, ვინც ნებაყოფლობით მონაწილეობს და თანახმა არიან, რომ ისინი შეისწავლონ. შემდგომში შესაძლოა არ დაგინტერესოს შედეგების მთელ პოპულაციაზე განზოგადებამ, არამედ დაინტერესდეთ მხოლოდ მონაწილეთა პატარა ჯგუფის აღწერითი კვლევით. მოცემული ტიპის შერჩევაში მკვლევრები გამოიყენებენ ორი ტიპის გავრცელებულ მიდგომას: ხელმისაწვდომობის და „თოვლის გუნდის“ პრინციპებს.

**ხელმისაწვდომობის პრინციპით შერჩევა.** მოცემული ტიპის შერჩევისას მკვლევარი მონაწილეებს ირჩევს იმიტომ, რომ მათ ამის სურვილი აქვთ და მათზე წვდომა გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, მკვლევარს არ შეუძლია დარწმუნებით იმის თქმა, რომ ინდივიდი პოპულაციის წარმომადგენელია, თუმცა შერჩეულს შეუძლია კითხვებზე და ჰიპოთეზებზე პასუხის გასაცემად სასარგებლო ინფორმაციის მონოდება. მაგალითად, მკვლევარი აწარმოებს კვლევას, რომელშიც მკვიდრი (აბორიგენი) ამერიკელი სტუდენტები არიან ჩართული და ის აღმოაჩენს, რომ ერთ სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის დიდი პროცენტი მკვიდრი ამერიკელია. ის გადაწყვეტს შეისწავლოს მოცემული ჯგუფი ამ ერთ სკოლაში, რადგანაც მას სკოლის დირექტორის ნებართვა და მონაწილეების თანხმობა აქვს. ეს მოხერხებულობით შერჩევაა, რადგანაც მონაწილეები კვლევისთვის მოსახერხებელი და ხელმისაწვდომია.

**თოვლის გუნდის შერჩევისას** მკვლევრები სთხოვენ მონაწილეებს მოახდინონ სხვების იდენტიფიცირება, რომ ისინიც გახდნენ შერჩევის მონაწილეები. მაგალითად, შესაძლოა კითხვარი გაუგზავნოთ სკოლის ინსპექტორს (ზედამხედველს) და სთხოვოთ გადასცეს კითხვარის ასლები ამ სასკოლო უბნის სკოლების დირექტორებს. ეს მონაწილეები ხდებიან შერჩევის (ნიმუშის-sample) წევრები. ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია მონაწილეთა დიდი რაოდენობის ჩართვა, მაგრამ მეორეს მხრივ, არ გაძლევთ საშუალებას იცოდეთ ზუსტად რომელი ინდივიდები იქნებიან თქვენ შერჩევაში.

ეს მეთოდი ასევე გამორიცხავს იმ პირების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ვინც არ დააბრუნა კითხვარი და ვინც უპასუხა, ისინიც შეიძლება არ იყვნენ იმ პოპულაციის წარმომადგენელი, რომლის შესწავლას ცდილობთ.

#### **რა ინფორმაციას შეაზროვნებთ?**

ნებართვის აღების შემდეგ გადადინართ მონაცემთა გარკვეულ ფორმებზე, რაც დაგეხმარებათ თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემაში. ეს ეტაპი ითვალისწინებს თქვენს კითხვებსა და ჰიპოთეზებში ცვლადების იდენტიფიცირებას, ამ ცვლადების განმარტებების მოძიებას და ინფორმაციის ტიპების გათვალისწინებას, რომელიც დაგეხმარებათ ამ ცვლადების შეფასებაში.

**დააკონკრეტეთ ცვლადები კვლევის კითხვებიდან და ჰიპოთეზებიდან**  
იმისათვის, რომ განსაზღვროთ რა მონაცემების შეგროვება გჭირდებათ, აუცილებელია ცვლადების ზუსტი განსაზღვრა. ეს მოიცავს დამოუკიდებელ, დამოკიდებულ და საკონტროლო ცვლადებს. კარგი სტრატეგიაა შეადგინოთ ცვლადების სია, რომ განსაზღვროთ ისინი.

ცვლადების ბევრი განმარტება არსებობს, როგორცაა, მაგალითად სალექსიკონო განმარტება, მაგრამ მკვლევრები იყენებენ სამუშაო განმარტებას. სამუშაო განმარტება იმის დაზუსტებაა, თუ როგორ განსაზღვრავთ და გაზომავთ ცვლადს თქვენს კვლევაში. ასეთი განმარტება, შესაძლოა, იზოვით თქვენს თემაზე უკვე გამოქვეყნებულ კვლევებში, სადაც, შეიძლება, მოცემული იყოს „ტერმინთა განმარტება“ ან შეგიძლიათ იზოვით სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში. ზოგჯერ, შესაძლოა, ვერ იზოვით ზუსტად ის განსაზღვრება, რაც თქვენ გჭირდებათ, ასეთ შემთხვევაში თავად უნდა შეადგინოთ თქვენეული განმარტება, მაგრამ სანამ ამ ცვლადს კვლევაში გამოიყენებთ, ჯობს გადაამოწმოთ იმ სტუდენტებთან ან ინდივიდებთან, რომლებმაც იციან თქვენი თემა. ლექსიკონის განმარტების გამოყენებაც შეგიძლიათ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს უფრო ტერმინის ზოგადი გამოყენების მნიშვნელობას გამოხატავს და არა იმ ზუსტ მნიშვნელობას, რაც თქვენი კვლევისთვისაა მისაღები. გავიხსენოთ მარიას კვლევა უფროსკლასელების მიერ სკოლაში იარაღის ტარების შესახებ. შეეცადეთ იზოვით ცვლადის „იარაღის ფლობა“ სამუშაო განმარტება.

#### **აირჩიეთ მონაცემების ტიპები და ზომები**

შემდეგი ეტაპია იმ ტიპის მონაცემების იდენტიფიცირება, რაც თქვენს ცვლადებს გაზომავს. მკვლევრები ცვლადებს ინსტრუმენტებზე აგროვებენ. ინსტრუმენტი არის რაოდენობრივი მონაცემების გაზომვის, დაკვირვების ან დოკუმენტირების საშუალება. ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ტესტი, კითხვარი, სააღრიცხვო უწყისი, ჟურნალი, დაკვირვების ჩამონათვალი, გამოკითხვა ან შეფასების ინსტრუმენტი. მკვლევრები ინსტრუმენტებს გამოიყენებენ ქცევაზე დასაკვირვებლად, მიღწევების, ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაფასებლად და ა.შ. რაოდენობრივ კვლევაში ხდება ოთხი ძირითადი ტიპის ინფორმაციის შეგროვება, როგორც ეს ქვემოთ 5.2. ცხრილშია ნაჩვენები.

#### **გამოკითხვის დიზაინები**

მოსახლეობის უმეტესობამ იცის რა არის გამოკითხვა. იგი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება, მაგალითად, ამომრჩეველთა აზრის ჩასანერად, არჩევნების კანდიდატების შესახებ აზრის შესაფასებლად და სხვა. გამოკითხვა საგანმანათლებლო კვლევებშიც გამოიყენება.

მარიამ გადაწყვიტა თავისი საკვლევი პროექტისათვის გამოკითხვის გამოყენება. მისი საკვლევი კითხვაა: „რა ფაქტორებითაა ახსნილი უფროსკლასელების პოზიტიური დამოკიდებულება სკოლაში იარაღის ქონასთან მიმართებით?“ გამოკითხვის საშუალებით მარია ცდილობს პასუხი გასცეს ამ კითხვას და აღწეროს მოსწავლეთა აზრის ტენდენციები. მისი მიდგომა უზრუნველყოფს მრავალი სტუდენტისგან დიდი რაოდენობით მონაცემების

შეგროვების ეკონომიურ და ეფექტურ საშუალებას. ის შემთხვევით ირჩევს სტუდენტების ნიმუშს, უგზავნის მათ ფოსტით კითხვარს, აანალიზებს შედეგებს და გამოაქვს დასკვნები პოპულაციის შესახებ მისი ნიმუშიდან. ის ატარებს გამოკითხვას.

#### **რა არის გამოკითხვა, როდის იყენებთ მას და როგორ განვითარდა იგი?**

გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის პროცედურაა, რომელშიც მკვლევარები ატარებენ გამოკითხვას საგანზე ან ადამიანთა მთელ პოპულაციაზე, რათა აღწერონ მოსახლეობის დამოკიდებულებები, მოსაზრებები, ქცევები ან მახასიათებლები. ამ პროცედურისას, მკვლევრები აგროვებენ რაოდენობრივ, დანომრილ მონაცემებს კითხვარების ან ინტერვიუების გამოყენებით და სტატისტიკურად აანალიზებენ მონაცემებს, რათა აღწერონ ტენდენციები კითხვებზე პასუხების შესახებ და გამოსცადონ კვლევის კითხვები ან ჰიპოთეზა. ისინი, ასევე, განმარტავენ მონაცემების მნიშვნელობას სტატისტიკური ტესტის შედეგების დაკავშირებით წარსულ კვლევებთან.

გამოკითხვა ექსპერიმენტული კვლევისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ ითვალისწინებს მკვლევრების მიერ მონაწილეებზე ზემოქმედებას. და რადგანაც გამოკითხვისას მკვლევრები ექსპერიმენტულად ვერ ახდენენ პირობების მანიპულირებას, შესაბამისად, ექსპერიმენტის მკვლევრებისგან განსხვავებით, ვერ ხსნიან მიზეზსა და ეფექტს.

#### **როდის იყენებთ გამოკითხვას?**

გამოკითხვებს ვიყენებთ სხვადასხვა ტენდენციის აღსაწერად, როგორცაა მაგალითად, სკოლაში სავალდებულო ფორმის შესახებ სახელმწიფო ან ეროვნული ტენდენცია და სხვა. ასევე სხვადასხვა პოლიტიკის შესახებ ინდივიდუალური აზრის განსაზღვრისათვის, მაგალითად, სჭირდებათ თუ არა სტუდენტებს ჰქონდეთ სკოლების არჩევანი და ა.შ. კითხვარები ასევე გვეხმარება ინდივიდების რწმენისა და დამოკიდებულების იდენტიფიცირებაში. გამოკითხვა გვანდის სასარგებლო ინფორმაციას სკოლაში პროგრამების შეფასებაზე, როგორცაა, მაგალითად, რობოტიკის პროგრამის წარმატება და სხვა.

#### **როგორ განვითარდა გამოკითხვა?**

გამოკითხვის ტიპის კვლევები მრავალი წელია ფართოდ გამოიყენება განათლებაში. ადრეული კვლევები თარიღდება 1817 წლით, როდესაც მარკ ანტუან ჟულიენ დე პარიზმა შეიმუშავა 34 გვერდიანი საერთაშორისო კვლევა-კითხვარი ეროვნული განათლების სისტემების შესახებ (De Landsheere, 1988). 1907 წლისთვის Pittsburgh Survey-მა შეისწავლა სოციალური პრობლემები, მათ შორის საგანმანათლებლო საკითხები, დაწყებული სკოლის შენობების საგანმანათლებლო დაგეგმვრიდან (Bogdan & Biklen, 1998).

პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში, დაიწყო გაჩენა თანამედროვე გამოკითხვამ იმ სახით, როგორცაა ჩვენ ვიცნობთ. მის განვითარებას ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა ტექნიკის გაუმჯობესება და გაზომვის სხვადასხვა შკალების შემუშავება. გამოკითხვებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს სოციალური მეცნიერების ბევრ სფეროში, მათ შორის მარკეტინგულ კვლევაში, ჟურნალისტიკაში, საზოგა-

დოებრივი აზრის კვლევაში და სხვა. (Neuman, 2000). გაუმჯობესდა სკალები ლიკერტის სკალის შემუშავების შედეგად (მაგ., კატეგორიულად ვეთანხმები, კატეგორიულად არ ვეთანხმები). ასევე, დაინერა გაიდლაინები მკაფიო კითხვების დასაწერად, ინტერვიუს კითხვების სტანდარტიზებისთვის და ინტერვიუერებს შორის თანამიმდევრულობის შესამოწმებლად (Fowler, 2009).

მეორე მსოფლიო ომის დროს გამოკითხვებმა გამოიკვლიეს საომარი ძალისხმევის მთავარი საკითხები, როგორცაა ჯარისკაცების მორალი, იარაღის წარმოების შესაძლებლობები და სტრატეგიების ეფექტურობა. ამ კვლევების საშუალებით მკვლევრებმა დახვეწეს და განავითარეს ფართომასშტაბიანი შეფასების ტექნიკა, რამაც საშუალება მისცა ომის შემდეგ ამერიკულ უნივერსიტეტებში დიდი სოციალური კვლევის ორგანიზაციების გაჩენას, როგორცაა, მაგალითად, სოციალური კვლევის ცენტრები ბერკლიში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში ნაციონალური აზრის კვლევის ცენტრი და მიჩიგანის უნივერსიტეტში სოციალური კვლევის ინსტიტუტი. გამოკითხვის ორგანიზაციების დაარსებამ, კომპიუტერების გამოყენებასთან ერთად, მონაცემთა არქივებისა და შენახვის ხელმისაწვდომობამ და ფედერალური მთავრობის დაფინანსებამ, ხელი შეუწყო გამოკითხვების პოპულარიზაციას განათლებაში საუკუნის შუა წლებში (Neuman, 2000).

ბოლო ხანებში გამოიყენება ელექტრონული გამოკითხვები, როგორცაა კომპიუტერზე დაფუძნებული სატელეფონო გამოკითხვა (CATI), ხმის ამოცნობა (VR) და ა.შ. რომლებიც გამოიყენებენ ტელეფონსა და კომპიუტერს თვითგამოკითხვაში. გამოიყენება ასევე ინტერნეტი და ვებ საიტები გამოკითხვის მონაცემთა შესაგროვებლად (Sills & Song, 2002). მკვლევრებს უკვე შეუძლიათ იმეილ გამოკითხვების გენერირება, კითხვარების ტექსტის დამუშავების ფორმატში ჰიპერტექსტური ფაილის შექმნა და გამოკითხვების ვებ საიტებზე განთავსება. ელექტრონული გამოკითხვები და კომუნიკაციები, სავარაუდოდ, რევოლუციას მოახდენს მომავალში გამოკითხვის გამოყენებაში.

### **კვლევა-გამოკითხვის ტიპები**

მიუხედავად კვლევების მრავალი გამოყენებისა, არსებობს კვლევის მხოლოდ ორი ძირითადი ტიპი: კროსსექციური და ლონგიტუდური, რომლებიც განსხვავებულ მიზანს ემსახურება. გამოკითხვის მკვლევრები იყენებენ კროსსექციური ტიპს, რათა შეაგროვონ მონაცემები მიმდინარე დამოკიდებულებების, მოსაზრებების ან რწმენის შესახებ. ლონგიტუდური ტიპი გამოიყენება ინდივიდების დროთა განმავლობაში შესასწავლად.

### **კროსსექციური გამოკითხვის დიზაინი**

კროსსექციური გამოკითხვა ყველაზე პოპულარულია განათლებაში. მკვლევრები მონაცემებს დროის ერთ მომენტში აგროვებენ. მაგალითად, როდესაც საშუალო კლასის მოსწავლეებს გამოკითხავენ დაცინვასთან დაკავშირებით, ხდება მონაცემების ჩაწერა მათი ამჟამინდელი აზრის შესახებ. ის, ასევე, იძლევა ინფორმაციას მოკლე დროში, როგორცაა გამოკითხვის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის შეგროვებისთვის საჭირო დრო.

არსებობს რამდენიმე ტიპის კროსსექციური გამოკითხვა. კროსსექციური

გამოკითხვა სწავლობს მიმდინარე დამოკიდებულებას, რწმენას, მოსაზრებას ან პრაქტიკას. მაგალითად, სამმა ავტორმა, მორისონმა, ჯეიკობსმა და სუინიარდმა (Morrison, Jacobs, & Swinyard, 1999) ჩაატარეს გამოკითხვა დაწყებით სკოლაში მასწავლებლების კითხვის პრაქტიკასთან დაკავშირებით. გამოკითხვის მიზანი იყო მასწავლებელთა პირადი სიამოვნებისთვის კითხვის დაკავშირება სკოლაში წიგნიერების სასწავლო პრაქტიკასთან. ამისათვის მათ ფოსტით გაუგზავნეს 3600 კითხვარი ალბათობით შერჩეულ მონაწილეებს, რომლისგანაც 52,3%-მა უპასუხა 4 გვერდზე განთავსებულ კითხვარს, რომელიც შედგებოდა 21 კითხვისგან და დამატებით კიდევ რამდენიმე კითხვისგან მათი დემოგრაფიული მონაცემების შესახებ (სქესი, ასაკი, გამოცდილება). მთლიანობაში, ავტორებმა დაასკვნეს, რომ მასწავლებლები, რომლებიც საკუთარ თავს მკითხველებად თვლიდნენ, უფრო მეტად გამოიყენებდნენ წიგნიერების სწავლების რეკომენდებულ პრაქტიკას (მაგ., „ხმამალლა წაიკითხეთ ილუსტრირებული წიგნი კლასში“, გვ. 88), ვიდრე მასწავლებლები, რომლებიც თავს მკითხველად არ თვლიდნენ.

მეორე ტიპის კროსსექციური გამოკითხვა ადარებს ორ ან მეტ საგანმანათლებლო ჯგუფს დამოკიდებულების, რწმენის, მოსაზრების ან პრაქტიკის მიხედვით. მსგავსი ჯგუფური შედარება ადარებს სტუდენტებს სტუდენტებთან, სტუდენტებს მასწავლებლებთან, სტუდენტებს მშობლებთან ან სხვა ჯგუფებთან საგანმანათლებლო და სასკოლო გარემოში. მაგალითად, ერთერთ კვლევაში ადარებდნენ ჯორჯიასა და ჩრდილოეთ კაროლინას შტატების 11 საშუალო სკოლის 98 ქალაქისა და სოფლის სკოლის მასწავლებლებს მათი სტრესის მიზეზისა და ემოციური განცდის სიმპტომების თვალსაზრისით (Abel & Sewell, 1999). ჯგუფი შედგებოდა 52 სოფლის და 46 ქალაქის მასწავლებლისგან (არაალბათობითი ნიმუში), რომელთაც დაურიგდათ ორი ისტრუმენტისგან შემდგარი პაკეტი - სტრესის წყაროს კითხვარი და მასლანის ინვენტარი. შევსებული კითხვარები მასწავლებლებმა უკან ფოსტით დააბრუნეს. მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალაქის მასწავლებლებს მნიშვნელოვნად მეტი სტრესი ჰქონდათ, ვიდრე სოფლის მასწავლებლებს, ცუდი სამუშაო პირობებისა და თანამშრომლებთან ცუდი ურთიერთობის გამო.

კროსსექციური გამოკითხვა შეიძლება სწავლობდეს საზოგადოების/თემის საგანმანათლებლო მომსახურების საჭიროებას. მაგალითად, ბაჩემ, ჰერნანდესმა და მონტენეგრომ (Batsche, Hernandez, and Montenegro, 1999) შეისწავლეს ფლორიდაში ლათინოამერიკელი ესპანურ-მონოლინგუური მცხოვრებლების საჭიროებები. მათ შეიმუშავეს შეფასებითი გამოკითხვის პროცედურა. შესასწავლი პოპულაციის იდენტიფიცირებისათვის, მკვლევრებმა ფოსტით მიმართეს კლუბებსა და ორგანიზაციებს და სთხოვეს მიენოღებინათ ინდივიდების სია, რომლებიც მხოლოდ ესპანურენოვანი იყვნენ. მკვლევრებმა ესპანურად თარგმნილი ინსტრუმენტი ადგილობრივ ლათინურ-ამერიკულ სათვისტომოს მიაწოდეს, რომლებმაც უკან ინგლისურად თარგმნეს იგი განსხვავებების გამოსავლენად. მკვლევრებმა, ასევე, საზოგადოებრივი შეხვედრა ჩაატარეს რათა აეხსნათ კვლევის მიზანი, რის შემდეგაც დანიშნეს გამოკითხვის დრო.

ზოგიერთი კროსსექციური დიზაინი აფასებს პროგრამას, როგორცაა გამოკითხვა, რომელიც სასარგებლო ინფორმაციას აწვდის იმ პირებს, ვინც გადაწყვეტილებას იღებენ.

კროსსექციური დიზაინის საბოლოო ტიპი არის სტუდენტების ან მასწავლებლების ფართომასშტაბიანი შეფასება, როგორცაა სახელმწიფო გამოკითხვა ან ეროვნული გამოკითხვა, რომელშიც ათასობით მონაწილეა ჩართული. ასეთია მაგალითად, 1992-1993 წლებში ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ფაკულტეტის გამოკითხვა ყველა მოქმედი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, სულ 2582 კოლეჯი და უნივერსიტეტი. ოთხგვერდიანმა ინსტრუმენტმა შეაფასა მრავალი ფაქტორი ფაკულტეტის წევრების შესახებ და შედეგად მიიღო 29,771 სრული განაკვეთის კოლეჯისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების ნიმუში. დეიმ და ჰურტადომ (1996) გააანალიზეს ეს ეროვნული მონაცემები, რათა შეესწავლათ დამოკიდებულება კამპუსში მეტყველების ფორმების რეგულირების ინსტიტუციური მცდელობების მიმართ და დაადგინეს, რომ ფაკულტეტების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა „სიძულვილის ენის“ აკრძალვას კამპუსში, მაგრამ გაცილებით ნაკლებად უჭერდა მხარს ადმინისტრატორების უფლებას აეკრძალათ ექსტრემალური გამოსვლები.

#### **ლონგიტუდური კვლევის დიზაინი**

კროსსექციური კვლევის ალტერნატივაა ლონგიტუდური კვლევის დიზაინი, რომელიც ითვალისწინებს დროთა განმავლობაში მონაცემების შეგროვებას იმავე პოპულაციაში ტენდენციების შესახებ, კოჰორტულ ჯგუფში ან ქვეპოპულაციაში, ან იმავე ინდივიდების პანელურ ჯგუფში ცვლილებების შესახებ. ასეთი კვლევის მაგალითია სკოლადამთავრებულთა და მათი ამჟამინდელი საქმიანობის შესწავლა სკოლის დასრულებიდან 1, 2 და 5 წლის შემდეგ. საგანმანათლებლო კვლევაში ლონგიტუდური დიზაინის რამდენიმე ტიპი არსებობს, როგორცაა ტენდენციის, კოჰორტული და პანელური დიზაინი (Babbie, 1998).

#### **ტენდენციის კვლევა**

ზოგიერთ კვლევაში მკვლევრების მიზანია ერთ ზოგად პოპულაციაში ცვლილებების შესწავლა დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ (Babbie, 1998). ლონგიტუდური კვლევის ამ ფორმას ტენდენციის კვლევა ეწოდება, რომელიც ითვალისწინებს პოპულაციის იდენტიფიცირებას და ამ პოპულაციაში ცვლილებების შესწავლას დროთა განმავლობაში. განათლებაში გამოყენებისას, მოცემული ტიპის კვლევა შეიძლება უფროსკლასელებზე (პოპულაცია) იყოს ფოკუსირებული და სწავლობდეს მათი დამოკიდებულების ტენდენციას 2001, 2002 და 2003 წწ-ში. აღნიშნულ კვლევაში სხვადასხვა უფროსკლასელები არიან შესწავლილი, მაგრამ ისინი ერთ პოპულაციას წარმოადგენენ. მკვლევრები ამ მონაცემებს იყენებენ, რათა შეაფასონ, თუ როგორ იცვლება ტენდენციები დროთა განმავლობაში.

#### **კოჰორტული კვლევა**

კოჰორტული კვლევა ლონგიტუდური კვლევის დიზაინია, რომელშიც მკვლევარი ახდენს პოპულაციაში ქვეჯგუფის-კოჰორტის იდენტიფიცირებას გარკვეული ზოგადი მახასიათებლების საფუძველზე და შეისწავლის მოცემულ ქვეჯგუფს დროთა განმავლობაში. კოჰორტის ყველა წევრს ერთნა-

ირი მახასიათებლები უნდა ჰქონდეთ, როგორცაა, მაგალითად 18 წელზე მეტი ასაკი 2001 წლისათვის. თუ ასაკია ეს მახასიათებელი, მაშინ მკვლევარი ამ ქვეჯგუფს სწავლობს ასაკის მატებასთან ერთად. მაგალითად, თუ 2001 წ. შეისწავლეს 18 წლის ინდივიდთა კოჰორტული ჯგუფი, 5 წლის შემდეგ, 2006 წელს შეისწავლიან 23 წლის ინდივიდების ჯგუფს. ინდივიდები შეიძლება იყოს იგივე ან სხვები. 5 წლის შემდეგ, 2011 მოხდება 28 წლის ინდივიდთა ჯგუფის შესწავლა.

### **პანელური კვლევა**

მესამე ტიპია პანელური კვლევა, რომელშიც მკვლევარი იკვლევს იმავე ადამიანებს დროთა განმავლობაში. მაგალითად, სკოლის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 2001 წ. და ორი წლის შემდეგ, 2002 წ. შეისწავლიან იგივე ინდივიდებს, რომლებიც ადრე შეისწავლეს. მისი უარყოფითი მხარე ისაა, რომ შესაძლოა ძნელი გამოდგეს იმავე ინდივიდების პოვნა ორი წლის შემდეგ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ის უპირატესობა გააჩნია, რომ სწავლობენ იმავე ინდივიდებს, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს დაადგინოს კონკრეტულ ინდივიდში მომხდარი ცვლილებები, და სწორედ ამიტომ, მოცემული ტიპის კვლევა ყველაზე ზუსტია.

### **რა არის გამოკითხვის ძირითადი მახასიათებლები?**

არსებობს ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც დაგეხმარებათ შეადგინოთ გამოკითხვა ან წაიკითხოთ და შეაფასოთ გამოქვეყნებული კვლევა. გამოკითხვის მკვლევრები ჩართულნი არიან შემდეგ პროცესებში:

- პოპულაციიდან ნიმუშების შერჩევა;
- მონაცემების შეგროვება კითხვარების ან ინტერვიუების მეშვეობით;
- მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების შემუშავება;
- მაღალი პასუხის მაჩვენებლის მიღება.

### **პოპულაციიდან ნიმუშების შერჩევა**

მკვლევრები, როგორც წესი, პოპულაციიდან ირჩევენ ნიმუშს, შეისწავლიან მას და ახდენენ ნიმუშიდან მიღებული შედეგების პოპულაციაზე განზოგადებას. პირველ რიგში, საჭიროა განვსაზღვროთ სამი ტერმინი: პოპულაცია, სამიზნე პოპულაცია და ნიმუში. პოპულაციაში ინდივიდთა ჯგუფს გააჩნია ერთი მახასიათებელი, რითაც ის სხვა ჯგუფებისგან განსხვავდება. მაგალითად, შესაძლოა გვექონდეს მაღალი კლასების მასწავლებლებისგან შემდგარი პოპულაცია, სადაც ყველა მასწავლებელი მაღალ კლასებში ასწავლის. უფრო კონკრეტულ დონეზე, მკვლევრები ყოველთვის არ სწავლობენ მთელ პოპულაციას, რადგან მათ არ შეუძლიათ ინდივიდების იდენტიფიცირება ან ხელი არ მიუწვდებათ სიებზე. პრაქტიკული თვალსაზრისით, მკვლევრები სწავლობენ სამიზნე პოპულაციას (ზოგჯერ უწოდებენ შერჩევის ჩარჩოს). ეს არის პოპულაციის ინდივიდების სია ან ჩანაწერი, რომელიც მკვლევარს შეუძლია რეალურად მიიღოს. მაგალითად, მკვლევრებმა შეიძლება მიიღონ ერთი სასკოლო რაიონის ყველა საშუალო სკოლის მასწავლებლის სია. სამიზნე პოპულაციიდან მკვლევრები ირჩევენ ნიმუშს, რომელიც კვლევის მონაწილეთა ჯგუფია და რომელიც შერჩეულია სამიზნე პოპულაციიდან, საიდანაც მკვლევარი განზოგადობას ახდენს სამიზნე პოპულაციაზე.

შერჩევის ყველაზე მკაცრი ფორმაა შემთხვევითი შერჩევის გამოყენება ისეთი პროცედურის გამოყენებით, როგორცაა შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენება. ამ პროცესში მკვლევარი ირჩევს ნიმუშს, რომელიც პოპულაციას წარმოადგენს, რათა ნიმუშიდან დასკვნები გამოიტანოს პოპულაციისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ავირჩიოთ რაც შეიძლება უფრო დიდი ნიმუში.

ასევე შესაძლებელია გამოკითხვისას მთელი მოსახლეობის შესწავლა, რადგან ის მცირეა და ადვილად იდენტიფიცირებადი. ამ ტიპის კვლევა, რომელსაც ზოგჯერ აღწერას უწოდებენ, იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას მთელი მოსახლეობის შესახებ. ამიტომ შემთხვევითი შერჩევის, ჰიპოთეზის ტესტირების და დასკვნის სტატისტიკის გამოყენება საჭირო არ არის. ამ ტიპის კვლევისთვის, მკვლევრები უბრალოდ ადგენენ სტატისტიკას მთელი მოსახლეობის შესახებ.

### **კითხვარები და ინტერვიუ**

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის ბევრი ტიპი არსებობს, მკვლევრები, როგორც წესი, მონაცემებს აგროვებენ ორი ძირითადი ფორმის გამოყენებით: კითხვარები და ინტერვიუ. ამ ფორმების განსხვავება შეგიძლიათ იმის მიხედვით, თუ ვინ ავსებს ან იწერს მონაცემებს ინსტრუმენტზე: მონაწილეები თუ მკვლევარი. კითხვარი გამოკითხვის ისეთი ფორმაა, რომელსაც მონაწილეები ავსებენ და ირჩევენ პასუხებს კითხვებზე, სადაც ძირითად პირად ან დემოგრაფიულ მონაცემებს აწვდიან და უბრუნებენ მკვლევარს. ინტერვიუს დროს კი მკვლევარი თავად უსვამს მონაწილეს კითხვებს, აკვირდება მის ქცევას და იწერს პასუხებს.

აქ განხილული რაოდენობრივი ინტერვიუს პროცედურები არ უნდა აგვერიოს თვისებრივი ინტერვიუში. რაოდენობრივი გამოკითხვის ინტერვიუებში მკვლევარი იყენებს სტრუქტურირებულ ან ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუს, რომელიც შედგება ძირითადად დახურული კითხვებისგან, გამოკითხულებს აძლევს პასუხების ვარიანტებს და იწერს მათ პასუხებს. თვისებრივი გამოკითხვის დროს ინტერვიუერი სვამს ღია კითხვებს პასუხის ვარიანტების გარეშე, უსმენს და იწერს გამოკითხულის კომენტარებს.

რაოდენობრივი გამოკითხვისას გამოიყენება რამდენიმე სხვადასხვა ტიპის კითხვარი და ინტერვიუ. აქ ჩვენ გამოვყოფთ განათლების სფეროში გამოყენებულ ძირითად ტიპებს:

- საფოსტო კითხვარები;
- ვებკითხვარები;
- პირისპირ ინტერვიუები;
- ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები;
- სატელეფონო ინტერვიუები.

### **საფოსტო კითხვარები**

საფოსტო კითხვარები არის მონაცემთა შეგროვების ფორმა გამოკითხვაში, როდესაც მკვლევარი თავად შეიმუშავებს კითხვარს, ან ახდენს არსებულის მოდიფიცირებას ან პირდაპირ იყენებს არსებულს და ფოსტით უგზავნის შერჩეული ნიმუშის წევრებს. პროცესი მოიცავს კითხვარის მოძიებას ან შემუშავებას, მისი პოპულაციის ნიმუშისათვის გაგზავნას, ნიმუშთან განმეორ-

ებითი კონტაქტების გამოყენებას მაღალი მაჩვენებლის მისაღებად, პასუხებში პოტენციური მიკერძობების შემონიშნებასა და მონაცემთა ანალიზს.

საფოსტო კითხვარის უპირატესობა ისაა, რომ ის მოსახერხებელია გეოგრაფიულად გაფანტულ მონაწილეებთან დასაკავშირებლად, ხელს უწყობს მონაცემთა სწრაფ შეგროვებას და ეკონომიურია, რადგანაც ითვალისწინებს მხოლოდ კითხვარის გამრავლების და საფოსტო ხარჯებს. მისი ნაკლი კი იმაში მდგომარეობს, რომ მონაწილემ, შესაძლოა, არ დააბრუნოს კითხვარი. ასევე, იმის გამო, რომ მკვლევარს არ აქვს კითხვების ახსნის საშუალება, მონაწილეებმა შეიძლება არასწორად მოახდინონ გამოკითხვის პუნქტების ინტერპრეტაცია.

### **მეზაკითხვარები**

დღესდღეობით სულ უფრო პოპულარული ხდება ვებკითხვარები, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვებას კომპიუტერზე. ამისათვის არსებობს მთელი რიგი კომპიუტერული პროგრამები (მაგ. იხ. Qualtrix at <http://www.qualtrics.com/survey-software/> or Survey Monkey at <http://www.surveymonkey.com/>). მისი დადებითი მხარე ისაა, რომ ასეთ გამოკითხვებს შეუძლიათ სწრაფად შეაგროვონ ვრცელი მონაცემები, გამოიყენონ შემონიშნული ფორმები და კითხვების ნიმუში, ისარგებლონ ადამიანების მიერ ინტერნეტის ფართო გამოყენებით.

თუმცა, ისეთი ავტორები, როგორებიცაა სილსი და სონგი (2002) შემოფოთებულნი იყვნენ ელ. ფოსტისა და ვებზე დაფუძნებული გამოკითხვების დაბალი მაჩვენებლით, რაც გამომწვეული იყო არა შემთხვევითი შერჩევით, ტექნოლოგიური და უსაფრთხოების პრობლემებით, ინტერნეტ ფოსტის პრობლემებით, ასევე იმით, რომ მომხმარებელი ხშირად იცვლის ელექტრონული ფოსტის მისამართს და ა.შ. მეორეს მხრივ, ინტერნეტგამოკითხვა უზრუნველყოფს მთელი პოპულაციის ეკონომიურ და ეფექტურ გამოკითხვას. მათ ისიც შენიშნეს, რომ ინტერნეტ და საფოსტო გამოკითხვების შერეული სისტემა ხელს უწყობდა პასუხების მაღალ დონეს.

### **პირისპირ ინტერვიუ**

პირისპირ ინტერვიუს დროს მკვლევარი გამოკითხავს ინდივიდს ნიმუშიდან და იწერს მის პასუხებს დახურული ტიპის კითხვებზე. ეს პროცედურა ითვალისწინებს ინსტრუმენტის შემუშავებას ან პოვნას და ინტერვიუერის მომზადებას. გამოკითხვაში შესაძლოა რამდენიმე ინტერვიუერი მონაწილეობდეს, ამიტომ საჭიროა მათი მომზადება, რომ ყველა მათგანმა ერთი და იგივე პროცედურა გამოიყენოს რაიმე მიკერძობების თავიდან აცილების მიზნით. პირისპირ ინტერვიუ კარგია, როცა საქმე ეხება სენსიტიურ კითხვებს, ინტერვიუერს საშუალება აქვს დაუსვან კითხვები და გააკეთონ კომენტარები. ამასთან, ამ ტიპის გამოკითხვა პასუხის მაღალ მაჩვენებელს უზრუნველყოფს, რადგანაც ინტერვიუ წინასწარაა დაგეგმილი და, როგორც წესი, მონაწილეები გარკვეულ ვალდებულებად თვლიან უპასუხონ კითხვებს. თუმცა, მეორეს მხრივ, პირისპირ ინტერვიუ არ უზრუნველყოფს მონაწილეთა ანონიმურობას. ასევე, შესაძლებელია, მკვლევარმა წინასწარ განსაზღვროს ინდივიდის პასუხი მისი კომენტარის ან სხეულის ენის საფუძველზე განზრახ თუ უნებლიედ. ამასთან, ყველა მონაწილისათვის არ არის კომფორტული პირადი ინფორმაციის გამჟღავნება ინტერვიუს დროს.

### **ფოკუსჯგუფის ინტერვიუ**

ამ ტიპის გამოკითხვისას, პირისპირ ინტერვიუსგან განსხვავებით, მკვლევარი ირჩევს პატარა ჯგუფს, 4-6 ინდივიდს, შეიმუშავებს ან მოძებნის ინსტრუმენტს და ჩაინერს გამოკითხულთა კომენტარებს ინსტრუმენტზე. ფოკუსჯგუფის გამოკითხვა უზრუნველყოფს გამოკითხულთა შორის ურთიერთობას, გაფართოებული მონაცემების შეგროვებას და ჯგუფებში ინდივიდთა მონაწილეობას. აღნიშნული გამოკითხვის მიზნის ისაა, რომ მკვლევარმა უნდა იპოვოს კითხვებზე კონსენსუსი, რათა ჯგუფში ყველა ინდივიდისათვის ერთი ქულა ჩაინეროს. ამასთან, ზოგი ინდივიდი შესაძლოა დომინირებდეს საუბარში და ამით ინვევდეს ისეთ პასუხებს, რომლებიც არ ასახავს ჯგუფის კონსენსუსს.

### **სატელეფონო ინტერვიუ**

ეს გამოკითხვის ისეთი ფორმაა, როდესაც მკვლევარი ტელეფონით გამოკითხავს მონაწილეებს. ამისათვის მან უნდა შეიმუშავოს ან იპოვოს შესაბამისი ინსტრუმენტი, მოიპოვოს მონაწილეთა ტელეფონის ნომრები, დაუკავშირდეს მათ ტელეფონით, გამოკითხოს და ჩაინეროს პასუხები. სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით საკმაოდ ადვილია ტერიტორიულად შორს მყოფ მონაწილეებთან დაკავშირება. თუმცა, მას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. სატელეფონო ინტერვიუს დროს ინტერვიუერს არა აქვს რესპოდენტთან არა ვერბალური კომუნიკაციის საშუალება, ვერ ხედავს მისი სხეულის ენას და ამასთან, ბევრ ადამიანს არ უყვარს სატელეფონო ინტერვიუ შესაძლო წინარე ნეგატიური გამოცდილების გამო.

დავუშვათ, მარიას უნდა ურჩიოთ რომელი ტიპის გამოკითხვა გამოიყენოს თავის კვლევაში იმ ფაქტორების ასახსნელად, თუ რატომ აქვთ სტუდენტებს პოზიტიური დამოკიდებულება სკოლაში იარაღის ტარებასთან დაკავშირებით. რომელი ტიპის გამოკითხვა უნდა გამოიყენოს მარიამ?: ა) საფოსტო კითხვარი, ბ) ელექტრონული კითხვარი, გ) პირისპირ ინტერვიუ, დ) ფოკუსჯგუფის ინტერვიუ თუ ე) სატელეფონო ინტერვიუ? ახსენით თქვენი პასუხი და შემდეგ წაიკითხეთ ჩემი ვარიანტი. მე მარიას ვურჩევდი საფოსტო კითხვარის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს გამოკითხულთა ანონიმურობას საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე.

### **ინსტრუმენტის შექმნა**

კარგი ინსტრუმენტის შექმნა საკმაოდ რთული პროცესია. შესაძლოა არსებული ინსტრუმენტი გამოგადგეთ ან მისი მოდიფიცირება მოახდინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი ინსტრუმენტის შექმნა მოგიხდებათ.

როდესაც მკვლევრები ინსტრუმენტს შეიმუშავებენ, როგორ წესი, შემდეგ ნაბიჯებს დგამენ:

1. ისინი ჩამოწერენ სხვადასხვა ტიპის კითხვებს, როგორცაა პირადული, დამოკიდებულების, ქცევითი, სენსიტიური და ღია ტიპის.
2. გამოიყენებენ კარგი კითხვის აგების სტრატეგიას, რაც გულისხმობს მარტივი ენის გამოყენებას, ამასთან, პასუხის ვარიანტები ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს და შესაძლებელი უნდა იყოს ყველა მონაწილისთვის კითხვების დასმა.

3. ისინი ინსტრუმენტს საპილოტე რეჟიმში ამონმებენ, რომლის დროსაც შემუშავებულ შეკითხვებს უსვამენ ინდივიდთა მცირე რაოდენობას და ახდენენ ცვლილებების შეტანას მონაწილეთა უკუკავშირის მიხედვით.

#### **პირადი, დამოკიდებულების, ძველითი კითხვები**

არსებობს სამი პოპულარული ტიპის კითხვები. პირველი, ფონური ანუ დემოგრაფიული ტიპის, როდესაც ხდება გამოკითხული ინდივიდის პირადი მახასიათებლების შეფასება, როგორიცაა მაგალითად, რამდენი წლის ხართ? რამდენი წელია ასწავლით? და ა.შ.

მეორე ტიპის შეკითხვა ითვალისწინებს ინდივიდთა დამოკიდებულების ან მოსაზრების მიღებას. მაგალითად, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ მოსაზრებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხის ვარიანტებს: აბსოლუტურად ვეთანხმები, ვეთანხმები, არც ერთი, არ ვეთანხმები, კატეგორიულად არ ვეთანხმები.

მესამე ტიპის კითხვებს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია ნიმუშის ინდივიდების რეალური ქცევის შესახებ. მაგალითად, აიღეთ თუ არა ერთსემესტრიანი შესვენება კოლეჯში 4 წლიანი სწავლის დროს? პასუხის ვარიანტებია: დიახ, არა.

#### **სენსიტიური კითხვები**

სენსიტიური კითხვები, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს საკითხთან, როგორიცაა ალკოჰოლის ან ნარკოტიკების გამოყენება ან ეხებოდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს. საკვლევი თემიდან გამომდინარე შესაძლოა გადანყვიტოთ სენსიტიური კითხვების გამოყენება. ამისათვის საჭიროა ასეთი კითხვები ტაქტიანად იყოს ჩამოყალიბებული და დასმული, წინააღმდეგ შემთხვევაში რესპოდენტმა, შესაძლოა, არასწორი წარმოდგენა მოგცეთ მისი დამოკიდებულების შესახებ, რაც პასუხის მიკერძოებულობას გამოიწვევს. არსებობს რამდენიმე ტაქტიკა, რაც დაგეხმარებათ კარგი კითხვების დასმაში. შეგიძლიათ სენსიტიური კითხვა გამოკითხვის ბოლოს დასვათ, როდესაც რესპოდენტი უკვე „გახურებულია“ ნეიტრალური კითხვებით და მან გარკვეული ურთიერთობა დაამყარა მკვლევართან. ან კითხვის დასმამდე წინასწარი კომენტარი გააკეთოთ, მაგალითად, იმის მაგივრად, რომ პირდაპირ ჰკითხოთ: მოგიწევიათ მარიხუანა? შეგიძლიათ შემდეგნაირად უთხრათ, რომ წინარე კვლევებში ბევრმა მამაკაცმა განაცხადა, რომ მოუწევიათ მარიხუანა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, სიყმანვილეში, უფრო ადრე ან უფრო გვიან და ამის შემდეგ ჰკითხოთ მოუწევია თუ არა მას მარიხუანა.

#### **ღია და დახურული ტიპის კითხვები**

გამოკითხვებში, ძირითადად, დახურული ტიპის კითხვები გამოიყენება, რომელშიც მკვლევარი დასმულ კითხვაზე სთავაზობს პასუხების ვარიანტების შეზღუდულ რაოდენობას. მაგალითად:

„არსებობს სხვადასხვა მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს სურთ განათ-

ლების გაგრძელება. რა არის ზრდასრულთა საბაზო განათლების გაკვეთილებზე მოსვლის თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი? (აირჩიეთ ერთი პასუხი):

- \_\_\_\_\_ შევძლო დავეხმარო ჩემს შვილებს სასკოლო დავალების შესრულებაში
- \_\_\_\_\_ უკეთესი სამსახურის მისაღებად
- \_\_\_\_\_ საკუთარი თავის გასაუმჯობესებლად
- \_\_\_\_\_ უმაღლესი განათლების ეკვივალენტური დიპლომის მისაღებად.“

მსგავსი ტიპის დახურული კითხვები პრაქტიკულია, რადგან ყველა ადამიანი უპასუხებს კითხვას მონოდებული პასუხის ვარიანტების გამოყენებით. ეს მოსახერხებელია მკვლევრისათვის პასუხების შესადარებლად. ასევე, მგრძობიარე კითხვებისთვის, რადგან მონაწილეებმა შეიძლება უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი როცა იციან პასუხის ვარიანტების პარამეტრები. დახურული კითხვები, ასევე, იძლევა პასუხების კოდირების ან რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭებისა და მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საშუალებას.

თუმცა, ზოგჯერ შეიძლება დაგჭირდეთ ინდივიდების შესაძლებლობების ღრმად ჩანვდომა და გამოკვლევა, რისთვისაც ღია ტიპის კითხვებს იყენებთ, სადაც დასმულ კითხვაზე პასუხების ვარიანტებს არ სთავაზობთ და რესპოდენტი თავის პასუხს სცემს. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი კითხვა ღია ტიპის შემთხვევაში შემდეგნაირად იქნება მოცემული: „რატომ დადებართ ზრდასრულთა საბაზო განათლების გაკვეთილებზე?“ და რესპოდენტმა თავისით უნდა გასცეს კითხვას პასუხი. ასეთი ტიპის კითხვები იდეალურია, როდესაც მკვლევარმა არ იცის შესაძლო პასუხები და სურს ვარიანტების გამოკვლევა. ამასთან, ღია ტიპის კითხვები მონაწილეებს საშუალებას აძლევს პასუხი გასცენ არა მკვლევარის გამოცდილებით, არამედ თავიანთი კულტურული და სოციალური გამოცდილების მიხედვით (Neuman, 2000).

თუმცა, ღია ტიპის კითხვებს თავისი მინუსი აქვს კოდირებისა და ანალიზის თვალსაზრისით. მკვლევარმა უნდა მოახდინოს პასუხების თემის მიხედვით კატეგორიზაცია, სიტყვით პასუხების რიცხვებში გადაყვანა, რაც საკმაოდ შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს.

არსებობს კიდევ ერთი ტიპი, როგორცაა ნახევრად დახურული კითხვები, რომელსაც ღია და დახურული კითხვების ყველა უპირატესობა გააჩნია. ეს ტექნიკა ითვალისწინებს დახურული კითხვის დასმას და მოითხოვს დამატებით პასუხს ღია კითხვაზე. მაგალითად:

„არსებობს სხვადასხვა მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს სურთ განათლების გაგრძელება. რა არის ზრდასრულთა საბაზო განათლების გაკვეთილებზე მოსვლის თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი? (აირჩიეთ ერთი პასუხი):

- \_\_\_\_\_ შევძლო დავეხმარო ჩემს შვილებს სასკოლო დავალების შესრულებაში
- \_\_\_\_\_ უკეთესი სამსახურის მისაღებად
- \_\_\_\_\_ საკუთარი თავის გასაუმჯობესებლად

\_\_\_\_\_ უმაღლესი განთლების ეკვივალენტური დიპლომის  
მისაღებად  
\_\_\_\_\_ სხვა (გთხოვთ, გააკეთეთ კომენტარი).“

აქ, გარდა პასუხის ტიპური კატეგორიებისა, რესპოდენტს საშუალება ეძლევა საკუთარი პასუხის ვარიანტი ჩაწეროს, რომელიც მოცემულ ვარიანტებს არ შეესაბამება.

### კითხვის აბჯაბა

როდესაც ინსტრუმენტს ირჩევთ ან საკუთარს შეიმუშავებთ, ყურადღება მიაქციეთ შეკითხვების ხარისხს. კარგი კითხვების გამოყენება მონაწილეებს ეხმარება კითხვის გაგებაში და შეუძლიათ გააზრებული პასუხების გაცემა. კარგი კითხვები არის ნათელი და ცალსახა და ისინი არ აბნევენ მონაწილეებს. ისინი, ასევე, გამოხატავენ მონაწილისადმი პატივისცემას მონაწილეთა გენდერის, კლასის და კულტურული საჭიროებების მიმართ.

როდესაც კითხვებს ქმნით, მოარგეთ კითხვები პასუხებს, ჩართეთ შესაფერისი პასუხები, რომლებიც არ დაემთხვევა ერთმანეთს. არსებობს კითხვების შედგენის სტრატეგიები. პირველ რიგში, წაიკითხეთ ხარვეზიანი შეკითხვა, გამოავლინეთ პრობლემა. შემდეგ წაიკითხეთ გაუმჯობესებული კითხვა. როდესაც კითხვებს ადგენთ ან სხვის კითხვებს გამოიყენებთ, შეაფასეთ ისინი იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გასაგებია, აქვთ თუ არა გარკვეული პასუხი და შეესაბამება თუ არა თქვენი კითხვა რესპოდენტის შესაძლებლობებს. მაგალითად:

მხარს უჭერთ იარაღის კონტროლს? \_\_\_\_\_ დიახ \_\_\_\_\_ არა \_\_\_\_\_ არ ვიცი  
პრობლემა: გაუგებარი კითხვაა ბუნდოვანი სიტყვებიდან გამომდინარე.  
გაუმჯობესებული კითხვა: გჯერათ თუ არა, რომ სკოლაში არ არის იარაღის ადგილი? \_\_\_\_\_ დიახ \_\_\_\_\_ არა \_\_\_\_\_ არ ვიცი.

არსებობს კითხვის აგების კიდევ ბევრი შესაძლო პრობლემა, როგორცაა მაგალითად:

- კითხვა გაუგებარია.
- მულტუკითხვა, ანუ მოიცავს 2 ან 3 კითხვას. დაიყვანეთ ერთ კითხვამდე.
- კითხვა ძალიან გრძელია. შეამცირეთ სიტყვების რაოდენობა.
- შეიცავს ნეგატიურ სიტყვებს, მაგალითად: „არ უნდა“ და ა.შ.
- შეიცავს ჟარგონს, რომელიც ყველა მონაწილისათვის შესაძლოა გასაგები არ იყოს.
- პასუხების ვარიანტები ერთმანეთს ემთხვევა, რამაც შესაძლოა რესპოდენტი დააბნოს.
- მოცემულია დაუბალანსებელი ვარიანტები, მაგალითად, ვარიანტი იწყება „ძალიან მნიშვნელოვანია“ და მთავრდება „იმდენად, რამდენადაც“, მაშინ როცა უნდა იყოს „არ არის მნიშვნელოვანი“.
- კითხვასა და პასუხს შორის შეუსაბამობაა.
- კითხვა მოიცავს ზედმეტად ტექნიკურ ენას, რაც გაუგებარი შეიძლება აღმოჩნდეს მონაწილეებისათვის.
- ყველა კითხვა არ ვრცელდება ყველა მონაწილეზე.

### **კითხვების საპილოტე რეჟიმში შემოწმება**

კითხვების საპილოტე რეჟიმში შემოწმება ეხმარება მკვლევარს იმის გარკვევაში, ძალუძს თუ არა მონაწილეებს გამოკითხვის შესრულება და გასაგებია თუ არა მათთვის კითხვები. საპილოტე ტესტის დროს მკვლევარს ინსტრუმენტში ცვლილებები შეაქვს მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე, რომლებიც თავიანთ კომენტარებს წერილობით აწვდიან გამოკითხვაში. საპილოტე ტესტში მონაწილე რესპოდენტები ფინალურ კვლევაში არ მონაწილეობენ.

### **პასუხების კოეფიციენტი/მაჩვენებელი**

მკვლევრების მიზანია მონაწილეთა პასუხების მაღალი კოეფიციენტის მიღება, რაც მათ საშუალებას აძლევს დარწმუნებით მოახდინონ მიღებული შედეგების განზოგადება პოპულაციაზე. ინტერვიუს დროს ეს მაჩვენებელი უფრო დიდია, რადგანაც მონაწილეები წინასწარ თანხმდებიან ინტერვიუზე. კითხვარის გამოყენებისას კი, დაბრუნებული კითხვარების რაოდენობა განსხვავებულია. ასევე, მკვლევრებს აშფოთებთ ის ფაქტი, არის თუ არა დაბრუნებულ ინსტრუმენტებზე პასუხები მიუკერძოებელი. თუმცა, დაბრუნებული პასუხების მცირე კოეფიციენტიც კი შეიძლება იყოს მიუკერძოებელი და მისაღები იყოს კვლევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პასუხების კოეფიციენტი ძალზედ მნიშვნელოვანია, მიკერძოებული პასუხები უფრო შემაშფოთებელია, რადგანაც შედეგად მივიღებთ არაადეკვატურ მონაცემთა ბაზას პასუხების კოეფიციენტის მიუხედავად.

### **საფოსტო კითხვარის პასუხების კოეფიციენტი**

დაბრუნებული პასუხების კოეფიციენტი არის იმ კითხვების პროცენტულობა, რომელსაც მონაწილეები მკვლევარს უბრუნებენ. ბევრი კვლევა აცხადებს პასუხების 50% ან მეტის მიღების შესახებ. თუმცა, ეს კოეფიციენტი განსხვავებულია სათანადო შეტყობინების, ადეკვატური შემდგომი პროცედურების, კვლევისადმი რესპონდენტის ინტერესის, ინსტრუმენტის ხარისხისა და წახალისების გამოყენების მიხედვით.

მკვლევრები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ რესპოდენტთა წახალისების მიზნით. მაგალითად, წინასწარ შეტყობინებას უგზავნიან გამოკითხვაში მონაწილეობის შესახებ, რომელსაც 2 კვირაში ფოსტით მიიღებენ. მეორე სტრატეგიაა კითხვარის გაგზავნის შემდგომი პროცედურები, რომელიც სამი ეტაპისგან შედგება:

1. ფოსტით ეგზავნებათ კითხვარის ორიგინალი
2. პირველი კითხვარის გაგზავნიდან 2 კვირის შემდეგ ეგზავნებათ მეორე კითხვარი იმ რესპოდენტებს, რომლებმაც არ დააბრუნეს შევსებული კითხვარი (ენოდებათ არა რესპოდენტი)
3. კიდევ 2 კვირის შემდეგ არარესპონდენტებს ეგზავნებათ ღია საფოსტო ბარათი, რომელიც მათ შეახსენებს შევსებული კითხვარი კითხვარის დაბრუნებას.

ამ პროცესს განსხვავებული დრო სჭირდება სხვადასხვა ქვეყანაში. შეერთებულ შტატებში ამ პროცედურას დაახლოებით 6 კვირა სჭირდება.

პასუხის მაღალი რეიტინგისათვის კიდევ გამოიყენება ისეთი სტრატეგია, როგორიცაა იმ პრობლემის შესწავლა, რომელიც საინტერესოა შესას-

წავლი პოპულაციისათვის. ასევე გამოიყენება მოკლე ინსტრუმენტი. სამ გვერდიანი კითხვარი 15 წთ.-ზე ნაკლებ დროს მოითხოვს.

საბოლოო სტრატეგიაა სტიმულირება, რათა წაახალისონ მონაწილეები დააბრუნონ კითხვარი. თუნდაც პატარა სტიმული, როგორცაა ფინჯანი ყავისთვის საკმარისი თანხა, კარგ შედეგს იძლევა (Babbie, 1998). მკვლევარმა უნდა აწონ-დაწონოს სტიმულის ღირებულება. ხშირად მკვლევრები გამოიყენებენ ზემომოყვანილი სტრატეგიების კომბინაციებს პასუხების მაღალი კოეფიციენტის მიღების მიზნით.

### პასუხის მიკერძოება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარია არა ის, რამდენმა მონაწილემ დააბრუნა კითხვარი, არამედ რამდენად არის მიკერძოებული დაბრუნებული პასუხები. პასუხის მიკერძოებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პასუხები ზუსტად არ გადმოსცემენ ნიმუშისა და პოპულაციის აზრს. მაგალითად, რესპონდენტები, რომლებმაც კითხვარი დააბრუნეს, შესაძლოა, იყვნენ ზედმეტად ნეგატიურები ან პოზიტიურები. ამრიგად, მკვლევრები ამონებენ დაბრუნებულ პასუხებს და აფასებენ, არიან თუ არა ისინი მიკერძოებას. ამ მიდგომას ტალღის ანალიზი ეწოდება, რომლის დროსაც მკვლევრები დაბრუნებულ პასუხებს ინტერვალებით აჯგუფებენ (მაგ. ყოველ კვირას) და ამონებენ, იცვლება თუ არა პასუხები რამდენიმე შერჩეულ კითხვაზე პირველი კვირიდან ბოლო კვირის ჩათვლით, რაც პასუხის მიკერძოებაზე მიუთითებს. ინდივიდები, რომლებიც ფინალურ კვირაში პასუხობენ, მაქსიმალურად ახლოს არიან არარესპონდენტებთან ან დაუბრუნებელ პასუხებთან. თუმცა, მათი პასუხები იმათი მსგავსი უნდა იყოს, ვინც კითხვარი პირველ კვირას დააბრუნა. განსხვავების არსებობის შემთხვევაში, მკვლევრები აცხადებენ, რომ არსებობს მიკერძოებისა და იმის პოტენციალი, რომ შესწავლილი მონაწილეები, შესაძლოა, არ იყვნენ ნიმუშისა და პოპულაციის წარმომადგენლები.

### როგორ აგებთ და აანალიზებთ საფოსტო კითხვარს?

საფოსტო კითხვარები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ, რადგანაც ის პოპულარულია სტუდენტების კვლევის პროექტებში. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სამ ასპექტზე:

- ◆ სამოტივაციო წერილი მონაწილეების მოწვევისთვის კითხვარის შესავსებად
- ◆ კითხვარის ფორმა და კონსტრუქცია
- ◆ სტატისტიკური პროცედურები, რომლებიც, როგორც წესი, გამოიყენება საფოსტო კითხვარის მონაცემების გასაანალიზებლად.

კონკრეტული მაგალითისთვის ვიყენებთ ვანჰორნ-გრასმეიერის (Van-Horn-Grassmeyer, 1998) საფოსტო კითხვარს. მან შეისწავლა 119 ადამიანი, რომლებიც ახალბედანი იყვნენ სტუდენტურ საკითხებში ცენტრალური შეერთებული შტატებისა და კანადის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. მისი მიზანი იყო პროფესიონალთა აღქმის, დამოკიდებულებისა და ქცევის შესწავლა მათ პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. მონაცემების შეგროვების ერთ-ერთ ასპექტად მან მის მიერ შემუშავებული საფოსტო კითხვარი გამოიყენა, რომელიც შედგებოდა ხუთი ნაწილისგან:

- 1) სამოტივაციო წერილი
- 2) დახურული ტიპის კითხვები, რომლებიც მონაწილეებს დემოგრაფიულ და ა.შ. კითხვებს უსვამდა
- 3) პრაქტიკასთან ან ქცევასთან დაკავშირებული დახურული ტიპის კითხვები
- 4) ღია ტიპი კითხვები
- 5) შემაჯამებელი ინსტრუქციები, სადაც მადლობას უხდოდა მონაწილეებს კვლევაში მონაწილეობის მიღებისათვის.

საფოტო კითხვარი 5 გვერდიან პაკეტს წარმოადგენდა, რომელიც 12.5 და 12.6 სურათებზეა ნაჩვენები. მისი შესწავლა დაგეხმარებათ თქვენი სამოტივაციო წერილისა და კითხვარის შედგენაში.

სამოტივაციო წერილი შედგება რამდენიმე ძირითადი ელემენტისგან:

1. მონაწილეთა მნიშვნელობა. მათ წასახალისებლად საჭიროა რამდენიმე წინადადებით აუხსნათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა და ღირებულება აქვთ მათ თქვენი კვლევისთვის.
2. კვლევის მიზანი
3. კონფიდენციალურობის გარანტია
4. სპონსორობა, რომელიც მიუთითებს მრჩეველსა და დანესებულებაზე, სადაც მკვლევარი მუშაობს.
5. კითხვარის დასრულების დრო და დაბრუნება.

#### **მთლიანი კითხვარის კონსტრუქცია**

სქემა 12.6 წარმოადგენს სრული საფოსტო კითხვარის ნიმუშს, რომელსაც კარგი კითხვარის კონსტრუქციის ყველა მახასიათებელი აქვს. იგი მოკლეა და უბიძგებს დაკავებულ/მოუცლელ პროფესიონალს დააბრუნოს კითხვარი. ინსტრუმენტი იწყება დემოგრაფიული ან პირადული კითხვებით, რომელსაც რესპონდენტი იოლად უპასუხებს. მრავალფეროვნებისთვის, ავტორი იყენებს სხვადასხვა დახურული ტიპის კითხვებს, ისევე, როგორც ღია ტიპის კითხვებს. მოცემულ კითხვარს ასევე სასიამოვნო დიზაინი გააჩნია კითხვებს შორის სივრცით და გამოყენებულია ერთი სკალა და ბოლოს შეიცავს დამაჯამებელ ინსტრუქციას, სადაც ავტორი მადლობას უხდის რესპოდენტებს კვლევაში მონაწილეობისათვის.

#### **კვლევის კითხვარის მონაცემთა ანალიზი**

როდესაც მკვლევრები ადარებენ ჯგუფებს ან აკავშირებენ ცვლადებს, კითხვარის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი სცილდება მარტივი აღწერილობითი ანალიზის ფარგლებს.

არსებობს გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც, როგორც წესი, გამოიყენება საფოსტო კითხვარის გასაანალიზებლად. მკვლევრები განაცხადებენ პასუხის კოეფიციენტს და ამონებენ პასუხებს მიკერძოებაზე. ასევე აღწერენ საერთო პასუხებს კითხვარის თითოეულ პუნქტზე. ეს პროცესი ხელს უწყობს პასუხების ზოგადი კანონზომიერებისა და შედეგების ცვალებადობის გამოვლენას. როგორც წესი, მკვლევრები, რომლებიც საფოსტო კითხვარებს იყენებენ, პასუხებს ერთმანეთთან აკავშირებენ და ცდილობენ ააგონ სკალა, რომელიც რამდენიმე კითხვას ასახავს. ქულები/შეფასება უნდა იყოს სანდო და

ვალიდური, ისევე როგორც ინსტრუმენტი. და ბოლოს, მკვლევარი ამონმებს ჰიპოთეზას ან კვლევის კითხვებს დასკვნის სტატისტიკის გამოყენებით.

### **როგორ აღგენთ და ატარებთ ინტერვიუს?**

მონაცემთა შეგროვების ამ ფორმის გამოყენებისას ჩვენ უნდა ვიცოდეთ ინტერვიუერის პოზიცია, ვალიაროთ ინტერვიუერების ტრენინგის/მომზადების მნიშვნელობა (თუ ერთზე მეტია) და ვიცოდეთ ზოგადი ნაბიჯები მონაცემთა შეგროვების ამ ფორმის ადმინისტრირებისას.

### **ინტერვიუარის პოზიცია**

ინტერვიუს პროცედურა ხშირად გულისხმობს მკვლევრის მიერ რესპონდენტთან ურთიერთობის დამყარებას, რაც პირველ ეტაპზე სამოტივაციო წერილის საშუალებით ხდება. ინტერვიუს განმავლობაში მკვლევარი ნეიტრალური უნდა იყოს და არ უნდა გაუზიაროს მონაწილეს თავისი მოსაზრება, ასევე უნდა გამოიყენოს პოზიტიური ტონი და ჰქონდეს ნეიტრალური გარეგნობა.

### **ინტერვიუარების ტრენინგი/მომზადება**

იმ შემთხვევაში, როცა ინტერვიუში ერთზე მეტი ინტერვიუერია ჩართული, საჭიროა მათი მომზადება, რაც ითვალისწინებს გამოცდილი მკვლევრის მიერ როლური თამაშის დემონსტრაციას და ინტერვიუერის მიერ ინტერვიუს პრაქტიკას. ტრენინგი ასევე მოიცავს ინტერვიუს დროს პოტენციურ შეფერხებებს ან კითხვებს, რომლებიც რესპონდენტებს შეიძლება ჰქონდეთ ინტერვიუს შესახებ. ინტერვიუს დროს შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი სახის პრობლემები, როცა ინტერვიუერი:

- არათანმიმდევრულად სვამს კითხვებს;
- განზრახ არღვევს პროცესს თემისადმი უინტერესობის გამო;
- მოაქვს გარკვეული მოლოდინები ინტერვიუში იმის შესახებ, თუ როგორ უპასუხებენ ინდივიდები;
- შეუფერებლად აცვია ან წარდგება ინტერვიუზე;
- არ იყენებს იმ სახელს, რომელიც რესპონდენტს სურს და ამით უპატივცემულოდ ექცევა მას.

### **ინტერვიუს ეტაპები**

ინტერვიუ რამდენიმე ეტაპს მოიცავს. უნდა მოვიპოვოთ ინტერვიუს ანკეტა, რომელსაც გამოვიყენებთ და მოვამზადოთ ინტერვიუერები. შემდეგ მკვლევარი მონაწილეს უგზავნის ფორმალურ მონვევას სამოტივაციო წერილის სახით და ნიშნავს ინტერვიუს დროსა და ადგილს. ინტერვიუს დროს სვამს კითხვებს, მიუთითებს პასუხის ვარიანტებს და ჩაიწერს მონაწილის პასუხებს. ინტერვიუს ტემპი რესპონდენტისათვის კომფორტული უნდა იყოს. უნდა ჩაიწეროს ასევე ღია კითხვებზე პასუხები. ინტერვიუს ბოლოს მკვლევარი მადლობას უხდის მონაწილეს და აცნობებს კვლევის შემდეგი ნაბიჯების შესახებ. ინტერვიუს შემდეგ მკვლევარმა შესაძლოა მოისურვოს კომენტარების ჩაწერა, რაც მას დაეხმარება მონაცემების ახსნაში, ან მოისურვოს ინტერვიუს შესახებ ნებისმიერი პირადი გრძნობის ჩაწერა.

## სატელეფონო ინტერვიუს გზამკვლევი

სატელეფონო ინტერვიუს გზამკვლევის მაგალითი ნაჩვენებია სურათზე 12.8. ეს ინტერვიუს გზამკვლევი შედგენილი იყო ინტერვიუსთვის 200 აკადემიური დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, რომლებიც გამოკითხულნი იყვნენ იმის გასაგებად, თუ როგორ ეხმარებოდნენ თავმჯდომარეები ფაკულტეტს თავიანთ დეპარტამენტებში (Creswell et al., 1990). 25 კითხვისგან შემდგარი თითოეული ინტერვიუ საშუალოდ 45 წუთს გრძელდებოდა და განხორციელდა ყველა ინტერვიუს აუდიო ჩანერა. მონაცემთა შეგროვების პროცესში ექვსი ინტერვიუერი მონაწილეობდა და მათი ტრენინგი მოიცავდა დემონსტრირებასა და პრაქტიკულ ინტერვიუს. მკვლევრების მიერ შედგენილი ეს გზამკვლევი მოიცავს შემდეგს:

- შესავალი შენიშვნები, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთობის დამყარებას და ინტერვიუს მიმართულების ჩამოყალიბებას (მაგ., საჭირო დროის ოდენობა);
- მკაფიოდ მონიშნული უჯრები თითოეული კითხვისთვის ინსტრუქციებით ისე, რომ კვლევის ჯგუფის თითოეულმა ინტერვიუერმა იგივე შეკითხვა დასვას;
- თითოეულ კითხვაზე დახურული პასუხის ვარიანტები, კითხვებს შორის სივრცით, რაც ინტერვიუერს საშუალებას აძლევს დაწეროს დამატებითი კომენტარები;
- რიცხვები ფრჩხილებში, რაც მიუთითებს სვეტის ნომერს სტატისტიკური ანალიზისთვის კომპიუტერის ფაილის მონაცემთა ბაზეში პასუხის კოდირებისთვის.

## რა არის ჰოტენციური ეთიკური პრობლემები გამოკითხვისას?

ეთიკური პრობლემები შესაძლოა წამოიჭრას გამოკითხვის სხვადასხვა ეტაპზე, როგორცაა მაგალითად, მონაცემთა შეგროვება, შედეგების ანალიზი და ანგარიშის მოხსენება.

აღნიშნულია, რომ გამოკითხვა ხშირად თავისუფლდება ინსტიტუციური მიმოხილვის საბჭოების მიერ დეტალური მიმოხილვისაგან, თუ ის არ ეხება სენსიტიურ თემებს ან არ მოიცავს კვლევას სენსიტიური ან უმცირესობის პოპულაციებით. მკვლევრებს შეუძლიათ გამოიყენონ სტიმული ინდივიდების ნასახალისებლად, რომ მონაწილეობა მიიღონ კვლევაში, მაგრამ ეს სტიმული არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ ინდივიდუალური მონაწილეობისთვის არაეთიკური გახდეს. ცხადია, კარგი ეთიკური პრაქტიკა გვკარნახობს, რომ გამოკითხვის მკვლევრებმა არ გადააჭარბონ მონაწილეობის სარგებელს.

ეთიკური პასუხისმგებლობა ეკისრება გამოკითხვის მკვლევრებს, რომლებიც ინტერვიუერებს ადგილზე აგზავნიან ინფორმაციის შესაგროვებლად. მკვლევრებმა არ უნდა დააყენონ ინტერვიუერები უსაფრთხოების რისკის ქვეშ ან არ უნდა შეიყვანონ ისინი შეცდომაში ან ჩააყენონ გაურკვეველ მდგომარეობაში. უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მათ გონივრული პროცედურები უნდა გამოიყენონ.

ასევე დაცული უნდა იყოს რესპონდენტთა უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა. მონაწილესა და პასუხს შორის კავშირი უნდა იყოს პირადი ნომრებით, რომლებიც მხოლოდ მკვლევრისთვის იქნება ცნობილი. მონაცემების ანალიზისას, მკვლევრებს სიფრთხილე მაერთებთ, რომ შედეგების მცირე ნაწილის ანგარიშში მოხსენებამ არ გამოამჟღავნოს კონკრეტული ინდივიდების იდენტობა. ასევე, პროექტის დასრულების შემდეგ, მკვლევარი პასუხისმგებელია გაანადგუროს გამოკითხვის ინსტრუმენტი იმის გათვალისწინებით, რომ კითხვარები და ჩანაწერები შესაძლებელია სასამართლოს მიერ იქნას გამოთხოვილი.

#### **რა ნაბიჯებისგან შედგება გამოკითხვის ჩატარება?**

##### **ნაბიჯი 1. გადაწყვეტით გამოკითხვა არის თუ არა გამოსაყენებლად საუკეთესო დიზაინი.**

გამოკითხვა კარგია მაშინ, როდესაც ვიკვლევთ ინდივიდუალურ დამოკიდებულებას, მოსაზრებას, რწმენასა და პრაქტიკას, პროგრამის წარმატებულობის ან ეფექტურობის შესაფასებლად, ან საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის.

გამოკითხვის გამოყენებას რამდენიმე დადებითი მხარე აქვს. მათი ადმინისტრირება მოკლე დროშია შესაძლებელი, ეკონომიურია მონაცემთა შეგროვების თვალსაზრისით და მათი საშუალებით შესაძლებელია დაუკავშირდეთ გეოგრაფიულად გაფანტულ პოპულაციას. ამასთან, შესაძლებელია გამოკითხვის ანონიმურად ჩატარება, რაც თავიდან აგაცილებთ მათი პასუხების მიკერძოებას. თუმცა, გამოკითხვის მონაცემების მოწოდება თვით რესპოდენტების მიერ ხდება, რომელიც ასახავს მხოლოდ იმას, რასაც ადამიანები ფიქრობენ და არა იმას, რასაც აკეთებენ. ზოგჯერ პასუხების მაჩვენებლები დაბალია და მკვლევრებს არ შეუძლიათ განაცხადონ, რომ შედეგები პოპულაციას წარმოადგენენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოკითხვები არ აკონტროლებენ ბევრ ცვლადს, რამაც შეიძლება ახსნას ურთიერთობა დამოუკიდებელსა და დამოკიდებულ ცვლადებს შორის და ისინი არ უზრუნველყოფენ მონაწილეების მოქნილობას კითხვებზე პასუხის გაცემისას (თუ არ არის ჩართული ღია კითხვები).

##### **ნაბიჯი 2. განსაზღვრეთ კვლევის კითხვები ან ჰიპოთეზა**

კვლევის კითხვების ან ჰიპოთეზის ფორმება:

- აღწერეთ პოპულაციის მახასიათებლები ან ტენდენციები, როგორცაა მაგალითად, მამრობითი სქესის უფროსკლასელების მიერ თამბაქოს მოწევის სიხშირე;
- შეადარეთ ჯგუფები კონკრეტული ატრიბუტების თვალსაზრისით, მაგალითად, შეადარეთ მასწავლებლები და ადმინისტრაცია მათი დამოკიდებულების მიხედვით ადმინისტრაციულ მოვალეობებში ჩართულობის მიმართ;
- დააკავშირეთ ორი ან მეტი ცვლადი, მაგალითად დააკავშირეთ მასწავლებლის სამსახურში „გადანვა“ მუშაობის წლებთან.

### **ნაბიჯი 3. განსაზღვრეთ პოპულაცია, შერჩევის ჩარჩო და ნიმუში**

გამოკითხვის პროცესი იწყება პოპულაციის იდენტიფიცირებით, რაც ითვალისწინებს პოპულაციის და ინდივიდთა რაოდენობის განსაზღვრას, ასევე უნდა შეაფასოთ, შეძლებთ თუ არა ნიმუშისთვის სახელების სიის მიღებას. ასევე, შესაძლოა საჭირო იყოს პოპულაციის სტრატეფიცირება შერჩევის დაწყებამდე, რომ ნიმუშში წარმოდგენილი იყოს პოპულაციის შერჩეული მახასიათებლები (მაგ., მამაკაცი და ქალი).

სამიზნე პოპულაციის იდენტიფიცირებისა და წევრების სიის შედგენის შემდეგ, შეგიძლიათ აირჩიოთ ნიმუში, სასურველია შემთხვევითი შერჩევის პროცედურის გამოყენებით. თქვენ დაგჭირდებათ ნიმუშის ადეკვატური ზომის იდენტიფიცირება შერჩევის შეცდომის ფორმულის გამოყენებით.

### **ნაბიჯი 4. განსაზღვრეთ გამოკითხვის დიზაინი და მონაცემთა შებენი პროცედურები**

საჭიროა განსაზღვროთ, გამოკითხვა კროსსექციური იქნება თუ ლონგიტუდური. ეს დამოკიდებულია შესასწავლი პრობლემის ბუნებაზე, მონაწილეებთან წვდომაზე და მონაცემთა შესაგროვებლად საჭირო დროზე. ასევე გაითვალისწინეთ, როგორ მოხდება მონაცემთა შეგროვება, კითხვარებით (საფოსტო ან ელექტრონული) თუ ინტერვიუს საშუალებით (ინდივიდუალური, ფოკუსჯგუფის თუ სატელეფონო) და ანონ-დანონეთ თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

### **ნაბიჯი 5. იპოვეთ ან შეიმუშავეთ ინსტრუმენტი**

ცვლადების შესაგროვებლად ან გასაზომად ინსტრუმენტი გჭირდებათ. უფრო მარტივია არსებულის პოვნა ვიდრე მისი შემუშავება. სანამ არსებული ინსტრუმენტის გამოყენებას გადაწყვეტდეთ, შეამოწმეთ მისი შედეგების ვალიდურობა და სანდოობა სტანდარტების მიხედვით. თუ თქვენი კვლევა მხოლოდ რამდენიმე ცვლადს ითვალისწინებს, მაშინ შეგიძლიათ შეიმუშაოთ თქვენი ინსტრუმენტი, რომლის ვალიდობისა და სანდოობის შემოწმებას მონაცემთა ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს.

### **ნაბიჯი 6. ინსტრუმენტის ადმინისტრირება**

ეს ნაბიჯი ალბათ, ყველაზე მეტ დროს მოითხოვს, რადგანაც ის ითვალისწინებს კვლევის ჩატარების ნებართვების მოპოვებას, მონაცემთა შეგროვების პროცედურებს, როგორცაა, მაგალითად, ინტერვიუების მომზადება ან გასაგზავნი კითხვარების მომზადება. ასევე, საჭიროა უწყვეტი კავშირი კითხვარის გაგზავნის შემდეგ პასუხების მაღალი მაჩვენებლის მისაღებად, პასუხების მიკერძოების თვალსაზრისით შემოწმება, ანალიზისთვის მონაცემთა მომზადება, რაც გულისხმობს ინსტრუმენტიდან ინფორმაციის კოდირებას კომპიუტერულ ფაილში.

### **ნაბიჯი 7. მონაცემების გაანალიზება კვლევის კითხვებზე ან ჰიპოთეზებზე პასუხის გასაცემად**

მონაცემთა ანალიზის პროცედურები ასახავს საკვლევი კითხვების ტიპებს ან ჰიპოთეზებს, რომელთა განხილვას მკვლევარი გეგმავს. ანალიზი

მოიცავს პასუხების სიხშირის აღნიშვნას, პასუხის მიკერძოების შემონიშნებას, ყველა ელემენტის აღწერილობითი ანალიზის ჩატარებას და შემდეგ აღწერილობით კითხვებზე პასუხის გაცემას. ის, ასევე, შეიძლება მოიცავდეს ჰიპოთეზების ან კვლევის კითხვების ტესტირებას დასკვნის სტატისტიკის გამოყენებით.

#### **ნაბიჯი 8. ანგარიშის დაწერა**

უნდა დაწეროთ კვლევა სტანდარტული რაოდენობრივი სტრუქტურის გამოყენებით, რომელიც შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, მეთოდების, შედეგებისა და დისკუსიისგან. კვლევის თავში „მეთოდები“ მიუთითეთ დეტალური ინფორმაცია კვლევის პროცედურების შესახებ. „დისკუსიის“ განყოფილებაში ჩართეთ კომენტარები მოსახლეობისთვის შედეგების განზოგადების შესახებ.

#### **როგორ აფასებთ გამოკითხვას?**

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა შედგება ინტერვიუებისგან თუ ფოსტით გაგზავნილი კითხვარებისგან, გამოკითხვა უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის მაღალ სტანდარტებს. თუ თქვენ გეგმავთ გამოკითხვის ჩატარებას, უნდა შეგიძულოთ და დაწეროთ თავი „მეთოდები“, რომელიც გადმოსცემს კვლევის დეტალურ პროცედურებს.

ხარისხის კრიტერიუმების შემდეგი ჩამონათვალი ეფუძნება ამ თავში წარმოდგენილ ძირითად ცნებებს და ადაპტირებულია ფოულერის (Fowler, 2009) და ნიუმანის (Neuman, 2000) მიხედვით. მკვლევარი:

- ◆ აღწერს და აკონკრეტებს სამიზნე პოპულაციას და ნიმუშს.
- ◆ განსაზღვრავს, თუ როგორ იქნა მიღებული ნიმუში (მაგ., შემთხვევითი ან არაშემთხვევითი შერჩევა).
- ◆ მსჯელობს ნიმუშის ზომასა და ნიმუშის ზომის გამოყვანის საშუალებებზე.
- ◆ იყენებს კვლევის ტიპს (ლონგიტუდური ან კროსსექციური), რომელიც შეესაბამება კვლევის კითხვებს ან ჰიპოთეზებს.
- ◆ ნათლად განსაზღვრავს ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა შეგროვებაში და მათი გამოყენების მეთოდს.
- ◆ აცნობებს ინფორმაციას კითხვარის ან ინტერვიუს წარსულში გამოყენების ქულების სანდოობისა და ვალიდურობის შესახებ.
- ◆ მსჯელობს ინსტრუმენტების ადმინისტრირების პროცედურებზე.
- ◆ საუბრობს შესაბამის შემდგომ პროცედურებზე პასუხების დაბრუნების დიდი კოეფიციენტისა და მიუკერძოების უზრუნველსაყოფად.
- ◆ იძლევა კითხვარის ან ინტერვიუს კითხვების მაგალითს.
- ◆ იყენებს მონაცემთა ანალიზის პროცედურებს კვლევის კითხვებზე ან ჰიპოთეზებზე პასუხის გასაცემად
- ◆ წერს კვლევას მეცნიერულად (ანუ მიჰყვება სტანდარტულ სტრუქტურას) და განსაზღვრავს პოტენციურ ეთიკურ საკითხებს.

**მეორე ნაწილი:**  
**როგორ ჩავატაროთ ჰიპოთეზურ-დედუქტივისტური**  
**(ან „პოზიტივისტური“) კვლევა**

**4. „პოზიტივისტური“ კვლევის დიზაინი**

*სანდრა ჰალბერინი და ოლივერ ჰიტი*  
**შედარებითი კვლევა**

**შესავალი**

შედარებითი მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდია პოლიტიკურ კვლევაში და ხშირად გამოიყენება ისეთი პოლიტიკური მოვლენების ფართო სპექტრის შესასწავლად, როგორცა: დემოკრატიზაცია, სამოქალაქო ომი, საჯარო პოლიტიკა და ა.შ. შედარებითი კვლევის ფარგლები თითქმის შეუზღუდავია. თუმცა, ხშირად ტერმინი „შედარებითი პოლიტიკა“ საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყენება და უბრალოდ ნიშნავს „უცხო“ ქვეყნების შესწავლას დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს გარეთ. თუმცა ტერმინი „შედარებითი მეთოდები“ ნამდვილად გულისხმობს უფრო მეტს. შედარებითი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიური მიდგომაა და არა არსებითი ინტერესის სფერო. ის, რაც აერთიანებს და განსაზღვრავს შედარებით კვლევებს, შესაბამისად, უკავშირდება გამოყენებულ მეთოდს და არა დასმულ კითხვებს. პიტერ მაირის (1996), ვან ბიზენისა და კარამანის (2006) თანახმად, ჩვენ შედარებითი მეთოდი გვესმის, ძირითადად, წესებისა და სტანდარტებისა და პროცედურების თვალსაზრისით, შემთხვევებს შორის განსხვავებებისა და მსგავსების იდენტიფიცირებისა და ახსნის ცნებების გამოყენებით, რომლებიც გამოიყენება ერთზე მეტ შემთხვევაში ან ქვეყანაში.

შედარებითი მეთოდი რეალურად მოიცავს უამრავ სხვადასხვა მეთოდს. ეს მეთოდები შეიძლება გამოირჩეოდეს, უპირველეს ყოვლისა, იმის მიხედვით, თუ რამდენი ქვეყანა (ან შემთხვევა) არის შედარებული (აღნიშნულია ასო N-ით) და როგორ შეირჩევა ანალიზის შემთხვევები. შემთხვევის შერჩევის ორივე ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადად, არსებობს სამი ძირითადი მიდგომა. არსებობს დიდი რაოდენობის (large-N) კვლევები (რომელიც მოიცავს მრავალი შემთხვევის ანალიზს), მცირე რაოდენობის (small-N) კვლევები (მოიცავს მცირე რაოდენობის შემთხვევის ანალიზს, როგორც წესი, 2, 3, 4-ს, მაგრამ რეალური ზედა ზღვარის გარეშე) და ერთრიცხვიანი-N კვლევები (სხვაგვარად ცნობილია როგორც შემთხვევის/ქეისის შესწავლა).

**შედარების პრინციპები**

შედარება, პირდაპირ თუ ირიბად, თითქმის ყველა ემპირიული ანალიზის არსებით ნაწილს წარმოადგენს. მიზეზ-შედეგის ნებისმიერი განხილვა ეყ-

რდნობა ერთი ფაქტორის არსებობის შედარებას მეორის არარსებობასთან. ამან ზოგიერთ მეცნიერს გაუჩინა შედარებითი მეთოდის საკმაოდ ფართოდ განსაზღვრის სურვილი.

მაგალითად, გაბრიელ ალმონდი (1966) აიგივებს შედარებით მეთოდს, ზოგადად, მეცნიერულ მეთოდთან. მისი გაგების მიხედვით, ყველა ემპირიული კვლევა შედარებითია. შესაძლოა, კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზიც კი მივიჩნიოთ შედარებითი ანალიზის ფორმად, სადაც ანალიზის ერთეული ინდივიდია. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ახალგაზრდები მოხუცებს და ა.შ. მაგრამ შედარებითი მეთოდი უფრო ხშირად ეხება სოციალური და პოლიტიკური ერთობლიობის შესწავლას და არა ინდივიდებს. კერძოდ, შედარებითი პოლიტიკა ხშირად ეფუძნება ქვეყნებს შორის განსხვავებების (ან მსგავსების) შედარებას. მაგრამ ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნებში არსებულ ერთეულებს შორის განსხვავებების შესადარებლად, როგორცაა რეგიონები, ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, ზენოლის ჯგუფები ან სხვა.

ყველა მეთოდის მსგავსად, შედარებითი მეთოდები მხოლოდ ისეთივე სასარგებლოა, როგორც მათი დანიშნულება. თუ კვლევით პროექტს აქვს მკაფიო თეორიული მიზნები, მაშინ შედარებითი კვლევა შეიძლება იყოს ღირებული ინსტრუმენტი სხვადასხვა პოლიტიკური ფენომენის შესახებ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მაგრამ, თუ შედარებისთვის მცირე თეორიული დასაბუთება არსებობს, ან დასაბუთება არ არის ნათელი, მაშინ შედარებითი კვლევის გამოყენება ნაკლებად სავარაუდოა თეორიის შემუშავებისა ან შემოწმებისათვის.

ზოგადად, შედარებითი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია სამი ძირითადი გზით: (1) არსებული თეორიის გამოყენება ახალ შემთხვევებზე; (2) ახალი თეორიის ან ჰიპოთეზის შემუშავება; და (3) თეორიის შემოწმება.

შედარებითი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარე არის ის, რომ ის ხელს უწყობს ჩვენი ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებას. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ შედარება, რათა დავინახოთ, მუშაობს თუ არა ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება ერთ კონტექსტში, ასევე იმავე გზით სხვადასხვა კონტექსტში. ამრიგად, შედარებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები ერთი ქვეყნის შემთხვევის შესწავლასთან შედარებით და გვეხმარება დავიცვათ თავი იმ ორმაგი საფრთხისგან, რასაც როუზი (1991) ცრუ უნიკალურობას და ცრუ უნივერსალიზმს უწოდებს.

ცრუ უნიკალურობა ხაზს უსვამს შემთხვევის სპეციფიკას, იგი მთლიანად იგნორირებას უკეთებს ზოგად სოციალურ ძალებს და არ სცილდება „გაჯერებულ აღწერილობას“. ცრუ უნიკალურობასთან დაკავშირებული პრობლემები ზოგჯერ გვხვდება ტერიტორიულ კვლევებში, სადაც მკვლევრები ხაზს უსვამენ, თუ რამდენად უნიკალური ან განსაკუთრებულია მათ მიერ გასაანალიზებლად არჩეული ქვეყანა და თავს არიდებენ უფრო ფართოდ ჩართვას იმაში, რასაც წერენ სხვა ქვეყნებში. ამის საპირისპიროდ, ცრუ უნივერსალიზმი ვარაუდობს, რომ ერთ ქვეყანაში/კონტექსტში გამოცდილი თეორია თანაბრად გამოიყენება სხვა ქვეყნებისთვის. ერთადერთი გზა უნიკალურობის ან უნივერსალიზმის დასადგენად არის შედარება.

ამიტომაც შედარების მნიშვნელოვანი ფუნქცია აღწერილია. მუშაობს თუ არა ერთი და იგივე საგნები სხვადასხვა კონტექსტში ერთნაირად? ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ შედარება ერთ კონტექსტში (ან შემთხვევაში) შემუშავებული თეორიის სხვა კონტექსტში გამოსაყენებლად. როკანი (Rokkan, 1966: 19) მოიხსენიებს ამას, როგორც „მიკრო რეპლიკაციას“, რომელიც შექმნილია „სხვა ეროვნულ და კულტურულ გარემოში იმ წინადადების შესამოწმებლად, რომლებიც უკვე დადასტურებულია ერთ პარამეტრში“. ამ ტიპის მიდგომა ხშირად აღწერილია, როგორც თეორიის დამადასტურებელი (Lijphart 1971).

მაგალითად, არსებობს ერთი გავლენიანი თეორია პოლიტიკური ქცევის შესახებ კვლევებში, რომელიც გაჩნდა შეერთებულ შტატებში, რომ მდიდარი და განათლებული ადამიანები, როგორც წესი, პოლიტიკურად უფრო აქტიურები არიან, რადგან ფლობენ „სამოქალაქო უნარებს“, რაც ამცირებს მონაწილეობის გარკვეულ დაბრკოლებებს (ვერბა შლოზმანი და ბრედი 1995). ეს თეორია არ არის ჩამოყალიბებული სპეციფიკური კონტექსტის ფორმით, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ შეერთებული შტატებისთვის (სადაც კვლევა ჩატარდა) და, შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში და სხვა ქვეყნებში. ამრიგად, შედარების ერთ-ერთი სასარგებლო მიზანია იმის დადგენა, არის თუ არა ეს ასე და არის თუ არა შემოთავაზებული ზოგადი თეორია ჭეშმარიტად ზოგადი (ცრუ უნივერსალიზმი). სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ რეალურად არსებობს არსებითი ცვალებადობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ე.წ. „სამოქალაქო უნარები“ პოლიტიკური მონაწილეობისთვის.

შესაბამისად, შედარება შეიძლება ემსახურობდეს სასარგებლო აღწერით მიზნებს და გამოიყენებოდეს იმის გამოსათვლელად, თუ რამდენად გამოიყენება (ან შეიძლება განმეორდეს) სხვადასხვა თეორია სხვადასხვა კონტექსტში, და რამდენად მოხდება სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ფენომენი სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ, ერთია იმის ჩვენება, რომ არსებობს ცვალებადობა კონტექსტებს შორის ან რომ პოლიტიკური მონაწილეობის ზოგიერთი ახსნა ერთ ქვეყანაში უკეთ მუშაობს, ვიდრე მეორეში; სხვა საქმეა ამ განსხვავებების ასახსნელად თეორიების შემუშავება და გამოცდა.

სწორედ ამ მიზნით გამოიყენება შედარებითი მეთოდები ყველაზე ხშირად. შედარება შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰიპოთეზების გენერირებისა და შესამოწმებლად იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხსნიან ამ ვარიაციებს. შედარებითი კროსნაციონალური ანალიზის უპირატესობები მრავალფეროვანია. პირველი, შედარებითი მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას ანალიზის სხვადასხვა დონის შერწყმისთვის და საერთაშორისო, ეროვნული და შიდა ფაქტორების დასაკავშირებლად კონკრეტული პოლიტიკური ფენომენის ასახსნელად. მაგალითად, ქვეყნებში მაცხოვრებელი ინდივიდების შედარებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ქვეყნის დონეზე არსებული ფაქტორების გავლენა (როგორცაა ინსტიტუციური მოწყობა) ინდივიდუალურ ქცევაზე. შედარება მკვლევარს საშუალებას აძლევს გასცდეს პოლიტიკური ფენომენების წმინდა ინდივიდუალისტური ახსნის ფარგლებს.

## როგორ ვადარებით

შედარებითი მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევის შერჩევის მეთოდია. ბევრ შემთხვევას ვადარებით თუ ცოტას? თუ რამდენიმე შემთხვევას ვადარებით, რის საფუძველზე ვირჩევთ მათ?

### შემთხვევის კვლევა (ან ქეისის შესწავლა)

ქეისის შესწავლის დიდი უპირატესობა ის არის, რომ ცალკეულ შემთხვევაზე ფოკუსირებით შესაძლებელია მისი ინტენსიური გამოკვლევა. ამ მიზეზით, ქეისის შესწავლა შედარებითი პოლიტიკის კვლევის ერთ-ერთ ძირითად ფორმად რჩება.

კარგი ქეისის შესწავლა, თითქმის ყოველთვის, შედარებით კონტექსტშია მოცემული. ისინი განიხილავენ თეორიას ან საკითხებს, რომლებსაც აქვთ უფრო ფართო ინტელექტუალური რელევანტურობა, იყენებენ ცნებებს, რომლებიც გამოიყენება სხვა კონტექსტში და შესაძლოა ცდილობდნენ დასკვნების გაკეთებას, რომლებიც ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც სცილდება თავდაპირველი შემთხვევის ფარგლებს. მაგალითად, არენდ ლიჯფარტის (1977, 1999) კვლევები კონსოციაციონალიზმის შესახებ ნიდერლანდებში, რობერტ პუტნამის (1993) კვლევა სოციალური კაპიტალის შესახებ იტალიაში და პოლ ბრასის (2003) კვლევა ინდოეთში ეთნიკური ძალადობის შესახებ, ყველა განიხილება, როგორც კლასიკური „შედარებითი კვლევები“. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ ერთი ქვეყნის ანალიზს ეფუძნება.

კარგი შემთხვევის შესწავლას აქვს ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. პირველი ის, რომ ის ამბობს რაღაც საინტერესოს და შინაარსობრივს შესწავლილ შემთხვევაზე. მაგალითად, ინდოეთში ეთნიკური ძალადობის შემთხვევის შესწავლა ხელს შეუწყობს იმას, რომ ნათელი მოჰფინოს ინდოეთში აღმოცენებულ კონფლიქტის წყაროებს და კონკრეტული შემთხვევის ასახვით გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ თემაზე შექმნილ აკადემიურ ლიტერატურაში. ანუ, კვლევის შედეგებს უნდა ჰქონდეთ შიდა ვალიდობა. თუმცა, კარგი შედარებითი შემთხვევის შესწავლა ასევე უნდა მიზნად ისახავდეს რაღაც უფრო ზოგადის თქმას. მაგალითად, ზემოხსენებული კვლევა ნათელს მოჰფენს კონფლიქტის წყაროებს მხოლოდ ინდოეთში თუ ასევე რელევანტური იქნება ახსნას ეთნიკური კონფლიქტები სხვაგან, მაგალითად, აფრიკაში? ასეთ შემთხვევაში წამოყენებულ თეორიებსა და მოსაზრებებს გარე ვალიდობა ექნებათ (ჰიპოთეტური მაინც).

მიუხედავად გავრცელებული ვარაუდისა, რომ შემთხვევის შესწავლა წარმოადგენს თვისებრივი კვლევის ტიპს, ეს არ არის სრული სიმართლე. ქეისის შესწავლა შეიძლება დაფუძნებული იყოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან სტრატეგიაზე, როგორცაა ინტერვიუები, გამოკითხვები, ეთნოგრაფია, ფოკუსჯგუფები, ისტორიული დოკუმენტები და ა.შ. მართლაც, მრავალი ცალკეული ქვეყნის შემთხვევის კვლევა ეფუძნება კვლევის მონაცემების რაოდენობრივ ანალიზს, მაგალითად, ხმის მიცემის პროცესი ბრიტანეთში ან საზოგადოების დამოკიდებულება გარემოს მიმართ გერმანიაში და სხვა.

ის, თუ რამდენად ეხება ქეისის შესწავლა უფრო ფართო თემებს, ხდის მას შედარებითს. ამის გაკეთება ორი ძირითადი გზით არის შესაძლებელი.

პირველ რიგში, კვლევას შეუძლია ერთ კონტექსტში შემუშავებული თეორიის გამოყენება მეორე კონტექსტში, რათა შეაფასოს „მუშაობს“ თუ არა ორიგინალური თეორია, რითაც განიხილავს ცრუ უნიკალურობასა და უნივერსალიზმის საკითხებს. ან, მეორე, მას შეუძლია ახალი თეორიის შემუშავება და ჰიპოთეზების გენერირება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა შემთხვევებშიც. თუმცა, იმის გამო, რომ ქეისის შესწავლა მხოლოდ ერთი შემთხვევის ანალიზს ეფუძნება, ის ნამდვილად ვერ იქნება გამოყენებული თეორიის უშუალოდ შესამონმებლად. ამ მიზეზით, ჩვენ ყოველთვის გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვექცეთ ქეისის შესწავლიდან გამოტანილ დასკვნებს. ისინი შეიძლება დამაჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ სანამ არ მოხდება მათი გამოცდა ბევრ სხვა ქვეყანაში, ვერ გავიგებთ ჭეშმარიტია თუ არა ისინი.

შემთხვევის შესწავლის ეს ორი ძირითადი ტიპი შეიძლება სხვადასხვა გზით იქნას გამოყენებული. ზოგადად რომ ვთქვათ, შეგვიძლია განვასხვავოთ შემთხვევის შესწავლა, რომელიც: (1) უზრუნველყოფს აღწერით კონტექსტუალიზაციას; (2) არსებული თეორიის გამოყენებას ახალ კონტექსტებში; (3) წესიდან გამონაკლისების შესწავლას; და (4) ახალი თეორიის გენერირებას. ქეისის შერჩევა და ის, თუ რატომაც ქვეყანა კარგი შესასწავლად, დამოკიდებულია შემთხვევის შესწავლის მიზანზე. მკვლევრმა უნდა დაასაბუთოს თუ რატომ აირჩია კონკრეტული შემთხვევა ან შემთხვევების ნაკრები. მკვლევრებმა შეიძლება აირჩიონ შემთხვევები, რადგან ისინი კრიტიკულია (თეორიის შესამონმებლად) ან გამომჟღავნებელია (გამოავლენს ურთიერთობებს, რომელთა შესწავლა სხვა საშუალებებით შეუძლებელია) ან უჩვეულოა (ნათელს ჰფენს უკიდურეს შემთხვევებს) (Yin 2009).

ქეისის შესწავლის ერთ-ერთი ფუნქციაა კონტექსტური აღწერა. წმინდა აღწერილობითი შემთხვევის შესწავლა არ ნიშნავს აუცილებლად თეორიის განვითარებას ან გამოყენებას, არამედ კონკრეტული მოვლენის ან ფენომენის დეტალურ აღწერას კონკრეტულ ქვეყანაში. ამ ტიპის კვლევები ყველაზე მჭიდრო კავშირშია ეთნოგრაფიასთან და შეიძლება იყოს მონაცემთა ღირებული წყარო მეორადი ანალიზისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის კვლევა არ არის დაკავშირებული თეორიულ ლიტერატურასთან, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ მოხდება ანალიზისთვის შემთხვევების შერჩევა. თუმცა, ეს მიდგომა არც თუ ისე ხშირად გამოიყენება.

უფრო ხშირად, შემთხვევის შესწავლა გამოიყენება თეორიის ერთი კონტექსტიდან გამოსაყენებლად, რათა დადგინდეს, შენარჩუნებულია თუ არა ის სხვა კონტექსტში. პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ამ ტიპის კვლევის უამრავი მაგალითი არსებობს. საარჩევნო ქცევის სფეროში, მრავალი კონცეფცია იქნა ექსპორტირებული შეერთებული შტატების კვლევებიდან სხვა ქვეყნებში. შესაძლოა, ამ „ექსპორტიდან“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის პარტიული იდენტიფიკაციის კონცეფცია, რომელიც აცხადებს, რომ ზოგიერთი ამომრჩეველი ავითარებს პოლიტიკურ პარტიასთან კავშირს, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ აყალიბებს მათი იდენტობის ნაწილს (როგორც რელიგიური, ეროვნული, ან ეთნიკური იდენტობა) და, თავის მხრივ, აყალიბებს მათ მიერ პოლიტიკური ინფორმაციისა და მოვლენების ინტერპრეტაციას. ეს კონცეფცია შეერთებულ შტა-

ტებში 1950-იან წლებში ანგუს კემპბელმა და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს მიჩიგანის უნივერსიტეტში და შემდეგ გამოიყენეს ბრიტანულ კონტექსტში ბატლერმა და სტოკსმა 1960-იან წლებში. მას შემდეგ ის ბევრ სხვა ქვეყანაში გამოიყენეს სხვადასხვა პოლიტიკური ქცევის ასახსნელად.

შემთხვევის შესწავლა წარმოუდგენლად მძლავრი ინსტრუმენტია იმის შესამოწმებლად, ცნებები და თეორიები ერთნაირად მუშაობს თუ არა სხვა შემთხვევებში. ამ მიზნით ანალიზისთვის გედესი (2003) გვთავაზობს ქეისის შერჩევის ორ მთავარ კრიტერიუმს. პირველი კრიტერიუმია ის, რომ შემთხვევა უნდა იყოს იმ თეორიების სფეროების წარმომადგენელი, რომელთა შემოწმებასაც აპირებენ. ანუ შემთხვევამ უნდა უზრუნველყოს თეორიის სამართლიანი გამოცდა. ამიტომ უნდა განვსაზღვროთ შემთხვევების საწყარო, რომლებზეც თეორია (ან ჰიპოთეზა) ვრცელდება. მეორე კრიტერიუმია ის, რომ არგუმენტების შესამოწმებლად გამოყენებული შემთხვევები უნდა განსხვავდებოდეს იმ შემთხვევებისგან, საიდანაც არგუმენტები იყო გამომდინარე. ამგვარად, თითოეული შემთხვევის შესწავლა თეორიის ახალ გამოცდას იძლევა და ხელს უწყობს ცოდნის თანდათანობით დაგროვებას თეორიის სასარგებლოდ (ან წინააღმდეგ).

შემთხვევის შესწავლა შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული ან „გადახრილი“ შემთხვევების შესასწავლად, რომლებიც არ შეესაბამება არსებულ თეორიას და ცნობილია, რომ გადახრილია დადგენილი განზოგადოებებიდან. ამ ტიპის საქმის შესწავლა ჯერ კიდევ ეფუძნება არსებული თეორიის განვითარებას და ცდილობს გამოავლინოს მიზეზები, რის გამოც თეორია არ ვრცელდება მოცემულ შემთხვევაზე. ამ ტიპის შემთხვევის შესწავლა ხშირად ფოკუსირებულია ქვეყნებზე, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მიჩნეულია „გამონაკლისად“, მაგალითად, რატომ არ არსებობს სოციალისტური პოლიტიკური პარტია შეერთებულ შტატებში, მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიალიზაციის გამოცდილების მიხედვით უნდა იყოს ან რატომ არ არის დემოკრატია მდიდარ ქვეყნებში, როგორცაა საუდის არაბეთი, როცა მოდერნიზაციის თეორია ამტკიცებს, რომ უნდა არსებობდეს. ალექსანდრი და ბენეტი (2005: 114–15) ამტკიცებს, რომ ასეთმა გადახრილმა შემთხვევებმა შეიძლება ასევე მოგვცეს ინფორმაცია ადრე დაუდგენელი მიზეზობრივი მექანიზმების შესახებ, რომლებიც ასევე შეიძლება მოქმედებდეს სხვა შემთხვევებში (იხ. Brady and Collier 2004).

ამრიგად, ამ ტიპის შემთხვევის შესწავლა შეიძლება იყოს თეორიის დამადასტურებელი ან შემასუსტებელი. თეორიის დამადასტურებელი შემთხვევის შესწავლა მიდრეკილია იქითკენ, რომ მხარი დაუჭიროს ორიგინალურ თეორიას და აჩვენოს, რომ მას უფრო ფართო გამოყენება აქვს თავდაპირველი კონტექსტის ფარგლებს გარეთ. ხოლო თეორიის შემასუსტებელი კი პირიქით, არ უჭერს მხარს თავდაპირველ თეორიას და აჩვენებს, რომ იგი გარკვეულწილად დაუნებელია. თუმცა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ თეორიის დამადასტურებელი შემთხვევის შესწავლა შეიძლება გამოყენებულ იქნას ორიგინალური თეორიის უარყოფისთვის, რადგან მხოლოდ იმის გამო, რომ თეორია არ ვრცელდება ერთ შემთხვევაზე, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ ვრცელდება (ან არ გავრცელდება) სხვა შემთხვევებზე.

ამ მიზეზით, აზრი იმის შესახებ, რასაც გადამწყვეტი შემთხვევა ეწოდება (Eckstein 1975), საკამათოა. შემთხვევა გადამწყვეტია, თუ ის თეორიას ადასტურებს ან უარყოფს. შემთხვევის შერჩევა ეფუძნება იმ ინტერესს, თუ რამდენად არის შედეგზე ორიენტირებული.

მაგრამ, ალბათ, შემთხვევის შესწავლით მიმდინარეობს ახალი თეორიისა და ჰიპოთეზების გენერირება იმ სფეროებში, სადაც თეორია არ არსებობს. ახალი ჰიპოთეზებისა და თეორიების გენერირება ხშირად ვითარდება კონკრეტული შემთხვევის კვლევების ანალიზიდან. ასეთი შემთხვევის შესწავლას შეიძლება დიდი თეორიული ღირებულება ჰქონდეს. ისინი, როგორც ნესი, საუკეთესოდ მუშაობენ, როდესაც ანალიზისთვის შერჩეული შემთხვევა უზრუნველყოფს იმას, რასაც ნაროლი (1966) უწოდებს ერთგვარ „გადამწყვეტ ექსპერიმენტს“, რომელშიც გარკვეული ინტერესის ცვლადებია. განსაკუთრებული შემთხვევის შესწავლა ფართოდ გამოიყენება შედარებით პოლიტიკაში. მათ აქვთ რამდენიმე ძირითადი ძლიერი მხარე. ისინი პოლიტიკური მოვლენების დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა, მდიდარი ტექსტური აღწერით. მათ ზოგადად აქვთ შედარებით მაღალი შიდა ვალიდობა. თუმცა, მიუხედავად ამ ძლიერი მხარეებისა, მათ საკმაოდ აშკარა შეზღუდვები გააჩნიათ, განსაკუთრებით იმის მხრივ, თუ რამდენად შეიძლება განზოგადდეს ერთი შემთხვევის კვლევის შედეგები სხვა კონტექსტში.

ყოველთვის ცხადი როდია, თუ როგორ გაკვეთილს გამოვიტანთ, თუკი საერთოდ შესაძლებელია შემთხვევის ანალიზიდან, სანამ იგივე ტიპის ანალიზი სხვაგან არ განმეორდება. მაშინაც კი, როდესაც აშკარად მსგავსი ჰიპოთეზები შემონმებულია სხვადასხვა კონტექსტში, მაინც შეიძლება რთული იყოს რაიმე მტკიცე დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, ადასტურებს თუ არა შედეგები (ან ასუსტებს) თავდაპირველ თეორიას, თუ ჰიპოთეზები არ იქნა გამოცდილი ზუსტად იმავე გზით თითოეულ შემთხვევაში. შედეგებში განსხვავება შეიძლება განპირობებული იყოს განსხვავებით მეთოდებში, მოდელის სპეციფიკაში (რომელი ფაქტორები განიხილება) ან გაზომვაში როგორ ხდება ძირითადი ცნებების ფუნქციონირება). ზოგიერთი პრობლემის შემცირების ერთ-ერთი აშკარა გზაა ანალიზში განხილული შემთხვევების რაოდენობის გაზრდა. ამ ტიპის შედარებითი კვლევა ცნობილია, როგორც მცირე რაოდენობის შედარება, სადაც N არის გამოკვლეული შემთხვევების რაოდენობა.

### **მცირე რაოდენობის შედარება**

ბევრი შედარებითი კვლევა ეფუძნება მცირე რაოდენობის ნიმუშებს. ეს, როგორც ნესი, მოიცავს ორი ან მეტი შემთხვევის შედარებას და, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს რეალური ზედა ზღვარი იმ შემთხვევების რაოდენობის შესახებ, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს, ის, ჩვეულებრივ, არ აღემატება ათეულზე მეტს. ამ ტიპის მცირე რაოდენობის შედარებითი კვლევები ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ კვლევებში და გარკვეული თვალსაზრისით შედარებითი ანალიზის კვინტესენციალური ფორმაა. კლასიკური მცირე რაოდენობის კვლევების მაგალითია მაიკლ ლუის-ბეკის (1986) ეკონომიკური ხმის მიცემის შესახებ ოთხი ქვეყნის კვლევა ბრიტან-

ნეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში; სეიმურ მარტინ ლიპსეტის (1959) კვლევა ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში დემოკრატიის სოციალური წინაპირობების შესახებ; ტელდა სკოკპოლის (1979) კვლევა რუსეთში, საფრანგეთსა და ჩინეთში რევოლუციის შესახებ და ბევრი სხვა.

რამდენიმე ქვეყნის სისტემურ ანალიზზე დაფუძნებულ ამ ტიპის შედარებებს ბევრი უპირატესობა აქვს. ისინი იძლევა შემთხვევის შესწავლის დეტალური სიღრმისეული ანალიზის საშუალებას, მაგრამ, ამავე დროს, ავლენს კონტექსტუალიზაციის უფრო დიდ შესაძლებლობებს. როგორც ასეთი, არ გამოტოვებენ არც კონკრეტულს და არც ზოგადს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის კვლევები შეიძლება იყოს ძალიან სასარგებლო ახალი იდეების გენერირებისთვის და კითხვებზე პასუხის გასაცემად, მათ პრობლემებიც გააჩნიათ. ანალიზისთვის შემთხვევების უყურადღებო შერჩევამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი შედეგების მიღება. როდესაც ჩვენ ვაანალიზებთ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ შემთხვევებს ვაანალიზებთ.

ამიტომ არგუმენტი დამაჯერებელი რომ იყოს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოსაზრებები და მკაფიოდ დასაბუთებული შემთხვევის შერჩევა. თუ შემთხვევები შერჩეულია შემთხვევით ან უყურადღებოდ, მაშინ არსებობს შერჩევის მიკერძოების ძალიან რეალური რისკი. შერჩევის მიკერძოებულობასთან დაკავშირებული პრობლემები მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს ყველა მცირე რაოდენობის შედარებაზე, რადგან საქმე გვაქვს მხოლოდ შემთხვევის შეზღუდულ რაოდენობასთან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ ვირჩევთ შემთხვევებს, რათა შევეცადოთ მინიმუმამდე დავიყვანოთ მიკერძოების წარმოშობის რისკი.

მცირე რაოდენობის შედარებები ეფუძნება თეორიის შესამოწმებლად შესაფერისი შემთხვევების სტრატეგიულ შერჩევას. აქედან გამომდინარე, შემთხვევების არჩევა დამოკიდებულია თეორიაზე, რომლის შემოწმებაც გვინტერესებს. მაგრამ, ამავე დროს, არსებობს მთელი რიგი ზოგადი პრინციპები, რომლებიც გვეხმარება შემთხვევის შერჩევაში. ძალიან იშვიათად გვინტერესებს ორი (ან მეტი) შემთხვევის შედარება, რომლებიც ერთნაირია ან სრულიად განსხვავებული.

პირიქით, ჩვენ ზოგადად გვინტერესებს შევადაროთ შემთხვევები, რომლებიც რაღაცით მსგავსია და სხვა მხრივ განსხვავებული. ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ რეალურ სამყაროში დანახული მსგავსებები და განსხვავებები, რათა დავინახოთ, შეესაბამება თუ არა დაკვირვებული ვარიაციების ნიმუში ჩვენს თეორიულ მოლოდინებს. ამ გზით შეგვიძლია შევამოწმოთ ჰიპოთეზები, რომლებიც სცილდება წმინდა საშინაო ფარგლებს, რათა გამოვიკვლიოთ, თუ როგორ მოქმედებს ქვეყნების მახასიათებლები და ქვეყნებს შორის ურთიერთობა პოლიტიკურ მოვლენებზე.

არსებობს ორი ძირითადი მიდგომა, რომლებიც გამოყენებული იქნა მცირე რაოდენობის კვლევებისთვის შემთხვევების შესარჩევად. ეს არის ყველაზე მსგავსი სისტემების დიზაინი (MSSD) და ყველაზე განსხვავებული სისტემების დიზაინი (MDS) (Przeworski and Teune 1970). ეს ეფუძნება, შესაბამისად, მილსის განსხვავების მეთოდსა და უთანხმოების მეთოდს.

თითოეული მიდგომა ოდნავ განსხვავებულად იყენებს დაკვირვებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რომლებსაც ქვეყნებს შორის ვხედავთ, თუმცა თითოეულის ლოგიკა საკმაოდ მსგავსია.

#### ყველაზე მსგავსი სისტემების დიზაინი (MSSD)

ამ ტიპის კლასიკური კვლევის მაგალითია დანიელ პოზნერის (2004) მიერ ჩატარებული კვლევა ეთნიკური განხეთქილების პოლიტიკური ნიშნის შესახებ. პოზნერს სურდა შეესწავლა ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია კულტურული განსხვავებების პოლიტიკურ გამორჩეულობასთან, კერძოდ, იმასთან, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ თუ მონინააღმდეგები. მისი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ეთნიკური განსხვავების პოლიტიკური გამორჩეულობა დაკავშირებულია მოცემული ჯგუფების მოსახლეობის რაოდენობასთან. როდესაც ორივე ეთნიკური ჯგუფი დიდია, ისინი ქმნიან პოლიტიკური მხარდაჭერის სიცოცხლისუნარიან ბაზას და, შესაბამისად, პოლიტიკოსები მოახდენენ ჯგუფების მობილიზებას, და მათ შორის არსებული განხეთქილება გახდება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი. მაგრამ, თუ ორივე ჯგუფი მცირეა, მაშინ ისინი დარჩებიან მობილიზების გარეშე და განხეთქილება პოლიტიკურად არარელევანტური დარჩება. ჯგუფებს შორის კულტურული განსხვავებები კვლავ იარსებებს, მაგრამ მათ არ ექნებათ პოლიტიკური მნიშვნელობა.

MSSD-ის გამოყენებით, პოზნერმა გამოიკვლია ეთნიკური განსხვავებების პოლიტიკური მნიშვნელობა ორ ტომს - ჩევას და ტუმბუკას შორის, რომლებიც მაღალი აბორიგენული დიდ ნაწილს შეადგენდნენ, მაგრამ ზამბიაში ელექტორატის მხოლოდ მცირე ნაწილს. ამით პოზნერმა შეძლო ეკონტროლებინა ფაქტორების ფართო სპექტრი, რომლებიც წინა კვლევის ვარაუდით მნიშვნელოვანი იყო. მთავარია გვახსოვდეს, რომ შემთხვევების შერჩევა თეორიულად ეფუძნება დამოუკიდებელ ცვლადებს და არა დამოკიდებულ ცვლადს. საკონტროლო ცვლადები არის ფაქტორები, რომლებსაც ეთნიკური ჯგუფები იზიარებენ თითოეულ ქვეყანაში. იდეალურ შემთხვევაში, ჩვენი საკონტროლო ცვლადები უნდა შეიცავდეს ცვლადებს, რომლებიც თეორიულად მნიშვნელოვანია, რადგან მნიშვნელოვანი ფაქტორის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლადის მიკერძოების გამოტოვება.

პოზნერის კვლევა აკონტროლებს ოთხ მნიშვნელოვან ფაქტორს, ცვლადებს A-დან D-მდე, რომლებიც, სავარაუდოდ, ზრდის ეთნიკური განსხვავებების გამორჩეულობას. ცვლადი A ორ ჯგუფს შორის რასობრივ განსხვავებებს ეხება, ცვლადი B - კულტურულ განსხვავებებს, ცვლადი C - პოლიტიკური სისტემის ისტორიულ განვითარებას და ცვლადი D - კოლონიალიზმის გამოცდილებას. მნიშვნელოვანია, რომ ცვლადი, რომელიც ეხება იმ ჰიპოთეზას, რომლის შემოწმებაც გვაინტერესებს, განსხვავდება ჩვენს შემთხვევაში. პოზნერის მაგალითში X ცვლადი ეხება ეთნიკური ჯგუფების ზომას.

პოზნერის თანახმად, ჩვენი მოლოდინია, რომ ეთნიკური ჯგუფების ზომის ცვალებადობა (ჩვენი ახსნა-განმარტებადი ფაქტორი) ასოცირდება ეთნიკური განხეთქილების გამორჩეულობის ცვალებადობასთან (რის ახსნასაც ვცდილობთ). ანუ, როდესაც ორივე ეთნიკური ჯგუფი დიდია, განხეთქილება,

რომელიც მათ ჰყოფს, იქნება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი და, შესაბამისად, ისინი იქნებიან მონინაალმდეგეები, მაგრამ როდესაც ჯგუფები მცირეა, განხეთქილება დარჩება პოლიტიკურად არარელევანტური და, შესაბამისად, ისინი იქნებიან მოკავშირეები. თუ ჩვენ ამ კანონზომიერებას შევნიშნავთ, მაშინ ჩვენი ჰიპოთეზა მყარდება. თუ ვერა - მაშინ ჩვენი ჰიპოთეზა არ არის მხარდაჭერილი. 9.2 ცხრილიდან ვხედავთ, რომ ჰიპოთეზა ნამდვილად ემყარება ემპირიულ ფუნდამენტს და რომ ეთნიკური განსხვავებების პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო მაღალია მაღავეში, სადაც ეთნიკური ჯგუფები ორივე დიდია, ვიდრე ზამბიაში, სადაც ჯგუფები მცირეა.

ცხრილი 9.2 ყველაზე მსგავსი სისტემების დინამიკა: ეთნიკური განსხვავებების პოლიტიკური გამორჩეულობა

ზამბია	მაღავი	
ა	ა	
ბ	ბ	საერთო მსგავსება
ც	ც	
დ	დ	
E = 0	E = 1	გადამწყვეტი განსხვავებები
დაბალი პოლიტიკური გამორჩეულობა	მაღალი პოლიტიკური გამორჩეულობა	

- შენიშვნები: A = რასობრივი განსხვავებები ჯგუფებს შორის;  
 B = კულტურული განსხვავებები ჯგუფებს შორის;  
 C = პოლიტიკური სისტემის ისტორიული განვითარება;  
 D = კოლონიალიზმის გამოცდილება;  
 E = (0 = ეთნიკური ჯგუფები მცირეა) (1 = ეთნიკური ჯგუფები დიდია).

რა თქმა უნდა, როდესაც საქმე გვაქვს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევასთან, ყოველთვის იქნება უამრავი პოტენციურად მნიშვნელოვანი განსხვავება შემთხვევებს შორის და შეუძლებელია მთლიანად გააკონტროლო ყველაფერი, რაც შეიძლება თეორიულად აქტუალური იყოს. რომელი შემთხვევაც არ უნდა ავირჩიოთ, მათ შორის ყოველთვის იქნება მრავალი განსხვავება, რაც ძალიან ართულებს იმის დადგენას, რომელია გადამწყვეტი განსხვავებები და რომელი არა.

თუმცა, ასევე არსებობს მრავალი პოტენციურად მნიშვნელოვანი განსხვავება ქვეყნებს შორის, რაც უკავშირდება ლიდერობას, სოციალურ დემოგრაფიასა და რელიგიას, ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, საერთაშორისო მხარდაჭერას და ა.შ. ძნელია დაადგინო ნყვილური შედარების გამოყენებით, ამ განსხვავებებიდან რომელია გადამწყვეტი მიზეზობრივი განსხვავება, თუმცა ზოგიერთი უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე სხვები. ასევე ძნელია იმის დადგენა, თუ ამ ცვლადების რა კომბინაციაა მნიშვნელოვანი. თუკი ჩვენს ანალიზს დავამატებდით მეტ შემთხვევას, შევძლებდით ზოგიერთი ყალბი განსხვავების აღმოფხვრას, რომელსაც ორ ქვეყანას შორის შევნიშნავთ, მაგრამ სინამდვილეში იშვიათად არსებობს საკმარისი შემ-

თხვევები, რომ ვიპოვოთ მსგავსებისა და განსხვავებების სწორი კომბინაცია, რაც გვჭირდება ჩვენი თეორიის სიზუსტის შესამოწმებლად.

### **ყველაზე განსხვავებული სისტემების დიზაინი (MDS)**

MDS-ის ლოგიკა არის ისეთი შემთხვევების შერჩევა, რომლებიც, უმეტესწილად, განსხვავებულია და მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ძირითად ახსნა-განმარტებითი ცვლადებით ემსგავსება ერთმანეთს. ამრიგად, ვადარებთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ მიდგომით გამოკვლეული განსხვავებები მნიშვნელოვან ცვლადებზე მოქმედებს როგორც კონტროლი, რათა შევამოწმოთ, არის თუ არა დამოკიდებულ ცვლადთან დაკავშირებული გადამწყვეტი მსგავსება, რომელსაც ქვეყნები იზიარებენ.

ამ მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია თედა სკოკპოლის (1979) ცნობილი კვლევა, რომელიც ადარებდა სოციალური რევოლუციების მიზეზებს სამ სხვადასხვა ქვეყანაში: რუსეთში (1917–21), საფრანგეთში (1787–1800) და ჩინეთში (1911–49).

ზოგადად, სკოკპოლის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ სოციალური რევოლუციები ხდება მაშინ, როდესაც გარე სამხედრო საფრთხეები იწვევს მმართველ ელიტაში განხეთქილების პროვოცირებას და გლეხური თემები სარგებლობენ ამ განხეთქილებით და აწყობენ აჯანყებას. თავისი ჰიპოთეზის შესამოწმებლად, სკოკპოლმა შეარჩია სამი სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად განსხვავებული ქვეყანა, რომლებიც მსგავსი იყვნენ იმით, რომ ჰყავდათ ავტონომიური გლეხური თემები და ჰქონდათ გარე სამხედრო საფრთხე, რომელმაც გამოიწვია განხეთქილება მმართველ ელიტაში. მთავარია გვახსოვდეს, რომ კლასიკური MDS მიდგომა ემყარება არა დამოკიდებულ ცვლადებს, არამედ დამოუკიდებელს. სკოკპოლის კვლევის შემთხვევაში საკამათოა, იყო თუ არა წესი დაცული. ამ მაგალითში საკონტროლო ცვლადებს წარმოადგენენ ის ფაქტორები, რაც განსხვავებულია ყოველი ქვეყნისათვის: სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი. ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადები, რაც გვანტერესებს, ერთანირია ყველა მათგანისათვის: განხეთქილება ელიტაში, გლეხთა აჯანყება და სახელმწიფოს დაშლა და, რაც მთავარია, შედეგის ცვლადი ერთი და იგივეა თითოეული ქვეყნისთვის, რადგან თითოეულ მათგანში მოხდა სოციალური რევოლუცია, რაც ადასტურებს საწყის ჰიპოთეზას.

### **მცირე რაოდენობის კვლევების საჭიროებოთ საკითხები**

მცირე რაოდენობის კვლევებში შემთხვევის შერჩევის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იმ შემთხვევებს, რომლებსაც ჩვენ ვირჩევთ გასაანალიზებლად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონკრეტულ კითხვაზე მიღებულ პასუხებზე და ეს მართალია, როდესაც ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას ვაანალიზებთ. შესაძლოა არასწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ამის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა დიდი რაოდენობის კვლევის ჩატარება და შემთხვევების შერჩევა შემთხვევითი ალბათობის პრინციპის გამოყენებით ან შემთხვევების სრული აღწერის ჩატარება. მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ეფექტური ვარიანტი. ასე რომ, გარკვეულწილად, მცირე

რაოდენობის კვლევებში ყოველთვის იქნება შერჩევის მიკერძოების რისკი ან თუნდაც ამის საშიშროება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლევა შექმნილია იმისათვის, რომ ნათელი მოჰფინოს უფრო ფართო მოვლენას და ერთგვარი განზოგადება მოახდინოს.

მცირე რაოდენობის კვლევაში შემთხვევების შერჩევის სხვადასხვა სტრატეგიის შედარებითი უპირატესობების შესახებ დისკუსია საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. ერთ-ერთი მთავარი შემოთავაზებული სტრატეგიაა შემთხვევების შერჩევა დამოუკიდებელ ცვლადებზე მათი მახასიათებლების მიხედვით, რომელსაც ლამის კანონის სტატუსი მიანიჭეს, თუმცა მას ზოგი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებს.

არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჩვენ ვირჩევთ დამოკიდებულ ცვლადს და არ მივაქცევთ საკმარის ყურადღებას დამოუკიდებელ ცვლადებს, შეიძლება უნებურად გამოვრიცხოთ მნიშვნელოვანი ფაქტორები ჩვენი ანალიზიდან ან ვერ მოვახერხოთ მათი ადეკვატური კონტროლი. ეს ნიშნავს, რომ ის, რაც ორ ცვლადს შორის ძლიერ მიზეზობრივ კავშირს ჰგავს, შეიძლება სინამდვილეში ყალბი იყოს. მაგალითად, დავუშვათ, გვინდა გამოვიკვლიოთ ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში. შეგვიძლია ავირჩიოთ სამი ქვეყანა, რომლებსაც აქვთ ქალების შედარებით მაღალი პროცენტი პარლამენტში, როგორიცაა შვედეთი (45 პროცენტი), ნორვეგია (40 პროცენტი) და ფინეთი (40 პროცენტი) და ვეცადოდ დავადგინოთ, რა საერთო ფაქტორები აქვთ მათ. ვინაიდან სამივე შემთხვევას აქვს პროპორციულ წარმომადგენლობაზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია და რომ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები ხელს უწყობს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ხელშეწყობას. მაგრამ ეს დასკვნა არასწორი იქნებოდა. რადგან არსებობს პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემების მქონე სხვა მრავალი ქვეყანა პარლამენტში ქალების დაბალი პროცენტით, როგორიცაა ბრაზილია (8 პროცენტი), თურქეთი (9 პროცენტი) და ურუგვაი (15 პროცენტი). სკანდინავიაში პარლამენტში ქალების პროცენტულ რაოდენობას შესაძლოა ნაკლებად ჰქონდეს საერთო საარჩევნო სისტემასთან და უფრო მეტად დაკავშირებული იყოს პოლიტიკური ელიტების მიერ პოლიტიკური რეკრუტირების სტრატეგიასთან ან ფართო საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასთან, რაც შესაძლოა ეგზოგენური იყოს ინსტიტუციური დიზაინისთვის. თუმცა, რადგან ჩვენ არ გავითვალისწინეთ ეს ფაქტორები ჩვენი შემთხვევების შერჩევისას, ძნელია იმის დადგენა, თუ რომელია მნიშვნელოვანი. დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით შემთხვევის არარჩევის პრობლემა ისაა, რომ ძალიან ართულებს პოტენციურად მნიშვნელოვანი ცვლადების კონტროლს.

როდესაც კვლევა თეორიაზე ორიენტირებულია, ყოველთვის უნდა გვქონდეს გარკვეული მოსაზრება, რომელიც წარმართავს ჩვენს კვლევას და, შესაბამისად, უნდა შევქმნათ ჩვენი კვლევა, რათა უზრუნველყოთ ამ მოსაზრების შესაბამისი შემოწმება. ამიტომ, თუ ჩვენი მოსაზრებაა, რომ საარჩევნო სისტემის ტიპი მნიშვნელოვანი ფაქტორია პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის განსაზღვრისათვის, გვსურს შევარჩიოთ შემთხვევები, რომლებიც ამის გამოკვლევის საშუალებას მოგვცემს, რაც გულისხმობს

შემთხვევების შერჩევას დამოუკიდებელი ცვლადების მიხედვით. მცირე რაოდენობის ანალიზში, ეს შეიძლება გაკეთდეს ან შემთხვევების არჩევით, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდება ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით (MSSD) ან შემთხვევების არჩევით, რომლებიც ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მსგავსია საკვანძო დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით (MDS). ორივე ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაკონტროლოთ პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტორები და, შესაბამისად, შევამციროთ ცრუ კავშირების მიღების რისკი.

MDS-ის განხორციელებისას ადვილია გავებათ ხაფანგში და შემთხვევების შერჩევა მოვახდინოთ დამოკიდებული ცვლადის მიხედვით. მაგალითად, თუ ჩვენ დავინტერესდებით რევოლუციების მიზეზის შესწავლით, შეიძლება გავჩინდეს ცდუნება, ავირჩიოთ სამი ქვეყანა, სადაც ადგილი ჰქონდა რევოლუციებს და ვნახოთ, რა აქვთ მათ საერთო. ეს არის, არსებითად, ის, რაც გააკეთა სკოკპოლმა რევოლუციების შესწავლისას, და რამაც გედესის კრიტიკა დაიმსახურა (2003). გედესი ამტკიცებს, რომ არსებობს უამრავი შემთხვევა, რომელიც არ შეესაბამება სკოკპოლის თეორიულ მოლოდინებს, სადაც არსებობდა გარე საფრთხის შემთხვევები, რომლებსაც არ გამოუწვევია სოციალური რევოლუცია, და რომ სკოკპოლმა თავისი შემთხვევები შეარჩია დამოკიდებული ცვლადის მიხედვით. ანუ, მან ისინი აირჩია არა იმიტომ, რომ მათ ყველამ განიცადა გლახური აჯანყება და სახელმწიფო კრახი, არამედ იმიტომ, რომ ყველამ გამოიარა სოციალური რევოლუცია.

თუმცა, დამოკიდებულ ცვლადზე შერჩევა შეიძლება ისევე მარტივად მოხდეს მსგავსი სისტემის დიზაინებში. მაგალითად, არ იქნებოდა გამართლებული ორი პოპულისტური ლიდერის მქონე და არმქონე შემთხვევების შერჩევა და მათი შედარება განსხვავების აღმოჩენის მიზნით, რადგანაც ორივე შემთხვევაში არსებობს მნიშვნელოვანი განმარტებითი ფაქტორის გამოტოვების ან არასწორად გათვალისწინების რისკი, რაც შედეგების მიკერძოებას გამოიწვევს. ამის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა დამოუკიდებელი ცვლადების მიხედვით შერჩევა.

ეს განსხვავება დაკავშირებულია კონცეპტუალიზაციის განსხვავებულ ფუნქციასთან და ვადებთან (იხ. Mair, ch. 10, and Kratochwil, ch. 5): ცნებები წინასწარაა განსაზღვრული და შემდეგ მუშავდება ცვლადზე ორიენტირებულ დიზაინში კვლევის დანყებისას და იგება (მათი სოციოლოგიური მნიშვნელობით) კვლევის მსვლელობისას შემთხვევებზე ორიენტირებულ დიზაინში. გარდა ამისა, იგი ასახავს ანალიზის ერთეულის განხილვაში განსხვავებებს: ცვლადზე ორიენტირებულ მიდგომებში, სტატისტიკური პროცედურები თავდაპირველ შემთხვევებს ცვლადების მნიშვნელობებად ანაწილებენ, ხოლო შემთხვევებზე ორიენტირებულ მიდგომებში ისინი ერთეულის თვისებას ინარჩუნებენ; ცვლადზე ორიენტირებულ მიდგომებში შემთხვევები ანონიმური ხდება; შემთხვევებზე ორიენტირებულებში ისინი კომპლექსური ერთეულებია, რომლებიც დიდი ასოებითაა აღნიშნული.

### შემთხვევების რაოდენობა

ორ „ლოგიკას“ ასევე განსხვავებული გავლენა აქვს შემთხვევების რაოდენობაზე. როგორც აღინიშნა, ცვლადის მიხედვით შედარება უპირატესობას ანიჭებს დიდ N-ს, რადგანაც ლიჯფარტის აზრით, შედარებითი მეთოდი უფრო სუსტ მეთოდად უნდა ჩაითვალოს, ამიტომ რეკომენდებულია სტატისტიკურ მეთოდზე გადასვლა, თუკი საკვლევად შემთხვევების საკმარისი რაოდენობა გვაქვს. სარტორიც აღნიშნავდა, რომ შედარებითი მეთოდის გამოყენება მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც ხელი არ მიგვიწვდება სხვა უფრო ძლიერ მეთოდებზე.

შემთხვევების რაოდენობის საკითხი ცვლადზე ორიენტირებული კვლევის დიზაინში გარკვეული სპეციფიკური წესებით განიხილება, რომლებიც თავისუფლების ხარისხის საკითხის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული (იხ. Franklin, თავი 13). შემთხვევების რაოდენობა უნდა განსხვავდებოდეს კვლე-

ვის დიზაინში შემავალი ცვლადების რაოდენობის მიხედვით: რაც უფრო დიდია ეს რიცხვი, მით უფრო სავარაუდოა, რომ რეგრესიის კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

განუსაზღვრელი კვლევის დიზაინი, რომელსაც შემთხვევების უფრო მცირე რაოდენობა გააჩნია, განისაზღვრება, როგორც დიზაინი, რომლისგანაც „ფაქტობრივად ვერაფერს შეიტყობთ მიზეზობრივი ჰიპოთეზების შესახებ“, რადგან მკვლევარს „უფრო მეტი დასკვნის გაკეთების საშუალება აქვს, ვიდრე დაკვირვების შედეგებია“ (King, Keohane, Verba 1994: 118–19).

ამ მიდგომის ფარგლებში, საქმის შესწავლა სასარგებლოდ ითვლება ძირითადად ჰიპოთეზების გაყალბებისთვის ან მათი დაზუსტებისთვის დევიანტური შემთხვევების ანალიზის გზით. ლიჯფარტის (1975) აზრით, შემთხვევის შესწავლა სხვა მეთოდებისგან იმით განსხვავდება, რომ მას არ შეუძლია ემპირიული განზოგადება და არც ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენება. მისი კონტექსტზე დამოკიდებული, იდეოგრაფიული ცოდნა ნაკლებად სასარგებლოა სოციალური მეცნიერებებისთვის, ვიდრე ზოგადი ცოდნა, რომელიც მიღებულია დიდი N, ცვლადზე ორიენტირებული კვლევებიდან.

შემთხვევებზე ორიენტირებული მკვლევრები, მეორეს მხრივ, ეწინააღმდეგებიან წინადადებას, რომ შემთხვევების რაოდენობის გაზრდა იწვევს კვლევის „უკეთესად განსაზღვრულ“ დიზაინს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამენ მეთოდოლოგიურ დანაკარგებს N-ის მატებასთან ერთად, განსაკუთრებით კროსნაციონალური შედარებისას. პირველი, შემთხვევების რაოდენობის ზრდა, ჩვეულებრივ, იწვევს მესამე ცვლადების - ანუ ჰიპოთეზის გარე ცვლადების რაოდენობის ზრდას, რომლითაც შემცირდება ჩვენი დასკვნის სანდოობა ან მოხდება N-ის შემდგომი ზრდა (ამ საკითხზე, იხ. Morlino 1990: 387–8). მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტებს ნამდვილად შეუძლიათ მესამე ცვლადის მუდმივი შენარჩუნება, მიზეზობრიობის დასკვნა შესაძლებელია მხოლოდ დაკვირვებით კვლევებში, თუ მკვლევარი აწესებს „რამდენიმე შემზღუდავ ვარაუდს, რომელთა შემოწმება ან დაცვა ციკლი რთულია“ (Collier, Seawright, Munck 2004: 48). განუსაზღვრელობა, ასევე, შეიძლება წარმოიშვას მულტიკოლნეარობიდან, სადაც ორი ან მეტი დამოუკიდებელი ცვლადი ერთად მოძრაობს.

ბოლოდროინდელმა დებატებმა შემთხვევის შესწავლისა და მცირე N-ის შედარების შესახებ ეჭვქვეშ დააყენა იდეა, რომ დიდი რაოდენობის შესაბამისი ფაქტორებისა და პირობების გავლენის შესწავლა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში არ უწყობს ხელს რაიმეს შესწავლას, რაც თეორიულად რელევანტურია. შემთხვევის შესწავლა იმისათვის მოსწონთ, რომ მას გააჩნია პროცესების დეტალური ცოდნა და განიხილება, როგორც სოციალური მექანიზმების აღმოჩენისთვის განსაკუთრებით სასარგებლო. ამ თვალსაზრისით, შემთხვევის შესწავლა სცილდება ერთი დაკვირვების ფარგლებს, და ანალიტიკური წინადადებების დაპირისპირება მონაცემთა მრავალი პუნქტით შეიძლება სასარგებლო იყოს არა მხოლოდ თეორიის შესაქმნელად, არამედ თეორიის ტესტირებისთვისაც.

## შემთხვევების შერჩევა

შემთხვევების რაოდენობის არჩევანი დაკავშირებულია შემთხვევების ტიპებთან. ცვლადზე ორიენტირებულ დიზაინში, ნიმუშის შერჩევის მეთოდები, ჩვეულებრივ, შემოიფარგლება სტატისტიკური წესებით. შემთხვევითი ნიმუშები (ან სტრატეგიცირებული) მაშინ არის სასურველი, როდესაც მთავარი მიზანია ვარიაციის არასასურველი წყაროების რანდომიზაცია. კინგი, კოჰანე და ვერბა აცხადებენ, რომ შემთხვევითი შერჩევა შემთხვევების შერჩევის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო გზაა, გარკვეული ამკარა უპირატესობებით, მაგრამ გამოყენებადობის რთული წინაპირობებით. არა მხოლოდ ხარისხობრივ კვლევაში, არამედ ბევრ რაოდენობრივ კვლევაშიც, შეიძლება არ იყოს შესაძლებელი შემთხვევითი შერჩევა, რადგან შემთხვევების სამყარო მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. მაშინაც კი, როდესაც ეს შესაძლებელია, ეს ყოველთვის საუკეთესო სტრატეგია როდია, მნიშვნელოვანი შემთხვევების გამოტოვების რისკის გათვალისწინებით. ამ სიტუაციებში, ისინი გვთავაზობენ დაკვირვებების შერჩევას, რომლებიც ახსნა-განმარტებით და საკონტროლო ცვლადებში ცვალებადობას უზრუნველყოფენ.

შემთხვევებზე ორიენტირებული კვლევა შემთხვევის შერჩევის განსხვავებულ სტრატეგიას მიჰყვება. მცირე N კვლევისთვის შემთხვევების შერჩევა, ამ პერსპექტივაში, არ უნდა შეფასდეს კლასიკური წესების საფუძველზე, რომლებიც სტატისტიკური (განსაკუთრებით რეგრესიული) ანალიზში შერჩევის მიკერძოების თავიდან აცილებაზეა ორიენტირებული.

დამოკიდებული ცვლადის მიხედვით არჩევა საკმაოდ გავრცელებული და ლეგიტიმური პრაქტიკაა. შემთხვევებზე ორიენტირებულ მკვლევრებს შეუძლიათ მიზანმიმართულად შეარჩიონ შემთხვევები, რომლებიც შედარებით მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისგან კვლევის შედეგების მიხედვით (Ragin 2004), განსაკუთრებით ფოკუსირდებიან პოზიტიურ შემთხვევებზე, ანუ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც არსებობს მოვლენა (როგორცაა რევოლუცია). ცვლადზე ორიენტირებული ანალიზისგან განსხვავებით, შემთხვევებზე ორიენტირებულ კვლევაში შემთხვევების შერჩევა მოითხოვს ჰიპოთეზების კონკრეტული ნაკრებისთვის მათი შესაბამისობის შეფასებას. გარდა ამისა, ზოგიერთი შემთხვევა განიხილება, როგორც უფრო არსებითად მნიშვნელოვანი და შეუსაბამო შემთხვევები დეტალურად არის შეფასებული. ასე რომ, რევოლუციების თეორია, რომელიც ვერ ახსნის 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციას, ძალიან პრობლემურია.

კვლევისთვის, რომელიც ორივე სტრატეგიას მისდევს, სმელსერმა (1976: 174) ჩამოთვალა შემთხვევის შერჩევის ხუთი კრიტერიუმი, რომლებიც შეიძლება ხელმძღვანელობდეს ჩვენს არჩევანს: [1] ანალიზის ერთეულები „უნდა შეესაბამებოდეს მკვლევრის მიერ დასმულ თეორიულ პრობლემას. . . [2] შესასწავლი ფენომენის მიზანთან შესაბამისია ... [3] ემპირიულად უცვლელია მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმთან მიმართებაში. . . [4] ასახავს ამ ერთეულზე მითითებულ მონაცემთა ხელმისაწვდომობის ხარისხს. . .“ და „[5] გადანყვეტილებები ანალიზის ერთეულების შერჩევისა და კლასიფიკაციის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტიზებულ და განმეორებად პროცედურებს„. თუმცა, შემთხვევების ყვე-

ლა არჩევანი გულისხმობს კომპრომისებს იმას შორის, რასაც გერინგმა (2001) უწოდა:

- ◆ სისრულე, რაც გულისხმობს შემთხვევების რაოდენობას: რაც უფრო დიდია შემთხვევების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, მით უფრო მაღალია ნდობა შედეგების მიმართ;
- ◆ შეზღუდულობა, რომელიც გულისხმობს განზოგადების დიაპაზონს და, შესაბამისად, შესაბამისი შემთხვევების ჩართვას, მაგრამ ასევე შეუსაბამო შემთხვევების გამორიცხვას;
- ◆ შედარება, რაც გულისხმობს შემთხვევების მსგავსებას ზოგიერთ შესაბამის განზომილებაში;
- ◆ დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს ერთეულების ავტონომიას: თუ ერთეული მკაცრად არის დაკავშირებული მეორესთან, არსებობს ერთი და იმავე ერთეულის ორჯერ შესწავლის რისკი;
- ◆ წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს ნიმუშის შესაძლებლობას ასახოს მთელი პოპულაციის თვისებები;
- ◆ ვარიაცია, რომელიც ეხება შესაბამის ცვლადებზე რეგისტრირებული მნიშვნელობების დიაპაზონს;
- ◆ ანალიტიკური სარგებლიანობა, შესამონმეებელი თეორიის ან არჩეული სამეცნიერო მიდგომის მითითებით;
- ◆ განმეორებადობა, რაც გულისხმობს კვლევის გამეორების შესაძლებლობას;

ამ სპეციფიკაციების მიუხედავად, შედარებითი სოციალური მეცნიერება რჩება ფართო სფეროდ, შედარების მრავალი სტრატეგიით და მეცნიერთა პრეფერენციები შემთხვევების რაოდენობაზე დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მაგალითად, 1960-იან წლებში შედარებით პოლიტიკასთან მიმართებით მზარდი ყურადღების ცენტრში იყო ფართომასშტაბიანი შედარებები. 1970-იანი წლების შემდეგ ალორძინდა მცირე რაოდენობის ქვეყნების შედარებები, რომლებიც ხშირად ანალიზდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (Collier 1990).

თავის თვისობრივ შედარებით ანალიზში ჩარლზ რაგინი (1987, 1994, 2000) გვთავაზობს შუალედურ სტრატეგიას. იგი დაფუძნებულია ლოგის (ბულის) ალგებრაზე და ეყრდნობა საშუალო-N შედარებას, რომელიც დაფუძნებულია მსგავსებისა და განსხვავებების ანალიზზე საჭირო და საკმარისი პირობების ძიებაში. იგი ადარებს მიზეზების კონფიგურაციას - ანუ ფაქტორების ერთდროული არსებობის/არარსებობის შედეგებს და არა თითოეული მათგანის არსებობას ან არარსებობას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მიჰყვება დეტერმინისტულ ლოგიკას, ის მრავალჯერადი მიზეზობრიობის საშუალებას იძლევა მიზეზების რამდენიმე სხვადასხვა კომბინაციის ანალიზის გზით. შემთხვევის შესწავლის გამოყენება გრძელდება განსაკუთრებით ნეონსტიტუციური მიდგომების, ისტორიული სოციოლოგიის ან საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში, თუმცა, განიხილება, როგორც მთავარი სტრატეგია რთული ისტორიული ფენომენების მოსაგვარებლად (იხ. Vennesson, თავი 12, და Steinmo, თავი 7).

## მსგავსი განსხვავებული შემთხვევების წინააღმდეგ

პრეფერენციები განსხვავდება არა მხოლოდ შემთხვევების რაოდენობის, არამედ მათ შორის მსგავსება/განსხვავებების სწორი ბალანსის მიხედვით. გამოვლინდა ორი განსხვავებული სტრატეგია: ეგრეთ წოდებული მსგავსი სისტემების დიზაინი, რომელშიც ვადარებთ მსგავს შემთხვევებს და განსხვავებული სისტემების დიზაინი, სადაც ვადარებთ განსხვავებულებს.

მსგავს სისტემებთან (მაგალითად, მსგავს ქვეყნებთან) მუშაობა აადვილებს წესის დაცვას სხვა თანაბარ პირობებში - ანუ ამცირებს იმ „ხელისშემშლელი“ ცვლადების რაოდენობას, რომელიც კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. ლიფფარტის თანახმად, შედარებითი ანალიზის შემთხვევები უნდა შეირჩეს ისე, რომ მაქსიმალურად გაზარდოს დამოუკიდებელი ცვლადების დისპერსია, მაგრამ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი საკონტროლო ცვლადების ვარიაცია. მსგავსი სისტემების დიზაინის ფარგლებში, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შერჩეული ქვეყნებისთვის საერთო ფაქტორები არარელევანტურია ზოგიერთი დაკვირვებადი განსხვავებების ახსნისათვის, ნაცვლად ამისა, ფოკუსირება ხდება განსხვავებულ ცვლადებზე. მაგალითად, თუ გვსურს ავხსნათ, რატომ გავრცელდა მემარცხენე ტერორიზმი 1970-იან წლებში იტალიაში, მაგრამ არა საფრანგეთში, ჩვენ არ აღვნიშნავთ არც კომუნისტური პარტიის არსებობას და არც ინდუსტრიული ურთიერთობების პლურალისტურ სისტემას, რადგან მათ ორივე ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების ბევრ დარგში, კროსნაციონალური შედარება ხშირად ეხება ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მიეკუთვნებიან საერთო გეოგრაფიულ არეალს (როგორიცაა სამხრეთ ევროპა ან აღმოსავლეთ ევროპა) და საერთო ისტორიული ტრადიციები, კულტურული თვისებები ან ეკონომიკური განვითარება აქვთ. უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი ცვლადი „პარამეტრიზებულია“: თუ ჩვენ გვაქვს ეკონომიკური განვითარების მეტ-ნაკლებად იგივე დონე, მსგავსი კულტურა და ა.შ., შეგვიძლია ეს მახასიათებლები მუდმივად მივიჩნიოთ და შევამოწმოთ სხვა ფაქტორების გავლენა.

თუმცა, მინუსი არის ის, რომ მსგავსი სისტემების შედარებისას ჩვენ არ შეგვიძლია გავცდეთ ეგრეთ წოდებულ საშუალო დიაპაზონის თეორიებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ შეზღუდულ ზონაში. დამატებითი პრობლემა ის არის, რომ მსგავსი შემთხვევების შედარება კვლავ ღიად ტოვებს გადაჭარბებული დეტერმინაციის რისკის საკითხს (Przeworski and Teune 1970), სადაც შეიძლება მრავალი ცვლადი ჩაერიოს და ვერ მოხდეს მათი გავლენის გაკონტროლება. შედარებული სიტუაციების კონტექსტი არასოდეს არის ისეთი მსგავსი, რომ შეგვეძლოს გარემოს ზემოქმედება ნულოვნად მივიჩნიოთ. შესაბამისად, მკვლევარი ვერასოდეს გამორიცხავს თავისი დასკვნებიდან იმ კონტექსტუალურ ცვლადებს, რომლებიც მან მუდმივად ვერ შეინარჩუნა (Dogan and Passy 1990).

შემთხვევებს შორის განსხვავებების მაქსიმალური გაზრდით, ჩვენ შეგვიძლია განზოგადება მოვახდინოთ შეზღუდული ზონის მიღმა, თუმცა დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, რომელიც კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. როგორც პრეფერენსი და ტეუნე (1970: 35) ვარა-

უდობენ, ყველაზე განსხვავებული სისტემების დიზაინში, არჩევანი მდგომარეობს, ფაქტობრივად, სხვადასხვა ქვეყნის შერჩევაში, რათა გამოვლინდეს ის დამოუკიდებელი ცვლადები, რომლებიც შეინიშნება იმ სისტემებში, რომლებიც არ არღვევენ მთლიანი მოსახლეობის ჰომოგენურობის დაშვებას. ყველაზე განსხვავებული სისტემების დიზაინი საშუალებას გაძლევთ შეამოწმოთ რამდენად ჭეშმარიტია კორელაცია, არა აქვს მნიშვნელობა რომელ ქვეყანაში. ამ ტიპის ანალიზი ფოკუსირებულია უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე სისტემური - ყველაზე ხშირად ცალკეული აქტორების დონეზე (Przeworski and Teune 1970). ეს ეყრდნობა დაშვებას, რომ ინდივიდები ერთნაირად იმოქმედებენ იმავე სტიმულის წინაშე; ამიტომ მკვლევრები ეძებენ ზოგად განცხადებებს, რომლებიც საყოველთაოდ ჭეშმარიტია. კვლევის სტრატეგია, რომელსაც მათი წარმოქმნა შეუძლია, ეფუძნება მსოფლიოს მოსახლეობის შემთხვევით ნიმუშებს, მიუხედავად სოციალური სისტემებისა, რომელსაც ინდივიდები, ჯგუფები ან ქვესისტემები მიეკუთვნებიან. ასე რომ, სოციალური მეცნიერების თეორიები მიზნად უნდა ისახავდნენ არა მოვლენების რაც შეიძლება ზუსტად ახსნას მათ სპეციფიკურ ისტორიულ გარემოებებში, არამედ მათ ახსნას იქ და მაშინ, სადაც და როცა წარმოიქმნებიან (Przeworski და Teune 1970).

როდესაც ცვლადებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება იმ სისტემურ ცვლადებს, რომლებიც ეხება ინდივიდს, პრჟევორსკი და ტეუნე (1970: 7) აღიარებენ, რომ სოციალური მეცნიერება, რომელიც დაფუძნებულია ამ სახის ვარაუდებზე, იქნება „აპრიორი ა-ისტორიული“. ასე რომ, კვლევაში ინდივიდუალური პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ შერჩეულ იქნა ინდივიდები სხვადასხვა ქვეყნიდან საერთო კანონზომიერების გამოვლენის მიზნით, როგორცაა მაგალითად, ვერბას, ნისა და კიმის (Verba, Nie and Kim, 1978) კვლევა პოლიტიკურ მონაწილეობაზე სოციალური უთანასწორობის გავლენის შესახებ „პირველი“, „მეორე“ და „მესამე“ სამყაროების შვიდ ქვეყანაში.

ყველაზე განსხვავებული სისტემების დიზაინს, რომელიც სასარგებლოა მონაწილეობის ზოგიერთი მიკროდინამიკის გამოსაკვლევად, აქვს ნაკლოვანებები. ყველაზე ამბიციური პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს მოვლენების ახსნას მთელს მსოფლიოში, რისკის ქვეშ აღმოჩნდება იმ ჰიპოთეზებით, რომლებიც ცოტა რამეს ხსნის. როგორც წარსულმა მცდელობებმა აჩვენა, გლობალური თეორიების იმედი, სავარაუდოდ, გაუმართლებელი იქნება. მაგალითად, განვითარების ერთხელ და სამუდამოდ ახსნის ძიებამ გამოიწვია ისეთი ახსნა-განმატება, რომელიც ზუსტი ემპირიული სამუშაოსთვის ძალიან დიდი იყო (Verba 1991).

ყველაზე მსგავსი და განსხვავებული სისტემების დიზაინის განმარტება ეხება ანალიზის ერთეულებს, მაგრამ მას ასევე გავლენა აქვს ცოდნის ტიპზე, რომელსაც ჩვენ ვეძებთ. ძალიან ხშირად, ყველაზე განსხვავებული დიზაინი გამოიყენება განზოგადებული შედეგების მისაღებად - ანუ ისტორიულად უცვლელი კორელაციების მოსაძებნად. ყველაზე მსგავსი დიზაინი ხშირად სხვა ქვეყნებს მიმართავს ერთ ქვეყანაში შემუშავებული ჰიპოთეზის დასადასტურებლად. თუმცა, შეიძლება სხვა არჩევანი გვექონდეს. განსხვავებულ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები შეიძლება გამოყენებულ იქნას კონტექსტების შეპირისპირების მიზნით; ან მსგავს ქვეყნებს შორის

განსხვავებები შეიძლება მიზნად ისახავდეს ჰიპოთეზების დაზუსტებას. ისტორიულ სოციოლოგიაში მაკროისტორიული ანალიზი მიმდინარეობდა და გრძელდება სხვადასხვა გზით: ეძებს მოვლენის ერთ ან მრავალ ფორმას, ან ცდილობს ახსნას ერთი ან ყველა შემთხვევა (Tilly 1984).

იმ კვლევებს შორის, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ერთი ფორმის ძიებას, ინდივიდუალიზებული შედარებები განიხილავს თითოეულ შემთხვევას, როგორც უნიკალურს, ხოლო უნივერსალური შედარებები ავლენს საერთო თვისებებს მოვლენის ყველა შემთხვევაზე შორის. სხვა კვლევები ახდენენ მოვლენის მრავალ ფორმის იდენტიფიცირებას ან ერთი მაგალითის ყოვლისმომცველი ახსნისთვის, ან ყველა შემთხვევის ვარიაციების მოსაძებნად. როგორც ტილი აღიარებს, ემპირიული კვლევა, როგორც წესი, ერთდროულად მოიცავს სხვადასხვა სახის შედარებას იდეალური ტიპების შედარების გზით, მაგრამ ხშირად არსებობს იმპლიციტური ან აშკარა უპირატესობა ამა თუ იმ დიზაინის მიმართ. თუმცა, ალტერნატიულად, ყველაზე განსხვავებული სისტემები შეიძლება შეირჩეს დევიანტური ან პარადიგმატული შემთხვევების გამოსაკვლევად. ამ თვალსაზრისით, კარგი შემთხვევები არ არის ყველაზე ტიპური, მაგრამ ყველაზე მეტყველია, რადგან ისინი ხელს უწყობენ თეორიული პრობლემების გარკვევას. კერძოდ, თვისებრივი ანალიტიკოსები ხშირად ირჩევენ შემთხვევებს, სადაც მიიღება ინტერესის შედეგები (დადებითი შემთხვევები). ამ სტრატეგიას, მიუხედავად იმისა, რომ აკრიტიკებენ, იცავენ, როგორც განსაკუთრებით სასარგებლოს გარკვეული შედეგებისკენ მიმავალი სხვადასხვა გზების გამოყოფისთვის (Mahoney and Goertz 2006). გარდა ამისა, „პოზიტიური შემთხვევების“ შერჩევა შეიძლება ჩაითვალოს არჩევნად, რომელიც ორიენტირებულია ზოგიერთი მოვლენის, განსაკუთრებით იშვიათი შემთხვევების, მაგ. რევოლუციების, აუცილებელი მიზეზების პოვნაზე. ამ თვალსაზრისით, ის უფრო მეტად არის დაკავშირებული პოპულაციის განსაზღვრებასთან, ვიდრე „დამოკიდებული ცვლადის“ განმარტებასთან.

მკვლევრის ინდივიდუალური პრეფერენციების გარდა, კვლევის სხვადასხვა დიზაინი მიდრეკილია დაიცვას გარკვეული წესრიგი გარკვეული მოვლენის შესახებ ცოდნის დაგროვებაში. სკოკპოლი და სომერსი (Skocpol, Somers, 1980) გვთავაზობენ „კვლევის ციკლს“, რომელშიც შედარებითი მეთოდი ორიენტირებულია შემდეგზე: (ა) მაკრომიზეზობრივი ანალიზი, რომელშიც ისტორიული შემთხვევები შედარებულია მაკროდონის სტრუქტურებისა და პროცესების შესახებ მიზეზობრივი დასკვნების გაკეთების მიზნით; ბ) თეორიების პარალელური დემონსტრირება, ძველი თეორიების გამოყენება ახალ შემთხვევებზე და (გ) კონტექსტების შეპირისპირება, კვლევაში ჩართული „თითოეული კონკრეტული შემთხვევის უნიკალური მახასიათებლის გამოვლენის“ სანაცვლოდ. ამის თანახმად, ცოდნის დაგროვებისათვის ერთმანეთს ავსებს სამი ლოგიკა:

პარალელური შედარებითი ისტორია მიდრეკილია გამოიწვიოს შეპირისპირებაზე ორიენტირებული არგუმენტები, როდესაც ჩნდება ზედმეტად განზოგადებული სოციალური მეცნიერული თეორიის საზღვრების დაწესების აუცილებლობა. შეპირისპირებაზე ორიენტირებულმა შედარებებმა ის-

ტორიამ შეიძლება გამოიწვიოს მაკროანალიტიკური არგუმენტები, როდესაც ისტორიული ტრაექტორიების შედარება იწყებს შესამომწებელი მიზეზ-შედეგობრივი ჰიპოთეზების შემოთავაზებას. და ბოლოს, მაკროანალიტიკურ შედარებით ისტორიას შეუძლია წარმოშვას მოთხოვნა ისეთი ზოგადი თეორიის შესახებ, რომელიც წინ უსწრებს პარალელური შედარებითი ანალიზის აგებას.

#### **დრო და ისტორია შედარებით პოლიტიკაში**

ანალიზის ერთეულების განსაზღვრა და შემთხვევების შერჩევა ასევე მოიცავს სხვა სტრატეგიულ არჩევანს – დროის გამოყენებას. ისტორიული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია შემთხვევებზე ორიენტირებული კვლევის დიზაინისთვის, რომლებიც განსაზღვრებით კონტექსტზეა დაკავშირებული. გრძელვადიანი პროცესები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „შიდა“ ინტერპრეტაციისთვის. ცვლადზე ორიენტირებულ ანალიზს ნაკლებად სჭირდება ისტორიული სიღრმე, რომელიც მიმართულია ზოგად ცოდნაზე. თუმცა, განსაკუთრებით შედარებითი პოლიტიკის სფეროში, ცვლადებზე ორიენტირებულ მიდგომასაც დროის გამოყენების განსაკუთრებული ინტერესი აქვს, განსაკუთრებით პერიოდიზაციის სახით, რომელიც იძლევა ანალიზის (ქვე)ერთეულების გამრავლების საშუალებას. ასე რომ, ერთი და იგივე ქვეყანა სხვადასხვა დროს შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ცალკეული შემთხვევების ერთობლიობა. ამას ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალურ მეცნიერებებში (Bartolini 1993: 131).

ისტორიაზე მითითებები ავტომატურად არ წარმოადგენს დიაქრონიული კვლევის დიზაინს ანუ მონაცემთა მატრიცას, რომელიც მოიცავს დროში მინიმუმ ორი პუნქტის შეგროვებას. მაგალითად, თედა სკოპოლის (Theda Skocpol) კლასიკური ნაშრომი რევოლუციებზე (1979) ეხება მილის (Mill) შეთანხმებისა და განსხვავებების მეთოდებს, მაგრამ დროის ცვლადის სახით შემოღების გარეშე. სტეფანო ბარტოლინის (1993: 135) მიხედვით, ეს არის კვლევის დიზაინის მაგალითი, რომელიც დაფუძნებულია კროსსინქრონული დისპერსიის დაკვირვებაზე: „ისტორია იმყოფება შორეულ წარსულში მდებარე მოვლენების უდაო „ისტორიულობაში“; მაგრამ სქემაში არ არის დრო, არ არის განსხვავება დროებითი განზომილების გასწვრივ განხილულ ცვლადებში და, შესაბამისად, არ არსებობს მეთოდი, რომელიც კონკრეტულად ისტორიულია. ბარტოლინი მოუწოდებს გამოიყენონ დრო კვლევის დიზაინის საშუალებით, რომლებიც აშკარად დიაქრონიულია ანუ, რომელიც დაფუძნებულია მონაცემების შეგროვებაზე ისტორიის რამდენიმე მომენტში. ძალიან ხშირად, შემთხვევის შესწავლა ანალიზებს ზოგიერთი მახასიათებლის განვითარებას ერთ ერთეულში გარკვეული დროის მანძილზე; შემდეგ ხდება შედარება პერიოდებს შორის. მრავალი ცვლადის პარამეტრიზაციისა და სიღრმისეული ისტორიული ცოდნის გათვალისწინებით, კროს - დროის შედარება ერთ ერთეულში ბევრ უპირატესობას გთავაზობს ჰიპოთეზის შესაქმნელად.

ერთი ქვეყნის ისტორიული ანალიზი სასარგებლოა ახალ სფეროებში ჰიპოთეზების შემუშავებისათვის, რამდენადაც მათ შეუძლიათ აკონტროლონ - ან თუნდაც, იცოდნენ დამოუკიდებელი ცვლადების ფართო სპექტრის შესახებ, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ ჰიპოთეზის კონტროლს.

ის, რაც ჭეშმარიტია გარკვეულ ქვეყანაში (თავისებური კულტურით, სოციალური სტრუქტურით, ეკონომიკური განვითარების მოდელით და, განსაკუთრებით, ყველა განსხვავებული ცვლადის კონფიგურაციით), სულაც არ არის ჭეშმარიტი სხვა ქვეყანაში. კროსნაციონალური დიაქრონიული კვლევები მიდრეკილია მიაღწიოს განზოგადების უფრო მაღალ დონეებს და დააკონკრეტოს ჰიპოთეზები, რომლებიც განვითარებულია ისტორიული შემთხვევის კვლევებში, რომლებიც მიზნად ისახავს A ქვეყნის შემთხვევის შედარებას X მომენტში B ქვეყნის შემთხვევასთან Y და Z. W მომენტებში.

ცვლადზე ორიენტირებული სტრატეგიის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების რაოდენობის გაზრდას აქვს ის მინუსი, რომ იზრდება კონტროლის ქვეშ მყოფი ცვლადების რაოდენობა, დროის მონაკვეთის გაფართოება ამცირებს ამ რისკს, რაც შესაძლებელს ხდის გაანალიზებული შემთხვევების სიღრმისეული ისტორიული ცოდნა მოვიპოვოთ.

დიაქრონიული კვლევის დიზაინის გამოყენება განსაკუთრებით ხშირია, როდესაც ჩვენ ველოდებით შესაბამის ცვლილებებს ზოგიერთ განზომილებაში დრო  $t$  და დრო  $t+n$  შორის. ამ თვალსაზრისით, ჩვენ განვიხილავთ დროს, როგორც ცვლადს. ეს კეთდება, მაგალითად, განვითარების პროცესების კვლევისას, რომელიც ითვალისწინებს ინტერესს ეტაპების ან ზღვრების, კრიზისისა და გარდამავალი ფაზების ან ტენდენციებისა და თანმიმდევრობების მიმართ. დრო ძირითადად განვითარების გრანდიოზულ თეორიებში, რომლებიც ხშირად იყენებენ ტელეოლოგიურ სქემას, სადაც „პრიმიტიული“ ეტაპის აღწერა იძლევა განვითარების მრავალი ფაქტორის იდენტიფიცირების საშუალებას, რომლებიც შემდეგ მიუთითებენ მომავალ მიმართულებაზე“ (Bartolini 1993: 143).

პოლიტიკური მოდერნიზაციის ნიმუშში ჩართული სხვადასხვა ფაზის, ეტაპისა და ზღვრების დრო განსაკუთრებით ნათელია სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიზაციის გასაგებად. ეს ანალიზები, როგორც წესი, იზიარებენ იმ ზოგ რამეს, რასაც ისტორიული სოციოლოგი უილიამ ჰ. სეველი (1996) უწოდებს ტელეოლოგიურ დროებითობას, რომელიც ხსნის მოვლენებს აბსტრაქტული ტრანსისტორიული პროცესების მეშვეობით „ნაკლებად მეტისკენ“ (ვთქვათ, ურბანიზაცია ან ინდუსტრიალიზაცია) და ექსპერიმენტულ დროებითობას, რომელიც ადარებს სხვადასხვა ისტორიულ გზებს (მაგალითად, რევოლუცია არარევოლუციის წინააღმდეგ, დემოკრატია არადემოკრატიის წინააღმდეგ).

მაჰონი ყურადღებას ამახვილებს მიზეზობრივი დასკვნის შეფასების სტრატეგიაზე, რომელსაც იგი უწოდებს ნარატივს, ნომინალური და რიგითი მიდგომებისგან განსხვავებით. მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური სტრატეგია (ნომინალური ცვლადების გამოყენებით) ეყრდნობა მილის მსგავსებისა და განსხვავებების ლოგიკას და, შესაბამისად, დეტერმინისტულია, და რიგითი სტრატეგია იძლევა თანმხლები ვარიაციების (ალბათობით) ანალიზს, ხოლო ნარატიული სტრატეგია მიმართავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა რევოლუციები, როგორც „უნიკალური პროდუქტი“, დროებით მოწესრიგებული და თანმიმდევრულად განვითარებადი მოვლენები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ჩნდება (Mahoney 1999: 1164). ნარატიულ სტრატეგიაში

„მიზეზობრივი არგუმენტის განსჯის ერთ-ერთი კრიტერიუმი ემყარება ანალიტიკოსის უნარს, აზრობრივად მოახდინოს კონკრეტული ინფორმაციის აგება შემთხვევის ისტორიასთან დაკავშირებით თანმიმდევრულ პროცესებში“. ამ გაგებით, ის საშუალებას აძლევს ადამიანს დაშლილ დონეზე გააკონტროლოს, აკავშირებს თუ არა განლაგებული მიზეზობრივი მექანიზმები ახსნა-განმარტებით ცვლადებს კონკრეტულ შედეგთან.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორი სტრატეგია გამოსადეგია ცვლადების აღმოფხვრის გზით ძუნწი თეორიების წარმოებისთვის, ნარატიული მეთოდი უკეთეს ქულებს იძენს სიღრმისეულ იდეოგრაფიულ ცოდნაში. მაგალითად, თუ გვსურს ავხსნათ, რატომ ვითარდება ტერორიზმი ზოგიერთ ქვეყანაში და არა სხვა ქვეყანაში, ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ ისეთი შემთხვევების შერჩევით, რომლებშიც იყო ან არ იყო ტერორიზმი და შევაპირისპიროთ ისინი ნომინალური ლოგიკის საფუძველზე. თუ ვენდობით სტატისტიკას ტერორისტული მოვლენების შესახებ, შესაძლოა, სანაცვლოდ გავზომოთ ტერორიზმის არსებობა სხვადასხვა ქვეყანაში და მოვახდინოთ მათი რიგის მიხედვით რანჟირება. თუმცა, ეს მონაცემები, როგორც წესი, სტატისტიკურია: ისინი საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ ცვლადები, რომლებიც არ არის აუცილებელი მიზეზები ან აქვთ დაბალი ან სტატისტიკურად უმნიშვნელო კორელაციის კოეფიციენტები, მაგრამ არ გვაძლევს საშუალებას შევხედოთ იმ პროცესებს, რომლებითაც ვითარდება ტერორიზმი. ამის ნაცვლად, ეს შეიძლება გაკეთდეს ერთი ან რამდენიმე შემთხვევის სიღრმისეული ნარატივის მეშვეობით, რომელშიც ტერორიზმი განვითარდა.

სეველი (1996) ასახავს დროსთან ურთიერთობის სხვა გზას: იყენებს მოვლენით დროებითობის ცნებას კვლევისთვის, რომელიც აღიარებს ისტორიაში მოვლენათა ძალას. მოვლენები განისაზღვრება, როგორც „შედარებით იშვიათ მოვლენათა ქვეკლასი, რომელიც მნიშვნელოვნად გარდაქმნის სტრუქტურას“ და დროებითობის მოვლენის კონცეფცია ითვალისწინებს სტრუქტურების გარდაქმნას მოვლენების მიხედვით. მოვლენები წარმოშობს ისტორიულ ცვლილებებს, ძირითადად, „იმ კულტურული კატეგორიების გარდაქმნით, რომლებიც აყალიბებენ და ზღუდავენ ადამიანის მოქმედებას“. იმის გამო, რომ მიზეზობრიობა, რომელიც მოქმედებს სოციალურ ურთიერთობებში, ნაწილობრივ მაინც არის დამოკიდებული კულტურული კატეგორიების შინაარსსა და ურთიერთობებზე, ამიტომაც მოვლენებს აქვთ სოციალური მიზეზობრიობის გარდაქმნის ძალა“ (Sewell 1996: 263).

როგორც დიაქრონიული შემთხვევის კვლევებისთვის, ასევე დიაქრონიული კროსნაციონალური შედარებისთვის, პერიოდიზაცია დელიკატური ნაბიჯია, ვინაიდან დროებითი დისპერსიის იდენტიფიცირებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს დროებითი ერთეულები, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთ დისპერსიას (Bartolini 1993). მიუხედავად იმისა, რომ სივრცითი ერთეულების გამოყოფა ხშირად ადვილია, რადგან ისინი განისაზღვრება გეოპოლიტიკური საზღვრებით, დროითი ერთეულების შემთხვევაში ასე არ არის. ფაქტობრივად, დროითი ვარიაცია ფასდება სხვადასხვა დროის წერტილებზე (გამოყოფილი მეტ-ნაკლებად რეგულარული ინტერვალებით) ან ერთმანეთის მიყოლებით პერიოდების ზოგად ხასიათზე დაკ-

ვირვებით. იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ შეიცვალა ცვლადი დროთა განმავლობაში, უნდა ავირჩიოთ დროის მნიშვნელოვანი წერტილები ანუ განვსაზღვროთ დრო 1, დრო 2 და ა.შ. სხვადასხვა პერიოდიზაცია შეიძლება კანონიერად გამოიყურებოდეს. ჩვენ გვჭირდება პერიოდიზაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი თეორიული მოდელის მიხედვით. მან უნდა გაითვალისწინოს დამოკიდებული ცვლადის ძირითადი ცვლილებები, მაგრამ მას არ შეუძლია უგულვებლყოს სხვა ოპერატიული ცვლადების ევოლუცია. უკვე ერთი ქვეყნის დიზაინში, ცვლადების გათვალისწინების აუცილებლობა, რომელიც განსხვავდება დროის მიხედვით, შეიძლება გულისხმობდეს რთულ არჩევანს სხვადასხვა პერიოდიზაციას შორის. კროსნაციონალურ დიზაინებში ჩვენ ვაწყდებით დამატებით პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყანაში შესაძარებელი პერიოდიზაციის პოვნასთან – მსგავსი ფაზები შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

ზოგიერთი პროექტი კვლევას ისტორიულ პერსპექტივაში ასახავს, აცნობიერებს ხანგრძლივ პერიოდს, სტრუქტურებს, როგორც „რეალობასა და სოციალურ მასებს შორის ურთიერთობების თანმიმდევრულ და საკმაოდ ფიქსირებულ სერიას“ (Braudel 1980: 31). ისტორიული სოციოლოგიის სფერო განსაკუთრებით მგრძობიარე იყო ამ საკითხის მიმართ. ამის მაგალითია ჩარლზ ტილის კვლევა (1986) ნაციონალური სახელმწიფოების ევოლუციაში კოლექტიური მოქმედების რეპერტუარების ცვლილების შესახებ, რომელიც მოიცავს საფრანგეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

#### დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ სოციალური მეცნიერების შედარებითი ანალიზის ორი ძირითადი ტიპი და მათი შემუშავების სხვადასხვა ფორმები. ერთი ტიპი ყურადღებას ამახვილებს შემთხვევების დიდ რაოდენობაზე, ქცევის კანონზომიერებებსა და უნივერსალურ ნიმუშებზე. მეორე კონცენტრირებულია კონტექსტზე, სირთულესა და განსხვავებაზე. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ისინი მიჰყვებიან ორ განსხვავებულ ლოგიკას, როგორც ეს მოცემულია მე-2 თავში. სხვები ამტკიცებენ, რომ არსებობს ერთი ლოგიკა და რომ ორივემ უნდა დაიცვას ერთი და იგივე ძირითადი წესები, თუმცა სხვადასხვა ტექნიკისა და მასალის გამოყენებით. პასუხი აშკარად დაკავშირებული იქნება „ლოგიკის“ (ჯერ კიდევ ბუნდოვან) კონცეპტუალიზაციასთან. ჰენრი ე. ბრეიდი და დევიდ კოლიერი (2004) აღნიშნავენ, რომ სოციალური კვლევა უნდა იცავდეს საერთო სტანდარტებს და, ამავე დროს, იძლეოდეს ხელსაწყოების მრავალფეროვნების საშუალებას. თუმცა, სოციალურ მეცნიერებებში ჯერ კიდევ ღიაა დისკუსია იმის შესახებ, თუ რომელი უნდა იყოს „საერთო სტანდარტები“ და რამდენად მოქმედებს „მრავალფეროვანი ხელსაწყოების“ არსებობა კვლევის დიზაინის სხვადასხვა ეტაპზე. ამ თავში, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კვლევის დიზაინის მრავალი არჩევანია იმაში, რაც ეხება კონცეპტუალიზაციას, შემთხვევის შერჩევას ახსნისა და დასკვნის კონცეფციას. ეს გავლენას ახდენს ფოკუსის (მეტ-ნაკლებად ონტოლოგიურ) პრეფერენციებზე, შემთხვევაზე ან ცვლადზე ორიენტირებულ დიზაინზე. თუმცა ეს არ ახდენს გავლენას ემპირიული კვლევის სტანდარტებზე, რომლებიც ორივე ლოგიკაში მაღალი უნდა იყოს.

## სტრუქტურირებული, მიზანმიმართული შეღარების მეთოდი

სტრუქტურირებული, მიზანმიმართული შეღარების მეთოდი და ლოგოკა მარტივი და პირდაპირია. მეთოდი „სტრუქტურირებულია“ იმით, რომ მკვლევარი წერს ზოგად კითხვებს, რომლებიც კვლევის მიზანს ასახავს და ეს კითხვები ესმის თითოეულ შესასწავლ შემთხვევას მონაცემთა შეგროვების წარმართვისა და სტანდარტიზების მიზნით, რითაც შესაძლებელი ხდება შემთხვევების დასკვნების სისტემატური შეღარება და კუმულაცია. მეთოდი „მიზანმიმართულია“ იმით, რომ ის ეხება მხოლოდ შესწავლილი ისტორიული შემთხვევების გარკვეულ ასპექტებს. სტრუქტურისა და მიზანმიმართულების მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება ცალკეულ შემთხვევებზე, ვინაიდან მათ, მოგვიანებით, შეიძლება დამატებითი შემთხვევები შეუერთდეს.

მეთოდი შემუშავებული იყო ისტორიული გამოცდილების შესასწავლად საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ სასარგებლო ზოგადი ცოდნის მიღების მიზნით. განსაკუთრებული გამოწვევა იყო ისეთი მოვლენის გაანალიზება, როგორცაა თავშეკავება. მისი მიზანი იყო გადაერწმუნებინა გადაწყვეტილების მიმღები პირები დაყრდნობდნენ ერთადერთ ისტორიულ ანალოგიას ახალი საქმის შესწავლისას.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბევრი პოლიტოლოგი ცოდნისა და თეორიის განვითარებისთვის საკმაოდ დადებითად და ენთუზიანზით იყო განწყობილი ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლის პერსპექტივისადმი. ჩატარდა მრავალი შემთხვევის კვლევა არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების, არამედ საჯარო ადმინისტრირების სფეროშიც, შეღარებითი პოლიტიკისა და ამერიკის პოლიტიკაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული შემთხვევის შესწავლა ხშირად ჭკუის სასწავლი/ან საგანმანათლებლო იყო, ისინი არ ექვემდებარებოდნენ მკაცრ შეღარებას ან მონესრიგებულ კუმულაციას. შედეგად, შემთხვევის შესწავლისადმი თავდაპირველი ენთუზიანზი თანდათან გაქრა და ქეისის შესწავლამ, როგორც თეორიის განვითარების სტრატეგიამ, რეპუტაცია დაკარგა. 1968 წელს ჯეიმს როზენაუმ გააკრიტიკა საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი შემთხვევები და ყურადღება გაამახვილა მათ არამეცნიერულ, არაკუმულაციურ ხასიათზე. როზენაუს დაკვირვებით, პოლიტოლოგებისა და ისტორიკოსების მიერ საგარეო პოლიტიკის ეს კვლევები არ იყო ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევისთვის შესაბამისი გზებით.

1955 წელს როი მაკრიდისმა და ბერნარდ ბრაუნმა გააკრიტიკეს ძველი „შეღარებითი პოლიტიკა“ იმის გამო, რომ, სხვა საკითხებთან ერთად, არ იყო ჭეშმარიტად შეღარებითი. ეს ადრინდელი კვლევები ძირითადად შედგებოდა ცალკეული შემთხვევისგან, რომლებიც ხშირად არსებითად აღწერითი და მონოგრაფიული იყო და არა თეორიაზე ორიენტირებული. მსგავსი შემოფოთება გამოითქვა საჯარო ადმინისტრაციის სფეროში.

მაშ, რა არის ზოგიერთი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქმის შესწავლის კვლევა ამ სირთულეების დასაძლევად?

უპირველეს ყოვლისა, მკვლევარმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სამყარო - ეს არის მოვლენების „კლასი“ ან „ქვეკლასი“, რომელსაც წარმოადგენს ცალკეული შემთხვევა ან შესასწავლი შემთხვევების ჯგუფი. ამრიგად, მოცემულ კვლევაში ყველა შემთხვევა უნდა იყოს მაგალითი, დაუშვათ, მხოლოდ ერთი მოვლენის შემთხვევები, მაგალითად, თავშეკავება ან იძულებითი დიპლომატია, ან კრიზისის მართვა ან სხვა რამ, რისი შესწავლა და თეორიის შემუშავება სურს მკვლევარს. ნებისმიერი მოცემული კვლევისთვის მოვლენათა კლასის ან ქვეკლასის იდენტიფიცირება დამოკიდებულია შესასწავლად არჩეულ პრობლემაზე.

მეორე, კარგად განსაზღვრული კვლევის მიზანი და შესაბამისი კვლევის სტრატეგია ამ მიზნის მისაღწევად, უნდა განსაზღვრავდეს ცალკეული შემთხვევის ან რამდენიმე შემთხვევის შერჩევასა და ანალიზს შესასწავლი მოვლენის კლასში ან ქვეკლასში. ქეისები არ უნდა შეირჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი „საინტერესოა“ ან იმის გამო, რომ საკმარისი მონაცემები არსებობს მათ შესასწავლად.

მესამე, შემთხვევის კვლევებმა უნდა გამოიყენოს თეორიული ინტერესის ცვლადები ახსნის მიზნებისთვის. ეს უნდა მოიცავდეს ცვლადებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გარკვეულ ბერკეტს პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რათა მათ საშუალება მიეცეთ გავლენა მოახდინონ შედეგებზე.

განვიხილოთ სტრუქტურირებული, მიზანმიმართული შედარების მეთოდის ორი მახასიათებელი. იგი სტატისტიკური (და გამოკითხვის) კვლევის მოდელიდან ისესხებს თითოეული შემთხვევის სტანდარტიზებული, ზოგადი კითხვების ნაკრებს. ეს კითხვები გულდასმით უნდა იყოს შემუშავებული, რათა ასახოს კვლევის მიზანი და კვლევის თეორიული აქცენტი. შედარებით კვლევებში შესაძარბელი მონაცემების მოპოვების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ზოგადი კითხვების ნაკრების გამოყენება. ეს პროცედურა საშუალებას აძლევს მკვლევარებს, თავიდან აიცილონ ტრადიციული, დაძაბული ცალკეული შემთხვევის კვლევების ძალიან ნაცნობი და იმედგამაცრუებელი ხაფანგი. მაშინაც კი, როდესაც ასეთი შემთხვევები მოვლენების კლასის მაგალითებს წარმოადგენდა, ისინი არ სრულდებოდა შედარებით და, შესაბამისად, ხელს არ უწყობდა ცოდნისა და თეორიის მონესრიგებულ, კუმულაციურ განვითარებას მოცემული მოვლენის შესახებ. სამაგიეროდ, ყოველი შემთხვევის შესწავლა მიისწრაფოდა თავისი გზით, ასახავდა თითოეული მკვლევარის განსაკუთრებულ ინტერესებს და ხშირად ყალიბდებოდა იოლად ხელმისაწვდომი ნებისმიერი ისტორიული მონაცემით. შედეგად, თითოეული შემთხვევის იდიოსინკრატული თავისებურებები ან თითოეული მკვლევარის სპეციფიკური ინტერესები აყალიბებდა კვლევის კითხვებს. გასაკვირი არ არის, რომ არ დაგროვდა „მეცნიერული ცნობიერებას“ მოკლებული ცალკეული შემთხვევის კვლევები.

მეთოდი ასევე მოითხოვს, რომ შემთხვევების შესწავლა იყოს „მიზანმიმართული“: ანუ, ისინი უნდა განხორციელდეს კონკრეტული კვლევის მიზნის გათვალისწინებით და ამ მიზნისთვის შესაბამისი თეორიული ფოკუსით. ერთი კვლევა ვერ განიხილავს ისტორიული მოვლენის ყველა საინტერესო

ასპექტს. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ერთი მოვლენა შეიძლება რელევანტური იყოს სხვადასხვა თეორიული კვლევისთვის.

მაგალითად, კუბის სარაკეტო კრიზისი გთავაზობთ სასარგებლო მასალას მრავალი განსხვავებული თეორიის შესამუშავებლად. ეს შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს და გამოიყენებულ იქნას როგორც თავშეკავების, იძულებითი დიპლომატიის, კრიზისის მენეჯმენტის, მოლაპარაკების, საგარეო პოლიტიკაზე საშინაო გავლენის, გადანაცვლებების მიღების პროცესში პიროვნების ჩართულობის და ა.შ. მაგალითი. თითოეული ეს მრავალფეროვანი თეორიული ინტერესები მკვლევრისგან მოითხოვს სხვადასხვა ფოკუსირებას, განსხვავებული თეორიული ჩარჩოს შემუშავებას და გამოყენებას და მონაცემთა მოთხოვნების განსხვავებული ნაკრების იდენტიფიცირებას. მკვლევრის მიერ ისტორიული ეპიზოდის დამუშავება შერჩევით უნდა იყოს მიზანმიმართული იმ თეორიის მიხედვით, რომლის განვითარებასაც მკვლევარი ცდილობს.

ერთი მიზეზი, რის გამოც წარსულში კონკრეტული მოვლენის ამდენი შემთხვევის შესწავლამ დიდად არ შეუწყო ხელი თეორიის განვითარებას, არის ის, რომ მათ არ ჰქონდათ მკაფიოდ განსაზღვრული და საერთო ფოკუსი. კონკრეტული ფენომენის კვლევაში ჩართული სხვადასხვა მკვლევრები ცდილობდა თავიანთი შემთხვევის შესწავლაში შეეტანათ სხვადასხვა თეორიული (და არათეორიული) ინტერესი. თითოეული შემთხვევის შესწავლა გულისხმობდა გარკვეულწილად განსხვავებული დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების შესწავლას. უფრო მეტიც, ბევრი შემთხვევის კვლევა არ ხელმძღვანელობდა კარგად განსაზღვრული თეორიული მიზნებით. გასაკვირი არ არის, რომ გვიანდელი მკვლევრები, რომლებსაც კარგად განსაზღვრული თეორიული ინტერესი ჰქონდათ ამ მოვლენის მიმართ, ხშირად აღმოაჩინდნენ, რომ ადრინდელ კვლევებს მცირე მნიშვნელობა ჰქონდა მათი მიზნებისთვის.

მკვლევრებისათვის მნიშვნელოვანია დაეყრდნონ წინარე კვლევებს და, რამდენადაც შესაძლებელია განსაზღვრონ ცვლადები ფორმალური, სტატისტიკური და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევის „განთავსება“ ლიტერატურის კონტექსტში არის გასაღები ახალი კვლევის წვლილის დასადგენად. რა თქმა უნდა, ხანდახან მკვლევრებს საჭიროდ მიაჩნიათ ცვლადების არსებული განმარტების მოდიფიცირება და ახალი განსაზღვრების დამატება, მაგრამ ისინი ამას უნდა აკეთებდნენ ზუსტად და გარკვევით.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურირებული, მიზანმიმართული შედარების ფორმატის მხოლოდ ფორმალური დაცვა კარგ შედეგს არ გამოიღებს. თითოეული შემთხვევისთვის სტანდარტიზებული, ზოგადი კითხვების ნაკრების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი მონყობილობა ღირებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კითხვები დაფუძნებულია და ადეკვატურად ასახავს კვლევის თეორიულ პერსპექტივას და კვლევის მიზნებს. ანალოგიურად, კვლევისთვის შერჩევითი თეორიული აქცენტი თავისთავად არაადეკვატური იქნება, თუ არ იქნება დაკავშირებული სტანდარტიზებული ზოგადი კითხვების შესაბამის კომპლექტთან.

შედარებითი შემთხვევის შესწავლისას სტრუქტურა და მიზანმიმართულება უფრო ადვილი მისაღწევია, თუ ერთი მკვლევარი არა მხოლოდ გეგმავს კვლევას, არამედ ახდენს ყველა შემთხვევის შესწავლას. სტრუქტურირებუ-

ლი, მიზანმიმართული შედარება უფრო რთული განსახორციელებელია ერთობლივი კვლევისას, როდესაც ყოველი შემთხვევის შესწავლა სხვადასხვა მეცნიერის მიერ ხორციელდება.

კოლაბორაციული კვლევები საგულდაგულოდ უნდა დაიგეგმოს, რათა ყველა მონაწილეზე აისახოს სტრუქტურისა და მიზნის მოთხოვნები. მთავარმა მკვლევარმა უნდა აკონტროლოს საქმის შესწავლის ჩატარება, რათა დარწმუნდეს, რომ მითითებები დაცულია შემთხვევის ავტორების მიერ და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს მაკორექტირებელი ქმედებები. კოლაბორაციულ კვლევაში შემთხვევის ავტორების მუშაობის სწორი კოორდინაცია შეიძლება რთული ამოცანა იყოს მთავარი მკვლევარისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მონაწილეები ჩამოყალიბებული მეცნიერები არიან, რომლებსაც აქვთ საკუთარი შეხედულებები იმ საქმის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ამზადებენ.

კარგი კოლაბორაციული კვლევის მაგალითია მაიკლ კრეპონისა და დენ კალდველის მიერ შემუშავებული სტრუქტურირებული, მიზანმიმართული შედარების ვერსია აშშ-ს სენატის შეიარაღების კონტროლის ხელშეკრულებების რატიფიცირების შემთხვევების ერთობლივი კვლევისთვის. ისინი გულდასმით აკონტროლებდნენ ცალკეული ავტორების მიერ გაიდლაინების დაცვას და, საჭიროების შემთხვევაში, ერეოდნენ თავაპირველი ან შესწორებული გაილაინის დაცვის უზრუნველსაყოფად.

#### **თემატური კვლევის შემუშავება**

##### **პირველი ფაზა: შემთხვევის კვლევის შემუშავება**

არსებობს თეორიაზე ორიენტირებული შემთხვევის შესწავლის შემუშავებისა და განხორციელების სამი ეტაპი. პირველ ფაზაში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები, დიზაინი და სტრუქტურა. მეორე ფაზაში თითოეული შემთხვევის შესწავლა ტარდება დიზაინის შესაბამისად. მესამე ფაზაში მკვლევარი ეყრდნობა შემთხვევის შესწავლის შედეგებს და აფასებს მათ კვლევის მიზნის მისაღწევად. ეს სამი ფაზა ურთიერთდამოკიდებულია და ხშირად საჭიროა გარკვეული იტერაცია, რათა უზრუნველვყოთ, რომ თითოეული ფაზა იყოს თანმიმდევრული და ინტეგრირებული სხვა ფაზებთან. მოცემულ თავში განხილულია პირველი ფაზა.

პირველი ფაზა - კვლევის დიზაინი - შედგება ხუთი ამოცანისგან. ეს ამოცანები აქტუალურია არა მხოლოდ შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგიისთვის, არამედ ყველა ტიპის სისტემატური, თეორიაზე ორიენტირებული კვლევისთვის. თეორიაზე ორიენტირებული შემთხვევის კვლევის დიზაინის ფაზას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. თუ კვლევის დიზაინი არაადეკვატური აღმოჩნდა, რთული იქნება კვლევის მიზნების მიღწევა. (რა თქმა უნდა, კვლევის ხარისხი ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად არის ჩატარებული მეორე და მესამე ფაზა.)

##### **ამოცანა 1: პრობლემის დაზუსტება და კვლევის მიზანი**

კვლევის მიზნის ფორმულირება ყველაზე მნიშვნელოვანი გადანყვეტილებაა კვლევის შემუშავებისას. კვლევისთვის ერთი ან მეტი მიზნის შერჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული მნიშვნელოვანი კვლევის პრობლემის ან

„თავსატეხის“ იდენტიფიცირებასთან. არ არის საკმარისი იმის მტკიცება, რომ პრობლემა მნიშვნელოვანია, პრობლემა უნდა იყოს ჩამოყალიბებული კარგად დასაბუთებულ შეფასებაში, რომელიც განსაზღვრავს ხარვეზებს ცოდნის ამჟამინდელ მდგომარეობაში, აღიარებს ურთიერთსაინანაღმდეგო თეორიებს და აღნიშნავს არსებული თეორიების მტკიცებულებებში არაადეკვატურობას. მოკლედ, მკვლევარმა უნდა დაასაბუთოს, რომ შემოთავაზებული კვლევა მნიშვნელოვანი წვლილი იქნება მოცემულ სფეროში.

კვლევის მიზანი უნდა იყოს ადაპტირებული კვლევის პროგრამის საჭიროებასთან მისი განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე. საჭიროა თუ არა კარგად ჩამოყალიბებული თეორიის ან კონკურენტი თეორიების ტესტირება? მნიშვნელოვანია თუ არა თეორიის ფარგლების საზღვრების დადგენა? მოითხოვს თუ არა ფენომენის კვლევის მდგომარეობა ახალი ცვლადების, ახალი ქვეტიპების ჩართვას ან მუშაობას სხვადასხვა დონის ანალიზს? მიჩნეულია თუ არა მიზანშეწონილად თეორიის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე ზოგადობის კიბეზე ასვლა ან ჩასვლა?

ზოგადად, არსებობს ექვსი სხვადასხვა სახის თეორიის აგების კვლევის მიზანი. არენდ ლიჯფარტმა და ჰარი ეკშტეინმა გამოავლინეს ხუთი ტიპი, რომლსაც მეექვსე დაემატა. ესენია:

- ◆ *თეორიული/კონფიგურაციული* იდიოგრაფიული შემთხვევის კვლევები იძლევა კარგ აღწერილობებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდგომ კვლევებში თეორიის ასაშენებლად, მაგრამ თავისთავად, ასეთი შემთხვევები არ ჯამდება ან უშუალოდ არ შეაქვს წვლილი თეორიაში.
- ◆ *დისციპლინირებული კონფიგურაციული* შემთხვევის კვლევები იყენებს დამკვიდრებულ თეორიებს საქმის ასახსნელად. აქცენტი შეიძლება გაკეთდეს ისტორიულად მნიშვნელოვანი შემთხვევის ახსნაზე, ან კვლევამ შეიძლება გამოიყენოს შემთხვევა თეორიის საილუსტრაციოდ პედაგოგიური მიზნებისთვის. დისციპლინირებულ კონფიგურაციულ შემთხვევას შეუძლია ხელი შეუწყოს თეორიის ტესტირებას.
- ◆ *ევრისტიკული შემთხვევის* კვლევები ახდენს ახალი ცვლადების, ჰიპოთეზების, მიზეზობრივი მექანიზმებისა და მიზეზობრივი გზების ინდუქციურად იდენტიფიცირებას. „დევიანტური“ ან „ალკვეთილი“ შემთხვევები შეიძლება იყოს განსაკუთრებით გამოსადეგი ევრისტიკული მიზნებისთვის, რადგან მათი შედეგები არ არის ის, რასაც ტრადიციული თეორიები მოელოდნენ.
- ◆ *თეორიის ტესტირების* შემთხვევის კვლევები აფასებს ცალკეული ან კონკურენტი თეორიების ვალიდობასა და მოცულობის პირობებს. თეორიების ტესტებში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, არის თუ არა ტესტის შემთხვევები ყველაზე სავარაუდო, ნაკლებად სავარაუდო ან გადამწყვეტი ერთი ან მეტი თეორიისთვის. ტესტირება შეიძლება, ასევე, შემუშავდეს თეორიების მოცულობის პირობების იდენტიფიცირებისთვის (პირობები, რომლებშიც მათი გამოყენება ყველაზე მეტად და ნაკლებად სავარაუდოა).

- ◆ *სარწმუნოების შემონახვა* შედარებით შეუმონებელი თეორიებისა და ჰიპოთეზების წინასწარი კვლევებია, რათა დადგინდეს არის თუ არა უფრო ინტენსიური და შრომატევადი ტესტირება გარანტირებული. ტერმინი „სარწმუნოების შემონახვა“ არ უნდა იქნას გამოყენებული ძალიან თავისუფლად, რადგან ის არ არის გამიზნული მტკიცებულებებისა და დასკვნის სტანდარტების დაქვეითებისათვის და იძლევა ყველაზე სავარაუდო შემთხვევების მარტივი ტესტების საშუალებას.
- ◆ მოვლენების ცალკეული ტიპებისა თუ ქვეტიპების *„სამშენებლო ბლოკის“ კვლევები* ახდენს საერთო შაბლონების იდენტიფიცირებას ან ემსახურება კონკრეტულ სახის ევრისტიკულ მიზანს. ეს კვლევები შეიძლება იყოს უფრო დიდი კონტინგენტური განზოგადებებისა და ტიპოლოგიური თეორიების შემადგენელი ნაწილები.

მკვლევარებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, თუ თეორიის აგების ამ ექვსი სახეობიდან რომელია განხორციელებული მოცემულ კვლევაში; მკითხველს არ უნდა მოუხდეს ამ კითხვაზე პასუხის დამოუკიდებლად ძიება.

ეს ექვსი კვლევის მიზანი განსხვავდება ინდუქციისა და დედუქციის გამოყენებისას. ასევე, ერთი კვლევის დიზაინს შეუძლია მიაღწიოს ერთზე მეტ მიზანს - როგორცაა ევრისტიკული და თეორიული ტესტირების მიზნები - თუ იგი ფრთხილად გამოიყენებს მტკიცებულებებს და აკეთებს დასკვნებს თითოეული კვლევის მიზნისთვის შესაბამისი გზებით.

კონკრეტული კითხვები, რომლებიც უნდა განიხილებოდეს კვლევის მიზნების განსაზღვრისას, მოიცავს შემდეგს:

- ◆ რა არის ის მოვლენა ან ქცევის ტიპი, რომელიც შესამონებლადაა გამოყოფილი; ანუ რა არის მოვლენათა კლასი ან ქვეკლასი, რომლის მაგალითიც იქნება შემთხვევები?
- ◆ ითვლება თუ არა ასახსნელი მოვლენა ემპირიულ უნივერსალურად, ასე რომ კვლევის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ახსნას შემთხვევის, შედეგების ვარიაციის არ არსებობა? ან მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ახსნას დამოკიდებულ ცვლადში დაკვირვებადი ვარიაცია?
- ◆ რა თეორიული ჩარჩო იქნება გამოყენებული? არსებობს თუ არა არსებული თეორია ან კონკურენტი თეორიები - კანდიდატები, რომლებიც ეხმიანებიან მოვლენის ან ქცევის იმ ასპექტებს, რომლებიც უნდა აიხსნას? თუ არა, რა დროებით თეორიას ან თეორიებს ჩამოაყალიბებს მკვლევარი კვლევის მიზნით? თუ დროებითი თეორიები არ არის, თეორიის შესაბამისი რომელი ცვლადები იქნება გათვალისწინებული?
- ◆ არსებული თეორიის ან თეორიების რომელი ასპექტები იქნება გამოყოფილი ტესტირებისთვის, დახვეწისთვის ან დამუშავებისთვის?
- ◆ თუ კვლევის მიზანია კონკრეტული თეორიის (ან დამოუკიდებელი ცვლადის) მიზეზობრივი ეფექტების ან პროგნოზების შეფასება, არის თუ არა ეს თეორია საკმარისად დაზუსტებული და მომუშავე, რათა მას შეეძლოს კონკრეტული პროგნოზების გაკეთება, თუ მას

შეუძლია მხოლოდ სავარაუდო ან განუსაზღვრელი პროგნოზების გაკეთება? რა სხვა ცვლადები და/ან პირობებია გასათვალისწინებელი მისი მიზეზობრივი ეფექტების შეფასებისას?

უკეთესი შედეგები მიიღწევა, თუ შესასწავლი ფენომენის „კლასი“ ძალიან ფართოდ არ არის განსაზღვრული. ყველაზე წარმატებული კვლევები, ფაქტობრივად, მუშაობდნენ ზოგადი ფენომენის კარგად განსაზღვრულ, უფრო მცირე მოცულობის ქვეკლასთან. შემთხვევის შესწავლის მკვლევარები ხშირად გადადიან „ზოგადობის კიბეზე“ პირობითი განზოგადებებისკენ და თეორიის უფრო შეზღუდული მოცულობის პირობების იდენტიფიცირებაზე, ვიდრე უფრო ფართო, მაგრამ ნაკლებად ზუსტი განზოგადებებისკენ.

ზოგადი მოვლენების კონკრეტულ ქვეკლასთან მუშაობა, ასევე, ეფექტური სტრატეგიაა თეორიის განვითარებისთვის. იმის მაგივრად, რომ ერთ კვლევაში შემუშავდეს მთლიანი მოვლენის ზოგადი თეორია (მაგ. ყველ სამხედრო ინტერვენცია), არამედ მკვლევარმა უნდა იფიქროს სხვადასხვა ტიპის ინტერვენციების ტიპოლოგიაზე და შესასწავლად შეარჩიოს ინტერვენციის ერთი ტიპი ან ქვეკლასი, როგორცაა მაგალითად „ხანგრძლივი ინტერვენცია“ ან კვლევა შეიძლება ფოკუსირებული იყოს სხვადასხვა პოლიტიკური ინტერვენტების გამოყენებით ინტერვენციაზე, ან განხვავებული მიზნებით ინტერვენციაზე და ა.შ. ნებისმიერი ცალკეული გამოკვლევის შედეგი იქნება ინტერვენციის საერთო თეორიის ერთი ნაწილი. საჭირო იქნება სხვა კვლევები, რომლებიც ფოკუსირებულია ინტერვენციის სხვადასხვა ტიპზე ან ქვეკლასზე, რათა ხელი შეუწყოს ინტერვენციების ზოგადი თეორიის ჩამოყალიბებას.

ეს მიდგომა წარმოადგენს „სამშენებლო ბლოკის“ პროცედურას. თითოეული ბლოკი თითოეული ქვეტიპის კვლევაა, რომელიც ავსებს „სიცარიელეს“ ზოგად თეორიაში ან ტიპოლოგიურ თეორიაში. ამასთან, თითოეული სამშენებლო ბლოკის მიერ მოწოდებული კომპონენტი წარმოადგენს წვლილს თეორიაში. ქვეტიპისთვის შემუშავებული სამშენებლო ბლოკი თვითკმარია; მისი ვალიდობა და სარგებლიანობა არ არის დამოკიდებული ამ ზოგადი ფენომენის სხვადასხვა ქვეკლასის სხვა კვლევების არსებობაზე.

**ამოცანა 2: კვლევის სტრატეგიის შემუშავება: ცვლადების სპეციფიკაცია**  
კვლევის სტრატეგიის შემუშავება მოითხოვს ჰიპოთეზების ადრეულ ფორმულირებას და ისტორიული შემთხვევების ანალიზში გამოსაყენებელი ელემენტების (პირობები, პარამეტრები და ცვლადები) გათვალისწინებას. უნდა იქნას მიღებული რამდენიმე ძირითადი გადანყვევტილება (ექვემდებარება ცვლილებას კვლევის დროს) ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- ◆ ზუსტად და კონკრეტულად რომელი დამოკიდებული (ან შედეგის) ცვლადია ახსნილი ან პროგნოზირებული?
- ◆ რომელი დამოუკიდებელი (და ინტერვენციული) ცვლადები მოიცავს კვლევის თეორიულ ჩარჩოს?
- ◆ რომელი ცვლადი დარჩება მუდმივი (მუშაობს როგორც პარამეტრი) და რომელი შეიცვლება შედარებაში შეტანილი შემთხვევების მიხედვით?

პირველ ამოცანაში პრობლემის დაზუსტება მჭიდრო კავშირშია იმ განცხადებასთან, თუ რა იქნება დამოკიდებული ცვლადი. თუ მკვლევარი პრობლემას ძალიან ფართოდ განსაზღვრავს - რისკია დაკარგოს მნიშვნელოვანი განსხვავებები შესადარებელ შემთხვევებს შორის. თუ მკვლევარი პრობლემას ძალიან ვიწროდ განსაზღვრავს, ამან შეიძლება სერიოზულად შეზღუდოს კვლევის აქტუალობა და შემთხვევის დასკვნების შემდგომი შედარება. როგორც აღვნიშნავთ, დამოკიდებულ ცვლადში დისპერსიის განსაზღვრა კრიტიკულია კვლევის დიზაინში.

მაგალითად, „ომის შეწყვეტის“ ფენომენის ანალიზისას, მკვლევარი აკონკრეტებს უამრავ ცვლადს. ომის შეწყვეტის წარმატების ან წარუმატებლობის ახსნის ცვლადები შეიძლება მოიცავდეს შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობებს და მორალს, ომის გასაგრძელებლად ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას და ა.შ.

მკვლევარმა შეიძლება აირჩიოს ფოკუსირება დამოკიდებული ცვლადის შედეგზე (მაგ. შემთხვევებზე, როდესაც ცეცხლის შეწყვეტის ან მოგვარების მცდელობა ვერ მოხერხდა, მაგრამ დაამატოს წარმატებული ცეცხლის შეწყვეტის შემთხვევები კონტრასტის მიზნით), რათა უკეთ გამოავლინოს დამოუკიდებელი და ჩარევის ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთ წარუმატებლობასთან. ალტერნატიულად, შეიძლება შეცვალოთ შედეგი, ავირჩიოთ როგორც წარმატებების, ასევე წარუმატებლობის შემთხვევები, რათა განვსაზღვროთ პირობები და ცვლადები, რომლებიც, როგორც ჩანს, განაპირობებენ შედეგებში განსხვავებებს.

ალტერნატიულად, კვლევის მიზანი შეიძლება ფოკუსირებული იყოს არა დამოკიდებული ცვლადის შედეგებზე, არამედ შედეგების ფორმირებაში დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობაზე რიგ შემთხვევებში.

მეორე ამოცანის განხილვას დავასრულებთ შემთხვევის შესწავლის კვლევის დიზაინის საერთო ტიპების ძლიერი და სუსტი მხარეების მოკლე მიმოხილვით, ზემოთ აღნიშნულ კვლევის მიზნებთან მიმართებით.

პირველ რიგში, ცალკეული შემთხვევის კვლევის დიზაინი შეიძლება გახდეს შერჩევის მიკერძოების ან შედეგების ზედმეტად განზოგადების მსხვერპლი, მაგრამ ექვსივე ზემოთ იდენტიფიცირებული თეორიის აგების მიზანს ემსახურებოდა ცალკეული კარგად შერჩეული შემთხვევების კვლევები, რომლებმაც თავიდან აიცილეს ან შეამცირეს ასეთი ხარვეზები.

ცალკეულ შემთხვევებში თეორიის ტესტირებისთვის აუცილებელია, რომ პროცესის მეთვალყუროების პროცედურა და თანხვედრის ტესტები გამოყენებული იქნას ალტერნატიული ჰიპოთეზების ფართო სპექტრზე, რომლებიც თეორეტიკოსებმა და მოვლენებში მონაწილეებმაც კი შესთავაზეს, ამასთან, არა მხოლოდ ძირითადი ჰიპოთეზების მიმართ, რომლებიც მკვლევარის ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოტოვებულმა ცვლადებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას კვლევის დიზაინის ვალიდობას. ცალკეული შემთხვევები განსაკუთრებით კარგად ემსახურება თეორიის ტესტირების მიზანს, თუ ისინი არის „ყველაზე სავარაუდო“, „ნაკლებად სავარაუდო“ ან „გადამწყვეტი“ შემთხვევები.

ანალოგიურად, ცალკეული „დევიანტური“ შემთხვევებისა და ცალკეული შემთხვევების კვლევები, სადაც ცვლადს ექსტრემალური მნიშვნელობა გააჩ-

ნია, შეიძლება იყოს ძალიან გამოსადეგი ახალი თეორიული ცვლადების იდენტიფიკაციის ან ახალი მიზეზობრივი მექანიზმების პოსტულაციის ევრისტიკული მიზნებისთვის. ცალკეული შემთხვევის შესწავლა, ასევე, შეიძლება ემსახუროდეს ცვლადების უარყოფას, როგორც აუცილებელ ან საკმარის პირობებს.

მეორე, კვლევისას არჩეული კვლევის მიზანი შეიძლება მოითხოვდეს რამდენიმე შემთხვევის შედარებას. არსებობს რამდენიმე შედარებითი კვლევის დიზაინი. ყველაზე ცნობილი არის „კონტროლირებული შედარების“ მეთოდი - ანუ „ყველაზე მსგავსი“ შემთხვევების შედარება, რომლებიც, იდეალურ შემთხვევაში, შედარებულია ყველა ასპექტში, გარდა დამოუკიდებელი ცვლადისა, რომლის დისპერსიამ შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შედეგი დამოუკიდებელ ცვლადზე.

კონტროლირებადი შედარება შეიძლება მიღწეული იყოს ერთი გრძივი შემთხვევის ორად - „ადრე“ და „შემდეგ“ შემთხვევად დაყოფით, რომელიც მოჰყვება მნიშვნელოვან ცვლადის წყვეტილ ცვლილებას. ამან შეიძლება უზრუნველყოს მრავალი ფაქტორის კონტროლი და ხშირად მსგავსი შემთხვევის დიზაინის ყველაზე ხელმისაწვდომი ან ყველაზე ძლიერი ვერსიაა. ეს დიზაინი მიზნად ისახავს დაკვირვებულ შედეგებში განსხვავების იზოლირებას ერთ დამოუკიდებელ ცვლადში დისპერსიის გავლენის გამო. თუმცა, ასეთი დასკვნა სუსტია, თუ მიზეზობრივი მექანიზმები სავარაუდოა, თუ მნიშვნელოვანი ცვლადები გამოტოვებულია შედარებიდან, ან თუ სხვა მნიშვნელოვანი ცვლადები ცვლის მნიშვნელობას „ადრე“ შემთხვევიდან „შემდეგ“-მდე.

კიდევ ერთი შედარებითი დიზაინი მოიცავს „ნაკლებად მსგავს“ შემთხვევებს და ჯონ სტიუარტ მილის შეთანხმების მეთოდის ანალოგიურია. აქ, ორი შემთხვევა შედეგით მსგავსია, მაგრამ განსხვავდება ყველა ცვლადით, გარდა ერთი დამოუკიდებელი ცვლადისა, და შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ეს ცვლადი ხელს უწყობს უცვლელ შედეგს.

მაგალითად, თუ თინეიჯერები „რთულები“ არიან როგორც პოსტინდუსტრიულ, ისე ტომობრივ საზოგადოებებში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ რთულ ბუნებას განაპირობებს მათი განვითარების სტადია და არა მათი საზოგადოებები ან აღზრდის ტექნიკა. აქ გამოტოვებულმა ცვლადებმა შეიძლება შეასუსტონ ასეთი დასკვნა, როგორც მილმა აღიარა, მაგრამ პროცესის მეთვალყურეობა იძლევა დამატებით მტკიცებულების წყაროს ასეთი დასკვნების დასადასტურებლად ან უარსაყოფად.

სხვა ტიპის შედარებითი კვლევა შეიძლება ფოკუსირებული იყოს ტიპოლოგიის იმავე უჯრედის შემთხვევებზე. თუ მათ იგივე შედეგი აქვთ, პროცესის მეთვალყურეობამ შეიძლება მაინც გამოავლინოს ამ შედეგამდე მიმავალი სხვადასხვა მიზეზობრივი გზა. და პირიქით, მანიპულირებადი დამოუკიდებელი ცვლადის იმავე დონის მქონე შემთხვევების მრავალრიცხოვანმა კვლევამ შეიძლება დაადგინოს, თუ რა პირობებშია ცვლადის ეს დონე დაკავშირებული სხვადასხვა შედეგებთან. ორივე მიდგომაში, თუ შედეგები განსხვავდება იმავე ტიპის ან უჯრედის შიგნით, აუცილებელია მოძებნოთ გამოტოვებული ცვლადები და, შესაძლოა, შეიქმნას ახალი ქვეტიპი.

ხშირად მკვლევართა საზოგადოებისთვის სასარგებლოა ტიპოლოგიის ყველა სექტორში შემთხვევების შესწავლა ან გამოვლენის მცდელობა. მაგალითად, შერლოკ ჰოლმსმა ერთხელ დაასკვნა, რომ ძაღლი, რომელიც არ ყფვს, უნდა იცნობდეს პიროვნებას, რომელიც მის სახლში მივიდა და ჩაიდინა მკვლელობა. ეს არის დასკვნა, რომელიც ეფუძნება შედარებას ძაღლებთან, რომლებიც ასეთ ვითარებაში ყეფენ.

ტიპოლოგიაში ყველა ტიპის ნახვის პროცესი შეესაბამება ლოგიკური ალგებრის და ლოგიკური ჭეშმარიტების ცხრილების ცნებებს. თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ თითოეულმა მკვლევარმა მიმართოს ყველა უჯრედს ტიპოლოგიაში.

დაბოლოს, კვლევამ, რომელიც მოიცავს ბევრ შემთხვევას, შეიძლება დაუშვას რამდენიმე განსხვავებული ტიპის შედარება. ერთი შემთხვევა შეიძლება ყველაზე მეტად ჰგავს მეორეს და ორივე, შეიძლება, ნაკლებად იყოს მესამე შემთხვევის მსგავსი. შემთხვევის შერჩევა არის ოპორტუნისტული, ისევე, როგორც სტრუქტურირებული პროცესი - მკვლევრებმა უნდა ნახონ, შეიძლება თუ არა კვლევაში ერთი ან რამდენიმე შემთხვევის დამატებამ მისცეს მათ სასარგებლო შედარებების ან დამატებითი ტიპის შემთხვევების შესახებ დასკვნების გამოტანის საშუალება.

### ამოცანა 3: შემთხვევის შერჩევა

შემთხვევის შერჩევა უნდა იყოს კარგი კვლევის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი კვლევის კარგად განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, შემთხვევის შერჩევის პირველადი კრიტერიუმი უნდა იყოს კვლევის მიზანთან შესაბამისობა, იქნება ეს თეორიის განვითარება, თეორიის ტესტირება თუ ევრისტიკული მიზნები.

შემთხვევები ასევე უნდა შეირჩეს ისე, რომ უზრუნველყოს კვლევის პრობლემის მიერ მოთხოვნილი კონტროლი და ვარიაცია. ეს მოითხოვს, რომ მოვლენათა ერთობლიობა ან ქვეკლასი მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, რათა შეირჩეს შესაბამისი შემთხვევები. ერთი ტიპის შედარებითი კვლევისას, მაგალითად, ყველა შემთხვევა ერთი და იმავე ქვეკლასიდან უნდა იყოს. სხვა ტიპის შედარებითი კვლევისას, რომელსაც განსხვავებული კვლევის მიზანი აქვს, საჭიროა შემთხვევები სხვადასხვა ქვეკლასიდან.

ისტორიული შემთხვევის ან შემთხვევების შერჩევისას შეიძლება ვიხელმძღვანელოთ პირველი და მეორე ამოცანებზე მუშაობის საფუძველზე შემუშავებული ტიპოლოგიით. აქ მკვლევრები შეიძლება, გარკვეულნილად, ოპორტუნისტები იყვნენ - ისინი შეიძლება გადააწყდნენ ორ დამთხვევას ადრე და შემდეგ შემთხვევებს, ან ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ზუსტად შეესატყვისებოდა „ყველაზე მეტად მსგავს“ და „ყველაზე ნაკლებად მსგავს“ შემთხვევის კვლევის დიზაინს.

ხშირად მკვლევრები კვლევას იწყებენ თეორიით შესამონმმებელი შემთხვევის ან შემთხვევით თეორიის ძიებაში, რომლისთვისაც ეს კარგი ტესტია. ორივე მიდგომა სიცოცხლისუნარიანია იმ პირობით, რომ ყველა ზომა იქნება მიღებული შემთხვევის შერჩევის მიკერძოებულობის თავიდან ასაცილებლად.

ხშირად, მკვლევარმა შეიძლება დაინყოს მისთვის საინტერესო შემთხვევით და შემდეგ გადანყვიტოს, რომ მას უფრო მეტად აინტერესებს თეორია, ვიდრე შემთხვევა, ასეთ შემთხვევაში გამოიტანს დასკვნას, რომ თეორიის შესწავლის საუკეთესო გზა რამდენიმე შემთხვევის შერჩევაა, რომელიც შეიძლება არ მოიცავდეს თავდაპირველ საწყის შემთხვევას.

#### ამოცანა 4: ცვლადებში ვარიაციის აღწერა

ის, თუ როგორ არის აღწერილი დისპერსია, გადამწყვეტია შემთხვევის ანალიზის სარგებლიანობისთვის ახალი თეორიების განვითარებისთვის ან არსებული თეორიების შეფასების ან დახვეწისთვის. ეს პუნქტი საჭიროებს აქცენტს, რადგან ის ხშირად შეუმჩნეველი ხდება კვლევების შემუშავებისას, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის სტატისტიკური კვლევების დროს. მკვლევრის გადანყვიტება იმის შესახებ, თუ როგორ აღწერს დისპერსიას, მნიშვნელოვანია კვლევის მიზნების მისაღწევად, რადგან პოტენციური მიზეზობრივი ურთიერთობების აღმოჩენა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ როგორ არის პოსტულირებული ვარიაცია ამ ცვლადებში. უფრო სავარაუდოა, რომ მკვლევარი შეიმუშავებს ცვლადებში დისპერსიის აღწერის მგრძობიარე გზებს მას შემდეგ, რაც გაეცნობა, თუ როგორ განსხვავდება ისინი განხილულ ისტორიულ შემთხვევებში. ამიტომ რეკომენდებულია განმეორებითი პროცედურა იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა აღწეროთ დისპერსია.

დისპერსია შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, საუკეთესოდ იყოს აღწერილი შედეგების ხარისხობრივი ტიპების თვალსაზრისით. ზოგიერთში - აღწერილი რაოდენობრივი ზომების მიხედვით. ორივე შემთხვევაში, ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენი კატეგორიის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ცვლადებისთვის. ნაკლები კატეგორიები - როგორცაა დიქტომიური ცვლადები - კარგია ეკონომიურობისთვის, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეს სიუხვე/ან სიმდიდრე და ნიუანსი, ხოლო კატეგორიების უფრო დიდი რაოდენობა იძენს სიუხვეს/ ან სიმდიდრეს, მაგრამ არაეკონომიური. კომპრომისი სიუხვესა/ან სიმდიდრესა და უკიდურეს სიუხვეს/ან სიმდიდრეს შორის უნდა განისაზღვროს თითოეული ინდივიდუალური კვლევის მიზნების გათვალისწინებით.

თავშეკავების შესწავლისას, მაგალითად, ალექსანდრე ჯორჯმა და რიჩარდ სმოკმა დაადგინეს, რომ არაადეკვატური და არაპროდუქტიული თავშეკავების შედეგების უბრალოდ „წარმატების“ ან „წარუმატებლობის“ განსაზღვრა. სამაგიეროდ, წარუმატებლობის ცალკეული შემთხვევების მათმა ახსნამ მათ საშუალება მისცა გამოეჩინათ სხვადასხვა სახის წარუმატებლობა. ამან განაპირობა წარუმატებლობის ტიპოლოგია, რომლის თითოეულ ტიპს განსხვავებული ახსნა აქვს.

ტიპების დიფერენციაცია შეიძლება ეხებოდეს როგორც დამოუკიდებელი, ასევე დამოკიდებული ცვლადების დახასიათებას. იძულებითი დიპლომატიის სტრატეგიის გამოყენებასთან დაკავშირებული მცდელობების წარმატებასა ან წარუმატებლობასთან დაკავშირებული პირობების დადგენის მცდელობისას, მკვლევართა ერთმა ჯგუფმა გამოავლინა ამ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ვარიანტები. მათ კვლევაში იძულებითი დიპლომატია გა-

ნიხილებოდა, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. სხვადასხვა შემთხვევების ანალიზიდან გამოიკვეთა იძულებითი დიპლომატიის სტრატეგიის ოთხი ტიპი: აშკარა ულტიმატუმი, უსიტყვო ულტიმატუმი, „ხრანის თანდათანობითი მოჭერა“ და „სცადე და ნახე“ ვარიანტი. დამოუკიდებელი ცვლადის ამ გზით დიფერენცირებით, შესაძლებელი გახდა იძულებითი დიპლომატიის ეფექტურობის უფრო დისკრიმინაციული ანალიზის შემუშავება და ზოგიერთი ფაქტორის იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობდნენ ან ხელს უშლიდნენ თითოეული ვარიანტის წარმატებას. დამოუკიდებელი ცვლადის ძალიან ზოგადი ან არადიფერენცირებული ასახვა „წაშლიდა“ იმ ფაქტს, რომ იძულებითი დიპლომატიის ვარიანტებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ზემოქმედება შედეგებზე, ან შეიძლება მოჰყოლოდა ორაზროვანი ან არასწორი შედეგები. გარდა ამისა, იძულებითი დიპლომატიის სტრატეგიის სხვადასხვა ვარიანტის იდენტიფიცირებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქმეების შერჩევაზე.

#### ამოცანა 5: მონაცემთა მოთხოვნების ფორმულირება და ზოგადი კითხვები

შემთხვევის შესწავლის მეთოდი უფრო ეფექტური იქნება, თუ კვლევის დიზაინი მოიცავს შესწავლილი შემთხვევიდან ან შემთხვევებიდან მიღებული მონაცემების სპეციფიკაციას. მონაცემთა მოთხოვნები უნდა განისაზღვროს თეორიული ჩარჩოებით და კვლევის სტრატეგიით, რომელიც გამოყენებული იქნება კვლევის მიზნების მისაღწევად. მონაცემთა მოთხოვნების დაზუსტება უნდა იყოს ინტეგრირებული დანარჩენ ოთხ ამოცანასთან. მონაცემთა მოთხოვნების დაზუსტება ახდენს კვლევის სტრუქტურირებას. ის სტრუქტურირებული, ორიენტირებული შედარების მეთოდის არსებითი კომპონენტია.

განხორციელდება თუ არა ცალკეული შემთხვევის შესწავლა თუ შემთხვევის შედარება, მონაცემთა მოთხოვნების დაზუსტება უნდა მოხდეს ზოგადი კითხვების სახით, რომელიც უნდა დაისვას თითოეულ შემთხვევაში. ეს მონაცემთა მოთხოვნების სტანდარტიზების გზაა, ისე რომ შედარებადი მონაცემები მიიღება თითოეული შემთხვევიდან და ერთი შემთხვევის შესწავლა შეიძლება მოგვიანებით შეედაროს სხვებთან. შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგია, ამ მხრივ, არაფრით განსხვავდება დიდი რაოდენობით სტატისტიკური კვლევებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისგან. თუ თითოეულ შემთხვევაში ერთსა და იმავე კითხვებს არ დავსვამთ, შედეგების შედარება, დაგროვება და სისტემატური ანალიზი შეუძლებელია.

შემთხვევის მკვლევრებმა უნდა დაიცვან მონაცემთა სისტემატური შეგროვების პროცედურა. თითოეული შემთხვევისთვის დასმული კითხვები ზოგადი ხასიათის უნდა იყოს; ისინი არ უნდა იყოს გადმოცემული ზედმეტად სპეციფიკური ტერმინებით, რომლებიც მხოლოდ ერთი შემთხვევისთვისაა რელევანტური, მაგრამ უნდა იყოს გამოყენებული ყველა შემთხვევისთვის იმ მოვლენების კლასში ან ქვეკლასში, რომლებსაც ეხება კვლევა.

პრობლემა, რომელიც ზოგჯერ გვხვდება შემთხვევის შესწავლის კვლევაში არის ის, რომ მონაცემთა მოთხოვნები საერთოდ არ არსებობს ან არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული. ზოგადი კითხვები უნდა ასახავდეს გამოყენებულ თეორიულ ჩარჩოს, მონაცემებს, რომლებიც საჭირო

იქნება კვლევის მიზნის დასაკმაყოფილებლად და იმ თეორიაში წვლილის შესატანად. შედარების სათანადო ფოკუსირება და სტრუქტურირება მოითხოვს ზოგადი კითხვების სრულყოფილ კომპლექტს, რომელიც ინტეგრირებულია კვლევის დიზაინის ოთხ სხვა ელემენტთან. მაგალითად, საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური ოპონენტების მიმართ სტრატეგიისა და ტაქტიკისადმი პოლიტიკოსების მიდგომების შედარებითი შესწავლა, შეიძლება დაიწყოს კითხვების დასმით, რომლებიც შექმნილია, იმისათვის რომ გამოავლინოს ლიდერის ორიენტაცია ისტორიისა და პოლიტიკის ფუნდამენტური საკითხების შესახებ. ისინი, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს მის მიერ ინფორმაციის დამუშავებაზე, პოლიტიკური უპირატესობის და ქმედების საბოლოო არჩევანზე. ამ ტიპის კვლევაში, მკვლევარი იკვლევს მასალის შესაბამის კომპლექსს, რათა დაასკვნას, თუ რა „პასუხები“ შეიძლება გასცეს პოლიტიკურმა ლიდერმა შემდეგ კითხვებზე:

**ფილოსოფიური კითხვები:**

- ◆ რა არის პოლიტიკური ცხოვრების არსებითი ბუნება? არის თუ არა პოლიტიკური სამყარო არსებითად ჰარმონიული თუ კონფლიქტური?
- ◆ რა არის პოლიტიკური ოპონენტების ფუნდამენტური ხასიათი?
- ◆ როგორია ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებისა და იდეოლოგიური მიზნების საბოლოო რეალიზაციის პერსპექტივები? შეიძლება ვინმე იყოს ოპტიმისტი ან პესიმისტი?
- ◆ რა თვალსაზრისით და რამდენად არის პროგნოზირებადი პოლიტიკური მომავალი?
- ◆ რამდენი კონტროლი ან ძალაუფლება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს ისტორიულ მოვლენებზე?
- ◆ რა არის პოლიტიკური ლიდერის (ან ელიტის) როლი ისტორიის მოძრაობასა და ჩამოყალიბებაში?
- ◆ რა როლი აქვს შემთხვევითობას ადამიანთა საქმეებსა და ისტორიულ განვითარებაში?

**ინსტრუმენტირებული კითხვები:**

- ◆ რა არის საუკეთესო მიდგომა პოლიტიკური მოქმედების მიზნების ან ამოცანების შერჩევისას?
- ◆ როგორ ხდება მოქმედების მიზნების მიღწევა ყველაზე ეფექტურად?
- ◆ როგორ შეიძლება საუკეთესოდ პოლიტიკური მოქმედების რისკების გათვლა, კონტროლი და მიღება?
- ◆ რომელია სამოქმედოდ საუკეთესო დრო საკუთარი ინტერესების წინ წაწევისათვის?
- ◆ რა სარგებლობა და როლი აქვს სხვადასხვა საშუალებებს ინტერესების წინ წაწევისათვის?

**სუთი ამოცანის ინტაგრირება**

მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს ამოცანები ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთდამოკიდებულია. მაგალითად, მეორე დავალე-

ბის შესრულების გზა უნდა შეესაბამებოდეს პირველი დავალების სპეციფიკაციას და ა.შ.

თუმცა ხუთი ამოცანის დამაკმაყოფილებელი ინტეგრაცია, როგორც წესი, პირველივე ცდაზე ვერ შესრულდება. კარგი დიზაინის შემუშავება ადვილი არ არის. დამაკმაყოფილებელი კვლევის დიზაინის მიღწევამდე, შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვადასხვა ამოცანის მნიშვნელოვანი გამეორება და დაზუსტება. მკვლევარს, შესაძლოა, დასჭირდეს გაეცნოს განსახილველ მოვლენას სხვადასხვა შემთხვევის წინასწარი შესწავლით, სანამ დიზაინის ასპექტებს საბოლოოდ ჩამოაყალიბებს.

მკვლევრის საუკეთესო ძალისხმევის მიუხედავად, დიზაინის ფორმულირება, სავარაუდოდ, დარჩება არასრულყოფილი - და ეს შეიძლება არ იყოს ცხადი მანამ, სანამ მკვლევარი არ გადავა კვლევის მეორე ან თუნდაც მესამე ფაზაში. თუ ეს დეფექტები საკმარისად სერიოზულია, მკვლევარმა უნდა შეაჩეროს მუშაობა და შეიმუშაოს კვლევის ხელახალი დიზაინი, თუნდაც ეს ითვალისწინებდეს ზოგიერთი შემთხვევის ხელახლა შესწავლას. კვლევის შედეგად დასკვნების გამოტანისას მკვლევარს (ან სხვებს, ვინც მას აფასებს) უნდა შეეძლოს გარკვეული სასარგებლო გაკვეთილების მიღება პრობლემის ახალი კვლევის უკეთესი დიზაინისთვის.

## **ფაზა 2: შემთხვევის კვლევის ჩატარება**

კვლევის დიზაინის მეხუთე ამოცანა საშუალებას აძლევს მკვლევარს გააანალიზოს თითოეული შემთხვევა ისე, რომ „პასუხები“ გაეცეს ზოგად კითხვებს. ეს პასუხები - მეორე ფაზის პროდუქტი - შემდეგ წარმოადგენს მონაცემებს კვლევის მესამე ეტაპისთვის, რომელშიც მკვლევარი გამოიყენებს შემთხვევის დასკვნებს კვლევის მიზნების გამოსავლენად.

როგორც წესი, პირველი ნაბიჯი შემთხვევის შესწავლისას არის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი აკადემიური ლიტერატურისა და შემთხვევის ინტერვიუს მონაცემების და მისი კონტექსტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

შემთხვევაში ჩაღრმავების შემდეგ მკვლევარი მიმართავს საქმის შესწავლის ანალიზს, ისტორიული კვლევის სტანდარტული პროცედურების მეშვეობით საქმეში დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების მნიშვნელობების დადგენას. მკვლევარმა ყოველთვის უნდა ჩამოაყალიბოს ცვლადების „შეფასებისთვის“ გამოყენებული კრიტერიუმები ისე, რომ უზრუნველყოს დამამიჯნველებს შორის სანდოობის საფუძველი. შემდეგ, მკვლევარი ავითარებს ახსნას თითოეული შემთხვევის შედეგისთვის, რაც გულისხმობს უფრო საძიებო სამუშაოებსა და ისტორიული ანალიზს.

შემთხვევის ახსნა-განმარტებების დროებითი/ ან წინასწარი /ან პირობითი ბუნება

შემთხვევის ახსნა ყოველთვის პირობითი ხასიათის უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, თეორიული დასკვნები, რომლებიც გამოტანილია შემთხვევის შესწავლის შედეგებიდან (მესამე ფაზაში) ასევე პირობითი იქნება. შემთხვევის ავტორის მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტებები შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სხვა მკვლევარებმა ამა თუ იმ საფუძველზე, მაგალითად, თავდაპირველმა კვლევამ, შესაძლოა, უგულვებლყო შესაბამისი მონაცემები ან არასწორად გაიგო მისი მნიშვნელობა, ვერ განიხილა მნიშვნელოვანი კონ-

კურენტი ჰიპოთეზა და ა.შ. თუ შემთხვევის ახსნა მოგვიანებით წარმატებით იქნება გასაჩივრებული, მკვლევარს მოუწევს ხელახლა შეაფასოს გავლენა ნებისმიერ თეორიაზე, რომელიც შემუშავებული ან გამოცდილია. ასეთი ხელახალი შეფასება, ასევე, აუცილებელი იქნება, თუ შემთხვევების შესახებ ახალი ისტორიული მონაცემები მოგვიანებით გახდება ხელმისაწვდომი და ადრინდელი განმარტებების წარმატებულ გასაჩივრებას გამოიწვევს.

თითოეულ შემთხვევაში შედეგის ახსნა-განმარტების ჩამოყალიბების მცდელობისას მკვლევარი იყენებს ისტორიკოსის მიზეზობრივი ბრალდების მეთოდს, რომელიც განსხვავდება სტატისტიკურ-კორელაციური კვლევების მიზეზობრივი დასკვნის მეთოდისგან. ეს მიზეზობრივი ინტერპრეტაციები იძენს დამაჯერებლობას, თუ ისინი შეესაბამება არსებულ მონაცემებს და თუ ისინი შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი განზოგადებებით, რომელთა ვალიდობის ზომა შეიძლება იქნას მოთხოვნილი არსებული კვლევების საფუძველზე. ახსნის დამაჯერებლობა გაძლიერებულია იმდენად, რამდენადაც განიხილება ალტერნატიული ახსნა-განმარტებები და აღმოჩნდება, რომ ნაკლებად შეესაბამება მონაცემებს, ან ნაკლებად მხარდაჭერილია ხელმისაწვდომი განზოგადებით.

მკვლევარმა უნდა აჩვენოს, რომ მან სერიოზულად განიხილა შემთხვევის შედეგის ალტერნატიული ახსნა-განმარტებები, რათა თავიდან აიცილოს ეჭვის საფუძველი.

#### **კონსერვაციული ახსნა-განმარტებების პრობლემა**

ნაცნობი გამოწვევა, რომელსაც აწყდება შემთხვევის შესწავლის მეთოდები, არის შემთხვევის ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციების შეჯერება ან მათ შორის არჩევნის გაკეთება. ეს პრობლემა შეიძლება წარმოიშვას, როდესაც მკვლევარი იძლევა ახსნას, რომელიც განსხვავდება ადრინდელი მკვლევარისგან, მაგრამ ადეკვატურად არ აჩვენებს ახალი ინტერპრეტაციის უპირატესობას.

არსებობს სხვადასხვა სახის ახსნა, რომელიც გამომდინარეობს, მაგალითად, ისტორიოგრაფიული საკითხებიდან, როგორცაა იდეოლოგიის შედარებითი მნიშვნელობა ან ისტორიული კონტექსტი. ზოგჯერ კონკურენტული ახსნა-განმარტებები შეიძლება თანაბრად შეესაბამებოდეს არსებულ ისტორიულ მტკიცებულებებს; ეს ართულებს იმის გადაწყვეტას, თუ რომელია სწორი ახსნა, ან, ალტერნატიულად, შეიძლება იყოს თუ არა ორივე ინტერპრეტაცია საერთო ახსნის ნაწილი. კიდევ ერთი შესაძლებლობა არის ის, რომ ყოველი ერთი შეხედვით კონკურენტული ახსნა ფაქტობრივად ეხება რთული გრძივი განვითარების სხვადასხვა ნაწილს. ასეთ შემთხვევებში, მკვლევრის ამოცანაა გამოავლინოს სხვადასხვა გარდამტეხი პუნქტები მიზეზობრივ ჯაჭვში და დააღაგოს რომელი დამოუკიდებელი ცვლადები ხსნიან მიზეზობრივი ჯაჭვის თითოეულ საფეხურს - მაგალითად, ისინი, რომლებიც ხსნიან, თუ რატომ მოხდა ომი, ისინი, რომლებიც ხსნიან თავდასხმის ფორმას ან ხსნის მის ვადებს და ა.შ. და კიდევ ერთი შესაძლებლობაა ის, რომ ძირითადი ცვლადი ერთ ახსნაში არის მიზეზობრივი და შემოთავაზებული მიზეზობრივი ცვლადი მეორე ახსნაში არის ცრუ.

ასეა, როგორც კონკურენტული ახსნა-განმარტებების პრობლემა შეიძლე-

ბა წარმოიშვას მაშინ, როდესაც კონკურენტი ინტერპრეტაციები ეხება და ცდილობს ახსნას შემთხვევის სხვადასხვა ასპექტი და, შესაბამისად, შეუძლებელია მათი შეჯერება. ასეთ შემთხვევაში ისინი კონკურენტულად არ უნდა ჩაითვალოს. კიდევ ერთი შესაძლებლობა კონკურენტი ახსნა-განმარტებების გაჩენისა არის ის, რომ, მეცნიერები, რომლებმაც ისინი წამოაყენეს, უბრალოდ არ ეთანხმებიან შემთხვევის „ფაქტებს“.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მკვლევრის ხელთ არსებული მონაცემები და განზოგადება არ აძლევს მას უფლებას აირჩიოს რომელიმე კონკურენტული ახსნა-განმარტებებიდან, მაშინ შემთხვევის ორივე ახსნა უნდა დარჩეს თანაბრად დამაჯერებლად და იყოს გათვალისწინებული ორივეს გავლენა თეორიის განვითარებაზე კვლევის მესამე ეტაპზე.

#### **ალწერილობითი ახსნა-განმარტებების ანალიტიკურ ახსნა-განმარტებად ტრანსფორმირება**

თითოეული შემთხვევისთვის კონკრეტული ახსნის შემუშავების გარდა, მკვლევარმა უნდა განიხილოს კონკრეტული ახსნა-განმარტების ტრანსფორმაცია მეორე ამოცანაში მითითებულ ზოგადი თეორიული ჩარჩოს ცნებებზე და ცვლადებზე. (ჰარი ეკსტინის ტერმინოლოგიით, ასეთი კვლევა არის „დისციპლინირებულ-კონფიგურაციული“ და არა „კონფიგურაციული-დიოგრაფიული“.) კონკრეტული ახსნა-განმარტებების ზოგად თეორიულ ტერმინებად გარდასაქმნელად, მკვლევრის თეორიული ჩარჩო საკმარისად ფართო უნდა იყოს, რათა აღიქვას ისტორიული კონტექსტის ძირითადი ელემენტები. ანუ, დამოუკიდებელი და ინტერვენციული ცვლადების ნაკრები უნდა იყოს ადეკვატური იმისთვის, რომ აღინეროს და ჩაინეროს შემთხვევის შედეგის მიზეზობრივი ანგარიშის არსებითი მხარეები. გამყოფი ხაზი არსებითსა და არარსებითს შორის ისაა, რომ არის თუ არა მიზეზობრივი პროცესის ასპექტები მოცემულ შემთხვევაში მოსალოდნელი ან მოქმედი განსახილველი შემთხვევების მთელ კლასში. მაგალითად, თუ ორგანიზაციული გადანყვეტილების მიღების ზოგიერთ შემთხვევაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ გადანყვეტილების პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გაცივდა და ვერ დაესწრო მნიშვნელოვან შეხვედრას, ეს არ იქნება საფუძველი ჩვენი თეორიის გადახედვისთვის. თუმცა, ეს იქნება ზოგადი არგუმენტის საფუძველი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს შედეგებზე მნიშვნელოვანი პოტენციური მონაწილეების არსებობა ან არარსებობა.

#### **გამონევაიზი გადაწყვეტილების შეცვლის მცდელობისას**

მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკის შემუშავების პროცესის შეცვლისას მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების ახსნას, რთული პრობლემების წინაშე დგანან. პოლიტოლოგები ხშირად უნდა დაეყრდნონ ან, თუნდაც, გამოიყენონ ისტორიკოსების კვლევა განსახილველი პოლიტიკის შესახებ. ასეთი ისტორიული კვლევები შეიძლება იყოს უკიდურესად სასარგებლო პოლიტოლოგებისთვის, მაგრამ ამ კვლევების გამოყენებისას მათ სიფრთხილე მართებთ.

უპირველეს ყოვლისა, მკვლევრები არ უნდა დაეყრდნონ ისტორიკოსის მიერ ხელთ არსებული საქმის ერთ, ერთი შეხედვით, ავტორიტეტულ კვლევას.

მეორე, სოციალური მეცნიერები არ უნდა ფიქრობდნენ, რომ მათ ხელთ არსებული კვლევები გაცემენ პასუხებს მათ მიერ დასმულ კითხვებს. პოლიტოლოგის ძიების მიზნები განსაზღვრავს ზოგად კითხვებს. ისტორიკოსის კვლევის მიზნები და მის კვლევაში დასმული კითხვები, შესაძლოა, ადეკვატურად არ ასახავდეს მკვლევართა მიზნებს.

მესამე, არსებულ ანგარიშებში შესაძლო ხარვეზების დადგენის შემდეგ, მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის კითხვებზე კარგი პასუხების მიღება, თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მხოლოდ ორიგინალური წყაროების - საარქივო მასალების, მემუარების, ზეპირი ისტორიების, გაზეთების, ინტერვიუების და ა.შ. გამოყენებით.

მეოთხე, მკვლევარმა არ უნდა იფიქროს, რომ მხოლოდ პირველადი წყაროებისა და დეკლასიფიცირებული სამთავრობო დოკუმენტების შესწავლა საკმარისი იქნება მის კვლევის კითხვებზე პასუხების საპოვნელად. ასეთი წყაროების მნიშვნელობისა და მტკიცებულების შეფასების ამოცანა ხშირად მოითხოვს თანამედროვე საჯარო წყაროების გულდასმით შესწავლას.

#### **პოლიტიკური პროცესის გადაჭარბებული ინტელექტუალიზაციის რისკი**

როდესაც აკადემიური მეცნიერები ცდილობენ აღადგინონ, თუ როგორ და რატომ მიიღეს გადაწყვეტილებები, ისინი ფიქრობენ, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესი მონესრიგებული და რაციონალურია. ანალიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ ის შესაძლებლობი, რომ გადაწყვეტილება განაპირობა რამდენიმე მოსაზრებამ. პლურალისტურ პოლიტიკურ სისტემაში, რომელშიც რამდენიმე აქტორი მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავებაში, შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზის გამო. საკმარისია, რომ პოლიტიკის შემქმნელი ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ მხოლოდ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ისე, რომ არ შეთანხმდნენ იმაზე, თუ რატომ უნდა გააკეთონ ეს.

#### **საარქივო მასალების მტკიცებულებითი ღირებულების შეფასება**

მეცნიერებმა, რომლებიც ისტორიული შემთხვევების კვლევებს ატარებენ, უნდა მოძებნონ გზები, საარქივო მასალების მტკიცებულებათა შესაფასებლად. ანალოგიურად, შემთხვევის ანალიტიკოსები, რომლებიც იყენებენ სხვა მეცნიერების მიერ ჩატარებულ ისტორიულ კვლევებს, ავტომატურად ვერ ჩათვლიან, რომ ამ მკვლევარებმა სათანადოდ შეაფასეს დოკუმენტების და ინტერვიუების მტკიცებულებათა მნიშვნელობა.

#### **პრობლემატიკის შემთხვევის შეფასებისას**

შემთხვევის ავტორები უნდა გაეცნონ მრავალფეროვან კრიტიკას, რომელსაც, შესაძლოა, მათი ნაშრომი დაიმსახურებს. მკითხველს არ შეუძლია ადვილად განსაჯოს შემთხვევის ახსნის მართებულობა, თუ ისინი არ ფლობენ ამ შემთხვევის დამოუკიდებელ ცოდნას. შემთხვევის შეფასების ამოცანა განსხვავდება შემთხვევის კვლევის მიზნიდან გამომდინარე. მკითხველმა კრიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინოს იმის შესაძლებლობა, რომ შემთხვევის ავტორმა უგულვებელყო ან ზედმეტად შეამცირა პოტენციურად

მნიშვნელოვანი მიზეზობრივი ცვლადები, ან არ განიხილა შესაძლებლობა ან ალბათობა იმისა, რომ მოვლენა ექვემდებარება მრავალჯერად კონიუნქტურულ მიზეზობრიობას ან გავლენას ახდენს თანასწორობაზე. საერთო ჯამში, შემთხვევის ანალიტიკოსები უნდა ცდილობდნენ შეიმუშაონ და გამოიყენონ შესაბამისი წესები ხარისხობრივი ანალიზისთვის.

#### **მესამე ფაზა: შემთხვევის დასკვნების შედეგების გამოვლენა თეორიისათვის**

შემთხვევის შესწავლის შედეგებს, შეიძლება, გავლენა ჰქონდეს როგორც თეორიის განვითარებაზე, ასევე თეორიის ტესტირებაზე. რაც შეეხება თეორიის განვითარების ინდექციურ მხარეს, დამაჯერებლობის გამოკვლევებმა და დევიანტური შემთხვევების შესწავლამ შეიძლება აღმოაჩინოს ახალი ან გამოტოვებული ცვლადები, ჰიპოთეზები, მიზეზობრივი გზები, მიზეზობრივი მექანიზმები, ტიპები ან ურთიერთქმედების ეფექტები.

შემთხვევის შესწავლის შედეგებმა, შესაძლოა, სამ დონეზე იქონიოს გავლენა თეორიის განვითარებასა და ტესტირებაზე. პირველ რიგში, მათ შეუძლიათ დაადგინონ, გააძლიერონ ან შეასუსტონ საქმის ისტორიული ახსნა. თუ თეორია კონკრეტულ მიზეზობრივ მექანიზმებს წამოაყენებს, როგორც კონკრეტული შემთხვევის ახსნას, მაგრამ ისინი რეალურად არ არსებობს, მაშინ თეორია ძლიერ სუსტდება, როგორც ამ შემთხვევის ახსნა.

მიუხედავად ამისა, შემთხვევის შეცვლილი ისტორიული ახსნა შეიძლება არ შეავსოს სხვა შემთხვევების ახსნამ, რომლებიც, გარკვეულწილად, განსხვავებულია. საქმის ახალი ან შეცვლილი ახსნის ზოგადი გამოყენებადობის დადგენა მოითხოვს იმის ჩვენებას, რომ ის ზუსტად ხსნის სხვა შემთხვევებს. პირიქით, არსებული თეორიის, როგორც ერთი შემთხვევის ახსნის გაუქმება სულაც არ ნიშნავს, რომ თეორია ცუდად ხსნის სხვა, განსხვავებულ შემთხვევებს. მართლაც, არსებულმა თეორიამ, შესაძლოა, ადრე აჩვენა შემთხვევების ახსნის ძლიერი უნარი. ახალი თეორია შეიძლება აღემატებოდეს მისი წინამორბედის მიერ ახსნილი მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევის ახსნას, ან თუნდაც მხოლოდ ერთი შემთხვევის ახსნას, რაც სხვებისთვის შეუსაბამო იყოს.

მეორე და უფრო ზოგადად, დასკვნა, რომ თეორია ხსნის ან არ ხსნის შემთხვევას, შეიძლება განზოგადდეს იმ ტიპზე ან კლასზე (მაგ., თავშეკავება), რომელსაც ეს შემთხვევა მიეკუთვნება. აქ განზოგადება დამოკიდებულია სიზუსტეზე და სისრულეზე, რომლითაც განისაზღვრა შემთხვევების კლასი და რა ხარისხით ასახავს შემთხვევა კლასს. შეუსწავლელ შემთხვევებზე განზოგადება ყოველთვის ინვეს მცდარი დასკვნების გარკვეულ რისკს, რადგან ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს შესწავლილი შემთხვევისგან ან შემთხვევებისგან თეორიული ჩარჩოდან გამოტოვებული პოტენციურად მიზეზობრივი ცვლადების მნიშვნელობებით.

მესამე, ქეისის შესწავლის დასკვნები შეიძლება ზოგიერთ გარემოებაში განზოგადდეს მეზობელ უჯრედებზე ტიპოლოგიაში, კონკრეტული ცვლადის როლზე განსხვავებულ შემთხვევებში ან თუნდაც მოვლენის ყველა შემთხვევისთვის. აქ გადაჭარბებული განზოგადობა რისკია, რადგან ანალიტიკოსი აზოგადებს შემთხვევებს, რომლებიც განსხვავდებიან იმ ცვლადების

მნიშვნელობით, რომლებიც უკვე იდენტიფიცირებული იყო, როგორც შედეგთან მიზეზობრივად დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, ქეისის შესწავლის მკვლევრები, როგორც წესი, შემოიფარგლებიან ვინრო და კარგად განსაზღვრული პირობითი განზოგადებით ამ ტიპის შესახებ.

### თეორიის შემუშავება

ქეისის შესწავლის გზით თეორიის შემუშავება უნდა გამოირჩეოდეს თეორიის დედუქციური შემუშავებისგან. დედუქციურ მეთოდებს შეუძლიათ სასარგებლოდ განავითარონ სრულიად ახალი თეორიები ან შეავსონ არსებული თეორიების ხარვეზები; შემთხვევის შესწავლას შეუძლია დედუქციური თეორიების ტესტირება და ახალი ცვლადების შეთავაზება. მაგრამ თეორიის შემუშავება შემთხვევის შესწავლით, უპირველეს ყოვლისა, ინდუქციური პროცესია. მოცემული ქვეთავი ხაზს უსვამს დევიანტური შემთხვევების სარგებლობას ახალი ცვლადების ან მიზეზობრივი მექანიზმების ინდუქციური იდენტიფიკაციისთვის.

#### *თეორიის შემუშავება და ცალკეული შემთხვევების ისტორიული ახსნა*

დევიანტური შემთხვევის შედეგი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ცვლადებით, რომლებიც ადრე შეუმჩნეველი იყო, მაგრამ რომელთა ეფექტები კარგად არის ცნობილი სხვა კვლევებიდან. ეს ინვეს შემთხვევის გაუმჯობესებულ ისტორიულ ახსნას, მაგრამ არა აუცილებლად ქეისის რაიმე ახალ განზოგადებას, გარდა იმ შემთხვევისა, რომელშიც არ იყო მოსალოდნელი, რომ ადრე შეუმჩნეველ ცვლადებს რაიმე ეფექტი ექნებოდა.

შემთხვევის ინდუქციურად მიღებული ახსნა, ასევე, შეიძლება მოიცავდეს ახალ თეორიებსა და ცვლადებს. ამ კონტექსტში, მკვლევრებს ხშირად ურჩევენ, რომ არ შეიმუშაონ თეორია მტკიცებულებებიდან და შემდეგ არ შეამოწმონ იგი იმავე მტკიცებულებებთან მიმართებაში; ფაქტები ვერ ამოწმებენ ან ენინააღმდეგებიან მათ გარშემო აგებულ თეორიას. გარდა ამისა, იმავე მტკიცებულების გამოყენება თეორიის შესაქმნელად და შესამოწმებლად, ასევე, აძლიერებს დადასტურების მიკერძოების რისკებს, კოგნიტურ მიკერძოებას საკუთარი თეორიების დადასტურების მიმართ, რომელიც კარგად არის დადასტურებული როგორც ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში, ასევე სოციალური მეცნიერების პრაქტიკაში.

თუმცა, მართებულია თეორიის შემუშავება შემთხვევიდან და შემდეგ თეორიის ტესტირება შემთხვევის დამატებითი მტკიცებულებების წინააღმდეგ, რომელიც არ იყო გამოყენებული თეორიის გამოსატანად. ეს აყალბებს თეორიას, როგორც შემთხვევის ახსნას და შეუძლია თავიდან აიცილოს დადასტურების მიკერძოება. შემთხვევის ისტორიული ახსნა-განმარტების ტესტირებისას, ყველაზე დამაჯერებელი პროცედურა, ხშირად, შემთხვევის მონაცემებიდან ახსნა-განმარტების შემუშავება და შემდეგ შემთხვევის სხვა მტკიცებულებების ფონზე შემოწმებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთადერთი გამოსავალი არის ახსნა-განმარტების შემოწმება სხვა შემთხვევებში, რომლებიც განსხვავდებიან ისეთი გზით, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს განზოგადებას თავდაპირველ შემთხვევაში.

თეორიის შემუშავება და კონტინგენტის განზოგადება/გენერალიზაცია დევიანტური შემთხვევის შესწავლას შეუძლია მკვლევარი ახალი ტიპის შემთხვევის იდენტიფიცირებამდე მიიყვანოს. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს „სამშენებლო ბლოკის“ მიდგომით, ახალი შემთხვევის კვლევებით, რომლებიც ახდენენ ქვეტიპების ან მიზეზობრივი პროცესების იდენტიფიცირებას, რომლებიც შემთხვევების ქვეტიპს ეხება. თითოეული შემთხვევის შესწავლა ხელს უწყობს პირობითი განზოგადებების კუმულაციურ დახვეწას იმ პირობების შესახებ, რომლებშიც ხდება კონკრეტული მიზეზობრივი გზების წარმოქმნა და უფრო ყოვლისმომცველი თეორიის უჯრედების ან ტიპების შევსება.

ისტორიკოსები ხშირად ეჭვის თვალთ უყურებენ ისტორიული შემთხვევის შესწავლის განზოგადების მცდელობებს. თუმცა, შეიძლება მათი, როგორც კლასის ან ტიპის მოვლენის ნევრების უნიკალური შემთხვევებიდან განზოგადება, მაგალითად, ალიანსის ფორმირება, თავშეკავება, ომის დაწყება, სამშვიდობომოლაპარაკება და ა.შ. მაგალითად, ჯორჯ ალექსანდრმა და რიჩარდ სმოკმა დაყვეს თავშეკავების თეორია რიგ უფრო სპეციფიკურ თეორიებად, რომლებიც თავშეკავებას მოიცავს: ვალდებულების თეორია, ინიცირების თეორია და რეაგირების თეორია.

ასეთი აღნიშვნები გვეხმარება ისტორიის მსვლელობაში განმეორებით წარმოქმნილი წამოწყებებისა და მოვლენების ქვეტიპების იდენტიფიცირებაში, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს და შეისწავლოს, როგორც მსგავსი მოვლენების კლასი ან ქვეკლასი. ეს შეიძლება განხორციელდეს სტატისტიკური ანალიზის საშუალებით, კონკრეტული მოვლენის შემთხვევების საკმარისად დიდი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, ან მცირე რაოდენობის შემთხვევების ხარისხობრივი ანალიზით.

სად უნდა გავავლოთ ზღვარი კიდევ უფრო პატარა ტიპებისა და ქვეტიპების განვითარებაში? როგორც ვერბა ამბობდა, განზოგადება ქრება, როცა კონკრეტულ შემთხვევებს ვუყურებთ. თუმცა ის არ ასკვნის, რომ თეორიისა და განზოგადების ძიება შეუძლებელია. პირიქით, ამ აშკარა ჩიხიდან გამოსავალი არის თითოეული ზოგადი ცვლადის ახსნის იდიოსინკრეტული ასპექტების ჩამოყალიბება. „უნიკალური ისტორიული მოვლენის“ იგნორირება არ შეიძლება“, აღნიშნავს ვერბა, „მაგრამ ის უნდა ჩაითვალოს მოვლენათა ერთ-ერთ კლასში, თუნდაც ეს მხოლოდ ერთხელ მომხდარიყო.

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც გვეხმარება იმის დადგენაში, თუ სად უნდა გავავლოთ ზღვარი ქვეტიპების გავრცელებისას, არის „ბერკეტის“ ცნება, სასურველია არსებობდეს თეორიები, რომლებიც, რაც შეიძლება, მეტ დამოკიდებულ ცვლადს ხსნიან ნაკლები მარტივი დამოუკიდებელი ცვლადით. ეს იგივე არ არის რაც ეკონომიურობა, ან თეორიების სიმარტივე. ჩვენ ვეთანხმებით ვერბას და მის თანაავტორებს და გვჯერა, რომ [პარსიმონია] მხოლოდ ხანდახანაა მიზანშეწონილი. .. თეორია ისეთი უნდა იყოს, როგორც ყველა ჩვენი მტკიცებულება გვთავაზობს.

იმის აღიარება, რომ უნიკალურ შემთხვევებსაც კი შეუძლია ხელი შეუწყოს თეორიის განვითარებას, აძლიერებს კავშირს ისტორიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას შორის. თითოეული შემთხვევის ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება აუცილებლად იკარგება კონკრეტულიდან უფრო ზო-

გად ახსნაზე გადასვლის პროცესში. თუმცა, კრიტიკული კითხვა შემდეგში მდგომარეობს, უქმნის თუ არა საფრთხეს ინფორმაციის დაკარგვა და გამარტივება თეორიის მართებულობასა და სარგებლიანობას.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აბსტრაქტულად შეიძლება. ბევრი რამ არის დამოკიდებული მკვლევარის მგრძობელობაზე და მსჯელობაზე ცვლადების არჩევისა და კონცეპტუალიზაციისა და, ასევე, გადანყვეტილების შესახებ, თუ როგორ უნდა აღინეროს დისპერსია თითოეულ ცვლადში. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ამოცანა შეიძლება გადამწყვეტი იყოს „უნიკალურობის“ არსებითი მახასიათებლების დასაფიქსირებლად. ამ მიზეზით, მკვლევარებმა უნდა შეიმუშაონ კატეგორიები, რათა აღწერონ ვარიაცია თითოეულ მათ ცვლადში ინდუქციურად, დეტალური შემონიშნების გზით, თუ როგორ განსხვავდება კონკრეტული ცვლადის მნიშვნელობა მრავალ სხვადასხვა შემთხვევაში.

### *თეორიის შემუშავება და ტიპების მიხედვით განზოგადება*

დევიანტური შემთხვევის ყველაზე ზოგადი სახეობა არის ახალი კონცეფციის, ცვლადის ან თეორიის დაზუსტება მიზეზობრივი მექანიზმის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ერთზე მეტ ტიპზე და, შესაძლოა, მოვლენის ყველა შემთხვევაზეც კი. ახალი ცნებების ან ცვლადების ეს დაზუსტება, როგორც მაქს ვებერმა აღნიშნა, ხშირად არის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი. ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორია, მაგალითად, გამოწვეული იყო მცირე რაოდენობის შემთხვევებით, მაგრამ მან წამოაყენა ახალი მიზეზობრივი მექანიზმები, რომლებიც დიდად მნიშვნელოვანი იყო ბიოლოგიური და, თუნდაც, სოციალური სისტემისთვის.

როდესაც დევიანტურ შემთხვევას მივყავართ ახალი თეორიის დაზუსტებამდე, მკვლევარს შეუძლია მოახდინოს განზოგადოება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ახლად გამოვლენილმა მექანიზმმა იმუშაოს სხვადასხვა კონტექსტში ან შეუძლია მხოლოდ ივარაუდოს, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება. მაგალითად, ბენეტმა, ლეპგოლმა და უნგერმა (Andrew Bennett, Joseph Lepgold, and Danny Unger) ჩაატარეს კვლევა ვალდებულების/ან ტვირთის განაწილების შესახებ 1991 წლის სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის დროს ნაწილობრივ, იმიტომ, რომ ცალკეული ქვეყნების წვლილი კოალიციაში „უდაბნოს ქარიშხალი“ ეწინააღმდეგებოდა კოლექტიური ქმედების იმ თეორიებს, რომლებიც იმ დროისათვის დომინირებდნენ ლიტერატურაში ალიანსების შესახებ. ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ კოალიციის ლიდერის აშშ-ს მხრიდან ზეწოლა ხსნის იმ მოკავშირეთა დიდ წვლილს, რომლებიც ამერიკაზე იყვნენ დამოკიდებული უსაფრთხოების თვალსაზრისით, მათ შორის პირველ რიგში გერმანია და იაპონია. თუმცა, ძლიერი სახელმწიფოს მიერ ზეწოლა არ წარმოადგენდა ახალ ჰიპოთეზას საერთაშორისო ქცევის ახსნაში, მაგრამ აღმოჩენამ აჩვენა, რომ კოლექტიური ქცევის შესახებ ჰიპოთეზა, საერთო ჯამში, ალიანსების ქცევის ნაკლებად განმსაზღვრელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ამტკიცებდნენ. მოკლედ, ავტორებმა შეიმუშავეს საკმაოდ დეტალური კონტინგენტური განზოგადება იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ალიანსის დამოკიდებულების არასაკმარისად შესწავლილი ფაქტორი სხვადასხვა კონტექსტში.

### *თეორიის ტესტირება/ შემოწმება*

როდესაც თეორიები საკმაოდ კარგად არის შემუშავებული, მკვლევარებს შეუძლიათ გამოიყენონ შემთხვევის შესწავლა თეორიის ტესტირებისთვის. მიზანი აქ იშვიათად არის არა თეორიის გადამწყვეტი უარყოფა, არამედ იმის დადგენა, უნდა გაფართოვდეს თუ შევიწროვდეს კონკურენტული თეორიების ფარგლების პირობები. ეს რთული პროცესია: როდესაც თეორია ვერ შეესაბამება მტკიცებულებებს შემთხვევაში, გაუგებარია, თეორია ვერ ხსნის კონკრეტულ შემთხვევას, ვერ ხსნის შემთხვევების მთელ კლასს, თუ საერთოდ არ ხსნის არცერთ შემთხვევას.

რას უნდა დავაბრალოთ თეორიის შინაგანი ლოგიკის ხარვეზი ან კონტექსტური პირობები, რამაც თეორია გამოუსადეგარი გახადა, თეორიის ნარეჟობას თუ ამ ორის რომელიმე კომბინაციას? არ უნდა ვიჩქაროთ ზოგადი თეორიების უარყოფა ერთი ან რამდენიმე ანომალური შემთხვევის საფუძველზე, რადგან ამ თეორიებმა შეიძლება მაინც კარგად ახსნას სხვა შემთხვევები. პირიქით, არსებობს მცდარი თეორიის ზედმეტად ადვილად შენარჩუნების საშიშროება, მისი მოცულობის პირობების შევიწროვებით ანომალიების გამორიცხვის მიზნით ან თეორიაში დამატებითი ცვლადების დამატებით ანომალიების გასათვალისწინებლად.

თეორიის შემოწმების დამატებითი სირთულე არის ის, რომ ტესტები ნაწილობრივ დამოკიდებულია თავად თეორიების მიზეზობრივ დაშვებებზე. მაგალითად, თეორიები, რომლებიც ადგენენ მარტივ მიზეზობრივ კავშირებს, როგორცაა აუცილებლობა, საკმარისობა შეიძლება გაყალბდეს ერთი შემთხვევით (გაზომვის შეცდომის აკრძალვა). თეორიები უფრო რთული შესამოწმებელია, თუ ისინი აყალიბებენ უფრო რთულ მიზეზობრივ კავშირებს, როგორცაა თანასწორობა და ურთიერთქმედების ეფექტი. ასეთი თეორიები, რომლებიც ხშირად აინტერესებს შემთხვევის შესწავლის მკვლევარებს, შეიძლება დაექვემდებაროს ძლიერ შემოწმებას, თუ ისინი ვარაუდობენ ცვლადებს შორის მაღალი ალბათობის (მაგრამ არა აუცილებლად დეტერმინისტულ) ურთიერთობებს და ასახელებენ ცვლადების, ურთიერთქმედებებისა და მიზეზობრივი გზების მართვად მცირე რაოდენობას. თეორიების ემპირიულ შემოწმებაზე დაქვემდებარება ყველაზე რთულია მაშინ, თუ ისინი მოიცავს მიზეზობრივი ურთიერთობების ყველაზე რთულ ტიპებს, ან რასაც შეიძლება ეწოდოს „იდუმალი“ მიზეზობრიობა: მრავალ ცვლადს შორის კომპლექსური ურთიერთქმედება, ცვლადებს შორის დაბალი ალბათობით ურთიერთობა და ენდოგენურობის პრობლემები ან უკუკავშირის ეფექტები.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიები შესამოწმებელ/ტესტირებად ფორმაში უნდა ჩამოყალიბდეს, არ უნდა ვაიძულოთ მის ფარგლებს გარეთ პროგნოზირება. ეს იწვევს თეორიის გაუფასურებულ ვერსიის შექმნას. ტესტი უნდა ჩატარდეს ძალიან მკაცრად თუ საპირისპირო ცვლადები ფარავს შესწავლილი ცვლადის მიზეზობრივ ეფექტს.

თუ ემპირიული ტესტი სცილდება იმ მოვლენების სფეროს, რომლებზეც თეორია იქნა გამოყენებული, მაშინ თეორიასთან შეუსაბამო აღმოჩენები უფრო მის ფარგლებს ზღუდავს, ვიდრე ახდენს მის ფალსიფიცირებას.

როგორ შეუძლია მკვლევარს თავი აარიდოს თეორიის ზედმეტად ადვილად უარყოფას ან თეორიის ფარგლების შევიწროებას, რომელიც რეალურად არის ზუსტი, მიიღოს ან გააფართოოს თეორიის მოქმედების პირობები, რომელიც ფაქტობრივად მცდარია ან გამოუყენებელი? არ არსებობს უშეცდომო კრიტერიუმები ყველა იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც დაკავშირებულია თემატური კვლევის თეორიული ტესტების შედეგების განზოგადობასთან. თუმცა მთავარი კითხვაა, რამდენად მკაცრ ემპირიულ ტესტს წარმოადგენს შემთხვევა თეორიისათვის, რამდენად ძლიერად პროგნოზირებენ ცვლადები შემთხვევის შედეგს და რამდენად უნიკალურია პროგნოზები, რომლებსაც თეორია აკეთებს შემთხვევისთვის?

### *შემთხვევის კონკურენტული ახსნა-განმარტების შემონმება*

შემთხვევის ახსნა უფრო დამაჯერებელია, თუ ის უნიკალურია ან თუ მის მიერ პროგნოზირებული შედეგი „არ შეიძლებოდა მოსალოდნელი ყოფილიყო არსებული საუკეთესო კონკურენტი თეორიისგან“. თუ მოვლენა ადრე ფართოდ შესწავლილი არ ყოფილა, თეორიას შეუძლია მხოლოდ საკმაოდ სუსტი პრეტენზია გამოთქვას, რომ ის არის „საუკეთესო“ ახსნა. თუმცა, ყურადღებით შესწავლილი მოვლენებისთვის დასკვნა, რომ შემთხვევა შეესაბამება მხოლოდ ერთ ახსნა-განმარტებით თეორიას, არის ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ თეორია საუკეთესოდ ხსნის შემთხვევას. ქეისის კონკურენტული ისტორიული ახსნა-განმარტებების შემონმებისას მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევების პოვნა, როდესაც ახსნა-განმარტებები უნიკალურ პროგნოზებს აკეთებენ ქეისის პროცესის ან შედეგის შესახებ. ამის შესანიშნავი მაგალითია სკოტ სეიგანის ნაშრომი ბირთვული იარაღის შემთხვევითი ან უნებართვო გამოყენების უსაფრთხოების შესახებ. საგანი ბირთვული იარაღის უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც რთული ორგანიზაციების უნარის ქვეკლასს მართონ სახიფათო ტექნოლოგიები. ეს უკანასკნელი პრობლემა განხილულია ორ ძირითად თეორიაში: ჩარლზ პეროუს ნორმალური ავარიების თეორია და მაღალი სანდოობის თეორია, რომელიც შემუშავებულია ბერკლის მეცნიერთა ჯგუფის მიერ. არც ერთი ეს ორი ორგანიზაციული თეორია არ ეხებოდა ბირთვული იარაღის უსაფრთხოების კონკრეტულ პრობლემას, მაგრამ სეიგანი ამტკიცებს, რომ თითოეულ მათგანს გავლენა აქვს ამ საკითხზე.

სეიგანი აღნიშნავს, რომ ორივე თეორია ხშირად ორაზროვან პროგნოზებს აკეთებს. არც ერთი თეორია არ გამორიცხავს სერიოზული ავარიის შესაძლებლობას, თუმცა ჩვეულებრივი შემთხვევის თეორია უფრო პესიმისტურია. ამ ორს შორის მნიშვნელოვანი დამთხვევაა მათ პროგნოზებში ბირთვული იარაღის შემთხვევებზე, მაგრამ ის მიიჩნევს, რომ თეორიები წინააღმდეგობაში მოდიან რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტში. როგორც სეიგანი ამბობს, „ბევრი სპეციფიკური პირობა, რომელსაც მაღალი საიმედოობის თეორეტიკოსების მტკიცებით ხელს შეუწყობს უსაფრთხოებას, რეალურად შეამცირებს უსაფრთხოებას ჩვეულებრივი ავარიების თეორეტიკოსების მიხედვით“.

სეიგანი განსაზღვრავს ისტორიულ სიტუაციებს, მათ შორის, კუბის სარაკეტო კრიზისის რამდენიმე ასპექტს, რომლებშიც თეორიები განსხვავებულ პროგნოზებს აკეთებენ მიღწეული უსაფრთხოების დონისა და მისი

მიღწეული საშუალებების შესახებ. სეიგანი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო „გაეკეთებინა დასკვნა, თუ რა უნდა ეწინასწარმეტყველა თითოეულ თეორიას უსაფრთხოების სისტემის საბოლოო მარცხის - შემთხვევითი ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად. შემდეგ შეადარა ეს პროგნოზები აშშ-ს ბირთვული იარაღის მართვისა და კონტროლის ისტორიულ გამოცდილებასთან. რომელი თეორია იძლევა უკეთეს პროგნოზს იმის შესახებ, რაც მოხდა და უფრო დამაჯერებლად ხსნის, თუ რატომ მოხდა ეს? რომელ თეორიას მივყავართ უფრო ახალი ფაქტებისა და შეხედულებების აღმოჩენამდე? საგანი ასკვნის, რომ მთლიანობაში, ჩვეულებრივი ავარიების სკოლა უფრო ზუსტ პასუხებს იძლევა ამ კითხვებზე კუბის სარაკეტო კრიზისის შემთხვევაში.

### *კონტინგენტის გენერალიზაციების შემონიშვნა*

კონტინგენტური ან ტიპოლოგიური განზოგადებების შესამოწმებლად მკვლევარებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ მათი განზოგადების ფარგლები ან სფერო. ინსტიტუციური გარემოს, კულტურული კონტექსტის, დროის პერიოდების, გეოგრაფიული და სიტუაციური კონტექსტების რა დიაპაზონში ვრცელდება დასკვნები? აქ, კიდევ ერთხელ, ტიპოლოგიური თეორია იძლევა მზა საშუალებას ცვლადების კონფიგურაციის ან იმ ტიპების დასაზუსტებლად, რომლებზეც ვრცელდება განზოგადება. კონტინგენტური განზოგადებების ტესტები შეიძლება შედგებოდეს თეორიის მითითებულ სფეროში შემთხვევის შესწავლისგან, რათა დადგინდეს, ემთხვევა თუ არა მათი პროცესები და შედეგები თეორიის მიერ გაკეთებულ პროგნოზს. და პირიქით, მკვლევარებს შეუძლიათ გამოსცადონ შემთხვევები, რომლებიც სცილდება თეორიის განსაზღვრულ პირობებს, რათა დადგინდეს, შეიძლება თუ არა მოქმედების სფეროს ეს პირობები გამართლებულად გაფართოვდეს.

პირობითი განზოგადებების სწორი საზღვრები თეორეტიკოსებს შორის ხშირი კამათის საგანია. ნათელი მაგალითი ეხება თედა სკოკპოლის მიერ საფრანგეთში, რუსეთსა და ჩინეთში სოციალური რევოლუციების კვლევას. ბარბარა გედესი აკრიტიკებს სკოკპოლის ანალიზს და ამტკიცებს, რომ არსებობდა ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში რევოლუციის მიზეზები, რომლებიც სკოკპოლმა დაადგინა, მაგრამ რევოლუციები არ მომხდარა, მაშინ, როცა რეგიონის სხვა ქვეყნებში რევოლუციები ხდებოდა თუნდაც წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში.

სკოკპოლი შესავალსა და დასკვნაში აშკარად მიუთითებდა, რომ მისი თეორია არ არის რევოლუციების ზოგადი თეორია, არამედ რევოლუციების თეორიაა მდიდარ აგრარულ სახელმწიფოებში, რომლებსაც არ ჰქონდათ გამოცდილი კოლონიური რეჟიმი. ის, ფაქტობრივად, ცალსახად აცხადებს, რომ მისი არგუმენტი არ ეხება სამ შემთხვევას, რომლებსაც გედესი მოიხსენიებს (მექსიკა 1910 წ., ბოლივია 1952 წ. და კუბა 1959 წ.), ასე რომ, ეს შემთხვევები არ ეწინააღმდეგება მოქმედების სფეროს პირობებს, რომელსაც სკოკპოლი აყენებს. სკოკპოლის უფრო მართებული კრიტიკა მიუთითებდა იმ შემთხვევებზე, რომლებიც ჯდება მის მიერ განსაზღვრულ სფეროში, მაგრამ არ ჯდება მის თეორიაში ან პირდაპირ გააკრიტიკებდა იმას, თუ როგორ განსაზღვრავს ის თავისი თეორიის სფეროს.

*გენერალიზაცია ტიპების მიხედვით: მკაცრი ტესტები და ყველაზე სავარაუდო, ნაკლებად სავარაუდო და გადამწყვეტი შემთხვევები*

ძნელია ვიმსჯელოთ კონკრეტული ტესტის მტკიცებულებით ღირებულებაზე არსებული წინარე მტკიცებულების ღირებულებასთან შედარებით, რომელიც საფუძვლად უდევს არსებულ თეორიას. ჰარი ეკშტეინი ამტკიცებს, რომ „გადამწყვეტი შემთხვევები“ იძლევა თეორიის მტკიცებულების ყველაზე ზუსტ ტიპს. ის გადამწყვეტ შემთხვევას განსაზღვრავს, როგორც შემთხვევას, „რომელიც მჭიდროდ უნდა შეესაბამებოდეს თეორიას, თუ ვინმე უნდა ენდობოდეს თეორიის მართებულობას ან, პირიქით, არ უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებულის სანინაალმდეგო ნებისმიერ წესს“.

ეკშტეინი საუბრობს სირთულეებზე, რომლებიც არსებობს ასეთი გადამწყვეტი შემთხვევების იდენტიფიცირებაში, როდესაც თეორიები და მათი პროგნოზირებადი შედეგები ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ აღნიშნავს, რომ უპირველესი პრობლემა არის ის, რომ მართლაც გადამწყვეტი შემთხვევები იშვიათად ხდება ბუნებაში ან სოციალურ სამყაროში. ამიტომ, ის გვთავაზობს მკაცრი ტესტების ალტერნატივას, რომელიც გულისხმობს ყველაზე სავარაუდო და ნაკლებად სავარაუდო შემთხვევების შესწავლას. ყველაზე სავარაუდო შემთხვევაში, თეორიის მიერ დაყენებული დამოუკიდებელი ცვლადები იმ მნიშვნელობებზეა, რომლებიც მტკიცედ წამოაყენებენ შედეგს ან უკიდურეს შედეგს. ყველაზე ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, თეორიაში დამოუკიდებელი ცვლადები იმ მნიშვნელობებზეა, რომლებიც მხოლოდ სუსტად პროგნოზირებენ შედეგს ან პროგნოზირებენ დაბალი სიდიდის შედეგს. ის აღნიშნავს, რომ ყველაზე სავარაუდო შემთხვევები გათვალისწინებულია იმისთვის, რომ თეორიები ძლიერი ეჭვის ქვეშ დააყენოს, თუ თეორიები არ არის შესაბამისი, ხოლო ნაკლებად სავარაუდო შემთხვევებმა შეიძლება გააძლიეროს ისეთი თეორიების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება იმ შემთხვევებსაც კი, სადაც ისინი სუსტი უნდა იყოს.

შემთხვევის შესწავლის ბევრმა მკვლევარმა გამოავლინა ის შემთხვევები, რომლებსაც ისინი ირჩევენ შესასწავლად, როგორც ყველაზე სავარაუდო ან ნაკლებად სავარაუდო, მაგრამ აუცილებელია იყოს მკაფიო და სისტემატური ამ სტატუსის განსაზღვრისას. უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ის, არის თუ არა შემთხვევა ყველაზე მეტად ან ნაკლებად სავარაუდო მოცემული თეორიისთვის, არამედ ალტერნატიული თეორიებისთვისაც.

ამის გაკეთების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ტიპოლოგიური ცხრილის ჩართვა, რომელიც გვიჩვენებს ცვლადების მნიშვნელობებს კონკურენტი ჰიპოთეზებისთვის შესწავლილ შემთხვევაში ან შემთხვევებში. ასეთი ცხრილი ეხმარება მკვლევარსა და მკითხველს, დაადგინონ, თუ რომელი ცვლადი შეიძლება უჭერდეს მხარს ალტერნატიულ თეორიებს და ეხმარება მკვლევარს სისტემატურად გადახედოს, იმას აკეთებენ თუ არა ალტერნატიული თეორიები იმავე ან განსხვავებულ პროგნოზებს მოცემულ შემთხვევაში პროცესებსა და შედეგებზე.

ზოგადად, თეორიის ყველაზე ძლიერი დამადასტურებელი მტკიცებულება არის შემთხვევა, რომელიც ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა ამ თეორიისთვის, თუმცა ყველაზე მეტად სავარაუდოა ყველა ალტერნატიული თეორიისთვის და ის შემთხვევა, სადაც ალტერნატიული თეორიები ერთობ-

ლივად იწინასწარმეტყველებენ შედეგს, რომელიც ძალიან განსხვავდება ყველაზე ნაკლებად სავარაუდო თეორიის შედეგისაგან. თუ ყველაზე ნაკლებად სავარაუდო თეორია ზუსტი აღმოჩნდება, ის აბსოლუტურად დასაფასებელია იმ წინასწარმეტყველებისთვის, რომელიც, ასევე, არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვა თეორიებს. ამას შეიძლება ეწოდოს ყველაზე რთული ტესტის შემთხვევა. თეორიები, რომლებმაც გაუძლეს ასეთ რთულ გამოცდას, შეიძლება ზოგადად გამოყენებადი იყოს მრავალი ტიპის შემთხვევისთვის, რადგან მათ უკვე დაადასტურეს თავიანთი გამძლეობა გამანონასწორებელი მექანიზმის არსებობისას.

თეორიის შესუსტების საუკეთესო შესაძლო მტკიცებულება არის ის, როდესაც შემთხვევა, სავარაუდოდ, ამ თეორიისა და ალტერნატიული თეორიებისთვისაა, და ყველა ეს თეორია ერთსა და იმავე პროგნოზს აკეთებს. თუ პროგნოზი არასწორია, თეორიის წარუმატებლობა არ შეიძლება მივანეროთ სხვა თეორიების ცვლადების საწინააღმდეგო გავლენას (გამოტოვებულმა ცვლადებმა შეიძლება მაინც შეასუსტონ ამ დასკვნის ძალა). ამას შეიძლება ეწოდოს უმარტივესი ტესტის შემთხვევა. თუ თეორია და ყველა ალტერნატივა ასეთ შემთხვევაში წარუმატებელია, ის უნდა ჩაითვალოს დევიანტურ შემთხვევად და, შესაძლოა, ნაყოფიერი აღმოჩნდეს ალმოუჩენელი მიზეზობრივი გზა ან ცვლადის ძიება. თეორიის წარუმატებლობა უმარტივესი ტესტის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის გამოყენებას მრავალი ტიპის შემთხვევისთვის.

შემთხვევები, როგორც წესი, დგანან კონკრეტული თეორიებისთვის ყველაზე მეტად და ნაკლებად სავარაუდოს შორის, და შესაბამისად, წარმოადგენს საშუალო ხარისხის სირთულის ტესტებს. ურთულესი ან უმარტივესი ტესტის შემთხვევების მოძებნის შემდეგ, მკვლევარებმა ფრთხილად უნდა დააკონკრეტონ ყოველი ალტერნატიული ჰიპოთეზისათვის თუ სად არის მოცემული შემთხვევა სპექტრზე განთავსებული ამ თეორიის ყველაზე ნაკლებად სავარაუდოდან ყველაზე მეტად სავარაუდოს შორის, და როდის წინასწარმეტყველებს თეორია შედეგებს, რომლებიც ავსებენ ან ეწინააღმდეგებიან სხვა თეორიების პროგნოზებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემთხვევა, როდესაც ერთი ცვლადი არის უკიდურეს მნიშვნელობაზე, სულაც არ არის საბოლოო ტესტი. უფრო მეტიც, თუ კონკურენტული ახსნა-განმარტებების ცვლადები აკეთებენ ერთსა და იმავე პროგნოზს და არ არიან ექსტრემალურ მნიშვნელობებზე, ეს შეიძლება იყოს მარტივი ტესტი, რომელიც იძლევა მხოლოდ სუსტ მტკიცებულებას უკიდურესი ცვლადის მნიშვნელობის შესახებ. ასეთი მარტივი ტესტები არ არის ძალიან დამამტკიცებელი და თუ ისინი არასწორად გამოიყენება თეორიის ძლიერი მხარდაჭერის შესახებ დასკვნის გამოსატანად, ისინი შეიძლება წარმოადგენენ შერჩევის მიკერძოებულობის პრობლემას.

## დასკვნა

შემთხვევის შესწავლის შედეგების განზოგადება არ არის შესწავლილი შემთხვევების რაოდენობის ან მრავალფეროვნების მარტივი ფუნქციის თვალსაზრისით. მკვლევარს შეუძლია შეისწავლოს სხვადასხვა შემთხვევები, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო ნიმუშები, ასე რომ, თითოეული შემ-

